

ISSN—0132—6066



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

2. 1990

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

(47-93)06
2-42


ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1990



ქართული დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სსრკ აკადემიის კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე),
გ. თოფურია, ს. ცაიშვილი, პ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. დლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიდა», ენისა და ლიტერატურის სერია
1990, № 2

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 30.III.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.VI.90; უე 03668;
ანაწეობის ზომა 7×12³/₄; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 11,98;
ტირაჟი 1500; შეკვეთა 956; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

გ. არაბული, შოთა რუსთველის მექურქულეთხუცესობის თარიღისათვის	5
ვ. იმერლიშვილი, ქართველები და უნგრეთის რევოლუცია — შანდორ პეტეფი და ლაიოშ კოშუტი	15
ნ. დოლიძე, შემთხვევითი ბედნიერების მოტივი ქართული ზღაპრის — „ამძლეა-მძლეს“ — შექმნე	29
ნ. ციხისთავე, წმ. ნინოს ცხოვრების ქართული და რუსული ტექსტების ისტორიოგრაფია	35
ნ. შირაშვილი, „პირველყოფილი ჰარმონიის“ მოტივი ადრებიზანტიურსა და ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში	43
მ. დიასამიძე, ქართული ბიბლიური ტექსტის სწორების ერთი გვიანდელი შემთხვევა	49
ვ. კიკნაძე, ქართული ირმოლოგიონის ერთი უცნობი ფრაგმენტის შესახებ	61
შ. რაფაევა, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემ მცირისეული კრებულების შედგენილობისათვის	66
ი. ფხაკაძე, თარგმანი, როგორც ერთიანი პროცესი	85
დ. შენგელია, „თამაშობს“ ტიპის ზმნათა პირიანობის საკითხისათვის ძველ ქართულში	98
ვ. იმნაიშვილი, სკონსონანტი ქართულ დიალექტებში	103
ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაცია და სემანტიკური ინტერპრეტაცია ნარატულ ტექსტში	110
ნ. ცქიტიშვილი, სილაბური ზღერულობის საკითხისათვის იოტ-კომპონენტთან ესპანურ სიტყვაში	128
კ. ჩანტლაძე, დიალექტური იზოგლოსები და ეტიმოლოგია	138

პუბლიკაცია

გიორგი ახვლედიანის წერილები სოლომონ იორდანიშვილს (წინასიტყვაობა და შენიშვნები ლალი იორდანიშვილისა)	143
--	-----

მეცნიერის იუბილე

ბ. დარჩია, იოსებ შეგრელიძე — 80	153
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

თ. მეტრეველი, ერთი კარგად გასაგები გაუგებრობის გამო	159
---	-----

ქრონიკა და ინფორმაცია

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუვეეთესო ნაშრომის გამოსავლინებლად	160
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Г. Х. Арабули, О дате пребывания Шота Руставели в должности «мечур-члетухуцеси» (министра финансов)	5
И. Б. Имерлишвили, Грузины и венгерская революция — Шандор Петефи и Лайош Кошут	15
Н. Г. Долидзе, Мотив «счастья по случаю» в свете грузинской народной сказки «Мазлетамдзде»	29
Н. Ш. Цихистави, Историография грузинских и русских текстов «Жития святой Нино»	35
Н. Ш. Мирашвили, «Первозданная гармония» в ранневизантийской и грузинской агиографической литературе	43
М. Д. Диасамидзе, Один из поздних случаев исправления текста грузинской Библии	49
Г. И. Кикинадзе, Об одном неизвестном фрагменте грузинского Ирмология	61
М. А. Рапава, О составе сборников Ефрема Мцире, содержащих переводы гомилий Григория Назианзина	66
И. Г. Пхакадзе, Перевод как интегральный процесс	85
Д. С. Шенгелиа, К вопросу о валентности глаголов типа <i>თამაობს</i> в древнегрузинском языке	98
Г. М. Имнаишвили, S консонант в грузинских диалектах	103
Н. Ш. Чичуа, Номинатив и семантическая интерпретация действия в нарративном тексте	110
Н. В. Цкетишвили, К вопросу синлабических границ в испанском слове с йот-компонентом	128
Г. И. Чантладзе, Диалектные изоглоссы и этимология	138

Публикации

Письма Георгия Ахвледiani Соломону Иорданишвили (предисловие и примечания Лали Иорданишвили)	143
--	-----

Юбилей ученого

Б. Ш. Дарчия, Иосифу Мегрелидзе — 80 лет	153
--	-----

Критика и библиография

Т. Д. Метрели, О непонимании хорошо понятого	159
--	-----

Хроника и информация

Конкурс на лучшую работу среди молодых ученых	160
---	-----

შ პ რ ი ლ ე ბ ი

გიორგი არაბული

შოთა რუსთველის მეპურკლეთუხუცესის მოტივების თარიღისათვის

ზეპირიტყვიერად მოცემულ შემთხვევაში, ლიტერატურულ ძეგლებსა თუ ისტორიულ-ფილოლოგიურ ნარკვევებში შოთა რუსთველი მოხსენიებულია: თამარ მეფის კარის პოეტად, „მწერალთა უხუცესად“, თამარ მეფის „მდივანად“, ისტორიკოს-მემატინანდ, მოღარეთუხუცესად, მეპურკლეთუხუცესად ან, ზოგადად, ვაზირად.

დასახელებულ თანამდებობათაგან ყველაზე მეტი საფუძველი არსებობს შოთას მეპურკლეთუხუცესობის მტკიცებისათვის. საამისო დოკუმენტური წყაროთა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სენიანქსარი, სადაც ჩაწერილია ალაპი „შოთა მეპურკლეთუხუცესის“ სახელზე¹. ალაპის დაწესების თარიღად მიჩნეულია XII—XIII საუკუნეთა მიჯნა ან XIII ს-ის დამდეგი².

იმავე მონასტრის მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე გამოსახულია მოხუცი მამაკაცის პორტრეტი (მუხლმოყრილი, მლოცველის პოზაში), რომლის თავთან წარწერილია: „რუსთველი“. ქართულ მეცნიერებაში დიდი ხანია მოხდა სვეტზე გამოსახული რუსთველისა და ალაპში დასახელებული შოთა მეპურკლეთუხუცესის იდენტიფიკაცია³. ე. ი. დადგენილად ითვლება, რომ სახელოვანი პოეტი შოთა რუსთველი ყოფილა აგრეთვე დიდი სახელმწიფო მოხელე, ვაზირი-მეპურკლეთუხუცესი-ოღონდ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ამ თანამდებობაზე მისი ყოფნის თარიღის გამო. მავალითად, პავლე რეგოროვიცა ვარაუდობდა 1245—1250 წლებს⁴. სარგის კაკაბაძე — 1212—1224⁵, ხოლო ნოდარ შოშიაშვილი — 1207—1220 წლებს⁶.

პ. ინგოროვიასეული დათარიღება ამჟამად ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პატივცემული მკვლევარის მსჯელობა ეხება პერეთის ერისთავ შოთას, კუბარად წოდებულს. დღეისათვის არაერთგზის დამტკიცებულია, რომ მისი გაიგივება პოეტ შოთა რუსთველთან ყოველად შეუძლებელია.

ს. კაკაბაძისეული თარიღიც მიახლოებითა და მასზე საგანგებოდ არ შეეხერხებოთ.

¹ ალაპთა კრებული იერუსალიმიდან ჩამოიტანა და გამოსცა ნ. მარმა პეტერბურგში 1914 წელს. ფოტოსალების, ვრცელი გამოკვლევისა და კომენტარების დათვით გამოქვეყნა ე. მტრეველმა: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, თბ., 1962, 2 ე. მტრეველი, დასახ. წიგნი, გვ. 51—53, 179.

² ე. მტრეველი, დასახ. წიგნი, გვ. 51—53, 179.
³ ე. მტრეველი, შიშოლი, შიშოლი, ე. მტრეველის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 055—056; 80; ა. კაკაბაძე, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, ნაწ. III, პეტერბურგი, 1894; ე. მტრეველი, ეტრედები, IV, თბ., 1957, გვ. 24—25; ე. მტრეველი, დასახ. წიგნი, გვ. 48—68; შ. ნუცუბიძე, რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, თბ., 1961; ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში (საიუბილეო კრებულში: „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 7—31).

⁴ შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროვიას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1970, გვ. 113—118.

⁵ ს. კაკაბაძე, რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 120—131.

⁶ ნ. შოშიაშვილი, თორღელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი (კრებულში: „შოთა რუსთველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლები“, თბ., 1966, გვ. 7—74).

ოციოდე წლის წინ ყველაზე უფრო დასაბუთებული ჩანდა ნ. შოშიაშვილის მიერ დადგენილი თარიღი. მისი ვრცელი გამოკვლევა ემყარება მრავალრიული მატრიანების, საარქივო და ეპიგრაფიკული მასალის დეტალურ ანალიზს. ნ. შოშიაშვილმა თეორიულად დამაჯერებლად დაასაბუთა შოთა რუსთველის როგორც წარმოშობა (თორელთა სახლის შვილობა), ისე მისი მეჭურჭლეთუხუცესად ყოფნის შესაძლებლობა. მაგრამ მისი დათარიღება ზუსტად და შექველად მიჩნეული მაინც არ არის.

საქმე ისაა, რომ ნ. შოშიაშვილი თამარ მეფის დროინდელ ერთ-ერთ მეჭურჭლეთუხუცესად თვლის შალვა თორელ-ახალციხელს. მისი აზრით, ეს თანამდებობა შალვას უნდა ჰქონოდა 1191—1207 წლებში, ხოლო მის შემდეგ — შოთა რუსთველს.

ნ. შოშიაშვილი ემყარება ჭავჭავთის სოფელ განძანის ეკლესიის წარწერას, სადაც იხსენიება მისი აშენებული (დამკვეთი) ვინმე „მეჭურჭლეთუხუცესი შალვა“, რომელიც მკვლევარმა XIII ს-ის პირველი მეოთხედის სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწე შალვა ახალციხელად ჩათვალა⁷.

განძანში არის ორი ეკლესია. ორივე აშენებულია შალვას დაკვეთით. ერთი ეკლესიის სამშენებლო წარწერაში ის მოხსენიებულია მეჭურჭლეთუხუცესად, მეორის წარწერაში — მანდატურთუხუცესად. პირველის მშენებელნი არიან „ქებასა და ნიკოლას ძენი“, მეორისა — „ნიკოლას ძენი“. მეორე ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება „მეფე გიორგი“.

ეს წარწერები პირველად გამოაქვეყნა მ. ბროსემ, ხოლო საყურადღებო არგუმენტირებული მოსაზრებები მათ შესახებ გამოთქმული აქვთ ისტორიკოსებს ნ. ბერძენიშვილს⁸, ვ. ცისკარიშვილს⁹ და შ. მესხიას¹⁰.

მკვლევარები (მათ შორის ნ. შოშიაშვილიც) ერთნაირი აზრისა არიან იმაზე, რომ ორივე ეკლესია ერთ ისტორიულ მონაკვეთში, ერთი თაობის სიცოცხლეში არის აშენებული, რადგან ორივეს აშენებლად იხსენიებიან „ნიკოლას ძენი“, ხოლო ორივე ეკლესიის წარწერებში დასახელებული შალვა ერთი პიროვნებაა. ის ჯერ ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი, შემდეგ — მანდატურთუხუცესი. მკვლევართა თვალსაზრისები სხვადასხვაობენ მხოლოდ იმის გამო, თუ კონკრეტულად ვინ არიან შალვა და მეფე გიორგი.

ნ. შოშიაშვილის აზრით, ეს შალვა არის შალვა თორელი — ახალციხელი, წარწერაში დასახელებული მეფე გიორგი კი ლაშა გიორგია. ვ. ცისკარიშვილისა და შ. მესხიას მტკიცებით კი ეს შალვა არის XIV საუკუნეში მცხოვრები პიროვნება, შალვა ბექას ძე ჭაყელი, ხოლო მეფე გიორგი — გიორგი V. ამ თვალსაზრისთა შესაბამისად იცვლება ეკლესიების აშენების თარიღიც.

იყო თუ არა შალვა ახალციხელი მეჭურჭლეთუხუცესი ან მანდატურთუხუცესი? ამ საკითხის დადებითად გადასაჭრელად ზოგი მკვლევარი იყენებს ს. გუნია-ყალაში (წალკის რ-ნი) ლაშა გიორგის „კელიან“ (პატრონობის აღსანიშნავად დადგმულ) სტელას, რომლის წარწერაში დასახელებულ პირთა შორის არის შალვა, როგორც ერთ-ერთი დამადასტურებელი თრიალეთის საუფლისწულო (სახასო) ქვეყნად დამტკიცების აქტისა¹¹.

7 ნ. შოშიაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 35—41.

8 ნ. ბერძენიშვილი, ჭავჭავთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, თბ., გვ. 85—87.

9 ვ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959, გვ. 96—106.

10 შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 49—58.

11 ამ ძეგლს ათარიღებდნენ 1207—1212 წლებით, თამარისა და ლაშა გიორგის თანამეფობის ადრე მიღებული საგარეო თარიღის მიხედვით. უფრო სწორი უნდა იყოს ისტორიკოს

ეს სტელა დადგმულია XIII ს. დასაწყისში. შალვა თანამდებობა იქ აღნიშნული არაა, მაგრამ მკვლევარები (პ. ინგოროვა, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ბაქრაძე) ფიქრობდნენ, რომ თრიალეთზე ლაშა გიორგის პატრონობა დაამტკიცა სავაზიროს სრულმა შემადგენლობამ და მათ შორის შალვა (ახალციხელი) მანდატურთუხუცესი უნდა ყოფილიყო.

ეს საკითხი ვრცლად და დეტალურად განიხილა შ. მესხიამ¹². ის იმოწმებს თამარის ისტორიკოსებისა და ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრის ცნობებს: ჰარიჭის, ანისის, ახპატის, სანაინისა და შირაკაენის სომხურ წარწერებს¹³, რომელთა საფუძველზე შეიძლება დადგინდეს საქართველოს სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირთა მოღვაწეობის თარიღები. პატივცემული მეცნიერი კრიტიკულად აანალიზებს ყველა წყაროს და საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მიდის: „ქიაბერის შემდეგ მანდატურთუხუცესის თანამდებობა საქართველოს მეფის მიერ მხარგრძელთა სახლს ებოძა. მხარგრძელთაგან მისი პირველი მფლობელი იყო ზაქარია, რომელიც ამ თანამდებობაზე დარჩა გარდაცვალებამდე. მის შემდეგ ეს თანამდებობა ერთხანს მისი ძმის ივანეს ხელში იყო, ხოლო შემდეგ ზაქარიას შვილს, შანშეს, ეპყრა. ასე რომ, XIII ს. დამდეგიდან მანდატურთუხუცესის სახელო მხოლოდ მხარგრძელთა ხელში იყო. ეს კი სავსებით გამორიცხავს შალვა თორელის (ახალციხელის) ორი თუ სამი წლით და მით უფრო 1207-დან 1226 წლამდე მანდატურთუხუცესობას“¹⁴.

თარიღები რომ აღვადგინოთ (შ. მესხიას მიხედვით). მანდატურთუხუცესთა რიგი ასეთ სახეს მიიღებს: ქიაბერი: 1184—1205/1206 წწ. ზაქარია მხარგრძელი: 1206—1212 წწ. (ამვე დროს ის იყო ამირსპასალარიც, 1191 წლიდან). ივანე მხარგრძელი: 1212—1228 წწ. (აგრეთვე — ამირსპასალარიც). შანშა ზაქარიას ძე მხარგრძელი: 1228—1262 წწ. (ის 1214—1215 წლებიდანვე მოხსენიებოდა ამ თანამდებობით, თუმცა ჯერ მცირეწლოვანი იყო).

როგორც ვხედავთ, ამ რიგში შალვა ახალციხელისთვის ადგილი აღარ რჩება. ამიტომ სწორი უნდა იყოს შ. მესხიას აზრი, რომ გუგუნი-ყალის სტელის წარწერაში აღნიშნულ მოვლენას შალვა ესწრებოდა არა როგორც ვაზირი — მანდატურთუხუცესი, არამედ როგორც საქვეყნოდ გამრიგე მოხელე, ჯავახეთის მხარის ერისთავთ ერისთავი.

თუმცა „ქართლის ცხოვრების“ ერთ რედაქციაში (მარიამისეული ქ. ცხ.) შალვა ახალციხელი მოხსენიებულია მანდატურთუხუცესად, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს აზრი ნამდვილი (ავტორისეული) არ უნდა იყოს. ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, შ. მესხია აქ გვიანდელი რედაქტირებით ან სიტყვის ჩამატებით შექმნილ ამგვარ ულოგიკობაზე მიუთითებენ¹⁵.

ასე ჩანს, შალვა თორელ-ახალციხელის მანდატურთუხუცესობის მანვენივლი არც ერთი მყარი არგუმენტი არა გვაქვს და ვანძნის ეკლესიის წარწერაში დასახელებული შალვაც სხვა, ანუ XIV საუკუნის ისტორიული პირი — შალვა ბექას ძე ჯაყელი უნდა იყოს, როგორც ვ. ცისკარიშვილსა და შ. მესხიას მიაჩნდათ (სათანადო არგუმენტები, ვფიქრობთ, საკმარისადაა წარმოდგენილი შ. მესხიას დასახელებულ წიგნში, გვ. 49—57).

გ. თხმეზურის თვალსაზრისი, რომელიც ლაშა გიორგის „კელიანი“ სტელის დადგმას 1202—1207 წლებით განსაზღვრავს (გ. თხმეზური, XII—XIII ს. მიწის ქართული ლაბიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 20—24).

¹² შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 37—47.

¹³ წარწერები ვაეცემებულია 1205—1216 წლებში, ერთის გარდა, — შირაკაენის წარწერას ათარიღებენ 1228 წლით.

¹⁴ შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 46—47.

¹⁵ შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 47, 48, 58.

გ. ოთხმეხურიმა აღნიშნა შ. მესხიას მტკიცების ზოგიერთი სუსტი ადგილი (მაგ., წარწერების პალეოგრაფიული მხარე), მაგრამ განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვას ჯაყელობის სასარგებლოდ მოყვანილი 6 არგუმენტიდან ნოლიანად ვერც ერთი ვერ გაბათილა.

გ. ოთხმეხური

თანამედროვე ისტორიკოსების (ბ. სილაგაძე, ჯ. ოდიშელი და სხვ.) გამოკვლევების საფუძველზე ზუსტდება XIII ს-ის დამდეგის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია, კერძოდ, თამარისა და მის კარის დიდ მოხელეთა: ჭიაბერის, ზაქარია და ივანე მხარგრძელების მოღვაწეობის თარიღები.

დასაბუთებული ჩანს თამარის გარდაცვალების 1207 წლით დათარიღება. ამის შესაბამისად ჭიაბერის გარდაცვალებისა და ზაქარია მხარგრძელის მანდატურთუხუცესობის თარიღებიც 5—6 წლით წინ გადაიწევეს. მაგრამ ამით საკუთარ მფლობელთა რიგი (ჭიაბერი, ზაქარია, ივანე...) არ იცვლება. ამიტომ საეჭვო გვეჩვენება შალვა თორელის მანდატურთუხუცესობა 1202/03—1215 წლებში, რასაც გ. ოთხმეხური გვთავაზობს¹⁶.

აღნიშნული ვარაუდი რომ დაეუშვათ, მაშინ გარკვეული ახსნა უნდა მიეცეს შემდეგ ფაქტებს: რატომ წაართვეს ზაქარია მხარგრძელს მანდატურთუხუცესობა 1202 (ან 1203) წელს? ეს ხომ მეფის ნება-სურვილითა და ბრძანებით უნდა მომხდარიყო (ზაქარია ის კაცი არ იყო, რასაც მიიღებდა, ისევე დაეკარგა). ან შალვა თორელმა, თუ მართლა ჰქონდა ეს თანამდებობა, როდის და რატომ დაკარგა იგი? ხომ უდავოა, რომ 1210-იან წლებში მანდატურთუხუცესი (და ამირსპასალარიც) ივანე ათაბაგი იყო.

ასეთი რამ რომ მომხდარიყო, მემატანიანებს არ გამოჩნებოდათ ისინი კი მხოლოდ ქება-დიდებას წერენ როგორც ზაქარიას, ისე შალვა ახალციხელის შესახებ, რაც სულაც არა ჰგავს შერისხულ და დამცრობილ მოხელეთა დახასიათებას.

ვფიქრობთ, კვლავ ძალაში რჩება ვ. ცისკარიშვილისა და შ. მესხიას მტკიცება, რომ განძანის ეკლესიის წარწერის „მანდატურთუხუცესი შალვა“ არაა შალვა თორელი-ახალციხელი. ამის შედეგად კი საფუძველი ეცლება შალვა თორელის მეჭურჭლეთუხუცესობის ვარაუდსაც (რადგან განძანის ორივე ეკლესიის წარწერების „შალვა“ ერთი და იგივე პირია).

მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესი XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის პირველ ნახევარში? ასეთებად პ. ინგოროყვა შემდეგ პირებს ასახელებს: აბულასან იოზის ძე: 1190—1191.; ასათ II (გრიგოლ II-ის ძე): 1192/3—1195/1200 წ.; გრიგოლ III (ასათ II-ის ძე): 1195/1200—1204 წ.; შალვა თორელი-ახალციხელი: 1204/5 წ.; ოვსე-ყმა (პანკელი): 1205—1212 წ.; ყვარყვარე — ივანე II ჯაყელი-ციხისჯვარელი: 1212—1245 წ.¹⁷

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს სია?

აბულასანი იყო მეჭურჭლეთუხუცესი, მაგრამ არა იმ წლებში, რომელთაც პ. ინგოროყვა მიუთითებს, არამედ 1186—1189 წლებში¹⁸.

ასათ II და გრიგოლ III მეჭურჭლეთუხუცესები საერთოდ არ ყოფილან¹⁹.

შალვა თორელის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

არც ოვსე-ყმა ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი; როგორც ნ. ბერძენიშვილი

¹⁶ გ. ოთხმეხური, დასახ. წიგნი, გვ. 58.

¹⁷ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963, გვ. 578, 580.

¹⁸ შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 127—141.

¹⁹ ნ. შოშიაშვილი, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო ხაზართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი („ცისკარი“, 1965, № 9, გვ. 143—144); ს. კაკაბაძე, დასახ. წიგნი, გვ. 281—287, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 141—143.

და შ. მესხია ფიქრობდნენ, ის იყო თრიალეთის ერისთავი და ამის გამოა და
მოსხენიებული გუნია-ყალის სტელის წარწერაში²⁰.

საგანგებო დაკვირვებასა და მსჯელობას მოითხოვს ყვარყვარე ჩაუყვარე
ციხისჯვარელის მეჭურჭლეთუხუცესობის ქრონოლოგიური საზღვრები, კერ-
ძოდ, მისი დასაწყისი. ფაქტობრივად ყვარყვარეს მეჭურჭლეთუხუცესობა
დადასტურებულია 1221 წლიდან. ჟამთააღმწერლის მატიანეში არის ცნობა,
რომ ამ წელს მონღოლებთან ბრძოლაში მოკლეს მეჭურჭლეთუხუცესის ყვარ-
ყვარეს შვილი ბექა²¹. ცხადია, ეს თარიღი ყვარყვარეს მეჭურჭლეთუხუცესობის
დასაწყისი არ არის. დასაშვებია, რომ მას რამდენიმე წლით ადრე ჰქონდეს მი-
ღებული ეს თანამდებობა. მაგრამ მაინც როდის?

3. ინგოროყვა თავის მოსაზრებას არ ასაბუთებს, ამიტომ მის მიერ ნა-
ჩვენები თარიღი, 1212 წელი მხოლოდ მიახლოებითად შეიძლება ჩაითვალოს.

შ. მესხია უფრო ადრიდან, 1189 წლიდან თვლიდა შესაძლებლად ყვარ-
ყვარეს მეჭურჭლეთუხუცესობას. მას ასე ჰქონდა წარმოდგენილი ყვარყვა-
რეს გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე: 1184—1189 წლებში საქართველოში
სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა და ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძო-
ლის ხანა იყო სამეფო კარზე დაწინაურებისა და სახელმწიფოს მართვა-გამ-
გებლობაში პირველობისათვის. იცვლებოდნენ დიდი თანამდებობის მოხელენი
(ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი...), ამ დროს
(1186 წ.) დაწინაურდა მეჭურჭლეთუხუცესად აბულასანი, რომელიც მანამდე
ქართლის ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ამირთ-ამირა და „შვიდთა მთე-
ულეთთა პატრონი“ იყო, ის იური ბოგოლიუბსკისთან (გიორგი რუსთან) თამარის
ქორწინების ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილა და ამან განაპირობა მისი შემ-
დგომი ბედიც. გიორგი რუსის გაძევებას საქართველოდან თან მოჰყვლია
აბულასანის დაქვეითებაც. „აბულასანმა, როგორც ჩანს, დაკარგა მეჭურჭლეთ-
უხუცესობაც და ქართლის ერისთავთ-ერისთავობაც... აბულასანის კარიერა
დაახლოებით 1188—89 წლისათვის კრახით დასრულდა“²².

ვინ დაინიშნა მეჭურჭლეთუხუცესად აბულასანის მაგიერ? ამაზე იმ დრო-
ის მემატიანეები არაფერს ამბობენ. ისტორიული წყაროების მიხედვით ეს
თანამდებობა „ვაკანტურია“ დაახლოებით 30 წლის მანძილზე — 1189-დან
1221 წლამდე. 1221 წელს კი, როგორც ვიცით, მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს
ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი.

შ. მესხია თვლიდა, რაკი თამარისა და ლაშას ეპოქების ისტორიკოსთა
თხზულებებში აბულასანსა და ივანეს (ყვარყვარეს) შორის სხვა კონკრეტული
პიროვნება არა ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაზირის პოსტზე აბულასანი
შეცვალაო პირდაპირ ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელმა და არა ვინმე
სხვამ. შ. მესხიას აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1188—89 წლებში. მაგრამ
რა დამსახურებისათვის მისცეს ეს თანამდებობა მაინცდამაინც ივანეს, ამაზე
პატივცემული მკვლევარის მსჯელობას თითქოს დასაბუთება აკლია.

ივანეს (ყვარყვარეს) მეჭურჭლეთუხუცესობის დადასტურებას შ. მესხია
ჩედავდა გიორგი რუსის მომხრე ქართველ დიდებულთა აჯანყების დროს
ივანე ციხისჯვარელის მოქმედებაში.

როგორც თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, გიორგი რუ-
სის საქართველოდან განდევნისა და თამარის დავით სოსლანთან ქორწინების
რამდენიმე ხნის შემდეგ ცენტრალური ხელისუფლებით უკმაყოფილო დიდე-

20 შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 59—60.

21 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, თბ., 1959, გვ. 165.

22 შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 136.

ბულებმა სცადეს თამარის გადაყენება მეფობიდან და განდევნა რუსის გამეფება. აჩანდა თითქმის მთელი დასავლეთი და სამხრეთ საქართველო²³. მემათიანე ამბობს, რომ გიორგი რუსს „პირველად მეფობაზე წაიყენეს, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელიც ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა. აქათ ბოცო, სამცხისა სპალარი და სისრულისაცა აღმატებით შეწყალებული, სხვითა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ, თვინიერ ივანე ციხისჯვარელისა, რომელსა ყუარყუარეა ეწოდების. ესე გამაგრდა თვისით მოკიდულითურთ, ვითარ გუარეულადცა მომგონებელი სულაჲსა ერთგულობისაჲ, რომელმან ბაღუაშსა ზედა ერთგულა ბაგრატსა“²⁴.

შ. მესხია მემათიანის ცნობას ასეთ კომენტარს ურთავს: „გიორგის (რუსის) განდევნამ და აბულასანის კარიერის კრახმა ყვარყვარე ჯაყელს სამეფო კარზე მეჭურჭლეთუხუცესობა მოუპოვა. აჩანებულთა გამარჯვება კი ამის დაკარგვას მოასწავებდა და არცაა გასაკვირი, თუ ახლად შეწყალებული ყვარყვარე ჯაყელი ასე თავდადებით იბრძოლებდა აჩანებულთა წინააღმდეგ“²⁵.

საიდან ვიცით, რომ ყვარყვარე ჯაყელი (ციხისჯვარელი) „ახლად შეწყალებული“ და მეჭურჭლეთუხუცესის „კელის“ მფლობელი იყო? შ. მესხიას აზრით, ამის მაჩვენებელია ის, რომ დიდებულთა აჩანებების დროს ყვარყვარე სამეფო კარის ერთგული დარჩა. მკვლევარს სხვა პირდაპირი და დამაჯერებელი არგუმენტი არ მოუყვანია და ასეთი, ალბათ, არც არსებობს. „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილი ადგილი კი აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა.

ვინ იყო ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი? ქართველ დიდებულთა აჩანებების მომენტამდე არც ერთ ისტორიკოსთან მისი ხსენება არ გვხვდება. აღნიშნულ ეპიზოდში კი რამდენიმე ისეთი ფაქტია წარმოჩენილი, რომელთა ნიხედვით შეიძლება გარკვეული აზრი ვიქონიოთ მასზე.

ჯერ ერთი, მისი გვარწოდება ციხისჯვარელი მიგვიითხებს მის სოციალურ მდგომარეობაზე, — რომ ის ფეოდალია, ციხისჯვარის მამულად მფლობელი. ზაგრამ მას პირადი დამსახურებით, უშუალოდ მეფისაგან არ მიუღია ეს მამული. მან ის საკუთარი მამა-პაპისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ივანე შთამომავალი ყოფილა დიდი აზნაურის სულა კალმახელისა, ვინც XI ს-ის 50-იან წლებში მეფე ბაგრატ IV-ს დაეხმარა ლიპარიტ ბაღვაშის დამარცხებაში. ამ დამსახურის სანაცვლოდ სულამ მეფისაგან მიიღო მამულად ციხისჯვარი²⁶, მისმა შთამომავლებმა კი ამ ადგილის მფლობელობის გამო ახალი გვარწოდება „ციხისჯვარელი“ დაიმკვიდრეს.

მემათიანე იმასაც აღნიშნავს, რომ ივანემ იცის, თუ რა გზითა აქვთ მის წინაპრებს მოპოვებული მამული და სოციალური წარჩინება, რომ ის არის „გუარეულადცა მომგონებელი სულაჲსა ერთგულობისაჲ“ (მეფისადმი) და თვითონაც მისდევს იმ პოლიტიკურ გეზს, რომელიც მისმა დიდმა წინაპარმა აირჩია.

არსებულ სიტუაციაში ივანე ციხისჯვარელს, იმის მიუხედავად, ჰქონდა იგი არა მას რაიმე ოფიციალური თანამდებობა, მაინც მართებდა სამეფო

²³ ამ აჩანებების თარიღად მიჩნეული იყო 1191 წელი. ახალი მასალებით ირკვევა, რომ ეს 1189 წელს უნდა მომხდარიყო, (იხ. П. Мурадян, К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XII в. „ზანბერ მატენადარანი“, ტ. 9, ერევანი, 1969, გვ. 130—133; გ. ოთხმეზური, დასახ. წიგნი, გვ. 22—23.

²⁴ ქართლის ცხ., II, გვ. 49.

²⁵ შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 147.

²⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 26.



სახლისადმი ერთგულების გამოჩენა. მემატიანეც ამას ამბობს, რომ ივანე ესე
 ჰოიქცა, როგორც შეფეროდა მეფის ერთგულ აზნაურს. თუმცა მისი თხო-
 ბიდან გარკვევით არა ჩანს, ივანემ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო თუ
 მოსალოდნელია, რომ ის „თვისით მოკიდულთურთ“ შეუერთდებოდა მეფის
 ერთგულ ლაშქარს, როდესაც ეს უკანასკნელი სამცხე-ჯავახეთში ებრძოდა
 შუამბოხებებს.

მაშასადამე, ციხისჯვარელთა ფეოდალური სახლი გაერთიანებული საქარ-
 თველოს მეფეთა ერთგული იყო და ასეთად დარჩა ივანეც (იგივე ყვარყვარ-
 რე). მისი მოქმედების სხვა მოტივირება (აღნიშნულის გარდა) „ისტორიათა
 და აზმათა“ ტექსტში არ არის. კერძოდ, ამ ტექსტიდან არ გამომდინარეობს
 აზრი, თითქოს ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილიყოს და ამიტომ გა-
 მოეჩინოს თამარისადმი ქანსაკუთრებული ერთგულება. ზემოთ მოყვანილ
 ტექსტში არაფერი მიგვანიშნებს სამეფო კართან ყვარყვარეს განსაკუთრებულ
 სიახლოვეზე ან ოფიციალურ ვალდებულებაზე. ის დასახელებულია **ყოველ-
 გვარი თანამდებობის გარეშე**, როგორც ერთ-ერთი რიგითი მემამულე, ვინც
 წესით, უნდა დამორჩილებოდა (ან მიმხრობოდა სამცხის სპასალარს, მაგრამ
 ეს არ გააკეთა; ამ არეულობის დროს თავის ციხე-სიმაგრეში დადგა და „გა-
 მაგრდა თვისით მოკიდულთურთ“, რათა მონაწილეობა არ მიეღო კანონიერი
 ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ ავანტიურაში.

თამარის სხვა მემატიანე უფრო გვიანდელ მოვლენებზე მსჯელობისას
 ჩამოთვლის საქართველოს საზღვრისპირა მხარეებს, „სანაპირო ქვეყნებს“ და
 შათ შორის ასახელებს არტაანს, „სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შო-
 რის იყო **ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი**, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯვე-
 ბული და ერთგული მეფეთა“²⁷.

ეს ჩამოთვლია მოსდევს თხრობას შამქორის ომში (1195 წ.) ქართველთა
 ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ; ესე იგი 1190-იან წლებში ყვარ-
 ყვარე სამცხის სპასალარი ყოფილა. დიდებულთა აჯანყების დროს კი ეს თა-
 ნამდებობა ჰქონდა ბოცო ჯაყელს. შესაძლოა, რომ ყვარყვარე სპასალარი
 გახდა სწორედ 1189 წლის ამბების შემდეგ. მემამოხე ბოცო ჯაყელის მაგიერ
 ამ დროს უნდა დაენიშნათ ერთგული აზნაური ყვარყვარე (ივანე) ციხის-
 ჯვარელი და ეს იქნებოდა ყველაზე დიდი თანამდებობა, რაც იმჟამად მას
 ჰქონდა.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყვარყვარე ციხისჯვარელის საზო-
 ვადობრივი მოღვაწეობა XIII საუკუნის შუა წლებამდე გრძელდება. მას
 ზოლომდე შეუწარჩუნებია სამცხის სპასალარობა და ახალი საკელოც მიუ-
 ღია — მეჭურჭლეთუხუცესობა (ამ თანამდებობაზე ცნობილია 1221 წლიდან).
 მონღოლების ბატონობის ხანაში ეპითაღმწერელი მას ასე მოიხსენიებს:
 „...მატიცითა იყო მეჭურჭლეთუხუცესი და მთავარი ქუეყანასა სამცხისასა“²⁸.
 1243 წელს დასავლეთ საქართველოდან გადმოსულ მეფე რუსუდანსა და მის
 ძეს დავითს სხვა დიდებულებთან ერთად მიეგება „სამცხის სპასალარი და
 მეჭურჭლეთუხუცესი ყუარყუარე ციხისჯვარელი“²⁹.

მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, ე. წ. უმეფობის ხანაში (1245—
 46 წწ.) ყვარყვარე ციხისჯვარელის მეთაურობით მესხთა ლაშქარმა დაამარცხა
 თურქმანთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც ტაოს აოხრებდა³⁰. როგორც
 ჩანს, ამ დროს ყვარყვარე კვლავ მხნე მებრძოლი ყოფილა. რამდენი წლისა

27 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129.
 28 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 191.
 29 იქვე, გვ. 195.
 30 იქვე, გვ. 213—214.

იქნებოდა მაშინ ის? ძალიან ბევრი, ამ დროს 70—75 წლისა რომ ყოფილიყო, 1189 წელს ყვარყვარე 20 წლისა თუ იქნებოდა, მეტის არა, და ვერცხვარე ვერ სახელმოუხვეჭელიც იყო გარეშე მტერთან ბრძოლასა თუ სხვა საზოგადო საქმეში. ალბათ ამით აიხსნება, რომ მის სახელს 1189 წლის ამბებთან ხსენებისას არ ახლავს არც ერთი ეპითეტი, რაც უნდა ჰქონდეს „მხნე“, „შემამართებელ“, „ერთგულ“, „დიდად ნამსახურ“ და „მეფეთა მიერ შეწყალებულ“ ბოხელს.

ასეთი ჩვეულებრივი, რიგითი პიროვნება მალაღ თანამდებობას, მით უმეტეს ვაზირობას, მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „კელი“ მას შემეკვიდრებოდა ეკუთვნოდა. ყვარყვარე ციხისკვარელის მიმართ ეს პირობაც გამოირიცხულია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დასკვნა ასეთი იქნება: 1190-იან წლებში ივანე (ყვარყვარე) ციხისკვარელი მეჭურჭლეთუხუცესი ვერ იქნებოდა. ის ამ დროს იყო მხოლოდ სამცხის სპასალარი. უფრო გვიან ის მართლაც გახდა მეჭურჭლეთუხუცესი, მაგრამ რომელი წლიდან, — ამის დადგენა მხოლოდ მიახლოებით, სავარაუდოდ შეიძლება.

ვინ იყო ამ დროს საქართველოს მეფის მეჭურჭლეთუხუცესი? ისტორიული წყაროებით მეჭურჭლეთუხუცესად ცნობილ პირთა შორის შოთა რუსთველი ერთადერთია, ვინაც 1190-იან წლებში ამ „კელის“ მფლობელად შეიძლება წარმოვიდგინოთ. აბულასანი შოთამ შეცვალა ალბათ 1189 წელს. სხვა რეალური კანდიდატურა, შოთას გარდა, ამ დროისათვის არა ჩანს.

აქ წარმოდგენილ მსჯელობას მკითხველი თუ სარწმუნოდ მიიჩნევს, მას აუცილებლად გაუჩნდება ასეთი კითხვა: როდემდის უნდა ყოფილიყო შოთა ვაზირის „კელის“ მფლობელი?

ჩვენ დრომდე არ მოუღწევია რაიმე თარიღიან ცნობას შოთა რუსთველის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ან მისი გარდაცვალების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემდა მიახლოებით მაინც განგვესაზღვრა შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის დასასრული. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ზოგადი ვარაუდით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

XII—XIII საუკუნეთა მიჯნის საქართველოს სოციალური ურთიერთობისა და პოლიტიკური ატმოსფეროს წარმოსადგენად უნდა აღინიშნოს, რომ 1189 წელს დიდგვაროვან ფეოდალთა ოპოზიციის დამარცხების შემდეგ ქვეყნის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილური გახდა. მნიშვნელოვანი სამოხელეო თანამდებობანი მტკიცედ ეპყრათ მეფის ერთგულ ფეოდალურ სახლებს. ვაზირები, სხვადასხვა უწყებათა მეთაურები (უხუცესები) და ცალკეულ მხარეთა გამგებლები (ერისთავები) ღრმა მოხუცებულობამდე ან გარდაცვალებამდე ინარჩუნებდნენ თანამდებობებს.

შოთას ჩამომავლობის სავარაუდო ვერსიათა შორის ამჟამად სარწმუნოდ დასაბუთებულია მხოლოდ ერთი თვალსაზრისი, — რომ შოთა რუსთველი თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო³¹. ეს გვარი განსაკუთრებით გაძლიერდა და დაწინაურდა XII ს-ის მეორე ნახევარში და ღირსეულად მონაწილეობდა თამარისა და ლაშა გიორგისდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

31 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი, კრებ., „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 7—74; ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი, ბიოგრაფიული ესკიზი, „მნათობი“, 1966, № 2; რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1987, გვ. 3—28.



ამ მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ: შოთა რუსთველი ვაზირის თანამდებობას შეინარჩუნებდა თამარის მეფობის დასასრულამდე; თამარის სიცოცხლეში მას ვერავინ შეეცილებოდა და ვერავინ წააფრქვევდა მეჭურჭლეთუხუცესის „ველს“.

ისტორიკოსები თამარ მეფის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს ასახელებენ: 1213³², 1210³³ ან 1207 წელს³⁴. თამარის შემდეგ საქართველოს უზენაესი მმართველი გახდა მისი 18 წლის ვაჟი გიორგი, ლაშაღ წოდებული. რა მოხდა შემდეგ? როგორ წარიმართა შოთას საზოგადოებრივი საქმიანობა ლაშა გიორგის მეფობაში?

გიორგი იყო ნებიერად და უदारდელად გაზრდილი ქაბუჯი თავისუფალ და ძლიერ სახელმწიფოში. მემატინის სიტყვით: „იყო ესე ლაშა-გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავკედი, თვითბუნება“³⁵.

ლაშა-გიორგი ცდილობდა, უფრო ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყო დიდებულთა სათათბიროსაგან (დარბაზისაგან), ვიდრე დედამისი თამარი იყო, რათა სახელმწიფო საქმიანობაში თავისუფალი მოქმედების მეტი საშუალება ჰქონოდა. მეფის ასეთი მისწრაფება აუცილებლად შექმნიდა იდეურ დაპირისპირებას მეფესა და სასახლის მალალ მოხელეთა შორის³⁶.

ამას დაემატა ლაშა-გიორგის დიდი მისწრაფება პირადი სიამოვნებისა, ღზინისა და გართობისადმი. როგორც მემატინე წერს, ის იყო „სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ-მოყუარე... და შექცეულ იყო სმასა და ჭამასა“.

ერთხელ კახეთში, სოფელ ველისციხეში ყოფნის დროს ერთი გათხოვილი ქალი მოეწონა. სასახლეში წაიყვანა და „შეიყუარა ფრიად“. ქართველი დიდებულები და ეკლესიის მესვეურნი აღაშფოთა მეფის თამამმა საქციელმა. მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, ლაშა-გიორგის არ უნდოდა იმ „უგვარო“ ქალის გაშვება და კანონიერი ქორწინებით დედოფლობის ღირსი მეუღლის შერთვა. ამისთვის შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი და მოაჯსნებდეს: „არა ჯერ არს, რათა მკვევლი გესუას და არა ცოლი“... ხოლო მეფესა არა ენება, არცა უსმინა“. კარისკაცებმა შინც წაიყვანეს ქალი და კანონიერ ქმარს დაუბრუნეს. მაგრამ „თვითბუნება“ მეფე არც ამის შემდეგ „გამოსწორებულა“.

საქმე აშკარა კონფლიქტამდე მივიდა. უმაღლესმა სამღვდელო პირებმა და „თავადთა ამის სამეფოსათა... არლარა ინებეს მის თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნენ და თვის-თვისად იყოფოდეს“.

ზოგიც ლაშამ თვითონ მოიცილა: „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარნა თანამოჰსასაკენი მოსმურობათა და დედათა უწყნოსთა თანა აღრევითა“³⁷.

როგორც არ უნდა ტენდენციური და მკაცრი იყოს მემატინე ლაშა გიორგის დახასიათებისას, ერთი რამ ცხადია: საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი შექმნილა. ლაშა გიორგი მცირე აზნაურებზე დაყრდნობით ესწრაფვოდა დიდებულთაგან დამოუკიდებ-

32 ი. ჭავჭავაძის შვილი, თხზულებანი, II, თბ., 1983, გვ. 383.

33 თ. ნატროშვილი, გ. ჭავჭავაძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, „მაცნე“, ელს, 1974, № I, გვ. 154—165.

34 ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1927, გვ. XVIII—XIX; ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ აღ-ასიის ცნობათა შექმნე, კრებ., „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 124—129; გ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, „ციცქარი“, 1976, № 1, გვ. 118—125.

35 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 156.

36 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 345—348.

37 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155—157.

ლობის მიღწევას. უფროსი თაობის ფეოდალური არისტოკრატია ჯი მათ ხელში არსებული ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა და ამისთვის დამარის დროინდელი წესრიგისა და ზნეობის დამცველის როლს კისრულობდა.

ძნელია გადაჭრით თქმა, შოთა რუსთველი ახალგაზრდა მეფეს ემხრობოდა თუ ძველ თაობას, მაგრამ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დიდებულთა შორის, ვინც ლაშა-გიორგის სამეფო კარს თავისი ნებით თუ იძულებით ჩამოსცილდა, შოთა რუსთველიც იქნებოდა. თამარის სასახლეში უმაღლეს წესრიგსა და არისტოკრატულ სიღარბაისლეს შეჩვეული შოთა ვერ შეეგუებოდა სამეფო კარის ზნეობრივი პრინციპების შეცვლას და მის შედეგად შექმნილ ახალ ატმოსფეროს, — როდესაც, მემატთანეს თქმით: „იშუებდეს და უწესოებდ მიდრკეს სიძვათა შინა და მთრვალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა-ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“³⁸.

ამრიგად, უნდა ჩაეთვალოთ, რომ ლაშა-გიორგის გამეფებას მაშინვე თუ არა, 2—3 წელიწადში მაინც მოჰყვებოდა შოთას გადადგომა ვაზირის თანამდებობიდან.

რაკი ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, რუსთველის მექუტუკლეთუხუცესობის დასასრულად პირობითად შეიძლება მივიღოთ თამარის გარდაცვალებისა და ლაშა გიორგის გამეფების ხანა — 1210-იანი წლები.

ასე გამოდის, რომ შოთა რუსთველი მექუტუკლეთუხუცესად ყოფილა დაახლოებით ორი ათეული წლის მანძილზე, 1189-დან 1210-იან წლებამდე, ხოლო მის შემდეგ ეს თანამდებობა მიუღია სამცხის სპასალარს ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელს.

Г. Х. АРАБУЛИ

О ДАТЕ ПРЕБЫВАНИЯ ШОТА РУСТАВЕЛИ В ДОЛЖНОСТИ «МЕЧУРЧЛЕТУХУЦЕСИ» (МИНИСТРА ФИНАНСОВ)

Резюме

Посредством анализа исторических сведений сделан вывод, что выдающийся грузинский поэт Шота Руставели был министром финансов («мечурчлетухуцеси») при дворе грузинских царей с 1189 года до 10-ых годов XIII века.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, «ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ზარამიძემ

ვანო იმერლენვილი

ქართველები და უნგრეთის რევოლუცია — შანდორ პეტეფი
და ლაიოშ კოშუტი

საქართველოში მუდამ თანაგრძობით ეკიდებოდნენ უნგრელი ხალხის სამართლიან გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭეს ჩვენში ავსტრიელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ 1848—49 წლებში აჯანყებულ უნგრელთა სახალხო გმირებმა ლაიოშ კოშუტმა (1802—1894) და შანდორ პეტეფიმ (1823—1849). რუსეთის არმიას ამ დროს მყოფმა ქართველთა ოფიცერმა ალექსანდრე ბუჩქიაშვილმა „აჯანყების მეთაური ლაიოშ კოშუტი წვეთი სისხლის დაუღვრელად არა მარტო ტყვეობიდან, არამედ სიკვდილისაგანაც იხსნა“¹. ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში (საგურამოში) ლაიოშ კოშუტის სურათს ამშვენებს ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლის ამაღლევებული წარწერა: „არასოდეს ჰეშმარიტებას ამ ქვეყნად ასე მძლავრად არ დაუჭუხია“, ხოლო აკაკი წერეთელი ხმამაღლა ამბობდა: „კოშუტი ყოველი შეგნებული ქართველი პატრიოტის იდეალია“.

შანდორ პეტეფის შემოქმედებასთან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომელთაც ბედმა არგუნათ ყოფილიყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი მემკვიდრენი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში და თავიანთი მხრებით ეზიდათ საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე ტვირთი.

დიდი უნგრელი პოეტის მსგავსად ილია და აკაკი ლიტერატურას თვით-მისწინადაც არ თვლიდნენ, არამედ დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებდნენ. მათ მიიჩნდათ, რომ პოეტის ცეცხლი არის ერის წინამძღოლის ცეცხლი, ერის მოძმისა და შემწის ცეცხლი. დიდი ილია ამბობდა:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.

ლექსში „XIX საუკუნის პოეტებს“ შანდორ პეტეფი ანალოგიურ აზრს ავითარებს:

არა უბრალო გართობისათვის
შთაგონებული სიმღერა მინდა.
როცა ქნარს იღებ ხელში, პოეტო,
მოვალეობა გახსოვდეს წმინდა!

როცა 1848 წლის რევოლუციის მონაწილეებმა ბუდაპეშტში სტამბა იკადეს ხელთ, პირველი, რაც მათ გააკეთეს, შანდორ პეტეფის „ეროვნული სიმღერის“ დაბეჭდვა და პროკლამაციებად გავრცელება იყო. ამ ლექსში პოეტი მშობელ ქვეყანას მოუწოდებს:

აღსდექ, უნგრეთო,
აღსდექ, გახსოვდეს,
დადგა დრო,
ახლა, ან არასოდეს!

¹ ბ. მახარაშვილი-დადიანი, „წარსულის ფურცლებიდან“, „ცისკარი“, 1976 წ. № 8.

შენიშნულია, რომ შანდორ პეტეფის შესანიშნავი ლექსი „ყანჩა“, რომელიც მსოფლიო ლირიკის შედევრებს მიეკუთვნება, გამოხატავს ბარათაშვილის მერნისებურ სწრაფვას უსაზღვროებისაკენ, ადამიანის ლტოლნისკენ, სიბნელისა და სინათლისაკენ. ეს ლექსი ზოგადად ადამიანურ პრობლემებს აყენებს და ამავე დროს უაღრესად უნგრული, ეროვნულია. იგი არა მხოლოდ უნგრეთის ლანდშაფტის თავისებურ სილამაზეს გადმოგვცემს, არამედ იმ განწყობილებითაც გვმსჯელებს, რომლებიც უნგრელი ხალხის წიაღიდან, მადიარების შესანიშნავი ფოლკლორიდან მომდინარეობს.

უკვე „ყანჩაში“ გამოიკვეთა შანდორ პეტეფის პოეზიის ის რკალი, რომელიც ბარათაშვილის „მერანს“ ენათესავება. მაგრამ ეს მსგავსება კიდევ უფრო დიდია შანდორ პეტეფის ერთ-ერთ შედევრში, რომელსაც დედანში „ჩემი პეგასი“ ჰქვია, გრივალ აბაშიძეს კი „მერანის“ სახელწოდებით უთარგმნია.

შანდორ პეტეფი არაერთგზის მიუთითებდა, რომ თვითგმაცოფილება, დამყაყებულობა, გაუნძრევლობა, მშვიდი, უშფოთველი ძილი დამღუპველია ერისათვის.

მშობლიური ქვეყნისა და სათაყვანებელი მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული შანდორ პეტეფის უფლებას აძლევდა იუმორისა და ზოგჯერ კი სატირის მწარე ენით გაეკიცხა თანამედროვეობის მანკიერებანი.

სწორედ ამასვე უკეთინებდა ილია ჭავჭავაძე ქართველ ხალხს ლექსში „ბედნიერი ერი“, რომელიც არა მარტო აზრობრივად, არამედ პოეტური რიტმითაც ძალიან ჩამოჰკავს უნგრელი მგოსნის ნაწარმოებს.

იგივე განწყობილებაა ასახული ი. ჭავჭავაძის მეორე ლექსში „რა ვაქეთოთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“.

ბუნებრივი ნიჭით მამხილებელნი — შანდორ პეტეფი და ილია ჭავჭავაძე თავიანთ სატირაში როდი არიან უიმედონი და გამოსავლის პოვნის რწმენას მოკლებულნი... ისინი ზედავენ, თუ რა დაჩაგრული და გამოთაყვანებული არიან ადამიანები, ამიტომ რისხვად ევლინებიან მათ იმისათვის, რომ უნარი არ შესწევთ წინაღუდგენ ამ ტანჯვასა და გაოგნებას. მაგრამ ამავე დროს პეტეფი, ილიას მსგავსად, თანაუგრძნობს ადამიანებს და სჯერა, რომ მათ შეუძლიათ, უნდა იყვნენ, იქნებიან სხვაგვარნი. მას სწამს თავისი სამშობლოს მომავალი ისევე, როგორც ილიას, რომელიც ამბობდა:

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია!...
აწმყო თუ არა გეწყალობს,
მომავალი ჩენია...

და დღეს ჩვენ ვემადლიერებით მათ ამ რწმენისათვის, ვემადლიერებით და გვესმის, რომ სწორედ ამ რწმენით არის ნაკარნახევი ორივე პოეტის სიპართლის ყველაზე მწარე სტირიქონები იმდროინდელ ცხოვრებაზე.

დიდი უნგრელი და ქართველი მგოსნების არსების სიძლიერისა და სივსებით განსაკუთრებული მიმზიდველობის წყაროდ ეს რწმენა გვესახება.

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ 1899 წლის 21 აგვისტოს ნომერში რუბრიკით „უცხოთა შორის“ დაიბეჭდა ცნობილი ყურნალისტიკისა და სტილისტიკის ილია აგლაძის ვრცელი წერილი „პეტეფი — უნგრელთა დიდებული პოეტი“. სტილისტიკის ავტორი განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას შანდორ პეტეფის პოეზიის თავისუფლებისმოყვარე, ამაყ სულზე, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ დაუოკებელ სწრაფვაზე, პატრიოტიზმსა და თავდადებაზე, რომელიც ლიტერატურის სფეროში აერთიანებს საუკეთესო ქართულ და უნგრულ რევოლუციურ ტრადიციებს. შანდორ პეტეფის



არსად არ ჰქონია ასეთი დიდი აღიარება იმ პერიოდში, მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უდავოა, პეტეფის პიროვნება მახლობელი იყო კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ილია აგლაძისათვის: „პეტეფი უპეტეტესი უნგრელი პოეტია, მსოფლიო სახელით. მას მსოფლიო ლიტერატურაში სამართლიანად უკავია საპატიო ადგილი. ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველს დაინტერესებს მისი ცხოვრება და შემოქმედება პეტეფის მთელი ცხოვრება შეიძლება სამი სიტყვით დავახასიათოთ: გაჭირვება, საშობლოს სიყვარული და მისთვის სიკვდილი. პეტეფის ლექსებში მკითხველი შეხვდება: ღარიბი გლეხობის ცხოვრების ამალეღვებულ სურათებს, თავისუფლების პიმნს, საშობლოსადმი სიყვარულს. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს უნგრეთი პოლიტიკურად ჩაგრული ქვეყანა იყო. აი, ეს მდგომარეობა მოქმედებდა მის გულზე ყველაზე უფრო... მან თავის ლექსებში დახატა თავისი ხალხის სული, იდეალები, ფიქრები, გულისტკივილი. ამიტომ გახდა ის უნგრეთის სახალხო პოეტი“.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ აგლაძეს თავისუფლად არ შეეძლო წერა და გასაგებებია, რა წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდებოდა მას მეფის თვითმპყრობელობის ცენზურასთან ბრძოლაში.


საქართველოს შვილი, რუს დეკაბრისტთა ტრადიციებზე აღზრდილ არტილერიის ოფიცერს, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ბორისის ძე ბუჩქიაშვილს (1825—1902) წილად ხვდა — დახმარებოდა უნგრეთის რევოლუციის ბელადს, რევოლუციურ არმიას, უნგრელი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაეწერა.

როგორც ცნობილია, 1848 წელს რევოლუციის ხანძარმა მთელი ევროპა მოიცვა — პარიზიდან ბუდაპეშტამდე, ბერლინიდან პალერმომდე. რევოლუციის წინა პერიოდში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დაიწყო სახალხო მღელვარება. ირყეოდა ტახტები. ინგლისში გაცხოველდა ჩარტისტული მოძრაობა, გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში გახშირდა სტიქიური გამოსვლები. დღევანდელი პარიზის ქუჩები. რევოლუცია მეფე ლუი-ფილიპეს (1773—1850) გადადგომამაც ვერ შეაჩერა. აჯანყებულებმა ტიუილის სასახლე აიღეს, მეფის ტახტი ქუჩაში გამოიტანეს და ბასტილიის მოედანზე კოცონზე დაწვეს. საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა.

ნიკოლოზ I-მა მოლაპარაკება დაიწყო ავსტრიისა და პრუსიის მთავრობებთან. მათ საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო გამოსვლა შესთავაზა, მაგრამ მისი გეგმები ჩაიშალა. ავსტრიაში, პრუსიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში მომხდარმა რევოლუციებმა შეცვალეს საერთაშორისო მდგომარეობა.

რევოლუციის ტალღა რუსეთს უახლოვდებოდა. რევოლუციამ უნგრეთშიც იფეთქა. ავსტრიის იმპერიასა და მთელ ცენტრალურ ევროპაში უნგრეთი გახდა რევოლუციის მთავარი კერა. ავსტრიის ჯარები შეიჭრა უნგრეთში. უნგრელი ხალხი აღსდგა ავსტრიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მტრის მიერ დაპყრობილ რაიონებში იქმნებოდა გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ უნგრეთის რევოლუციურ არმიას.

ევროპაში ტახტის მსხვერვეთ შეშფოთებულმა ნიკოლოზ I-მა (1796—1855) გადაწყვიტა რევოლუციის ტალღა შეეჩერებინა და ჯარი დასძრა დასავლეთ საზღვრებისაკენ. არმიის მე-5 კორპუსმა რომელშიც მე-15 საარტილერიო ბრიგადა შედიოდა, დუნაის სათავადოები დაიკავა. ალ. ბუჩქიაშვილის ბატარეა ვალახეთში, ქ. პლოეშტში დაბანაკდა. ისტორიკოსი ვ. პოტო დაწვრილებით აღწერს ამ პერიოდის ამბებსა და ბუჩქიაშვილის საარტილერიო ბრიგადის მოძრაობას.



ავსტრიელები ზედიზედ მარცხდებოდნენ. უნგრელების მიერ დაპყრობილმა გენერალ პუხნერის კორპუსმა ვლახეთს შეაფარა თავი. ავსტრიის უკანდახეულმა ჯარებმა მოიტანეს ექვსი ზარბაზანი და რუსეთის ჯარს წაუძაბნენ. ზარბაზნების მისაღებად მე-6 ბატარეის მეთაური ალ. ბუჩქიაშვილი გაგზავნეს. მას ბატარეა უნდა ჩამოეყალიბებინა. რადგან ავსტრიის ზარბაზნებს მომსახურე პერსონალი არ ახლდა, ბუჩქიაშვილთან პრადის ფეხოსანთა ლეგიონის რაზმი მიავლინეს. ბუჩქიაშვილს მათთვის საარტილერიო საქმე უნდა ესწავლებინა, ახალჩამოყალიბებული ბატარეით ტრანსილვანიის გზის მახლობლად მდებარე სინაის მონასტერი გაემარგებინა და რევოლუციონერთა ცალკეული ნაწილებისათვის მთის გადასასვლელები ჩაექცა. ბატარეისა და სინაის მონასტრის დასაცავად ფეხოსანთა მთელი ათასეული მოვიდა.

მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. 1849 წლის 14 აპრილს ქ. დებრეცენის ეროვნულმა კრებამ უნგრეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უნგრეთის მმართველად აირჩიეს რევოლუციის ბელადი ლაიოშ კოშუტი. რევოლუციური ჯარები ავსტრიის საზღვარს უახლოვდებოდნენ. 2 მაისს რევოლუციურმა რაზმებმა აიღეს ბუდას სიმაგრე.

ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა დახმარებისათვის მეფის რუსეთს მიმართა. 21 მაისს „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ 18 წლის მონარქის ფრანც-იოსების თხოვნით რუსეთის იმპერატორმა ბრძანა უნგრეთისკენ დაძრულიყვნენ ჯარები რევოლუციონერთა გასანადგურებლად, რომლებიც რუსეთის საზღვრების სიშვედესაც ემუქრებოდნენ.

რუსული საზოგადოების მოწინავე წრეები მკაცრად აკრიტიკებდნენ ცარიზმის გამოსვლას რევოლუციური უნგრეთის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკი 1849 წელს თავის დღიურში თავის თავს „უნგრეთის მეგობარს“ უწოდებს და გამოთქვამს იმედს, რომ მეფის ჯარი დაიპარცდება, რაც ბიძგს მისცემს აჯანყებულ რუსეთში მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

1849 წლის მაისში ფელდმარშალ პასკევიჩის მეთაურობით რუსეთის 100 000-იანმა არმიამ გადალახა კარპატები და უნგრეთში შეიჭრა. მეორე 40 000-იანი არმია კი ტრანსილვანიაში უნდა შესულიყო. ცალკეულ რაზმებად დანაწილებული რევოლუციური არმია ალყაში ექცეოდა. თუ რაზმები შეერთებას ვერ მოასწრებდნენ, უნგრეთის რევოლუციურ არმიას აშკარა განადგურება ემუქრებოდა.

ტრანსილვანიაში მიმავალ რუსეთის ჯარს უნდა გაველო სინაის მონასტერთან, სადაც ბუჩქიაშვილის ბატარეა იდგა.

სინაის მონასტერი მართლმადიდებლური იყო, მაგრამ ლოცვა რუსები-სათვის გაუგებარ ვალახურ ენაზე ტარდებოდა. ამიტომ ჯარისკაცები იშვიათად ესწრებოდნენ წირვას და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ სამშობლოს მოწყვეტილნი წირვა-ლოცვასაც მოკლებულნი იყვნენ.

ბუჩქიაშვილმა გადაწყვიტა სლავერ ენაზე მოეწყო წირვა. მან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა სამშობლოდან გადახვეწილი რუსი ჯარისკაცისათვის წირვა-ლოცვა.

ბუჩქიაშვილი კარგად ფლობდა ადგილობრივ კილოყავეს, რაც, პოტოს მოწმობით, ბესარაბიაში სამსახურის დროს შეესწავლა. მისთვის ძნელი არ იყო რუსულ ენაზე ვალახური ტრანსკრიფციით ლიტურგიის დაწერა. მან მოიწვია ერთი მღვდელ-მონაზონი, რომელიც დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დათანხმდა ზეპირად ესწავლა დაწერილი ლიტურგია და ეწირა მისთვის უცხო რუსულ ენაზე. მენტორობა თავს იღო ბუჩქიაშვილმა. ვაკვეთილები ყოველ დილა-სალამოს ტარდებოდა, მაგრამ, ვ. პოტოს (1836—1911) ცნობით, კინალამ სულ ჩაიშალა ეს წამოწყება. ბერებს რატომღაც მოეჩვენათ, რომ ვა-

ლახურ ტაძარში უცხო ენაზე წირვა შებლაღავდა ლოცვის წმინდა აზრს. შეუ-
რაცყოფდა მათ ქრისტიანულ გრძობებს. მღვდელ-მონაზონმა შეწყვიტა
ვაკვეთილებზე დასწრება. დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა ბუჩქიაშვილის, რა-
თა ბერები დაეთანხმებინა და განეახლებინა გაკვეთილები.



ამასობაში დუნაის სათავადოებიდან ტრანსილვანიაში მიმავალი გენერალ
ლიდერსის კორპუსი მიაღმა სინაის მონასტერს. იღუმენი სრულ შესამოსელში,
ჯვრით ხელში შეეგება გენერალ ლიდერსს და გალობით — „უფალო, შეიწყა-
ლე შენი მოსავი“ შეუძღვა ტაძარში, სადაც მღვდელ-მონაზვნები შეუდგნენ
წირვის აღსრულებას. ვალახეთის ძველი ტაძრის თაღებქვეშ პირველად გაისმა
რუსული გალობა. ჯარისკაცებმა უნებურად მუხლი მოიდრიკეს.

წირვის დამთავრების შემდეგ ბუჩქიაშვილმა გენერალი ლიდერსი და მთე-
ლი შტაბი სადილად მიიწვია. ხაზინადარმა ბუჩქიაშვილს მონასტრის მარანი-
დან ძველი, ძვირფასი ღვინოები გადასცა.

ჯარი დაბანაკდა. მონასტრის კედლებთან თავი მოიყარა მთავარმა ძალებ-
მა. მხოლოდ მეორე დღეს დაადგა ტრანსილვანიის გზას ძლიერი ავანგარდი.

ახლა გადავხედოთ ბუჩქიაშვილის ქალიშვილის ანა ალექსანდრეს ასულის,
ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელის (ნიკო ბურის) მეუღლის მოგონების ფურცლებს:
„სწორედ ბერმონაზონთან მეცადინეობის დროს მიიწვია მონასტრის წინა-
მძღვარმა ბუჩქიაშვილი თავისთან ყვაზე. — ეკითხულობთ მოგონებამი. —
აქ იგი წარუდგინეს ბერის ტანსაცმელში გადაცმულ ლაიოშ კოშუტს“.

ლაიოშ კოშუტმა პორუჩიკ ბუჩქიაშვილს აუხსნა ალყაში მოხვედრილი
უნგრელების მძიმე მდგომარეობა: ერთი მხრივ, მათ ავიწროებდნენ პასკევიჩი
და აესტრიელები, რომელთაც მიემხრო მოლაღატე იელაჩიჩი (1801—1859)
30 000-იანი არმიით, მეორე მხრივ — დუნაის სათავადოებში დაბანაკებული
გრაფი ალ. ნიკოლოზის ძე ლიდერსის (1790—1874) მხედრობა, რომელიც
მცირე ვალახეთიდან უნდა შემოსულიყო ტრანსილვანიაში. მდგომარეობა მძიმე
იყო და განადგურებით ემუქრებოდა რევოლუციური უნგრეთის ჯარებს. რე-
ვოლუციის გადასარჩენად საჭირო იყო ტრანსილვანიისაკენ მიმავალი ჯარების
შეჩერება თუნდაც რამდენიმე საათით, რათა დანაწილებული რევოლუციური
არმია შეერთებულიყო. ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა ლაიოშ კოშუტს. რა-
დაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა შეეჩერებინა ლიდერსის ჯარი და რევოლუ-
ციური რაზმებისათვის შეერთების საშუალება მიეცა. ამიტომ იმყოფებოდა
ნტრის ზურგში, მონასტრის სენაკში, ბერის ტანსაცმელში გადაცმული ბელადი
რევოლუციისა.

მოგონებას არ შემოუნახავს ცნობა, თუ კოშუტი რა იმედებს ამყარებდა
ბუჩქიაშვილზე ან რატომ ჰქონდა კოშუტს მისი დახმარების იმედი. შესაძლებე-
ლია კოშუტმა იცოდა რუსი ჯარისკაცების განწყობილება, თვით ბუჩქიაშვილის
დამოკიდებულება რევოლუციისადმი, თორემ ისე თავს არ ჩაიგდებდა საფრ-
თხეში. უეჭველია ლაიოშ კოშუტისათვის ცნობილი იყო, რომ «В орде офи-
церов и солдат армии Паскевича также были люди, сочувствовавшие
освободительной борьбе венгерского народа. Были даже случаи
перехода солдат на сторону венгров» (Всемирная история, т. 6,
с. 364).

კოშუტი მგზნებარედ ლაპარაკობდა. დეკაბრისტების ტრადიციებზე აღ-
ზრდილი ბუჩქიაშვილი ააღელვა კოშუტის სიტყვებმა. გადაწყვიტა დახმარე-
ბოდა ამ მამაც ხალხს.

ბუჩქიაშვილმა ლ. კოშუტს ჯარების მოძრაობის შესაჩერებლად უბრალო,
მაგრამ მეტად კეთილსამედო საშუალება — წირვა შესთავაზა. კოშუტი და-
თანხმდა. წირვისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ მგალობ-

ლები არ ჰყავდათ, მაგრამ პრალის თასეულიდან მოვიდა ოდესღაც კარის კა-
წელაში ნამსახური ოფიცერი და ათასეულის მომღერალთაგან გუნდის შედგე-
ნა ითავა.

როგორც პოტოს წიგნშია აღწერილი, წირვა შედგა. გენერალ-ლეიტენანტი
ცერემონიით შეიყვანეს ტაძარში. ახლა ისიც გასაგები ხდება თუ რატომ გაი-
ცო ტრანსილვანიაში მიმავალი რუსეთის არმიის წინაშე ასე დაუშურებლად
მონასტრის მარანის კარი. როგორც პოტოს წიგნიდანაც ჩანს, ჯარს აღარ გაუ-
გრძელებია სვლა. მონასტრის კედლებთან დაბანაკებულა და როგორც ზემოთ
იყო ნათქვამი, მხოლოდ მეორე დღეს დადგომია ტრანსილვანიისკენ მიმავალ
გზას.

მიზანი მიღწეული იყო. უნგრეთის რევოლუციის ხელმძღვანელი, რევო-
ლუციური უნგრეთის პირველი პრეზიდენტი — ლაიოშ კოშუტი მადლობას
უხდოდა ბუჩქიაშვილს.

ეს ეპიზოდი უნგრელი ისტორიკოსებისა და ლაიოშ კოშუტის ბიოგრაფე-
ზისათვისაც არ უნდა იყოს ცნობილი.

ვინ იცის, იქნებ თვით სინაის მონასტრის ანალებში ან ხალხში იყოს შე-
მორჩენილი რაიმე ცნობა ან თქმულება იმ პერიოდის ამბებზე და პირადად
ბუჩქიაშვილის შესახებ.

როგორც ცნობილია, მშობელი ხალხის განთავისუფლების დიად საქმეს
შესწირეს თავი შანდორ პეტეფიმ და ლაიოშ კოშუტმა. ლაიოშ კოშუტი უცხო-
ეთში (იტალიაში) გარდაიცვალა როგორც ლტოლვილი, მის ნეშტს მხოლოდ
მოგვიანებით ელირსა მშობლიურ მხარეში დაკრძალვა. ფრიად საინტერესოა
ის გარემოება, რომ მისი შთამომავლობის ერთმა შტომ საქართველოში გაიდ-
ვა ფესვები და აქ პოვა მეორე სამშობლო. იჩენერ სტანისლავ კოშუტის, რომ-
ლის პაპაც თბილისში 1876 წელს ჩამოსულა სეკანტაპოლიდან, თბილისის
ერთ-ერთ საწარმოში დაუწყია მუშაობა. მისმა ქალიშვილმა სვეტლანამ თბი-
ლისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და მეცნიერ-
ულ მუშაობას ეწევა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურ-
ის ინსტიტუტში, ხოლო მათი ნათესავი ლუცია კოშუტი საქართველოს ფი-
ლარმონიის მუშაკია.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ ლ. კოშუტისა და შ. პეტეფის ცხოვრებასა
და მოღვაწეობას.

ლაიოშ კოშუტი, როგორც ცნობილია, იყო უნგრეთის პოლიტიკური და
სახელმწიფო მოღვაწე, ადვოკატი; მეთაურობდა სახელმწიფო კრების ოპოზი-
ციურ ფრთას, 1848 წლის 3 მარტს გამოვიდა საპროგრამო სიტყვით და შეს-
თავაზა სახელმწიფო კრებას ავსტრიის იმპერატორ ფერდინანდ I-სთვის
(ერთდროულად უნგრეთის მეფე ფერდინანდ V) გაეგზავნათ პეტიცია, რომ-
ლითაც უნდა მოეთხოვათ კონსტიტუციის შემოღება, უნგრეთის დამოუკი-
დებელი მთავრობის (რომელიც პასუხს აგებდა პარლამენტის წინაშე) შექმნა.
1848 წლის მარტ-სექტემბერში იგი იყო ფინანსთა მინისტრი უნგრეთის პირ-
ველ მთავრობაში, ხოლო 1848 წლის ივლისში აირჩიეს სახელმწიფო კრების
(რომელიც პეშტში შეიკრიბა) დეპუტატად. იყო უნგრეთის ეროვნული არმიის
შექმნის ინიციატორი. სექტემბერში ლ. კოშუტი სათავეში ჩაუდგა სამშობ-
ლოს დაცვის კომიტეტს, რომელსაც პარლამენტმა 8 ოქტომბერს მთავრობის
ფუნქციები მიანიჭა. იგი მხარს უჭერდა ჰაბსბურგების წინააღმდეგ ავსტრიულ
დემოკრატებთან ერთად ბრძოლას. ლ. კოშუტი იყო დამოუკიდებლობის დეკ-
ლარაციის გამოქვეყნების (1849 წ. 14 აპრილი) ინიციატორი. 1849 წლის 2
მაისს იგი აირჩიეს უნგრეთის უმაღლეს მმართველად. ლ. კოშუტი უნგრეთის
დამოუკიდებლობის საკითხში ჰაბსბურგებთან შეურიგებლობას იჩენდა, მაგ-

რამ, როგორც სამუალო თავადზნაურობის ინტერესების გამომხატველი, თანამიმდევრულ და მერყევ პოზიციაზე იდგა საგლეხო, ეროვნულ და კარდინალურ საკითხებში. იგი ემხრობოდა რევოლუციური მთავრობის რეპრესიების პოლიტიკას გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ. 1849 წლის 11 აგვისტოს მან ხელისუფლება უნგრეთის ეროვნული არმიის მთავარსარდალს ა. გერგეის გადასცა და ემიგრაციაში წავიდა. ავსტრიის მთავრობამ მას დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი. 1852—59 წლებში ცხოვრობდა ინგლისში, სადაც ხვდებოდა ა. გერცენს. 1859 წელს ვარიბალდის (1807—1882) არმიაში უნგრული ლეგიონის შექმნის ინიციატორი იყო. 1867 წელს უარი თქვა უნგრეთში დაბრუნებაზე (ამნისტიით). უნგრეთის რესპუბლიკაში არსებობს კოშტის სახელობის სახელმწიფო პრემია.

შშობლიური უნგრეთის ავსტრიული უღლისაგან განთავისუფლებას შეეწირა ოცდაექვსი წლის გენიალური ჰაბუკი პოეტი — რევოლუციონერ-დემოკრატი. 1848—49 უნგრეთის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შანდორ პეტეფი.

1849 წლის 13 აგვისტოს უნგრეთის რევოლუციური ძალები უკანასკნელად შეებრძოლნენ ავსტრიის იმპერატორისა და მეფის რუსეთის გაერთიანებულ არმიას. ვილაგოშთან უთანასწორო ბრძოლაში უნგრეთმა იარაღი დაჰყარა. მაგრამ პეტეფი არ მოსწრებია ამ დღეს. ამ საბედისწერო მარცხამდე 31 ივლისს სოფელ შეგეშვარის გზაჯვარედინზე უკანასკნელად ნახეს პეტეფი, რომელიც მტრის თავდასხმებს იგერიებდა. ვინ იფიქრებდა, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის გულანთებული პოეტი იმ დღეს უკანასკნელად ხედავდა თავისი ქვეყნის ჩამავალ მხეს და მტრის ხიშტზე წამოგებული მისი მგზნებარე გული მათ შორის აღმოჩნდებოდა, ვინც მსხვერპლად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს გადასარჩენად...

პეტეფი ნიშნავს „პეტრეს ძეს“ და წარმოადგენს სლოვაკური გვარის უნგრულ სიტყვასიტყვით თარგმანს. პეტეფის მამა — იშტვან (სტეფანე) პეტროვიჩი — ერთ დროს საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. დედა — მარია პრუხი (სლოვაკი თერძის ქალიშვილი) საკმაოდ ცუდად ფლობდა უნგრულს.

1823 წლის ახალწლის ღამეს იშტვან პეტროვიჩს და მარია პრუხს სლოვაკური წარმომავლობის ამ უბრალო უნგრულ ოჯახს შეეძინა ვაჟი; ვისაც ბედმა არგუნა უნგრეთის უპირველეს პოეტად ყოფნა.

შანდორი (ალექსანდრე) ექვსი წლისაც არ შესრულებულიყო, როცა სკოლის მოწაფე გახდა. მრავალმხრივი განათლება მიაღებინა იშტვან პეტროვიჩმა თავის შვილს; სასწავლებლიდან სასწავლებელში, ქალაქიდან ქალაქში გადაჰყავდა, რათა მის პირშოს რაც შეიძლება კარგი განათლება მიეღო. პეტეფის მამას, რომელსაც ხელის მოწერაც ძლივს შეეძლო, ეჩქარებოდა შვილი დროზე გაეყვანა „მაღალ საზოგადოებაში“, რაც გარკვეულად დააკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას და აუხდენელ ოცნებებს.

თხუთმეტი წლისა იყო პეტეფი, როცა მამამისი გაკოტრდა. ამას ისიც დაემატა, რომ ადიდებულმა დუნაიმ მათი სახლ-კარი წალეკა და ვალებში ჩაფლული ოჯახი ღია ცის ქვეშ დატოვა. ეს ისეთი დარტყმა იყო, რომ თავდაყირა დააყენა პეტეფის მთელი მომავალი გეგმები. უსახსრობის გამო შანდორი იძულებული იყო ლიცეუმის მეექვსე კლასიდან სწავლისათვის თავი დაენებებინა. ამიერიდან შიშშილი და სიცივე გახდა მისი მუდმივი თანამგზავრი.

მოხეტიალე დასში მსახიობობამ, ჯარისკაცობამ, ხანგრძლივმა მოხეტიალე ცხოვრებამ მომავალ პოეტს მთელი სიმართლით დაანახვა შშობლიური უნგრეთი — დამშეული, შიშველ-ტიტველი, მილიონობით სასოწარკვეთილე-



ბამდე მისული მათხოვრით, მოჯამაგირით და უფლებდაყარილი გიმნაზიაში თავადაზნაურობის შეილებთან სწავლის შემდეგ ამ მწარე სინამდვილის გაცნობამ და უშუალოდ განცდამ შემპარწუნებელი გავლენა მოახდინა მომავალ პოეტზე.

ხან თეატრში, ხან კიდევ სამხედრო სამსახურში მუშაობამ, ბედისა და ლუკმა პურის გამუდმებულმა ძებნამ, ცხოვრების მძიმე პირობებმა პოეტის არსებში წარმოშვეს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის მისწრაფება, ხოლო მის სამშობლოში ხან თურქეთისა და ხან ავსტრიის სისხლიანმა თარეშმა — ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეები. პეტეფი თავისი ქვეყნის დამპყრობთა წინააღმდეგ, მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა როგორც მგზნებარე ლექსებით, ისე იარაღით ხელში. 26 წლის ჭაბუკი შანდორ პეტეფი კომუნტან ერთად უნგრეთის 1848 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელია. იგი პოეტური მგზნებარებით მოუწოდებდა თავისი ქვეყნის მებრძოლ ხალხს მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისკენ და ამ მოწოდებაში ყოველთვის გამოთქვამდა მტკიცე რწმენას იმის შესახებ, რომ უნგრელი ხალხი გაიმარჯვებდა.

1844 წელს ოცდაერთი წლის პეტეფი სამუდამოდ დასახლდა პეშტში. აქ მან მუშაობა დაიწყო პეშტის „მოდების ჟურნალში“ რედაქტორის მოადგილედ. იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამასობაში თანდათან ყალიბდება და მწიფდება პოეტის მსოფლმხედველობა.

პეტეფიმ, მისმა პოეზიამ უდიდესი როლი შეასრულა უნგრელი ერის თვითშეგნებისა და მისი ისტორიული პროცესების მომწიფების საქმეში.

რევოლუციის მომზადებასა და ხელმძღვანელობაში წამყვან როლს უნგრეთის თავადაზნაურობა თამაშობდა. რევოლუციური იდეების გავრცელება უნგრეთში ერთ-ერთმა პირველმა სწორედ თავადაზნაურობის წრის წარმომადგენელმა ლაიოშ კომუტმა დაიწყო, რომელიც შემდგომ ამ რევოლუციის ბელადი გახდა. ლ. კომუტი და მის ირგვლივ შემოკრებილი ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურობა უნგრეთის რევოლუციას მიზნად უსახავდა დრომოკმული ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების კაპიტალისტური სისტემით შეცვლას. მათ კარგად ესმოდათ, რომ ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად და მათ საზრუნავს იმთავითვე შეადგენდა რევოლუციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გადაზრდა.

რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ 1848 წლის მარტში იჩინა თავი შეცდომებმა, რომლებმაც თავიდანვე გადაწყვიტა რევოლუციის ბედი. პოეტი ხელდავდა, რომ ბრძოლა სასურველი გზით ვერ წარიმართა, მაგრამ მას ბრძოლის არც სათანადო გამოცდილება ჰქონდა, არც ცოდნა, რომ რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის სწორი გზები დაესახა.

პეტეფის პოეზიას ხშირად თავისუფლებისა და სიყვარულის პოეზიად ნათლავენ. ამ „თავისუფლებაში“ სრულებითაც არ იგულისხმება მარტო ავსტრიელი დამპყრობლების უღელქვეშ მგმინავი უნგრელი ხალხის ეროვნული განთავისუფლება. პეტეფისათვის ამ სიტყვის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა. იგი მოიცავს ზოგადსაკაცობრიო იდეას ადამიანის იმ უფლებების შესახებ, რომლის პრინციპებიც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბრძოლაში.



შანდორ პეტეფი თავისუფლებისმოყვარე უნგრელი ხალხის ძიებათა სიმ-
ზოლო ვახდა. სოციალური უთანასწორობისა და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ
აღმდეგ მებრძოლი ცნობილი ჩეხი პოეტი დემოკრატის, მწერალ-რეალისტის
ინ ნერუდას (1894—1891) სიტყვებით: „პეტეფი კლასიკოსი არ ყოფილა, ის
მხოლოდ პეტეფი იყო: სიყვარულის, პატრიოტიზმისა და თავისუფლების ყვე-
ლაზე მგზნებარე მომღერალი... შშვენნიერ ცეცხლოვან უნგრელ ერს არა ჰყო-
ლია უფრო დიდი შვილი, ვიდრე პეტეფია. ამ ხალხს არ გასთენებია იმაზე
ბედნიერი დღე, ვიდრე ის, როცა პეტეფი დაიბადა...“²

ცნობილია, რომ პეტეფისათვის ის ქვეყანაა შშვენნიერი, სადაც იციან —
რა არის თავისუფლება და სადაც აფასებენ მას; მისთვის ის ლიტერატურაა
შემოქმედებითად სრულყოფილი და მიმზიდველი, რომელიც მკითხველს არა-
სოდეს შეუნელებს თავისუფლებისადმი აღმაფრენას, ის საქმიანობაა უკეთილ-
შობილესი, რომელიც ხალხთა უფლებებისა და მსოფლიო თავისუფლებისკე-
ნა მიმართული.

თავისუფლების ასეთ მტკივნეულ აღქმას მარტო პეტეფის შემოქმედებაში
როდღე ვხვდებით. იგი ეპოქამ მოიტანა თან და ამ მაღალი იდეალის წინაშე
მრავალმა ევროპელმა მწერალმა მოიხადა ვალი. მაგრამ ამ პოეტებთან თავი-
სუფლების აღქმა მისტიკურ საბურველშია გახვეული. ასეთი იყო მაგალითად
ანგლისელი შელი (1792—1822), რომლის პოეზიაც თავდავიწყებით უყვარდა
პეტეფის, მაგრამ თავისუფლების პეტეფისეული იდეა ილუზიებში არ გადა-
ზრდილა, იგი დარჩა უნგრულ მიწაზე, სადაც დიდ პოეტს მოეძებნებოდა ამ
მსრივ მისაბაძი კერპი. ეს კერპი იყო კოშუტი, რომლის პოლიტიკური წერი-
ლები ბიბლიური პათოსით ქალაგებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეებს.
არა შელისაგან და სხვა ევროპელი პოეტებისაგან, არამედ კოშუტისაგან მი-
იღო პეტეფიმ მემკვიდრეობად თავისუფლების ზოგადსაკაცობრიო იდეალების
„შნა სქემები“, რომელსაც შემდგომ გენიოსმა პოეტმა მხატვრული სახე მისცა.

პეტეფის ლექსები რევოლუციონერ-აჯანყებულებმა აიტაცეს და ზოგი
მათგანი უნგრულ მარსელითადაც კი აქციეს. ასეთი იყო ხალხის საყვარელი
პოეტის „ეროვნული სიმღერა“.

„აღსდექ, მამულო, უნგრეთო, აღსდექ,
შენი ძალონე მტერს არ უხილავს.
აღსდექ, უნგრეთო, მოულოდნელად
მტერს თავს დაატყდი ჰეჰა-ჰეხილად“ —

მოუწოდებდა ბარიკადებზე მდგომი პოეტი თავის საყვარელ სამშობლოს და
თვითონაც თავდავიწყებით იყო ჩაბმული განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, პოლიტიკურმა მოძრაობამ უნგრეთში წინ წამოა-
ყენა მთელი გუნდი წარჩინებული ტალანტებისა. მათ მოთავედ და წინა-
მძღვრად 1832 წლის კენკისურის შემდეგ ფერენც დეაკი (1803—1876) ვახდა.
ამ მაგნატს მეტისმეტად ფართო გონება, ნიჭი და ცოდნა ჰქონდა. იგი პრო-
ფესიით იურისტი იყო. დეაკმა თავიდანვე მოინდომა ჯერ თანასწორობის,
ხოლო მერე კი თავისუფლების დამყარება თავის სამშობლოში. მოწინავე პარ-
ტიას, რომლის წინამძღოლი ის იყო, მან მოუწოდა აზნაურობის უპირატესო-
ბის მოსპობა, ვადასახადის განაწილება ყველა წოდებათა შორის, საერთო
კანონები ყველასათვის და სხვ. დეაკმა ისე რბილად და გონიერად იცოდა თა-
ვისი აზრების გამოთქმა და დამტკიცება, რომ თვით ჰაბსბურგების მხრითაც
პოვებდა მომხრესა და თანაგრძნობას.

2 ქ. გაგანიძე, შანდორ პეტეფი, „ცისკარი“, 1973 წ., № 3.



1843 წელს დეაკი და მისი მომხრეები არისტოკრატიულმა პარტიამ დაა-
 მარცხა, რომელიც აზნაურობის უპირატესობის მოსპობისა და განსწორების
 ბით კი გადასახადთა გათანაწილების წინააღმდეგ ილაშქრებდა. მომდევნო
 რჩევნებში კი მოწინავე, ხალხისმოყვარე რაზმმა გაიმარჯვა. 1848 წლის
 დამდეგს, როცა ახალი საკრებულო შედგა, მოწინავე დასმა გადაწყვიტა იმპე-
 რატორთან ცალკე დებუტაცია გაეგზავნა უნგრეთში საკუთარი მინისტრთა
 საბჭოს დაარსების სათხოვნელად. იმ დროს ავსტრიის იმპერატორს ყოველი
 მხრიდან აჯანყების ალი ერტყა. მისი პროვინციები — ლომბარდია და ვენე-
 ცია არეულობას მოეცვა. ვენაში და გერმანულ ნაწილებში კი ხალხი კონს-
 ტიტუციას თხოულობდა. ამასთანავე, ნათლად ჩანდა, რომ გარეშე მტერი სა-
 მირად ემზადებოდა და ავსტრია რამდენიმე მხრიდან თავდასხმის მოლოდინ-
 ში უნდა ყოფილიყო. ამგვარ მდგომარეობაში უნგრეთის მომადლიერება
 სჯობდა მომდურებას. სეიმის თხოვნა და სურვილი შეწყნარებულ იქნა. უნ-
 გრეთს მიეცა საკუთარი მინისტრთა საბჭოს დაარსების უფლება (1848 წლის
 17 მარტს), რომლის თავმჯდომარედ გრაფი ბატინი დაინიშნა. მართალია,
 ახალშექმნილ მინისტრთა საბჭოს ბატინი ფანაგებდა, მაგრამ მაინც მის ძა-
 ლასა და მშვენებას ის კი არ წარმოადგენდა, არამედ სულ სხვა ორი მინისტრი.
 ამ ორ მინისტრზე იყო მიპყრობილი ქვეყნის იმედი და ყურადღება: სამართ-
 ლის მინისტრ ფერენც დეაკზე და ფინანსთა მინისტრ ლაიოშ კოშუტზე. ეს
 ორი კაცი, — ორი სხვადასხვა დასის მოთავე, ნიჭითა და ენერჯით სავსე, —
 უნგრული პატრიოტიზმის ორი საწინააღმდეგო მიმართულების წარმომად-
 გენლები იყვნენ.

მათ შორის განხეთქილება მარტო იმაში მდგომარეობდა, თუ როგორი
 დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა უნგრეთს ავსტრიასთან, თორემ თითქმის
 ყველა სხვა საკითხზე ეს ორი დასი ერთისა და იმავე შეხედულებისა იყვნენ.
 ორივეს გულმხურავლედ სურდა მამულის სიკეთე და ბედნიერება, ორივეს
 უნდოდა უნგრეთისთვის მოეპოვებინა თავისუფლება, თანასწორობა და სამართ-
 ლიანობა, ორივე ერის ინტერესებს ემსახურებოდა. წინააღმდეგობა მათ შო-
 რის ის იყო, რომ დეაკი და მისი პარტია მტკიცედ იცავდა უნგრეთის ერთობას
 პაბსბურგებთან და ქადაგებდა ძველი კავშირის მარადიულ ერთგულებას, —
 ადრე თუ გვიან ჩვენი სიმართლე გასჭრის, პაბსბურგები ჭკუაში ჩავარდებიან
 და ჩვენ ჩვენსას მოგვანიჭებენო. ჩვენი სიმართლე კი იმაში მდგომარეობს,
 რომ სამართალი და მმართველობა ჩვენს ენაზე წარმოებდეს, ჩვენი საკუთარი
 ჯარი, ფინანსები, კანონმდებლობა, პარლამენტი და სამინისტროები გვექონ-
 დესო. ჩვენი მეფე ჩვენს სატახტო ქალაქში — პეშტში უნდა აკურთხონ წმინ-
 და სტეფანეს გვირგვინითო. ამას ყველაფერს ადრე თუ გვიან უთუოდ ვე-
 ღირსებით, თუ ჩვენ სიმართლეს არ გადავუდგებით და მხოლოდ კანონიერი
 საშუალებებით ვეძიებთ ჩვენი უფლების აღდგენასო; ხოლო როდესაც ჩვენ
 ჩვენსას ვეღირსებით, მაშინ მარტო ჩვენი საკუთარი ძალა და ბრწყინვალეობა
 კი არ გვექნება, არამედ უნგრეთი გახდება მოზიარე და თითქმის მოთავე
 მთელი ავსტრიის ძალისა და გავლენისაო. ეს მდგომარეობა — უნგრელთა
 პირველობა, თაოსნობა ავსტრიის ხალხებს შორის, დეაკის აზრით, — უფრო
 ძვირფასი და სანატრელი იყო, ვინემ უნგრეთის სრული განთავისუფლება
 პაბსბურგებისგან.

ამ მიმართულების წინააღმდეგ კოშუტი და მისი პარტია ამტკიცებდა,
 რომ პაბსბურგები უნგრეთს არასოდეს არ დაინდობენო. ისინი ხომ უნგრეთის
 მტრები არიან დასაბამიდანო. უნგრეთისათვის ბევრად სჯობია, სრულებით
 მოშორდეს პაბსბურგებს და დამოუკიდებლად იცხოვროს რესპუბლიკური წე-



სითო-მარტო ამ წესს. მხოლოდ სრულ და საბოლოო მოწოდებას ჰაბსბურგებისაგან, შეუძლია მიანიჭოს უნგრეთს თვითარსებობა, ნამდვილი საშუალებებისა და წესიერების დაარსებისა ამ ქვეყანაში.

ცნობილია, რომ ჰაბსბურგები ყოველწლიურად ამუხრუჭებდნენ უნგრეთში ეროვნულ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, რაც 1848—49 წლების რევოლუციის მიზეზი გახდა. 1848 წლის 15 მარტს უნგრეთის დედაქალაქ პეშტში (1872 წლამდე ბუდაპეშტი შედგებოდა ორი დამოუკიდებელი ნაწილისგან — პეშტი და ბუდა) დაიწყო რევოლუცია, რომლის ხელმძღვანელებიც იყვნენ შანდორ პეტეფი და უნგრეთის პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი პალ ვაშვარი (1827—1849, ნამდვილი გვარი ფეიერი). 1848 წლის შემოდგომაზე რევოლუციამ უკვე აშკარა ბრძოლა დაიწყო. კოშუტმა შექმნა ძლიერი ეროვნული არმია.

დეაკი ავსტრიასთან გაყრისა და ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო. იმან ერთხელ კიდევ უკანასკნელი ღონისძიება იხმარა, — იქნება შერიგება მოვახდინო და რიგიანი განწყობილება შევქმნა ავსტრიას და უნგრეთს შორისო, იქნებ ეს უბედური და უსარგებლო სისხლისღვრა ავაცილო თავიდან ორივე ქვეყანასო. მაგრამ დეაკს ყური არ ათხოვეს. მაშინ მან მიატოვა მინისტრთა საბჭო, ბურთი და მოედანი კოშუტს დაუტოვა და გზა გულწრფელად დაულოცა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც, — გრაფი ბატიანი, რომელიც არისტოკრატიული პარტიის მოთავე იყო, ამავე გზას დაადგა. კოშუტი დარჩა მთავრობის მოთავედ და საკრებულომ იმას დიქტატორის უფლება მიანიჭა.

1848 წლის მარტის დამდეგს ხორვატიის სეიმმა ზაგრებში გამოაცხადა ხორვატიის, სლავონიისა და დალმაციის ნაციონალური ავტონომია, მაგრამ უნგრეთის თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულმა მთავრობამ არ მოინდომა ელიარებინა სლავთა თანასწორუფლებიანობა და უარი ეთქვა სლავურ მიწაზე რეაქციული თავადაზნაურობის ხელმძღვანელმა როლმა ხორვატთა ნაციონალურ-პოლიტიკურ მოძრაობაში დაასუსტა სახალხო მოძრაობა და გამოიწვია ხორვატიის თავადაზნაურობის ავსტრიის რეაქციასთან შეთანხმება. ჰაბსბურგებმა ხორვატიაში თავიანთ მიერ დანიშნული მმართველის (ბანის) გრაფ ოსიფ იელაჩიჩის (1801—1859) მეშვეობით შექმნეს პირობები შეიარაღებული ინტერვენციისა უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

1848 წლის 11 სექტემბერს იელაჩიჩის ჯარები შეიჭრნენ უნგრეთში. 29 სექტემბერს იელაჩიჩის სამხედრო ძალები განადგურებულ იქნენ უნგრელების მიერ სოფელ პაკოზდთან. იელაჩიჩმა ვენისკენ დაიხია. კოშუტი მოითხოვდა ვენაზე გალაშქრებას, რათა ავსტრიელ დემოკრატთა დახმარებით საბოლოოდ ზოლო მოეღოთ ჰაბსბურგების ბატონობისთვის.

მაგრამ რეაქციულად განწყობილმა ოფიცრებმა, რომელთა ჯგუფში უნგრეთის ჯარის წინამძღოლი არტურ გერგეიცი (1818—1916) შედიოდა, მხარი დაუჭირეს ჰაბსბურგებს, უღალატეს რევოლუციურ მოძრაობას. მათ შეაჩერეს ვენაზე განზრახული თავდასხმა და არ აღმოუჩინეს დახმარება 1848 წლის ოქტომბერში ვენაში მომხდარ სახალხო აჯანყებას, რომლის მიზეზი და მიზანი იყო უნგრეთის რევოლუციის მხარდაჭერა.

1848 წლის 30 ოქტომბერს ზემო დუნაის უნგრეთის არმია დამარცხებული იქნა დაბა შევხატთან. ჯერ კიდევ 1848 წლის 3 ოქტომბერს სამეფო მანიფესტმა ეროვნული კრების დაუმორჩილებლობა და უნგრეთში საალყო მდგომარეობა შემოიღო. 1848 წლის 7 დეკემბერს ეროვნულმა საკრებულომ გამოაცხადა, რომ არ ცნობს ავსტრიის ახალ იმპერატორს ფრანც იოზეფ I-ს (1848—1916) უნგრეთის მეფედ. დეკემბრის შუა რიცხვებში ავსტრიის არმია



(რომლის რიგებშიც ბევრი უნგრელი არისტოკრატი იმყოფებოდა) უნგრეთში გრეცის წინამძღოლობით უნგრეთში შევიდა.

1848 წლის 22 დეკემბერს კოშუტმა სამშობლოს დაცვის კომიტეტის სახელით მიმართა გლეხებს — დაეცათ რევოლუციის მონაპოვარი, ჩამოყალიბებინათ პარტიზანული რაზმები.

1848 წლის 5 იანვარს ავსტრიელებმა დაიკავეს ბუდა და პეშტი; უნგრეთის მთავრობა დებრეცენში გადავიდა. მიუხედავად კოშუტის ბრძანებებისა, გერგეი აგრძელებდა უკან დახევას, ეყრდნობოდა რა რეაქციულად განწყობილ ოფიცრებს და ეროვნულ საკრებულოში შექმნილ მოღალატურ „შვეიდობის პარტიას“.

1849 წლის მარტის დამდეგს უნგრეთის არმიამ, რომლის რიგებშიც შედიოდა პოლონელ და აგრეთვე ავსტრიელ დემოკრატთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, პოლონელი ემიგრანტის, გენერალ იუზეფ ბემის (1794—1850) ხელმძღვანელობით განდევნა ავსტრიელთა არმია ტრანსილვანიიდან. ბემის არმიის შტაბში მსახურობდა პეტეფი. ბემი მოუწოდებდა ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისაკენ, რამაც თავის არმიას ფართო მხარდაჭერა მოუპოვა ადგილობრივ მოსახლეობაში და გადამწყვეტი გამარჯვება მოაპოვებინა ავსტრიელ დამპყრობლებზე.

1849 წლის 4 მარტს ფრანც იოსიფმა ოლომოუცში დაამტკიცა „კონსტიტუცია“, რომელიც საყოველთაო იყო ავსტრიის დაქვემდებარებული ყველა მიწისათვის. ოლომოუცის „კონსტიტუციამ“ გააუქმა 1848 წელს მიღებული ყველა უნგრული კანონი, გამოყო უნგრეთიდან ხორვატია, სლოვენია, ტრანსილვანია, სერბიის საოვოვოდო და გამოაცხადა, რომ უნგრეთი საეგებით უნდა დამორჩილებოდა ავსტრიას. იმავე დროს, რევოლუციის განვითარების პროცესში, აგრეთვე ოლომოუცის „კონსტიტუციის“ პასუხად, ეროვნულმა საკრებულომ (დებრეცენში) კოშუტის ინიციატივით 1849 წლის 14 აპრილს გამოაცხადა უნგრეთის დამოუკიდებლობა და მოუწოდა ხალხს, რომ პაბსბურგები ტახტიდან ჩამოეგდოთ. 1849 წლის 2 მაისს სამშობლოს დაცვის კომიტეტი შეცვლილ იქნა მინისტრთა საბჭოთი, რომლის თავმჯდომარეც გახდა უნგრეთის პოლიტიკური მოღვაწე ბერტალან სემერე (1812—1869).

ჯერ კიდევ 1849 წლის 2 აპრილს უნგრეთის არმიამ დაიწყო შეტევა ვინდიშგრეცის ჯარების წინააღმდეგ. საბრძოლო რევოლუციური სულით განმსჭვალული უნგრეთის ჯარმა, რომლის უმრავლესობასაც გლეხები შეადგენდნენ, ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს სოლნოკთან, ნომშარლოსთან, გიოდოლოსთან და 21 მაისს ავსტრიის საზღვრებს მიუახლოვდნენ.

ავსტრიის მთავრობამ, რომელსაც ძალა არ შესწევდა ჩაეჭრო უნგრეთის რევოლუცია, 1849 წლის აპრილში დახმარებისათვის მეფის რუსეთს მიმართა.

იმპერატორმა ფერდინანდ I-მა (1835—1848) ტახტიდან გადადგომა არჩიამისმა შემკვიდრემ კი ფრანც იოზეფ I-მა (1848—1916) თავისი მინისტრების რჩევით სხვა ვერა მოიფიქრა რა. გარდა იმისა, რომ რუსეთის იმპერატორს, ნიკოლოზ პირველს (1796—1855) სთხოვა მიშველე, უნგრელები დამიმორჩილეთ.

ნიკოლოზ პირველმა სიამოვნებით შეასრულა გაჭირებული მეზობლის თხოვნა. მისი ბრძანებით პასკევიჩმა კარპატის მთები გადაიარა და უნგრეთში რუსი ჯარისკაცებისაგან შემდგარი 130 000-იანი არმია შეიყვანა. პასკევიჩი ძალზე ნიჭიერი სტრატეგი იყო; ზუსტად ისე, როგორც სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ ომებში 1827—1829 წელს, ასევე პოლონეთის დამორჩილებისას 1830 წელს, მან უნგრეთშიც წინასწარ შედგენილი გეგმით და ჯარის სწრაფი მოძრაობით ხელიდან გამოაცალა უნგრელებს ყველა ის



ადგილი, სადაც კი მათ საზრდოს ან იარაღის შოვნა შეეძლოთ. 1849 წლის 15 ივნისს მისი ჯარი უნგრეთში შევიდა, ხოლო ორი თვის შემდეგ, 15 აგვისტოს დაძვდევს კი უნგრეთის უმთავრესი ჯარი დაამარცხა დებრეცენთან. 13 აგვისტოს ქ. არადთან დაატყვევეს გერგეი და მისი ჯარი. რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს 80 000 ჯარისკაცი 400 ხარბაზნითა და 150 ბაირალით. ასეთნაირად დასრულდა უნგრეთის რევოლუცია და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

უნგრეთის რევოლუციურმა არმიამ ვერ გაუძლო ორი იმპერიის შეიარაღებული ძალების შეტევას. ამას ზედ დაერთო თავდაზნაურობის კონსერვატიული „მშვიდობის პარტიის“, არისტოკრატიული კათოლიკური მღვდელმსახურებისა და მთავარსარდალ ა. გერგეის ლალატი.

უნგრეთის ლიბერალურ თავდაზნაურობას შორის, რომელსაც ეწინოდა, რომ ომი სახალხო ხასიათს მიიღებდა, მძაფრდებოდა სწრაფვა ბრძოლის შესაწყვეტად. 1849 წლის 11 აგვისტოს კოშუტმა, ვისაც მერყევი პოზიცია ეკავა გერგეის მოღალატური ტაქტიკის მიმართ, ვადასცა მას ძალაუფლება და თვითონ კი თურქეთში გაიქცა.

1849 წლის 13 აგვისტოს უნგრეთის არმიამ დაბა ვილაგოშთან კაპიტულაცია გამოაცხადა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ უნგრეთში დაიწყო მკაცრი ტერორი.

ლიბერალური თავდაზნაურული ოპოზიციის მემარცხენე ფრთის მეთაურს კოშუტსა და მის თანამოაზრეებს დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი. სამხედრო-საველე სასამართლოებმა განიხილეს რევოლუციის 2 ათასი მონაწილის საქმე და 500 კაცს სიკვდილი მიუსაჯეს.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1848—49 წლებში უნგრეთში არ შეწყვეტილა ბრძოლა ავსტრიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1867 წელს შეიქმნა ავსტრია-უნგრეთის დუალიტური მონარქია, შეიქმნა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ავსტრიისა და უნგრეთის იმპერიის საერთო საკითხებს განაგებდა სამი საერთო სამინისტრო: საგარეო საქმეთა, სამხედრო-საზღვაო და ფინანსებისა. უნგრეთს კვლავ დაუბრუნეს ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილი. დუალიზმის წლებში დაჩქარდა უნგრეთის ეკონომიკური განვითარება, მაგრამ ამავე დროს გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი, რასაც დაემატა ეროვნული ბრძოლა არაუნგრულ მოსახლეობასა და უნგრეთის გაბატონებულ კლასებს შორის.

თუმცა ლაიოშ კოშუტმა თავის სამშობლოში რეალური ძალა და გავლენა თითქმის ერთიანად დაკარგა. ამ ქვეყანაშიც და მთელ განათლებულ კაცობრიობაშიც მას, დამჯერი თუ არა, პატივისმცემელი ბევრი შერჩა. შესაძლოა, იგი მამულის სიყვარულში ხანდახან სცდებოდა, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი, ღრმა და თავდაუზოგველი იყო. ვისაც ასე ღრმად უყვარს თავისი ერი, იმას შეცდომა კი არა, ყველაფერი შეენდობა. ამიტომაც გარდაცვლილ გმირს დაკრძალვის დროს უნგრეთმა და მთელმა განათლებულმა სამყარომ სწორედ რომ მეფური პატივი მიაგო...

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ და უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ცნობილმა მხატვარმა მიჰაი ზიჩიმ 1874 წელს დაასრულა უნგრელი ხალხის გმირის — დეაკის ის პორტრეტი, რომლის შექმნასაც არა მარტო ესთეტიკური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. დეაკი ხომ „სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის“ სინონიმი და სიმბოლო იყო არა მარტო უნგრელთათვის, არამედ კოლონიური ჩაგვრის უღელში შემბმული სხვა ხალხებისთვისაც, კერძოდ ქართველთათვისაც.

ГРУЗИНЫ И ВЕНГЕРСКАЯ РЕВОЛЮЦИЯ —
ШАНДОР ПЕТЕФИ И ЛАЙОШ КОШУТ

Резюме

Освободительная борьба венгерского народа против власти австрийских Габсбургов против феодально-абсолютистского режима за независимость и освобождение Венгрии вызвала интерес и отклик среди общественности Грузии.

Показаны образы народных героев национально-освободительного движения Венгрии — Лайоша Кошута (1802—94) и Шандора Петёфи (1823—49), главных организаторов восстания венгерского народа в 1848—49 годах.

Проанализированы события венгерской революции.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო
ინფორმაციის, პუბლიკაციისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტმა

ნანა დოლიძე

 შემთხვევითი გედნიერების მოტივი ქართული
 ზღაპრის — „მძლეთამძლე“ — უშუალოდ

„მძლეთამძლე“ ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო ზღაპარია. მისი მსგავსი სიუჟეტები აარნე-ანდრეევის საძიებლის ანეგდოტების რუბრიკაში 1640 ნომრითაა წარმოდგენილი საერთო სათაურით — „შემთხვევითი ბედნიერება“. პროპი, აფანასიევის ზღაპრების კომენტარებში მოთავსებულ საძიებელში 430—432 ნომრით აერთიანებს თომა ბერენიკოვისა და ივანე სულელის ზღაპრებს. იგი აღნიშნავს: „ზღაპარი განასახიერებს ცრუ გმირს, რომელმაც ხან ეშმაკობითა და ხან შემთხვევით მოიპოვა გამარჯვება. ზღაპარი ცნობილია ევროპაში, კავკასიაში, აზიაში, მწვანე კონცხის კუნძულებზე, ამერიკაში. უძველესი ცნობილი ვარიანტი (492 წელი) მოთავსებულია ჩინურ კრებულში „Poyu-king“¹. პროპი აქვე გვაძლევს ბოლტე-პოლიევას მიერ შემუშავებულ სქემას. ამ სქემაში ბევრი ეპიზოდი ქართულ ვარიანტებს არ გააჩნია. ჩვენ ამ სქემის მიხედვით შეგვიძლია ქართული ვარიანტების სქემა წარმოვადგინოთ ასე: A — გმირი ტრაბახობს, ერთის დაკვრით მოვკალ ასიო; B — გმირი ცდილობს შეინარჩუნოს სიცოცხლე, ასრულებს ატამანის, მეფისა და სხვათა დავალებებს; C — გმირი ამარცხებს გოლიათს; D — გმირი ცოლად ირთავს მეფის ასულს.

„მძლეთამძლე“ სატირული ზღაპარია, მასში ალეგორიულად გამოხატულია ადამიანის ისეთი მოხერხება, რომლის ძალით სუსტი იმარჯვებს ძლიერზე“². ქართულმა ზღაპრულმა ეპოსმა „მძლეთამძლეს“ რამდენიმე ვარიანტი შემოგვიინახა. იგი ჩაწერილია იმერეთსა და გურიაში, გამოქვეყნებულია უმიკაშვილის IV ტომში, ა. ლლონტის „გურულ ფოლკლორში“, ქს. სიხარულიძის „საბავშვო ფოლკლორში“. 4 ვარიანტი კი ინახება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში 256-ე ნომრით, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელია. სულ გვაქვს 7 ვარიანტი. ფოლკლორული არქივის ერთ-ერთ ვარიანტში მოცემულია მთავარი გმირის თავგადასავლის რამდენიმე ეპიზოდი. ზღაპარში დაცულია იდეური მთლიანობა, კარგადაა გახსნილი მთავარი გმირის ხასიათი: იგი მშვიდარა და ლაჩარია. გმირის ეს თვისება ზღაპარს წითელ ზოლად მიჰყვება. მტკმელი მძლეთამძლეს კაცუნას უწოდებს, დასცინის და ირონიული ტონით გვიყვება მის საოცარ თავგადასავალს.

„საყოფაცხოვრებო ზღაპარი მკიდრო კავშირშია ხალხთა ყოფიერების ისტორიასთან. გარდასახულ და ფანტასტიკურ ფორმაში ზღაპარი ინახავს პრეისტორიული რწმენებისა და წარმოდგენების ზოგიერთ ნიშანს. ცოცხალ ტრადიციებში შემონახული არქაული ელემენტები ერწყმიან ყოფით, რეალურ ელემენტებს, რაც საყოფაცხოვრებო ზღაპრების ესთეტიკური ბუნების სპეციფიკას წარმოადგენს“³. ჩვენ მიერ განსახილველი ზღაპარი არქაული და ყოფითი ელემენტების შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია. ამ ზღაპრის სიუჟეტი ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ხალხში ვარიანტების სახით. რუსული თომა

¹ Народные русские сказки А. Н. Афанасьева. III, М., 1940, стр. 458.

² ა. ცანავა, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1960, გვ. 43.

³ Ю. И. Юдин, Из истории русской бытовой сказки, „Русский фольклор“, XV, 1975, стр. 77.

ბერენიკოვი, დაღესტნური — გოლიათი ნახაი, ინდური — ტისმარ, ჰინდუ, ჭურთული — გოლიათი ალი და სხვა — თითოეული დაახლოებით ერთი წელიწადის შემცველი ზღაპრებია. მათი მთავარი გმირია ლაჩარი, მშინვენი სური კაცი, ეს კაცი ყოველთვის შემთხვევის წყალობით ანერხებებს გირსის დააღწიოს თავი და გონებალუნგ საზოგადოებას სათავეში მოექცეს.

მძლეთამძლე — ნასია ნაცარქექიას ენათესავება. „ყოველისშემძლე ეშმაკობის მოტივი „ნაცარქექიას“ შემდეგ „მძლეთამძლეში“ ყველაზე სრულყოფილად და განზოგადებული სახითაა მოცემული“, — წერს აბ. ცანავა⁴. „ნაცარქექიაში“ ყოველისშემძლე ეშმაკობის მოტივმა, — განაგრძობს მკვლევარი, — ადუკვატური გამოვლენის კლასიკური ფორმა მიიღო და ერთგვარად გაბატონდა მსგავსი სიუჟეტის შემცველ სატირულ ზღაპრებზე. მას მეტოქეობას მხოლოდ „მძლეთამძლეს“ სატირულ-იუმორისტული თავგადასავალი თუ გაუწევს“.

ნაცარქექია და მძლეთამძლე ერთ სოციალურ გარემოში მოქმედებენ, ორივე უძღური და ზარმაცია. ნასია ისეთი მსუბუქი იყო, რომ ქარის შემობერვზე ერთ კილომეტრზე გადავარდებოდა. ნაცარქექიაც ისეთი მჩატე იყო, რომ დევს გაეცინა, როცა ზურგზე შეისვა, — ასეთი მსუბუქი როგორა ხარო. ნაცარქექია, მძლეთამძლის მსგავსად, ძალიან ზარმაცია, ამიტომ ვაგვდო სახლიდან რძალმა. ჩოფანო მძლეთამძლესაც ეზარება ხელის განძრევა, ერთხელ შოახერხა მხოლოდ ბუზების დახოცვა. ეს იყო და ეს, მეტი „გმირობა“ მას არ ჩაუდენია. აქედან დაიწყო მისი ფათერაკებიანი თავგადასავალი. ნაცარქექიაც სიზარმაცისათვის ვაგვდო რძალმა სახლიდან და დაიწყო ამ უქნარას ჭიდილი ცხოვრებასთან, მაგრამ სახლიდან გაგდებული ზარმაცები სხვადასხვა პოტენციური შესაძლებლობების აღმოჩნდნენ. ნაცარქექია უფრო აქტიურია. მისი ძირითადი თვისებაა ეშმაკობა, მოხერხებულობა. შემთხვევა მას იშვიათად წყალობს; რასაც მიაღწევს, მისი მოხერხებულობის, ხიფათიდან თავის დაღწევის გასაოცარი უნარის წყალობით.

ნასია — მძლეთამძლე, ნაცარქექიას მსგავსად, მშინშარა და ლაჩარია. მაგრამ აქვს უნარი ხანდახან შიში დამალოს. „ნასიას ყაჩაღის დანახვაზე თავზარი დაცა, ისე შეშინდა, რომ ცახცახი დაიწყო, მაგრამ ისე იქცეოდა, რომ თავის გაჭირვებას ყაჩაღს არ ამჩნევინებდა“. ნასიას სულ ეშინოდა ხან ყაჩაღების, ხან ტახის, ხან გოლიათის. იგი ყაჩაღებისაგან ხმაღზე წარწრამ გადაარჩინა: „მე ვარ კაცი ფასია, იგივე ნასია ერთი შემოკვრით მოკვალ ასია“. ფასია მძლეთამძლეს არავინ ეკითხება, ვინ მოკლა ერთი შემოკვრით. იგი გმირია, გმირის წინაშე კი ყველა თავს იხრის, ყაჩაღები თავის მეგობრად აღიარებენ, მაგრამ მცირე გამოცდა მაინც მოუწყვეს. ფასიას ტახის მოკვლა დაავალეს. ტახის მოკვლა მძლეთამძლის მიერ შეუძლებელია. შიშით აღარ იცის, რა ქნას, გაეშხადა სიკვდილისათვის საწყალი გმირი, სიკვდილის წინ კი ხეზე აძვრა, ეგებ ტახმა ვეღარ შემკამოსო. შემთხვევა აქაც ჩვენი გმირის თანამგზავრია. აკანკალებული მძლეთამძლე ჩამოვარდება ხიდან და ტახის ზურგზე აღმოჩნდება. როდესაც ყაჩაღები მოკლავენ ტახს, ეს მშინშარა კაცუნა გათავებდლება, დარწმუნდება, რომ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული და საყვედურობს ყაჩაღებს, რატომ მოკალით ტახი, ცოცხლად მინდოდა მიმერთმია ბელადისათვისო. ახლა კი ყველა რწმუნდება, რომ მათ წინაშე ქეშმარიტი უძღვევლი, ყოველისშემძლე გმირია. ეს გმირი მეფის სიძე და ტახტის მემკვიდრე ზდება. ქვეყნის სათავეში მოქცეული ლაჩარი ისევ შემთხვევის წყალობით განიმტკიცებს პოზიციას, თუმცა იგი უკვე არტუთ ისეთი ლაჩარია. მან არა მარტო საზო-

⁴ აბ. ცანავა, დასახ. ნაშრ., გვ. 43.



გადოება დაარწმუნა რომ გმირია, არამედ, საკუთარი თავიც. იგი სიამოვნებით თანხმდება შეებრძოლოს მეზობელი ქვეყნის სახელგანთქმულ ვაჟკაცს, „ოლონდ მრცხვენია, ერთ კაცს როგორ შევებრძოლო, ნეტავი სამი მინც გამოუშვანო! ამის გამგონებმა სიხარულით ტაში შემოკრეს. ხელი ჰკიდეს მძლეთამძლეს და ხელმწიფეს წარუდგინეს“. ხალხი ალტაცებულია, ყველა მის ვაჟკაცობაზე ლაპარაკობს, „ამ მიტქმა-მოთქმამ იმ ვაჟკაცის ყურამდისაც მიაღწია. საწყალს გული წინდაწინ ვაუსკდა: დაილია ჩემი დღეებში, ფიქრობდა“⁵. ეს ვაჟკაციც ნასიას მსგავსი „გმირია“, ოლონდ ცოტათი უფრო რეგვენი, და ამიტომაც წააცალა თვით ასე ცოხტად ნასიამ. ეს ერთადერთი გმირობაა, სადაც შემთხვევას აღარ დასჭირვებია ნასიას შემწე ყოფილიყო, რადგან ორი ბრიყვიდან გამარჯვებული ნაკლებად ბრიყვი გამოვიდა. ვახდა ეს ნაკლებად ბრიყვი ხელმწიფე და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ვეზირებად მისი მეგობარი ყაჩაღები მოიწვია და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ზღაპარში არ არის არც ერთი დადებითი გმირი. იგი ნამდვილი სატირული-იუმორისტული ხასიათის ნაწარმოებია, სადაც ხალხი დასცინის ვაყალბებულ გმირობას, უგუნურ საზოგადოებას და ცრემლიანი ღიმილით აღიარებს, რომ ქვეყანას ზნორად თავხედი ბრიყვები და ყაჩაღები განაგებენ.

ზღაპარში „სატირის ობიექტია უგუნურება, სიბრიყვე, უხეში ფიზიკური ძალა, რომელიც ვაბატონებული კლასის თვისებას შეადგენს“⁶.

როგორც აღვნიშნეთ, მძლეთამძლის სიუჟეტი, ანუ „შემთხვევითი ბედნიერება“, როგორც ანდრეევის საძიებელშია დასათაურებული, საერთაშორისო სიუჟეტია და მრავალი ქვეყნის ხალხურ სიტყვიერებაში გვხვდება.

რა აქვთ საერთო ამ ზღაპრებს? — მთავარი გმირის სიმბდალე, უნიათობა და მინც მუდმივი წარმატება. დასცინიან უტვინოს, რეგვენს, რომელიც ბრმად არის მინდობილი ცხოვრების უცვლელ დინებას.

ჩვენი ზღაპრის ცალკეული მოტივები, რომლებიც ქმნიან სიუჟეტს, მიუხედავად თავის სიმტკიცისა, არამდგრადია, იცვლებიან პერსონაჟები, სიტუაციები, უცვლელი რჩება თვითონ მძლეთამძლე. ერთმანეთის მსგავსი მოტივები აცოცხლებენ მთავარი გმირის ხასიათს, ვარიაციული არიან დამხმარე პერსონაჟები, სხვადასხვანაირია გმირთა საქციელის მოტივირება, გარემო, მოქმედება, ზღაპრის ჩანაფიქრი კი უცვლელი რჩება. მძლეთამძლეს ლაჩრობა, უსაქმურობა, სურვილი — ყველა მოატყუოს და ბოლოს მისი თავხედობა—წითელ ზოლად გასდევს შემთხვევითი ბედნიერების ციკლის ზღაპრებს. ეს ცვლილებები მოქმედება ფანტაზიის ნაყოფია. ზოგი მოქმედი ტრადიციულ ზღაპრულ ელემენტებს იყენებს. მაგალითად, გურული ვარიანტი: „იყო სამი ძმა, ორი ყოჩაღი, მესამე ჩოფანო, გლახა. უფროსმა ძმებმა, ცოლები რომ შეირთეს, ერთად ვერ მოთავსდნენ და ქონება შუაზე გაიყვეს. ჩოფანო კი უწილოდ დატოვეს. ამ გლახამაც მოითხოვა მამისეული ქონების წილი, მაგრამ ძმებმა უთხრეს: „შენ საცოლოდ მინც არ ვარგინხარ, ქონება რად გინდა, ხან ერთთან იმუშავე, ხან მეორესთან და ჩვენ გიპატრონებთ“ და ა. შ. ზოგი მოქმედი ცდილობს ასახოს ყოფითი სინამდვილე, ზოგი კი კომიკური და გროტესკული სცენების აღწერისაკენ ისწრაფვის და ყოფით ელემენტებს ჩრდილავს. „ნასია ისეთი მჩატე იყო, რომ ქარის შებერვაზე ერთ კილომეტრზე გადავარდებოდა. ერთხელ ნასია ქარმა სკაში ჩააგდო. თამაშობდა ნასია ფუტკრებში და იყო, მოიმწყვდევდა ათას ფუტკარს ხელში და ხოცავდა“.

⁵ ქართული ზღაპრები, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბ., 1974, გვ. 248.

⁶ აბ. ცანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

მძლეთამძლეს სიუჟეტი მრავალ ხალხის ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება. განსხვავებული პასაჟების მიუხედავად ყველასათვის ერთი თემა დამახასიათებელი, ესაა სოციალური ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტული მდგომარეობის და ამ მახინჯ გარემოში აღზევებული უსაქმურისა და დაღუპულისა და ციხისა. ალ. ლლონტი, განსაზღვრავს რა ხალხური ნოველის ეროვნულ ხასიათს, წერს: „პერსონაჟთა ხასიათები. მათი მოქმედების ტემპი და გეოგრაფიული გარემო, ფლორა და ფაუნა, გამომსახველობის მხატვრული საშუალებები — ენა, სპეციფიკური თემატიკა — აი ხალხური ნოველის ეროვნული ელფერის მთავარი ატრიბუტები“⁷.

რუსული „თომა ბერენიკოვი“, დაღესტნური „ბოგატირი ნახანი“, ინდური „ტისმარ ხანი“, აფხაზური „ბედნიერი ლაჩარი“, ქართული „ბოგატირი ალი“, გერმანული „გულადი მკერვალი“ და სხვა თემატიკურად და იდეურად მონათესავე ზღაპრებია, მიუხედავად არსებითი განმასხვავებელი ნიშნებისა. „ამბის რეალისტურად განვითარება, რაც ყველა მათგანს ახასიათებს, პერსონაჟებად ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების გამოყვანა, თემატიკისა და სიუჟეტური მოტივების ნაცნობობა ვერ გახდა მათი საყოველთაობის მაჩვენებელი. უწინარეს ყოვლისა, აქ გამომკლავნდა ამ ხალხური ნოველების უაღრესად ადგილობრივი, კოლორიტული სახე“⁸.

ა. ნ. აფანასიევის მიერ შეკრებილ „რუსულ ხალხურ ზღაპრებში“ სამი ზღაპარი „მძლეთამძლეს“ მოტივებსა და იდეას ენათესავება. ესენია: „სულელი ივანე“ და „თომა ბერენიკოვის“ ორი ვარიანტი. სულელი ივანე ორი ძმის უმცროსი ძმაა. იგი არაფერს აკეთებს და ერთხელ მამამ და რძლებმა გაავდეს მინდორში სახნავად. ივანემ საქმის ნაცვლად მინდორში ხოცა და ხოცა კოლოები, ქინქლები და თავი მძლეთამძლედ წარმოიდგინა. ივანე სახლიდან წავიდა, რათა საგმირო საქმეები ემრავლებინა. ცოტა წერა-კითხვაც ეხერხებოდა სულელს და ერთ ბოძზე წააწერა მისი გმირობის ამბავი. ეს საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სახელოვანი გმირები — ილია მურომეცი და თევდორე ლეჩნიკოვი — სულელი ივანეს აწვევზე წამოგებულ იყვნენ. ასევე უმეგობრდებიან უსუსურსა და ტრაბახს თომა ბერენიკოვს (მეორე ზღაპარში) ილია მურომეცი და ალიოშა პოპოვიჩი. რუსულ ზღაპრებში მთავარი გმირი უფრო ეშმაკი და მიზანდასახულია. მას თავიდანვე უნდა გმირად გახდომა. თუ ნასია უნებლიეთ უნდა გახდეს სახელოვანი და უშიშარი გმირი, თომასა და ივანეს ეს სურვილი გააზრებული აქვთ.

„გამიშვი, დედი, ვაჟკაცური საქმეები ჩავიდინო, მიწის ხენა არაა ჩემისთანა გმირის საქმე, მიწა გლეხებმა მოხნან“. მიდიან სულელი ივანე და თომა ბერენიკოვი სახლიდან და თავს მძლეთამძლეებად ასაღებენ. ცნობილ ფალავნებს ადვილად ატყუებენ და დასცილიან კიდეც. ერთ-ერთი ზღაპარი შეგონებით მთავრდება: „როგორც ჩანს, წარმატება არა მარტო ვაჟკაცთა ხვედრია. ვინც თავის თავზე მეტს იყვირებს, გმირიც ის იქნება“.

ინდური ზღაპარი „თისმარ ხანი“ მოგვითხრობს ერთ ეშმაკ კაცზე, რომელიც ჭკვიან და ნასწავლ ადამიანებსაც კი ატყუებდა. საქმარისი აღმოჩნდა ამ უსაქმურ კაცს ებრძანებინა ცოლისათვის, ბუხების დახოცვის შემდეგ მისთვის „თისმარ ხანი“ დაეძახა, იგი ყველას თვალში პატივსაცემ პიროვნებად იქცა როდესაც ეს შშიშარა კაცი ვირის ნაცვლად შემთხვევით ლომს მიამამს სახლის წინ, მის გმირობას მეფეც ირწმუნებს. ამ საბედისწერო შემთხვევამ ზარმაცი დაარწმუნა, რომ ბედი წყალობს და გაამაყდა. „მიცალეთ ძილი, —

⁷ ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველები, სტალინარი, 1956, გვ. 49.

⁸ იქვე, გვ. 51.

გასამხა მეფეს, — ძალიან დავილაღე, მთელი ღამე ღოღო დაესდევდი, დააღა-
გეთ ფულები კარების ქვეშ, მოკალით ღოღო და წადით მშვიდობით“.

რუსული და ინდური ზღაპრები დაახლოებით ერთი და იგივე იდის
შემცველია. საკმარისია იყო თავზედი, გქონდეს ცოტა ეშმაკობა და გმირის
სახელით უზრუნველყოფილი ხარ.

საინტერესოა აფხაზური ზღაპარი „ილბლიანი ლაჩარი“. აქ მოთხრობილია
უსაქმურ კაცზე. შვილის უსაქმურობას განიცდის მამა. ამიტომ გააერცვლებს
ნმას, თითქოსდა მისი შვილი უშიშარი ვაჟკაცია. თავადები სთხოვენ ამ უსაქ-
მურს (ხვარტიეს) ბრძოლებში მიიღოს მონაწილეობა. ხვარტიეს ბედი უღიმის,
მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის შიშისაგან კანკალებს, მაინც ახერხებს
„გმირობის ჩადენას“. ბოლოს გოლიათს ეჭიდება და თვალდახუჭულს თავს
წააცლის. ეს ზღაპარი იმით განსხვავდება ქართული და რუსული ვარიანტები-
საგან, რომ მთავარი გმირის მამა, ჩახუხი, შვილის ცრუგმირობის გამო შე-
ძრწუნებულია. მას უნდა მისი შვილი სახელოვანი კაცი იყოს, მაგრამ არა-
ფერი გამოსდის. ეუბნება კიდევ შვილს ამის შესახებ: „ის, ვისაც ბრძივი
და გულუბრყვილო ადამიანები მამაცად და გმირად თვლიან, არც გმირი და
არც მამაცია. ისეთივე ლაჩარი და უსაქმურია, როგორც ადრე იყო“⁹. ამავნა
ამ ზღაპრის იდეა. ისევე, როგორც ქართულ ზღაპარში, დაცინვის ობიექტი
აქაც უტვინობა, სიბრძივე და ის სოციალური გარემოა, სადაც შესაძლებელია
რეგენი, უსაქმური და მატყუარა სახალხო გმირი გახდეს.

ქართული ზღაპარი „ბოგატირი ალი“ — „შემთხვევითი ბედნიერების“
ჯგუფს განეკუთვნება. სხვა ვარიანტებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ
მთავარი გმირი არც უსაქმურია და არც მაინცადამაინც საქმიანი, არ არის
ეშმაკიც, თომა ბერენიკოვიც არ ისწრაფვის გმირის სახელის მოსაპოვებლად.
ალის გმირობა სურს მის ცოლს, რომელიც აკეთებს ყველაფერს, რასაც სხვა
ზღაპრებში თვითონ გმირი სჩადის. ალი მშიშარაა და არც მალავს ამას: „კი-
დევ შვილი წელი მეშინძილა, ვიდრე ასეთ სატანჯველში ჩავევარდებოდი. რა
მებრძოლი მე ვარ, რომ ისეთი ძლიერი მეფე დავამარცხო“, — მოთქვამს
საცოდავი ალი, რომელსაც ცოლის წყალობით უკვე გოლიათი გმირის სახელი
აქვს გავარდნილი. „წაიყვანე შენი მხედრები ომში, იმათ იბრძოლონ, სახელი
და დიდება კი შენ დაგჩება“, — აწყნარებს ცოლი¹⁰. ქართულ ზღაპარში
არ არის ბუზების ხოცვის მოტივი, მთავარი გმირი არ არის აქტიური (აქტი-
ურია მისი ცოლი), იდეა იგივეა. აღიარებული გმირია არა ის, ვინც ამ „დი-
დების“ ღირსია, არამედ მშიშარა, უსუსური და საცოდავი კაცუნა.

მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს: „ნაცარქექიას“ ევროპული პარალელების
ცენტრში დგას გრიმების ზღაპრების „გულადი მკერვალი“. გრიმების მკერ-
ვალი, — განაგრძობს მეცნიერი. — უფრო ქართულ მძლეთანძღეს უახლოვ-
დება, ვიდრე ნაცრის მქექვე ბიუს. გურული მძლეთანძღის მსგავსად, გრიმების
მკერვალიც შემთხვევით ხდება გმირი, ისიც დახოცვის ბუზების რაოდენობას
ჭამარზე დაიწერს: „ერთი მოქნევით შეიდი მომიკლავს“¹¹. ამ ზღაპარში „მძლე-
თანძღესთან“ მხოლოდ ერთი შეხვედრაა — ბუზების დახოცვის მოტივი, და-
ნარჩენი მოტივები ამ ზღაპარს „ნაცარქექიასთან“ აკავშირებს. ასეთი კონტა-
მინაციის სხვა მაგალითი არ მოგვეპოვება.

დალესტნური ზღაპარი — „ბოგატირი ნახნაი“, მოიცავს ამ ჯგუფის ზღაპ-
რების თითქმის ყველა მოტივს. მშიშარა და გონებაჩლუნგი ნახნაი ტახტის

⁹ Абхазские сказки, Сухуми, 1983, გვ. 249.

¹⁰ Курдские сказки, Москва, 1959, გვ. 181.

¹¹ მიხ. ჩიქოვანი, გონების ძალა, ქართული ფოლკლორი, IX, სტრუქტურა და პოე-
ტიკა, თბ., 1979, გვ. 87.

მემკვიდრე გახდა. საინტერესოა ზღაპრის დასასრული — „როდესაც საზღვარი მამაცობასა და გმირობას შეეხებოდა, ნაზნაი ამბობდა ხოლმე: დაე, ამოვივლო-ნენ მამაცები და გმირები. თლონდ ბედი მწყალობდეს მუდამ“. ამის შესახებ, განსაკუთრებით მისი რუსული ვარიანტები, საფალავნო ეპოსის შესანიშნავი პროდიია. სადაც არ უნდა შეგვხვდეს „შემთხვევითი ბედნიერების“ სიუჟეტი — რუსეთსა თუ საქართველოში, გერმანიასა თუ ინდოეთში, ქურთისტანსა თუ დაღესტანში, ხალხმა ყველგან დასცინა უგუნურებას, სიბრიყვეს და ქვეყნის სათავეში მოქცეულ მხდალსა და თავხედ კაცუნას.

Н. Г. ДОЛИДЗЕ

МОТИВ «СЧАСТЬЯ ПО СЛУЧАЮ» В СВЕТЕ ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ СКАЗКИ «МДЗЛЕТАМДЗЛЕ»

Резюме

Исследована одна народно-бытовая сказка, сюжет которой по международному сказочному указателю Аарне-Андревеа входит в рубрику анекдотов с общим заглавием «Счастье по случаю».

Подобные сюжеты сказки встречаются в народном сказочном эпосе многих стран.

Этот сюжет сопоставлен с известным сюжетом Нацаркекиа; отмечено, что персонажи этих бытовых сказок, несмотря на их сходство, существенно отличаются друг от друга.

Мотивы сказки «Мдзлетамдзле» актуальны и по сей день.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ნიმუ ციხისთავი

წმ. ნინოს ცხოვრების ქართული და რუსული ტექსტების ისტორიოგრაფია

„თანამედროვეთაგან გადმოცემული ცნობის მიხედვით IV ს. პირველ ნახევარში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული. უძველესი ამ მნიშვნელოვან ამბავს თავისი წინასწარიცა და მერმინდელი ისტორია უნდა ჰქონოდა. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც ქრისტიანობას საქართველოს ბედ-იღბლისა და კულტურისათვის ჰქონდა, ეს საკითხი დაწერილებითა და გულდასმით უნდა იქნეს განხილული“¹.

საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ამჯერად საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მკვლევართა ინტერესის სფეროს წარმოადგენს თუ როდის და ვის მიერ იქნა „მოქცეული“ ქართლი. ამ საკითხის გასარკვევად კი აუცილებელია მივმართოთ ისტორიას.

ცნობილია, რომ უძველესი ქართული ისტორიული წყარო არის ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც IX საუკუნის ხელნაწერით (შატბერდული) არის ჩვენამდე მოღწეული. ამ ქრონიკის მიხედვით, კონსტანტინე დიდის დროს ტყვე ქალმა ნინომ გააქრისტიანა ქართლი.

ამავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ საფუძველზეა შედგენილი X საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. ლეონტის ცნობით, მირიან მეფის დროს საქართველო მოაქცია წმინდა ნინომ².

თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიას³ და ზაქარია კიკინაძის რედაქტორობით დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრებაშიც“ (რომელიც ვახუშტის გეოგრაფიის) იმავეს ვკითხულობთ, მხოლოდ დამატებით ვგებულობთ, რომ „ოდეს ქართლი მოაქცია წმიდამან ნინო ქრისტეს ამაღლებითგან გარდასრულ-იყუნენ წელნი სამ ას ოც და ათ ერთ მეტნი“⁴.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კი საქართველო წმ. ნინომ გააქრისტიანა 314 წელს⁵. დავით ბაგრატიონიც იმავეს ადასტურებს. იგი წერს, რომ მირიანის მეფობის ყამს „მოვიდა რა მოციქული ნინა, წელსა ქრისტესითა, ტიდ და განამრავლნა ქადაგება საქართქმლოსა შინ და ესეცა (მირიანი — ნ. ც.) მოიქცა ქრისტეანედ, და ჰსთხოვდა კონსტანტინეს დიდსა ეპისკოპოსი, და მღუდელნი, და (ნათელიყო ყოვლითა თვისითა მონარხიითა წელსა ტი და მოუძღუანაჲ ფიცარი ფერხისა უფლისა, და სამსჭუალნიცა, რომელნი აწ არიან სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს“⁶.

გარდა ქართული წყაროებისა, არსებობს უფრო ადრინდელი უცხოური ცნობებიც. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ბერძენი ისტორიკოსის გელასი კესარიელის (გარდ. 393 წ.) ნაშრომი „საეკლესიო ისტორია“. გელასი გვაუწყებს, რომ იბერებისა და ლაზების გაქრისტიანების „მიზეზი გახდა ერთი დედაყაიცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“. და გვიამბობს თუ როგორ და

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1979, ტ. I, გვ. 216.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, სიმ. ვახუშტიშვილის რედ. თბ., 1955, გვ. 70—71.

3 თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972.

4 იქვე.

5 ქართლის ცხოვრება, ტ. I, II, გამოცემა ზ. კიკინაძის მიერ, ტფ., 1897, გვ. 85.

6 დავით ბაგრატიონი, შემოკლებული ისტორია საქართქმლოსა, ჩუ (1800 წ.),

რა ვითარებაში მოხდა ქართლის მოქცევა ბაკურ დიდის მეფობის დროს/ გელასის ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენთვის ცნობილია ქველდღე რომელი ისტორიკოსის რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“ (დაწვეს 11 წყრსა 402 წ.), რომელიც გელასი კესარიელის ისტორიის თარგმანია.

ქართლის გაქრისტიანებას ტყვე ქალს მიაწერენ აგრეთვე თეოდორიცე კვირელი (393—457), სოკრატე სქოლასტიკოსი (380—440), ერემია სოზობენე (IV ს. ბოლო, V ს. I ნახევარი) და გელასი კვიზიკელი (V ს. ბოლო), ხოლო, რომ ეს ფაქტი მოხდა მეფე ბაკურის დროს, ამას პეტრე იბერის ცხოვრების აღმწერიც აღნიშნავს⁷.

ფრიად საყურადღებოა ძველი სომხური ცნობები. პირველი სომხური წყარო, რომელიც მოკვითხრობს საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, არის IV საუკუნის ისტორიკოსის, აგათანგელოსის ისტორია. მართალია, ამ ისტორიის იმ ნაწილს, რომელშიც საუბარი იყო წმ. ნინოზე ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შემდეგში ამ შრომით მრავალჯერ იხელმძღვანელეს. აგათანგელოსის ეს ცნობა გამოიყენა მოსე ხორენელმა (V ს.) თავის „Всеобщая история“ ში⁸, ხოლო ხორენელის მიხედვით დაწერა „Всеобщая история“ სტეფანე თარონელმა (XI ს.)⁹ და ა. შ.

სომეხი ისტორიკოსების ცნობით, საქართველო მირიან მეფის დროს მოაქცია ვილაც ქრისტიანმა ქალმა ნუნუმ, რომელიც იყო რიფსიმეს ერთი მეგობართაგანი. აქვე ნათქვამია, რომ იგი წმ. გრიგოლის მიერ იყო გამოგზავნილი.

IV ს-ის ისტორიკოსის ფაუსტუს ბიზანტიელისა¹⁰ და მოსე კალანკუტიელის (X ს.)¹¹ მიხედვით ქართლი მოაქცია წმ. გრიგოლის შვილიშვილმა წმ. გრიგორისმა, ხოლო აგათანგელოსის ისტორიის არაბული ვერსიის მიხედვით კი ივერიის განმანათლებელი უშუალოდ წმ. გრიგოლია.

არაბული და კოპტური სვინაქსარების ცნობით, ივერიის განმანათლებელი იყო ვინმე წმინდა ქალწული თეოგნოსტა, რომელიც ცხოვრობდა ონორე და არკადი იმპერატორების დროს¹².

გარდა ამ უკვე ცნობილი წყაროებისა, არსებობს კიდევ ძველ რუსულ მწერლობაში დაცული ცნობები; 1512 წლის მატიანეში კვითხულობთ: «Во Иверехъ же жена некая пленена пребываше въ постѣ, исцели отъ роча болно, и потомъ царицю положи на оубозей своей постели и здраву сотвори. Царица же нудяще царя, еже церковь пленницю сотворити и не покоряющюся ему, слепотою обьять бысть. И пленницю исцеленъ, и повеле создати // церковь. И насучи его послати къ Греческому царю, Коньстятину, еже послати ему архиерея. И приидеъ всехъ крести»¹³.

პროლოგ სვინაქსარის 27 ოქტომბრის საკითხავი გვაუწყებს რომ: «Водни иже востяхъ великаго Константина перваго цря Християномъ жена некая шедши во иверехъ, и же совершение постнический подвигъ

7 იოანე რუფინი. პეტრე იბერის ცხოვრება, გეორგია, ტ. II, 1965, გვ. 249.

8 История Армении Моисея Хоренского, перевод П. Эмина, М., 1858, с. 153.

9 Стефан Таронский, Всеобщая История Стефана Таронского, 1864, с. 41.

10 История Армении, кн. 3, гл. 6. Л. Меликсет-беков, К вопросу о настоящем имени просветительницы Грузии, Тифлис, 1914, с. 23.

11 История Алвании, кн. I, гл. 14, Спб., 1861, с. 26—28.

12 Л. Лозагянский, Настоящее имя святой просветительницы Грузии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 26, отд. I, Тифлис, 1899, с. 108—110.

13 Подвиге собрание русских летописей, т. 22, ч. I, М., 1911, с. 266.



იხდებოდა ნაწყობი და პლენენა ბუფი, თავიანთი პოდვიგომი პოდვიანე-
 სი. და კო ვრახევისკო ხუდოჟესტიუ, და ვერა ვსაკოგო ლიშაიოცისი დრუგ კ
 დრუგო ბუხილი ბიუხი პრიხოდისი ბუკო ბოკუშენისი ბუკუშენ, ბეჟე ვ ნი
 სოხოდიაშნიხი ნედუგ ვოობრაჟენი, ჰდრავია პრიხოდიაშეჟე»¹⁴.

მოთხრობილია, რომ ამ ქალთან მოიყვანეს ავადმყოფი ბავშვი, რომელიც
 მან მამინევე განკურნა, შემდეგ კი ივერიელების დედოფალიც გაანთავისუფ-
 ლა მძიმე სენისაგან, ხოლო დაბრმავებულ მეფეს, ტყვე ქალის ღმერთის მე-
 შვეობით აეხილა თვალები. მადლიერმა მეფემ ელჩები გაუგზავნა კონსტანტინე
 დიდს და სთხოვა გამოეგზავნა სამღვდელობა. კონსტანტინე დიდმა შეისმინა
 თხოვნა და წარმოავლინა არქიეპისკოპოსი, რომელმაც მონათლა ივერიელი.

სტეფანე ათონელის „Рай Мысленный“-ში კი მხოლოდ ვაკვრითაა
 აღნიშნული, რომ კონსტანტინე დიდის დროს ივერია მოაქცია ვილაც ტყვე
 ქალმაო¹⁵.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ენაზე ერთი და იმავე საკითხის გარშემო
 არსებობს ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ცნობები. ამ ფაქტმა,
 რასაკვირველია, მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია (განსაკუთრებით
 XIX ს-ის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა „მოქცევაჲ ქართ-
 ლისაჲს ტექსტი). არაერთმა ქართველმა თუ უცხოელმა მეცნიერმა სცადა ამ
 ისტორიულ წყაროთა შესწავლა, თუმცა, რატომღაც, არავის მიუმართავს
 რუსულ ენაზე დატულ მასალათათვის. ეს მასალა კი ფრიალ საინტერესოა და
 განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. მაგრამ ვიდრე რუსული წყაროების
 განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ გადავხედოთ
 XIX—XX საუკუნეების მეცნიერთა შრომებს. ეს მეცნიერები იკვლევდნენ,
 თუ ვინ გააქრისტიანა საქართველო, ვინ იყო ამ დროს ამ ქვეყნის მეფე და
 როგორი სოციალური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ კულტურული ვი-
 თარება იყო საქართველოში. მკვლევრებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ
 არც ერთი არსებული ისტორიული წყარო, ლეგენდა თუ ხალხური გადმო-
 ეცმა. ამ მასალათა და წმ. ნინოს ცხოვრების ტექსტების ზედმიწევნით გარ-
 ჩევის საფუძველზე ცდილობდნენ დაედგინათ საქართველოში ქრისტიანობის
 შემოსვლისა და გავრცელება-დამკვიდრების მიზეზები და შედეგები.

XIX ს-ის ცნობილი ისტორიკოსი ა. ცაგარელი აღნიშნავს, რომ გადმოცე-
 მის თანახმად საქართველო გააქრისტიანა წმ. ნინომ, რომელიც მოვიდა იერუ-
 სალიმიდან სირიისა და სომხეთის გავლით. ამ დროს საქართველოს მეფე იყო
 მირიანი (265—342). იგი ნინოს რჩევის თანახმად წავიდა იერუსალიმს და
 შეიძინა ადგილი ჯვრის მონასტრის ასაგებად. აქვე ისტორიკოსი დასძენს, რომ
 „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ფაქტის შესახებ არაფერია მოთხრობილიო¹⁶.

დ. ბაქრაძეც იმავეს მოგვითხრობს თავის საქართველოს ისტორიაში; მაგ-
 რამ აქვე ვეაუწყებს რომ „წმ. ნინო ნათელს სცემს ქართლის მცხოვრებთ,
 ეპისკოპოზის იოანესა და ესტატე ანტიოქიელის შემწეობით“¹⁷.

სრულიად საქართველოს კათალიკოსი კ. ცინცაძეც ადასტურებს, რომ
 წმ. ნინომ შემოიტანა ქრისტიანობა ივერიაში¹⁸. ამავე აზრს იზიარებს მარი
 ბროსეც. იგი მოსე ხორენელის ცნობაზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ სა-

14 Пролог, М., 1641.
 15 Стефан Афинский, Рай Мысленный, 1659, II (16).
 16 Цагарели А. А., Памятники грузинской старины в святой земле и на Си-
 нае, Спб., 1888, с. 32.
 17 დი. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 143.
 18 კ. ცინცაძე, რომელს წელს მიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა? ვახ. „ივერია“,
 1893, № 152.

ქართველოსა და სომხეთის მეფეებმა — მირიანმა და თრდატმა — ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა¹⁹. საქართველოს ქრისტიანიზაციის და ქრისტეს კვართის შესახებ მოგვითხრობს მ. ჯანაშვილი²⁰. „ქართული მწერლობაში“ იგი წერს, რომ ნინო განმანათლებლის შემოსვლამდე საქართველოში აქ უკვე მრავლად იყვნენ ქრისტიანები, ეს ქრისტიანები ძირითადად ურიები იყვნენ და... „ნინოს დროსვე საქართველოში მყოფ ურიებს ჰქონიათ ძველი აღთქმა, გაცნობილი ჰქონიათ „ევანგელე“, ხელში სჭერიათ „დავითნი“, მაცხოვრის განკაცება ვაგონილი ჰქონიათ, თვით ელიოს მოხუცს თვალით ნახული ჰქონდა მაცხოვარი (იორდანის ნაპირზე), ელიოსის დედა თითქმის ნახევრად ქრისტიანე ყოფილა“²¹. ამასთანავე, მას ეკვი არ ეპარება, რომ ნინომ „დაწერილი ოთხთავი (სახარება) მოიტანა საქართველოში“²².

წმ. ნინოს მოღვაწეობას აგვიწერენ, აგრეთვე, ს. გორგაძე, ი. დურნოვო, ს. კაკაბაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნ. ბერძენიშვილი, გ. წულაია, ვ. გოილაძე, მ. ჩხარტიშვილი და მრავალი სხვა მეცნიერი. მათი კვლევის საგანია, თუ ვინ იყვნენ წმ. ნინოს ცხოვრების ავტორები და რა ლიტერატურული თუ ისტორიული წყაროები ჰქონდათ ხელთ ამ ნაწარმოების შექმნისას. მაგ., კ. კეკელიძე წერს, რომ „ლეონტი მროველის ისტორიული შრომა... შედგენილია XI საუკუნის ნახევარში ორი მთავარი წყაროს საფუძველზე; ესენია — ჩვენამდე არშენახული უძველესი მატთანე დაწერილი VII ს-ის გასულს თუ VIII ს-ის დამდეგს უმთავრესად მოსე ხორენელის ისტორიის მიხედვით და წმ. ნინოს ცხოვრება შატბერდული რედაქციის IX—X საუკუნისა“²³.

კ. კეკელიძე იკვლევს ქართველთა მოქცევის მთავარ ისტორიულ-ქრონოლოგიურ და ნინოს ცხოვრების მატანისეული რედაქციის ავტორობის საკითხებს²⁴. ხოლო „მოქცევა ქართლისაჲს“ შედგენილობის წყაროების და გროვული ტენდენციის განხილვისას აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება, ჩამოთვლის და იკვლევს „მოქცევა ქართლისაჲს“ იმ ახალ წყაროებს, „რომელნიც მეცნიერებაში უკვე ცნობილისა და გამოვლინებულის გვერდით, შესაძლოა აღნიშნულ იქნეს დღეს“²⁵.

კ. კეკელიძე აღწერს „ქართლის ცხოვრების“ ავტორის — ლ. მროველის მოღვაწეობას და გვაცნობს მის თხზულებათა სიას²⁶. აქვე იგი გვაწვდის ცნობებს „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორის — არსენ ბერისა²⁷ და ნიკოლოზ გულაბერძინის შესახებ, რომელსაც ეკუთვნის „საკითხავი სუეტიისა ცხოველისა, კუართის საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“.

ე. თაყაიშვილი შეისწავლის მის მიერ აღმოჩენილ შატბერდის კრებულს და აცხადებს, რომ „ქართლის მოქცევის“ ცნობები „ამოღებულია თვით ქართული წყაროებითგან და სრულებით არ ეტყობა უცხო ტომთ ისტორიის გაუღენა“²⁸. თვით წმ. ნინოს ცხოვრების ტექსტს კი ადარებს ადრევე უკვე

19 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფილისი, 1895, გვ. 52—61.
 20 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906 წ. გვ. 162—167; Тержество христіанства на Ближнем Востоке, Тф., 1914.
 21 მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, ნაწ. I, ტფ., 1900, გვ. 8—9.
 22 იქვე, გვ. 27.
 23 კორ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თსუ შოამბე, III, 1923, გვ. 55.
 24 კორ. კეკელიძე, „ნინოს ცხოვრების“ მატანისეული რედაქციის ავტორი, ეტიუდები, ტ. II, თბ., 1945, გვ. 270.
 25 კორ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 309—314.
 26 იქვე, გვ. 309—314.
 27 იქვე, გვ. 318—321.
 28 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890, გვ. XVI.

ენობილ ყველა ცხოვრებას და ვარაუდობს, რომ ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება ყველაზე ძველი (VII—IX ს-ის) ტექსტი უნდა იყოს²⁹.
თ. ყორღანია კი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პირველ და მეორე ნაწილებში შედარებისას ასკვნის, რომ „პირველი უძველესი უნდა იყოს მეორეზე და უკანასკნელის ზედ-გავლენის გარეშე დაწერილი“³⁰.

ამავე პრობლემებს ეხება ა. ხახანაშვილის შრომები: «Источники по введению христианства в Грузию» და «Очерки по истории грузинской словесности». მკვლევარი ერთმანეთს ადარებს ბიზანტიურ, ქართულ და სომხურ წყაროებს და ასკვნის, რომ მათი მონათხრობი მსგავსია და თანამედროვეთა ჩვენებებს ეყრდნობა³¹. „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ კი დასძენს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მოკლედ მოგვითხრობს იმაზე, რაც შემდეგ განავრცელეს და შეჰკაზმეს სხვა წყაროებმა³².

ს. კაკაბაძე ლ. მროველს დავით აღმაშენებლის თანამედროვედ თვლის. ლონტი იყო «русский архиепископ, упоминаемый еще в приписках одной афонской рукописи XI — XII столетия», — წერს იგი, — ნინო კი ნამდვილად ისტორიული პირია, მხოლოდ მას ნინო კი არა თეოგნოსტა ერქვა³³. თვით ნინოს ცხოვრების ტექსტი, მისი აზრით, მატინეში პირველად შატბერდული და ჭელიშური ვერსიების სახით³⁴, ანუ IX ს-ის რედაქციით, შეიტანა ლ. მროველმა, ხოლო თვით ნინოს ცხოვრების ისტორია შემდეგ გადააკეთა იოანე დეკანოზმა მესამე პირის თხრობად (XIII ს. დასასრულს ან XIV ს-ში)³⁵. ამასთანავე, ს. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ უფრო ადრე მატინეში არსებობდა არაღაც სხვა ტექსტი, რომელიც მოგვითხრობდა საქართველოს გაქრისტიანების შესახებ.

ქ. ცხადაძე მიმოიხილავს ნინოს ცხოვრების ტექსტის ყველა არსებულ რედაქციას, დაწვრილებით განიხილავს უცნობი ავტორის ნინოს ცხოვრებას და წერს, რომ „უცნობი ავტორის მოკლე რედაქციის ტექსტი... არის არა უბრალო შემოკლება არსენ ბერისეული მეტაფრასული რედაქციისა, არამედ, იგი დამოუკიდებელი სვინაქსარული რედაქციის მსგავსი მოკლე რედაქცია“³⁶.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ყუბანეიშვილი, ილ. აბულაძე, ე. გრიგოლია, შ. ბადრიძე, თ. მგალობლიშვილი, ი. ლოლაშვილი, ც. ჭურციკიძე და მრავალი სხვა მკვლევარი შეისწავლიან და განიხილავენ ნინოს ცხოვრების „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ და ჭელიშური რედაქციებისა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებსა და მათ წყაროებს, რიფსიმიანთა მარტვილოზისა და გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების სომხურ თარგმანებს, ანუ აგათანგელოსის ისტორიის ძველ ქართულ თარგმანებს და იკვლევენ საქართველოს გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხსა თუ მოვლენას.

29 ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, ტფ., 1891, გვ. XXVI.

30 თ. ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ნაწ. II, ტფ., 1897, გვ. III—IV.

31 Ал. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. II, Тф., 1897, с. 55.

32 აღ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 205.

33 ს. კაკაბაძე, წმ. ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, ტფ., 1912, ტ. 3, გვ. 5—14.

34 ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924, გვ. 165—167.

35 იქვე, გვ. 179.

36 ქ. ცხადაძე, უცნობი ავტორის ნინოს ცხოვრება, საიუბილეო კრებული კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 397.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდული რედაქციისა და წმინდა ნინოს ქართლისაჲს“ მატიანეს ტექსტებს განიხილავს ივ. ჯავახიშვილი ძველქართულ საისტორიო მწერლობაში, ხოლო ქართველი ერის ისტორიაში მისი წილისა და მისი მემკვიდრეობის შესახებ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭებს საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ყველა ენაზე არსებულ წყაროებსა და გამოკვლევებს. ისტორიკოსი თვლის, რომ საქართველო ვაქრისტიანა წმ. ნინომ ბაკურ დიდის მეფობის ხანაში (ასევე ფიქრობენ ვ. ბოლოტოვი და ვ. გოზალიშვილი). ამ დებულებას მრავალი მკვლევარი არ იზიარებს. მაგ., კ. კეკელიძე წერს, რომ საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე იყო არა ბაკური, არამედ მირიანი, და რომ მირიანი იყო არა კონსტანტინე დიდის თანამედროვე (როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი. — ნ. ც.), არამედ მისი შვილის — კონსტანტი კეისრისა (იმავეს ამტკიცებს არჩ. ბარამიძე). ამასთანავე კ. კეკელიძე დასძენს, რომ მირიანმა საქართველოში შემოიღო არიანული წარმოსობის ქრისტიანობა, ხოლო რაც შეეხება ბაკურს, მან პირველმა შემოიღო ნიკეა-კონსტანტინოპოლის ფორმის ქრისტიანობა ე. წ. „მართლმადიდებლობა“³⁷.

როგორც ცნობილია, მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ივერია განათლა წმ. ნინომ მირიან მეფის დროს IV ს-ის პირველ ნახევარში. ზუსტი თარიღი საქართველოს მოქცევისა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. ის მერყეობს 318 (ვ. ვილიამი, ი. დურნოვო) — 357 (არჩ. ბარამიძე) წლებს შორის. ამასთანავე, საქართველოს გაქრისტიანება წმ. ნინომდე უფრო ადრე სხვა მისიონერებსაც მიეწერებოდა.

ძველი გადმოცემის თანახმად, ანდრია პირველწოდებული I საუკუნეშივე მოეწვინა დასავლეთ საქართველოს. მ. ჯანაშვილი მოგვითხრობს, რომ ქრისტეს ჯვარციმიდან სულ მცირე ხნის შემდეგ საქართველოში მოვიდა ანდრია მოციქული, რომელმაც იქადაგა ქრისტეს მოძღვრება აქარაში, სოფელ ზედან გორში, აწყვერში, საქრისში, ნიგლაში, არტან კოლასა და კლარჯეთში, შემდეგ წავიდა იერუსალიმში საიდანაც კვლავ დაბრუნდა სხვა მოციქულებთან ერთად. მათ „ამოვლეს ჭოროხის ხეობა ქადაგებითა და მოძღვრებით, განაღეს იმერეთი და მოვიდნენ სვანეთს. მის მოსაქცევად ანდრიაჲ დასტოვა მოციქული მატათა მოწაფეებითა და თვითონ მოციქული სიმონ კანანელი წაიყვანა და წავიდა ოსეთს და მივიდა ფოსტაფორსა და ბოსფორს; შემდეგ ჩამოვლეს აფხაზეთს, ქალაქ ცხუმს... აქ მოკლეს სიმონ კანანელი... ანდრიაჲ მოვლო ჯიქეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და წავიდა სკვითას“³⁸ (ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობას „ქართლის ცხოვრებაჲ“ ადასტურებს).

ანდრია პირველწოდებულთან დაკავშირებით ამბები დაწვრილებით შეესწავლა ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომში — „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ — იგი კრიტიკულად განიხილავს ქართლის მოქცევის შესახებ არსებულ ყველა წყაროს და დასძენს: რომ „VIII—IX საუკუნეების ქართველებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ არაფერი უნდა სცოდნოდათ. ამიტომევე, რომ ამაზე უფრო ადრინდელ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეშიც ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობაზე არც არის რაიმე ნათქვამი“³⁹.

ასევე ძველი გადმოცემის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა გრიგოლ განმანათლებელი (ავთანგილოსის ისტორიის არაბული

37 კორ. კეკელიძე, ივერიის ქრისტიანობის საკითხებთან, თბ., ეტიუდები, ტ. 3, 1955, გვ. 18.

38 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1906, გვ. 115.

39 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1979, გვ. 226.



ვერსია), თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, აქაც წმ. ნინომ იქადაგა ქრისტეს მოძღვრება; ოღონდ იგი წმ. გუგუნიანის გოლის მიერ იყო გამოგზავნილი. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „ამნაირად პოსაველეთის ქართველებს ორი მისიონერი ჰყოლიათ. მტკვრის სამხრეთით ე. წ. გუგარქში, ქრისტიანობა გაუერცვლებიათ სომხეთში მოქმედ მისიონერებს, რომელნიც შემდეგ გრიგოლ განმანათლებლის პიროვნებაში განსახიერებულან, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით იბერია-ჰერეთში, ტყვე-დედაკაცს, რომელსაც წვენ ნინოს ეუწოდებთ. ასე რომ, როდესაც ეს ორი ნაწილი გაერთიანდა პოლიტიკურად, ეკლესიურად და კულტურულად, აქ შეხვდნენ ერთმანეთს გრიგოლისა და ნინოს სახელები, როგორც ქართველთა განმანათლებლებისა“⁴⁰; მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ საქართველოში წმინდა ნინოს კულტის შექმნა დაკავშირებულია სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ განხეთქილებასთან⁴¹; ლ. ჯანაშია კი ფიქრობს, რომ ქრისტიანობის გავრცელება და ოფიციალურ კულტად მიღება შედეგი იყო არა რომელიმე მქადაგებლის მოღვაწეობისა, არამედ ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა⁴². ამავე აზრს იზიარებს გ. გოზალიშვილიც. იგი წერს, რომ ქართლში ქრისტიანობის გავრცელება შეუძლებელია რომელიმე მქადაგებელს მიეწერებოდეს. ეს იყო „ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ლოგიკური დასკვნა... რომელიც შინაარსობრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების წილში მიმდინარეობდა“⁴³. რაც შეეხება ქრისტიანობას, საქართველოში იგი ჯერ კიდევ I საუკუნეში არსებობდა, ხოლო IV საუკუნის 30-იან წლებში იგი მხოლოდ ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადდა⁴⁴.

უძველესი ხანის ქართულ და ებრაულ ქრისტიანობათა ურთიერთობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პ. ინგოროყვა. იგი გვაუწყებს, რომ ქართველებმა ქრისტიანობა ებრაელებისგან მიიღეს და ამიტომ ნინოს ცხოვრების ავტორი ცდილობს, ქართველ ებრაელებს გაუკეთოს რეაბილიტაცია. „ამ რეაბილიტაციის გზით ისახავს მიზნად მოახდინოს რეაბილიტაცია ქართული ეკლესიისა და ქართული ქრისტიანობის უძველესი ტრადიციებისა“⁴⁵.

ქრისტიანობა რომ ადრევე არსებობდა საქართველოში, ამას ა. ბოგვერაძეც ადასტურებს. ეს სარწმუნოება ჯერ კიდევ III საუკუნეში ვრცელდებოდა „და ადგილ-ადგილ... მოსახლეობა მცირე ქრისტიანულ თემებშიც იყო გაერთიანებული“⁴⁶, — გადმოგვცემს იგი.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების ისტორიას შეისწავლის ნ. ლომოურიც და ვარაუდობს, რომ აქ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 325—330 წლებს შორის მეფე მირიანის დროს⁴⁷.

40 კორ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმოხილველი, ტფ., 1926, გვ. 46; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 4, თბ., 1957, გვ. 290.
 41 მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966, გვ. 98—104.
 42 ლ. ჯანაშია, ქართლი IV ს. პირველ ნახევარში, ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 11, თბ., 1973, გვ. 67.
 43 გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაქერი, თბ., 1971, გვ. 31.
 44 იქვე, გვ. 60.
 45 პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თბ. კრებ., ტ. IV, თბ., 1988, გვ. 329.
 46 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 13.
 47 ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 83.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ არსებულ ცნობებსა და ლიტერატურული წყაროების განხილვას ეძღვნება ი. ლოლაშვილის მონოგრაფია „არსენ იყალთოელი“. კერძოდ, იგი აღნიშნავს, თუ რატომ არსენ იყალთოელმა ჰაგიოგრაფიული მოთხრობა „წმინდა ნინოს ცხოვრება“. განიხილავს ამ ნაწარმოებს, მის წყაროებს და დასძენს, რომ „ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა არსებითად იმეორებს „ქართლის მოქცევისა“ და ლ. შროველის რედაქციებს. ოღონდ, როგორც ვთქვით, ძველ ამბავს ზოგან ამოკლებს, ზოგან ავრცობს, ან ამა თუ იმ ფრაზას სცვლის საკუთარი შეხედულებებისამებრ“⁴⁸.

არჩ. ბარამიძე აცხადებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში შესული „ნინოს ცხოვრება“ „კრიტიკულ გარჩევას მოითხოვს და, რაც მთავარია, იგი თვითმხილველთა მიერ არაა ჩაწერილი“⁴⁹. საწინააღმდეგოს ამტკიცებს შ. ჩხარტიშვილი. იგი გვაუწყებს, რომ „ნინოს ცხოვრება“ მეოთხე საუკუნის ძეგლია; ხოლო ცხოვრების ვრცელი რედაქციის „ავტორია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ძის მეუღლე სალომე უჯარმელი“⁵⁰. ეს ის სალომეა, რომელმაც, ნინოს ცხოვრების ტექსტის თანახმად, ჩაიწერა ნინოს მონათხრობი და რომელიც ასევე ხშირად მოიხსენიება ნინოს ცხოვრების რუსულ ვარიანტებშიც; ხოლო, რაც შეეხება რუსულ ისტორიულ ცნობებს, ისინი ქართველთა განმანათლებლის სახელს არ იცნობენ აქ აღნიშნულია მხოლოდ, რომ ეს იყო უცხო ტყვე ქალი. როგორც ცნობილია, ასევე მოიხსენიება ნინო მრავალ ქართულ თუ უცხო ენაზე დატულ წყაროებშიც. ამიტომ, ეკვს გარეშეა, რომ ეს ტყვე ქალიც ივერიელთა განმანათლებელი წმინდა ნინოა.

ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილეთ ქართულ და რუსულ ენებზე არსებული ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული შრომები და წყაროები. რასაკვირველია, მათი სია სრულყოფილი არ არის; გარდა ამისა, ჩვენ ჭეղატვრით ვერ გამოვიყენეთ უცხო ენებზე დაწერილი შრომები, რასაც შემდგომში აუცილებლად გავითვალისწინებთ.

Н. Ш. ЦИХИСТАВИ

ИСТОРИОГРАФИЯ ГРУЗИНСКИХ И РУССКИХ ТЕКСТОВ «ЖИТИЯ СВЯТОЙ НИНО»

Резюме

В хронологическом порядке рассмотрены существующие по данной проблеме исследования и материалы, дан их анализ и сделана попытка систематизации материала по отдельным аспектам проблемы.

Кроме того, в статье приводятся русские источники, о существовании которых было известно и раньше, но которые не были опубликованы.

Сопоставление грузинских, армянских, преческих, коптских, сирийских, арабских и русских источников позволяет нам воссоздать наиболее полную картину проникновения и развития в грузинской и русской литературах культа святой Нины.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშილიძმა

⁴⁸ ივ. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 78.

⁴⁹ არჩ. ბარამიძე, იბერიაში ქრისტიანობის შემოსვლის საკითხისათვის, ქართული ისტორიოგრაფია, წიგ. II, თბ., 1975, გვ. 97.

⁵⁰ შ. ჩხარტიშვილი, „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია, მნათობი, 1987, № 5, გვ. 149—154.

ნანა მიჩაშვილი

„პირველყოფილი ჰარმონიის“ მოტივი ადრეგიზანტიზმისა
და ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში

კ. კეკელიძე ქართულ-ბიზანტიური სამწერლობო პარალელების განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ორ მოტივზე. ესენია: „ხორცთა განლევა“ და „პირველყოფილი ჰარმონია“¹. ყურადღება პარალელებისადმი, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თავისებური სქემები, ანუ ანდაზები, რომლებიც შეიმუშავა ბიზანტიურმა ჰაგიოგრაფიულმა ლიტერატურამ, ჯერ კიდევ წინამეტაფრასულ ხანაში, სავალდებულო გახდა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვისაც. ეს სქემები გამოვლინდა არა მარტო ლიტერატურულ ფორმაში, არამედ სიუჟეტურ მოტივებშიც. ჩვენი მოკრძალებული ცდაა, სახისმეტყველების ფონზე უფრო ფართოდ წარმოვადგინოთ პარალელში „პირველყოფილ ჰარმონიაში“, რომლის გამომხატველია „ცხოველთა მოტივი“.

„პირველყოფილი ჰარმონია“, ღმერთის მიერ შექმნილ ბუნებაში რომ სუფევდა, დაირღვა მას შემდეგ, რაც ქვეყანას მოევლინა ბოროტება. გაქრა მგლისა და კრავის, ქორისა და მტრედის, ადამიანებისა და გარეული ცხოველების შეგობრული ურთიერთობა. მაგრამ კაცობრიობა მისწრაფვის ამ ურთიერთობის აღდგენისაკენ, მეტადრე იღვწიან წმინდანები, ე. წ. მართალი ადამიანები, რომელთაც მიეწერებათ ჰარმონიის შექმნა. მათ შეძლეს თანაზომიერების დამყარება არა მარტო საკუთარ სულსა და ხორცს შორის, არამედ გარეშე, ფიზიკურ ბუნებაშიც, რასაც მკვეთრად გამოხატავს „ცხოველთა მოტივი“². განსაკუთრებით გავრცელებულია და ცნობილი ადამიანისაგან მხეცთა და შორჩილებისა და მოშინაურობის ასახვა. აი, ამის ერთი ნიმუში გერასიმე წილიორდანელის „ცხოვრებიდან“ კორნელი კეკელიძის თხრობით:

ერთხელ გერასიმე მდინარე იორდანის ნაპირას სეირნობდა, აწაზღუდულად უდაბნოდან გამოვარდა უზარმაზარი, შესახედავად საშინელი, გაშმაგებული ლომი, რომელიც ხტოდა და ყვირილით ამქლავებდა, რომ მას რაღაც სტკიოდა. ტოტს უწვდიდა და თითქოს შეზრალეხასა და დახმარებას სთხოვდა გერასიმეს. თურმე მხეცს ტოტში მსხვილი ქაცვი შესობია. იარა გაშმიხეზებია და ტოტი გასივებია, ხორცი გარშემოღობია და გამოუთქმელი ტკივილები გამოუწვევია. გერასიმე არც შეშინდა და არც დაიბნა; მივიდა ლომთან, გამოუღო ქაცვი, დამბალი ხორცი შემოაცალა, გაუწმინდა იარა და შეუხვია კიდევაც. ლომი იმწამსვე დამშვიდდა; როგორც ბატყანი, უკან გაჰყვა გერასიმეს მონასტერში და ერთი წუთითაც აღარ მოშორებია. სჰამდა იმავე საზრდოს, რასაც მისი გადამრჩენელი, სახელდობრ — ჰურის ნამცვეცებს. ის წლების მანძილზე ცხოვრობდა მონასტერში და ბერებს დაუმეგობრდა.

მონასტერში ჰყავდათ ერთი სახედარი, რომლის ზურგიცაე შორეული მდინარიდან წყალს ეზიდებოდნენ. ამ სახედრის მოვლა გერასიმემ მიანდო ლომს. ლომი დიდი ხნის განმავლობაში ერთგულად და ბეჯითად ასრულებდა დავალებას. ერთ დღეს ლომს საძოვარზე დაეძინა. სახედარი ბალახს გაჰყვა და თავის მკველს კარგა მანძილით დაშორდა. ამ დროს გაიარა ერთმა მექარავენე არაბმა,



რომელმაც დაინახა რა უპატრონო სახედარი, გაიგდო წინ და წაიყვანა. ლომს რომ გამოეღვიძა და სახედარი ველარ იპოვა, შეწუხდა ძალიან. წაიყვანა ნასტერში და დარცხენილი, დაღონებული, თვალტრემლიანი და თავდაღუნული მივიდა გერასიმესთან. როდესაც გერასიმემ დაინახა უსახედროდ დაბრუნებული ლომი, ეჭვი დაებადა, რომ ლომს ლომობამ სძლია. ამიტომ ტკბილად უთხრა მას: რა ჰქენ, ლომო? შენ შეჭამე სახედარი, რომელსაც ამდენხანს ძალღვივით სდარაჯობდი? ალბათ იუკადრისე ძაღლობა და ისევ ლომობა განიზრახე, მაგრამ იცოდე, ლომად ვერ დარჩები; ამიერიდან შენ იქნები იმ სახედრის ნაცვალი. უბრძანა ბერებს — აკვიდონ ლომყოფილს ჭურჭელი და აზიდვიონ წყალი მდინარიდან. ლომი, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

გავიდა ხანი. ლომი მდინარეზე წაიყვანეს წყლის მოსატანად. ამ დროს შემთხვევით გამოიარა მექარავენემ; ოდესღაც რომ მონასტრის სახედარი მოიპარა, მასზევე იჭდა. ლომმა იცნო სახედარი, მოსწყდა ადგილს და მისკენ გაექანა. ჭურჭმა სახედარი მიატოვა და თავს გაქცევით უშველა. ხოლო ლომმა ჩაავლო კბილები სახედრის ლეგამს, ნაპოვნი მეგობარი თან წაიყვანა და დიდი სიხარულით მიჰგვარა ბერებს. მონასტრის წინამძღვარი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მიუალერსა ლომს და ყოველგვარი სავალდებულო სამსახურისაგან გაათავისუფლა.

ადამიანისა და ლომის ანალოგიურ სიუჟეტს ვხვდებით საბა პალესტინელის „ცხოვრებაშიდაც“⁴. ამ ნაწარმოების 43-ე თავის თემა ეს არის. ოღონდ ერთი საინტერესო გარემოება უნდა აღინიშნოს: თავიდან სიუჟეტურად სრული თანხედრობაა გერასიმე წიაღიორდანელის ცხოვრებასთან. მაგრამ ლომს ცოდვისათვის ანდახას, მაგალითს უჩვენებს სამეთვალყურეოდ მიჩენილი ის მოწაფე საბასი, რომელმაც ჩაიხშო ადამიანური ვალის შეგრძნება და ცხოველზე უწინ დაარღვია პირველყოფილი ჰარმონია. მაშინ ლომმაც დაივიწყა ადამიანური სიკეთე და დაგლიჯა სახედარი, რომელსაც თვით მწყემსავდა. აქედან შეიძლება ერთი დასკვნა გამოვიტანოთ: „პირველყოფილი ჰარმონია“ დამყარებული იყო წმინდანთა სხეულში არსებულ „ჰარმონიაზე“ სულსა და ხორცს შორის: ამიტომ მხოლოდ მათ ძაღლდვით გარეული ცხოველების დამორჩილება. მაგრამ როდესაც დაირღვა სიწმინდე ადამის მოდგმათა სულსა და ხორცს შორის, დაირღვა პირველყოფილი ჰარმონიაც ცხოველებს შორის. თუ ლომის სიმბოლიკის ღრმად ტრადიციულ ფესვებს გავითვალისწინებთ (სირლოტს აქვს ლომის სიმბოლიკა შესწავლილი თავის „სიმბოლოთა ლექსიკონში“⁵), ვფიქრობთ, ეგებ ლომს, ვითარცა ქვესკნელის მზეს, ან მზეს თავისთავად ჭრილობას უამებდა ადამიანი. მზის ასეთი გათიშვა — ქვესკნელის მზე და მზე თავისთავად — იქნებ იმ რეალიას ასახავდეს, რომ ახალგაზრდა ლომი ამომავალი მზეა, ანუ მზე თავისთავად, ხოლო ბებერი ლომი — ჩამავალი, ანუ ქვესკნელის მზე.

შიო მღვიმელის „ცხოვრებაშიდაც“ სახისმეტყველებით არის დატვირთული შიოს მიერ მხეცთა მოწინაურების მოტივი⁶. მონასტრის სახედრებს მხეცებზე შეეჩვივნენ და ძალიან ავიწროებდნენ მათ: რადგან ადგილი ტყიანი და კლდოვანი იყო, ბერებმა ვერაფერი გააწყვეს. „მაშინ წმიდა მამა ჩუენი შიო ევედრება უფალსა, რადთა სახილველ მისსა ყენეს მკეცი იგი. ხოლო ლოცვასა მისსა თანა ყოველნი იგი მკეცი მოვიდეს წინაშე ბერისა“ არა ორფეოსული გალობის ძალით, არა იმ ძალით, შემდგომ რუსთველის ავთანდილს რომ ექნება. არამედ ჭრისტეს ვედრებით დაიმორჩილა მან მგლები და ერთ მგელს ჩააბარა მონასტრის სახედრები სამწყესად.

როგორც ვხვდავთ, ეს ეპიზოდები სიუჟეტურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შიოს „ცხოვრების“ ეპიზოდი

ეხება არა ლომს, არამედ მგელს, რადგან პალესტინის უდაბნოებისათვის ლომი ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო საქართველოს ფაუნისათვის მგელია უჩვეულო. დამახასიათებელი.



იქნებ უფრო შორსაც გავიხედოთ. „მგელი“ ხომ საქართველოს უცხოური სახელწოდების ძირში დევს, როგორც ტოტემი. გავიხსენოთ ვახტანგ გორგასალის მუხარადი და სვანური წმინდა დროშა, ე. წ. „ლემი“ (= ლომი), რომელსაც მგლის ფორმა აქვს. ამის შესახებ გარკვეული მოსაზრება ჰქონდა აკადემიკოს გიორგი წერეთელს (გამოუქვეყნებელი დარჩა).

წმინდა აღამიანები ცხოველთა „მხეცურ“ ბუნებას ჭვრის გადაწერითაც გარდაწმინდენ ან იშინაურებდნენ ლოცვითა და სახარების კითხვით. ასე დაიმორჩილა იორდანის უდაბნოში ზოსიმე ბერმა სახარელი ლომი („მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“). მარიამ მეგვიპტელის საფლავის გათხრა მოხუცმა ზოსიმემ ვერ შეძლო, რადგან მიწა მშრალი იყო და შეშით ვერ თხრიდა. „და იხილა ლომი ერთი... ხოლო ზოსიმე იხილა რამე მკეცი იგი, შეეშინა ფრთხვად (მივაქციოთ ყურადღება: აქ შიში მხნეობის ტოლფასია — ნ. მ.), რამეთუ მოეცხენა სიტყუად იგი წმიდისა მის, რომელი თქუა: „არცა თუ მკეცი მიხილავს, არამედ ჭუარითა ქრისტესითა“. შეიჭურა თავი თვისი და პრწმენა... და იწყო ლომთან წინათა ფერტთა აღმოკუცთად და თხრად საფლავი, რომელი კმა ეყოფევოდა დამარხვად გუამისა მისისა“⁷.

ჭვრის გადაწერითვე იშინაურებდა ცხოველებს გრიგოლ ხანძთელი. წმინდა შიო კი ლოცვით მოუხმობს მხეცებს („ცხოვრება შიოასი და ევაგარსი“). ამ ლოცვის მოსასმენად მხეცი მოდიან. შიოს „ცხოვრებაში“ მეტად საინტერესოდ და ლამაზად არის გადმოცემული ტყიან, კლდოვან ადგილას მდგომი წმინდანის ლოცვაზე ცხოველთა შეყრა მის გარშემო.

როგორც დესკრიფტიულად ვაჩვენეთ, „ცხოველთა მოტივი“ პაგიოგრაფიაში გულისხმობს წმინდანის მიერ ამა თუ იმ ცხოველში ჰარმონიისაკენ სწრაფვის გალვიებას.

იოანე ზედაზნელმა დაამშვიდა თავისი შეშინებული მოწაფე და თვითონ წაიდა დაუთთან (ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“). „ბერი მივიდა და პრქუა დაუთსა მას: „უტუეთუ არა მისუამს, სუ და წარვედ, და გეტყვ — ამიერიტვან ნურვის აენებ კაცთაგანსა, რაყამს შეგემთხვიოს კაცი მთასა ამას ზედა... ხოლო ვითარცა ესე პრქუა ბერმან, დაუვ მას მორჩილ ექმნა, ვითარცა მონა და თავდადრეკით და მყუდროებით წარვიდა...“⁸ მამსადაამე, სწორედ ისევე, როგორც თავდადრეკილობით აღამიანთა საყუდელი იპოვებოდა ტაძარში, მზეზე უწინარეს გაღმერთებულ მთვარის ტაძარში, მთვარისა, რომლის სამსხვერპლო ცხოველიც, როგორც ჩანს, დათვი იყო¹⁰.

წმინდა ნისიმე სახარების კითხვით იმორჩილებდა ცხოველებს („ცხოვრება ნისიმისა“). სახარების წართქმანზე „ნადირნი ველისანი შემოკრბიან ქუეწარმძრომითურთ ქუეყანისაჲთ და ფრინველნი ცისანი გარემოადგებიედ მას და ისმენედ კითხვასა მისსა სამქამითაგან, ვიდრე ცხრაჲ ეჲამადე“¹¹.

იქნებ არ იყო შემთხვევითი „სამქამითგან ვიდრე ცხრაჲ ეჲამადე“. ამ ორი რიცხვის უჩვეულოდ საკვირველი სიმბოლიკა და ურთიერთკავშიარი მუსიკოლოგისა და მედიევეალურ, მასთან აღრინდელ პოეზიაში შესწავლება როგორც სამამულო, ისე უცხოურ სამეცნიერო შტუდიებში, რომლებიც სწორედ „სუეროთა ჰარმონიასა“ და სამისა და ცხრის სახისმეტყველებას ეხება¹².

წმინდანების „ცხოვრებათა“ აღწერისას შეიძლება შევხვდეთ ისეთ ეპიზოდებსაც, როდესაც ჩვეულებრივი მოკვდავი წმინდა ღმრთისმსახურთა და მხეველთა სახელების ხსენებით იცავდნენ თავს მტაცებელი მხეცების თავდასხმი-

სავან. სვმიონ მესუეტის სახელი ფარად ექვა ყველას გამძვინვარებულ ნადირთა წინაღმდეგ („ცხოვრება სვმიონ მესუეტისა“)¹³.

დავით გარეჯელს არა დასჭირდა არც ლოცვა, არც წართქმა სანაღმურეთსა („ცხოვრება დავით გარეჯელისა“): როდესაც ბერებს გაუჭირდათ უდაბნოში და სარჩო-საბადებელი შემოეღიათ, ცხოველები თვით ეახლნენ მათ დასახმარებლად.

„მეყუხუღულად მოვიდეს სამნი ირემნი, რომელთა უკუანა სდევდეს ნეტარნი მათნი და ამოუდგეს წინაშე მათსა, ვითარცა ცხუვარნი დამშკდებულნი“¹⁴.

ხოლო ლომმა აღდგომი იგრძნო იოანე შეყენებულის სიახლოვე და უხმოდ მოერიდა. წმინდანს არაფერი უთქვამს მისთვის („ცხოვრება იოანე შეყენებულისაჲ“)¹⁵. ასე რომ, ამ ნიშნით, კერძოდ, პირჯერის წერის, ლოცვის და სახარების დაუჭირებლობით და უსაკლისობით, ირმის გვერდით დგას ლომი და ჩვენ თვალწინ იხსნება გრანდიოზული სიმბოლიკა.

გარდა ზემოხსენებულ იგავთა, გრიგოლ ხანძთელის არსებობა იგრძნო ირემმა, რომელსაც მონადირეები მისდევდნენ („ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“). „მაშინ მიჰმართა მონაზონთა მათ შორის, განვლნა ყოველნი და მივიდა, ვითარცა ვონიერი ნეტარისა გრიგოლისსა და თვისი თავი ზედა კელთა მის წმიდისათა დადვა და რეცა ტიროდა მოწვეულისა მისთვის ბოროტისა. ხოლო მან ნუგეშინისცა და ჰრქუა: „საბელითა ქრისტესითა ვერ განვონ მტერთა ამათ შენთა, ნუ გეშინინ!“ და იხილეს რა კაცთა მათ, განუკურდა ფრიად და აღიდებდეს ღმერთსა“¹⁶. თუ ამ მავალითების ურთიერთმიმართებას დავუშვებთ, როგორც ზოგადის კერძო გამოვლენას, მაშინ გრიგოლ ხანძთელი ლომის იგავად, ანუ ნიმუშად, ივლლება.

როგორც ვხედავთ, აღამიანის გვირგვინოსნობა სამყაროში ექვიმუტანელთა, წმინდანები იფარავენ მხეცებს თავიანთ სენაკებში. აბურებენ და ჩააგონებენ აღამიანური სიყვარულის ბაძვას, მაგრამ უთუოდ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ წმინდანებივე სჯიან სიკეთესმოკლებულ ცხოველებს.

სვმიონ მესუეტემ სამართლიანად დასაჯა მხეცი, რომელიც მტილში შემოვიდა. გარდა ამისა, წმინდა სვმიონმა ლომი გამოიყენა წარმართთა დასასჯელად, რათა ეჩვენებინა მათთვის ქრისტეს ძალა და მადლი. კერძოდ, ლომს უნდა შეეჭამა კრავი, რომელიც წარმართებს ანგარებით უნდოდათ შეეწირათ ქრისტესთვის¹⁷. აქ ქრისტე-ტარიგის გასხვისებაა აშკარად. ხოლო როდესაც წმინდა მამამ ლომს „სიხენეშე“ შეამჩნია, ისევე დასაჯა, როგორც დავით გარეჯელმა უღმობელი ვეშაპი, ჩასაფრებული მონასტერთან და დაუნდობელი სხვა ნადირთა მიმართ. „და წმიდა დავით აღაყვა თავამდე მთისა მის და იწყო ვეშაპმან უმადლერად-რე სლვა. და ვითარცა განვიდა მინდორსა, უდაბნოსა მიმართ მივიდოდა... ჰრქუა მას — „დავით“ და მან იხილა გარე, და მიხედვასა მას მისსა ვეშაპსა მას ეცა მეზი და დაიწუა იგი სრულიად“¹⁸.

სვმიონმა თვით გამოიხმო ლომი მცირედმორწმუნე ხალხისათვის სამაგიეროს მისაზღველად, წმინდა ირინეს მამას კი ცხენებმა, რომელთაც იგრძნეს უსამართლობა, ხელი მოსჭამეს¹⁹.

ირინეს „მარტვილობაში“ შევხვდით მოლაპარაკე ცხენებს. საინტერესოა, რატომ არ ალაპარაკეს ავტორებმა ცხოველები დანარჩენ ნაწარმოებებში? შეიძლება იმიტომ, რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცათ წმინდანთა სასწაულები-სათვის, რადგან ცხოველის ალაპარაკება მეტად არარეალურია. ცხენებმა არ დაზოგეს წარმართი მამა, ქრისტესთვის წამებული ქალი გადაარჩინეს და შურიც იძიეს. სიკეთის ფრთებით მქროლავ რაშებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.



რადგან მაშინ უძველესი ხოთონიური კულტები და ჰიპოლოგიური ტრაქტატებით უნდა დაგვეწყოს.

„ცხოველთა მოტივი“ მეტად გავრცელებული და პოპულარული ყოფილა როგორც ბიზანტიურ, ასევე ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ბიზანტიური ლიტერატურის გავლენას, მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში გამოყენებული სიუჟეტები მოკლებულია ეროვნულ თვითმყოფადობას და ზუსტად იმეორებს ბიზანტიურს. იმდენად მრავალფეროვანია სიუჟეტური ქარგა და იმდენად განსხვავებულად ვითარდება ცხოველთა დამორჩილების სცენები ბიზანტიურსა და ქართულ ლიტერატურაში, რომ გზადაგზა გამოტანილი დასკვნების გამეორებას ზედმეტად მივიჩნევთ.

უმრავლესობა ბიზანტიური თხზულებებისა, რომლებშიც ამ მოტივზე აგებული ეპიზოდებია, ქართულ ძეგლებთან შედარებით უფრო ადრე შეიქმნა და ადრევე ითარგმნა. მაგალითად: „ცხოვრება საბა პალესტინელისა“ კირილე სკვითოპოლელმა დაწერა 555 წელს, ხოლო ითარგმნა VIII საუკუნის დასაწყისში, ასევე სვიმონ მესუეტის „ცხოვრება“ კვიპროსის მთავარეპისკოპოსის არქადის 596 წელს დაუწერია. ასე რომ, ჩვენი „მამები“, რომელთაც წაკითხული ჰქონდათ ეს ძეგლები, ცდილობდნენ ქართულ ჰაგიოგრაფიაში გადმოეტანათ ის პრობლემები და საკვანძო საკითხები, რასაც აყენებდა ბიზანტიური ჰაგიოგრაფია. რა გავწყობა, ასე უნდა დავასკვნათ, რადგან არათუ ქრისტიანობამდელი, არამედ ადრექრისტიანული ბევრი ქართული წერილობითი წყარო ხელი არა გვაქვს.

ლიტერატურა

1. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 103—107.
2. იქვე, გვ. 104.
3. Сборник палестинской и сирийской агнологии. Палестинский сборник, XIX, вып. 3, გვ. 115—135, 131—152.
4. კიმენი, II, თბ., 1946, გვ. 178.
5. J. E. Ciriot, a Dictionary of Symbols, London, 1973, გვ. 189.
6. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 160—161.
7. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 1709, გვ. 121.
8. ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 160.
9. ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 159.
10. J. E. Ciriot, დასახ. ნაშრ., გვ. 23.
11. კიმენი, ტფ., 1918, გვ. 152.
12. ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან: ვ. გვანარია, ქართულ მესოკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962; ლ. კვიციკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კოზმოზიკა, თბ., 1982. ამასთანავე იხ. რუსული და უცხოური სპეციალური ლიტერატურა.
13. კიმენი, I, გვ. 237—242.
14. ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.
15. კიმენი, I, გვ. 22.
16. ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.
17. კიმენი, I, გვ. 205—206.
18. ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.
19. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 596, გვ. 74—75.

Н. Ш. МИРАШВИЛИ



«ПЕРВОЗДАННАЯ ГАРМОНИЯ»
В РАННЕВИЗАНТИЙСКОЙ И ГРУЗИНСКОЙ
АГИОГРАФИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

«Первозданная гармония» является довольно распространенным и популярным мотивом не только в византийской, но и в грузинской агнографической литературе. Разумеется, мы не отрицаем влияния византийской литературы, но несмотря на это, многие сюжеты в грузинской агнографии оригинальны, насыщены народной самобытностью и не повторяют византийских сюжетов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

მ ა ი ა ღ ი ა ს ა მ ი ძ ი

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ბ ი ბ ლ ი თ რ ი ტ ი მ ს ტ ი ს ს ფ ო რ მ ბ ი ს
ე რ თ ი ბ ვ ი ნ ა ნ დ ე ლ ი შ მ ი მ თ ხ ვ ე ვ ა

ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ბიბლიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დღესდღეობით შეუძლებელია ქართული ენის, მწერლობისა და კულტურის საკითხთა კვლევა ბიბლიის ქართული თარგმანის გათვალისწინების გარეშე. მისმა შესწავლამ მძლავრი ბიძგი მისცა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეს, ნათელი მოჰფინა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მრავალ პრობლემას.

ბიბლიურ წიგნთა თარგმნა, როგორც ვარაუდობენ, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისთანავე დაუწყიათ ქართველებს. ბიბლიის მთლიანი ტექსტი კი, სამწუხაროდ, მხოლოდ გვიანდელი (X—XVIII სს.) ხანის ხელნაწერებმა შემოგვინახეს. ბიბლიის ქართულმა ვერსიებმა საუკუნეთა მანძილზე რედაქტორ-გამმართველთა ხელში მრავალჯერ განიცადეს შესწორება, რის გამოც ჩვენამდე თავდაპირველი სახით ვერ მოაღწიეს. ბიბლიურ წიგნთა გამართვისა და სწორების ერთ-ერთ ეტაპს მე-17—მე-18 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ქართული სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ ფართოდ გაშალა მეცნიერული და ლიტერატურული საქმიანობა ბიბლიურ ტექსტთა შესაკრებად და მოსაწესრიგებლად. ვახტანგ მეექვსეს მიერ ჩამოყალიბებულ სტამბაში ძირითადად საეკლესიო წიგნებს ბეჭდავენენ. სტამბის მოქმედების პერიოდში, 1709—1722 წლებს შორის, გამოიცა კიდევ სხვადასხვა სახის საეკლესიო ლიტერატურა, მაგრამ ამ საქმიანობაში ჩაბმულ მოღვაწეთა სანუკვარ ოცნებას ქართული ბიბლიის მთლიანი ტექსტის ბეჭდურად გამოცემა წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წიგნთა შეკრება დაუწყიათ სულხან-საბა ორბელიანის მამის — ქართლის მდივანბეგის, ქართული მწერლობის მოამაგის — ვახტანგ ორბელიანის ბრძანებით¹. ბიბლიის ტექსტზე მომუშავე ერთ-ერთი მეცნიერი კი თავად სულხან-საბა ორბელიანი ყოფილა, რომელსაც ტიტანური შრომა გაუწევია ქართული ბიბლიის სრული ტექსტის აღსადგენად.

მუშაობის პროცესში მას ხელთ არ ჰქონდა ქართული ბიბლიის მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის წიგნსაცავში ინახებოდა. საბას წინაშე დადგა ურთულესი ამოცანა, მოეძია და აღედგინა ის ბიბლიური წიგნები, რომელთა სრული ნუსხები იმ დროს საქართველოში აღარ მოიპოვებოდა². დღესდღეობით უკვე გარკვეულია, რომ ბიბლიურ ტექსტთა დაქებნა, შეკრება-შეკვება, რედაქტირება, მუხლებად და თავებად მათი დაყოფა სწორედ სულხან-საბა ორბელიანის შრომატევადი საქმიანობის ნაყოფია³. იგი ვახტანგ მეექვსესთან ერთად შეუდგა კიდევ ბიბლიის ტექსტის

¹ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 168.

² უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, „მეფეთა წიგნები“ ძველი აღქმის მცხეთურ ვერსიაში და მისი წყაროები, „მრავალთავი“, 12, თბ., 1986, გვ. 21.

³ მცხეთური ხელნაწერი, ნაწ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981, გვ. 8.

ბეკდვას, მაგრამ მოასწრო მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებისა და აქტიური
ელექტრის გამოცემა, რომელიც ლუკას სახარებაზე წყდება.

ვახტანგამდე კი ქართული ბიბლიის გამოცემის საქმეს საფუძველად უნდა მივიჩნიოთ
მეფემ ჩაუყარა, რომელიც სასტამბო მოღვაწეობას მოსკოვის მახლობლად,
სოფ. ვესევიატსკოეში შეუდგა. ქართული შრიფტი ამსტერდამელ ცნობილ
ისტატს ნიკოლოზ კისს შეუკვეთა 1685 წელს⁴. თავად კი შერჩა და საფუ-
ძლიანად გადაამუშავა მოსკოვთან წაღებული ბიბლიური წიგნები. ამ საქმეში
მას თანადგომასა და დახმარებას ძმისწული ვახტანგი უწევდა, რომელიც ბიძას
საქართველოდან თხოვნისამებრ უგზავნიდა საჭირო მასალებს. არჩილის ბიბ-
ლიოლოგიური მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის 1743 წელს ბაქარ
ბატონიშვილის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი ბიბლიის წინასიტყვაობა, საიდანაც
ვგებულობთ, რომ „...მოგენბა (არჩილს) რუსულსა დაბადებასა ზედა განმარ-
თვად და გასწორებად. ხოლო... განმართა და შეეწყო თვინიერ მუხლთა,
თავად-თავად. ხოლო მაკაბელი თვით ეთარგმნეს და ზირაქი ავრეთვე. და დიდ-
ნი შრომანი დაედუნნეს და დიდნი ჭირნი მოეთმინნეს მუშაკობასა ამას ში-
ნა“⁵. სამწუხაროდ, არჩილის განზრახვა მის სიცოცხლეშივე ვერ აღსრულდა,
მან მხოლოდ დავითნის დაბეჭდვა მოახერხა მოსკოვში 1705 წელს.

ვერც ვახტანგ მეექვსემ შეძლო ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა.
„არცალა მას სცა ეამძან და დრომან ამომან და ქცევადმან და დაუშთა მასცა
ეგრეთვე შეუსრულებლად“⁶.

არჩილისა და ვახტანგის მიერ დაწყებული საქმე მხოლოდ ბაქარ ბაგრა-
ტიონმა მიიყვანა ბოლომდე. 1743 წელს მოსკოვში მან თავისი ხარჯით და
იოსებ სამებელის ზედამხედველობით ქართული ბიბლიის სრული ტექსტი
გამოაქვეყნა. ამ მოვლენას უდიდესი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნე-
ლობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში.

ბიბლიის ტექსტი სინოდის კატეგორიული მოთხოვნით სლავურის მიხედ-
ვით გაუმართავთ. ბიბლიურ წიგნთა სლავურთან შედარება დაუვალეზიანთ ბა-
ქარის ძმის ვახუშტისათვის, რომელსაც ჩვეული გულმოდგინებით გაუსწორე-
ზია შემდეგი წიგნები: შესაქმე, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე
სჯულისა, ისუხი ძისა ნავესი, მსაჯულთა, რუთისა, ოთხი წიგნი მეფეთა ორი
წიგნი ნეშტთა, სამი წიგნი ეზრასი, ნეემიასი, ტობიასი, ივდითისი, ესთერისა,
იობისა, ივანე, ეკლესიასტე, ქება-ქებათა, ისო ზირაქისა და მაკაბელთა⁷.

ტირაქის სიმცირის გამო (300 ც). წიგნი მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვია-
თობას წარმოადგენდა.

„მიუხედავად იმისა, რომ გამოცემელნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რა-
თა ბიბლია უნაკლო ყოფილიყო, მაინც ვერ აიცილეს თავიდან ზოგიერთი
მსხვილი დეფექტი. ჯერ ერთი, ისინი მეტად მონურად მისდევდნენ სლავურ
ტექსტს და ქართული ენის ბუნებას ხშირად დალატობდნენ; მეორე, რაც უფ-
რო სავალალოა, მათ სლავური ენა არც ისე ზედმიწევნით იცოდნენ, ამიტომ
ზოგიერთი ადგილი ვერ გაუგიათ სისწორით“⁸.

ბიბლიის ბეჭდვა 1743 წლის 1 მაისს დასრულდა. 1745 წელს ბაქარმა
თხოვნით მიმართა სინოდს, რათა გაცემულიყო ნებართვა ასი ცალი ბიბლი-
ის საქართველოში გაგზავნის შესახებ, იქაური ეკლესია-მონასტრების საჭირო-

4 ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

5 ბიბლია, მოსკოვი, 1743, გვ. 2001.

6 იქვე, გვ. 1.

7 იქვე, გვ. 2002.

8 ქ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 427.



ეპისთოვის, მაგრამ სინოდმა არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. ბაქარის მიერ ყუთში ჩალაგებული და გასაგზავნად გამზადებული ცალების საქართველოში წამოღების ნება სინოდმა ბაქარის გარდაცვალებიდან თერთმეტი წლის შემდეგ, 1761 წელს დართო ქართველებს⁹.

ჩვენთვის ცნობილი არ არის, რა ბედი ეწია პირველნაბეჭდი ქართული ბიბლიის ასსავე ცალს. ზოგი ეამთა სიავის გამო დაიკარგა, ბევრი კი, საბუნდუნოდ, გადარჩა და საქართველოს სხვადასხვა წიგნსაცავებსა და ბიბლიოთეკებშია დაცული.

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბაქარის ბიბლიის 21 ეგზემპლარია დაუნჯებული. მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო ცალია $K \frac{36}{609}$. საინტენტარო დავთარში რეგისტრირებულია 1935 წლის 5 მაისს. ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნი შემოსულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდთან ერთად.

ეგზემპლარის აღწერილობა, ბიბლია, მოსკოვი, 1743 (36 X 26) — ყდა სის, ყავისფერტყავადაკრული, მოტივიფრული. ყდის ხე მარცხენა მხარეს მთელ სიგრძეზე გატეხილია. ყუა მოტივიფრულია. დაყოფილია შვიდ სეგმენტად. თითოეულის ცენტრში ყვავილებია, კუთხეებში ორნამენტები. ფორზაცად გამოყენებულია მოყვითალო ფერის ქალაღი, რომელზეც დაცულია მომცრო თეგი წარწერით: Сурской фабрики. Сергеева н. ამავე გვერდზე დაცულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საკლასიფიკაციო ნიშანი. ნომერი 5797 და თეგი.

წიგნში ნაბეჭდი ტექსტი იწყება [11] გვერდიდან. წინა ტექსტი [1—10] გვ. აღდგენილია ხელნაწერით. რაგ [163]-დან რეკ [198] გვერდამდე ფურცელთა ქვედა კიდეები რესტავრირებულია მოყვითალო ფერის ქალაღით და აღდგენილია ხელნაწერით. გვ. რეთ [199]-დან სლა [231]-მდე კვლავ აღდგენილია ხელნაწერით.

აღდგენილი ტექსტი შესრულებულია ლამაზი მხედრული ხელით, რომელიც გამოირჩევა მკვეთრი და მოქნილი მოხაზულობით.

წიგნი დეფექტურია. აკლია სახარება და სამოციქულო — პეგ [793] — ჩი[1010] გვ.

აღდგენილი ნაწილი წიგნისა, ნაბეჭდისგან განსხვავებით, ყველგან მხედრულითაა, ციფრები — არაბულით. აღმდგენელს გამოყენებული აქვს ყავისფერი და ცისფერი მელანი. ძირითადი ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელანით. ხოლო ცისფრით კი გამოყოფილია ნაბეჭდში მსხვილი შრიფტით აწყობილი ადგილები.

თავფურცელი და ყველა სხვა გვერდი აღდგენილია ზუსტად ისე, როგორც ნაბეჭდ ტექსტშია.

აღდგენილია თავფურცლის მეორე გვერდიც ბაგრატიონთა გერბითურთ, შესაბამისი წარწერებით. აღდგენილი სარჩევის ყოველ სათაურს კი სომხურთ შესატყვისი აქვს მიწერილი.

მინაწერები: 1. წინ ჩართულ სუფთა ფურცელზე აღმდგენლის ხელით: „ქ. წმიდაო ეკლესიაო კაცისავე, მცირე ესე ნამუშავევი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (ულ)“.¹⁰

⁹ ს. ყუბანეიშვილი, რუსულ-ქართული კვლევითი ურთიერთობის ისტორიიდან მე-18 საუკუნეში, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 10, თბ., 1956, გვ. 227.

¹⁰ ულ [430] = 1312 + 430 = 1742.

2. აღდგენილი თავფურცლის ტექსტის დასასრულ იმავე ხელით: „წმინდა მართლ-მორწმუნე კათოლიკეთა ეკლესიაო, მცირე ესე ნამუშავენი დაწინააღმართებულნი შეიწიროე ახალციხით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულბაჲსაჲნიან სტეფანეს ძე ნებიერიძეს ამინ (განვაახლე 18³/₃ 62 სამზღლუარსა შინა სამ-ცხისასა)“¹¹.

3. აღდგენილი საძიებლის ბოლოს, ყავისფერი მელნით: „უძღვნი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას პ. რაფიელ ნებიერიძე“. იქვე მისი მონოგრაჲმია: R. N. ანალოგიური მინაწერი მონოგრაჲმითურთ დაცულია ჩოდ [1074] გვერდზეც.

4. მ. [40] გვერდის ბოლოს ყავისფერი მელნით აღმდგენლის მინაწერია: „დიდება შენდა ლმერითო! რამეთუ ღირს მყავ მე განხილვად შესაქმისა ამის, რამელქი ესთარგმნე შემოწმებითა ნამდვლთა ბიბლიათა თანა; კუალად ჭერ არს ჩემდა განმეორებით განხილვად მისი, რათა თვნიერ შეტომისა ეგოს იგი საუკუნოდ (ახალციხელი იოანე სტ. ნებიერიძე)“.

5. აღდგენილი 209-ე გვერდის ბოლოს: „დიდი განხილვა უნდა ამ ხუცურს დაბადებასა და მსურს შემოწმება სხუათა ბიბლიათა თანა და მოსპოვად ცთომილებათა და განმართად მათთა. ივ. სტ. ძე ნებიერიძე ახალციხელი“.

6. რმგ [143] გვ-ის ქვედა არშიაზე „მიჩქოელი, ტიფი, თესალონოსი, ხარდონი ესენი ლექსიკონებში არსად სწერია, და ესრეთნი სახელნი ბერძნული უნდა იყოს და არა ქართული, მათს ნაცულად სხვა სახელები დავსწერე თარგმით, რაც რომ სხვა ენის დაბადებაში ეწერა სწორეთ. ივ. ნებიერიძე, ახალციხელი“.

7. უმმ [458] გვ-ზე, დავითის გრავეურის ქვეშ დაბეჭდილ ნუსხურ წარწერას აღმდგენლის ხელით მიწერილი აქვს შესატყვისი მხედრულით, მოცისფრო მელნით: „ეფუცა უფალი დავითს ქეშმარიტებითა და არა შეურაცხ ჰყო იგი; ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსტა საყდართა შენთა“. ცოტა ქვემოთ კი: „იოანე სტეფანეს ძე ნებიერიძე ახალციხელი“.

8. ბოლო აუნუსხავ [10] (2002) გვ.-ზე აღმდგენლის ხელით: „დაიბეჭდა 1742“.

როგორც მინაწერებიდან ირკვევა, მღვდელს, იოანე ნებიერიძეს ბიბლიის ტექსტის რედაქციული შესწორება განუზრახავს. აღდგენითი, სარედაქციო და ლექსიკოლოგიური სამუშაო მას ბაქარის ბიბლიის ამ ეგზემპლარშივე ჩატარებია. სწორებისას იგი ფრთხილად ეკიდება ძირითად ტექსტს. არასწორად მიჩნეულ ადგილს გადაახავს და სტრიქონის ზევით წერს საყუთარ ვარიანტს. ვარდა იმისა, რომ ტექსტი ნასწორებია ლექსიკურად და ტექსტობრივად, მასში შეტანილია აგრეთვე ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შესწორებანიც. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს არშიებზე შესრულებუ-

¹¹ იოანე სტეფანეს ძე ნებიერიძე მე-19 ს-ის მეორე ნახევარში ახალციხეში მცხოვრები კათოლიკე მღვდელი იყო, რომლის მოღვაწეობა ჭრჭჩობით სთანადად არ არის შესწავლილი. მისი ბიოგრაფიის ცალკეული მომენტები გაშუქებული აქვს შ. ლომსაძეს (მესხეთ-ქავასეთი, თბ., 1975, გვ. 509—510), ბეჭდურად კი გამოქვეყნებულია ი. ნებიერიძის მოგონებათა მხოლოდ ერთი ნაწილი („მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგობიჭების მოტაცებისა და ვაჭრობის შესახებ“, გამოსცა ხ. ახვლედიანი, ბათუმი, 1948). სრულად შეუსწავლელია ი. ნებიერიძის ბიბლიოლოგიური და ლექსიკოლოგიური მოღვაწეობა. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ი. ნებიერიძის რამდენიმე ნაშრომი: ელფი, რომელ არს სამითხე, გინა წალკოტი, უმწიერი ბაღი (Q 524); ბიბლიის წიგნების საკითხავები (Q 508); კრებული (S 4872); ქართული ლექსიკონი (S 5011). მათი შესწავლა და გამოქვეყნება მომავლის საქმეა.



ლი სამეცნიერო — ქართულ-სომხურ-რუსული მინაწერები, რომლებიც შინა-
 არსობრივად რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

არშვიტზე შესრულებული მინაწერების შესახებ უფრო დაწვრილებულ
 ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. რაც შეეხება რედაქტორულ სამუშაოს,
 ზიბლიის ყველა ნაწილში თანაბარი სიხშირით როდია ჩატარებული. გარკვე-
 ული წიგნები ნასწორებია ინტენსიურად, ზოგს კი იშვიათად შეეხებია რედაქ-
 ტორის კალამი. ი. ნებეირიძეს ინტენსიურად ჩაუსწორებია: დაბადება, გამო-
 სვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულისა, ისუ ნავესი, მსაჯულთა,
 იგავნი სოლომონისა, ეკლესიასტე, ქება-ქებათა, პირველი თავი ისო ზირაქისა.

ვინაიდან საქმე გვაქვს ზიბლიის ტექსტის გააზრებულ, შეგნებულ გად-
 მუშავებასთან¹², შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ი. ნებეირიძის მიერ ნასწორები
 ზიბლიის სახით ხელთა გვაქვს ძველი აღთქმის ტექსტის გარკვეული ვარიანტი.

აქვე შევჩერდებით ნებეირიძისავე მინაწერებზე, რომელთა შესწავლა
 ნათელს ჰგენს ამ წიგნის ისტორიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს:

1. მე-40 გვერდის ბოლოს და 209-ე გვერდის ქვედა არშიაზე, ხელნაწერით
 აღდგენილი გვერდის დასასრულს დაცულია ი. ნებეირიძის ორი მინაწერი:

პირველის შინაარსი ასეთია: „ღიდება შენდა ღ[მერ]თო! რ[ამეთუ] ღირს
 მყავ მე განხილვად შესაქმისა ამის, რ[ომელი] ვსთარგმნე შემოწმებითა ნამდ-
 ვილთა ბიბლიათა თანა: კულად ჯერ არს ჩემდა განმეორებით განხილვად მი-
 სი, რათა თვინიერ შეცთომისა ეგოს იგი საუკუნოდ“. ხოლო მეორესი კი: „დი-
 დი განხილვა უნდა ამ ხუტურს დაბადებასა, და მსურს შემოწმება სხტათა
 ზიბლიათა თანა და მოსპოვლად ცთომილებათა და განმართლად მათთა“.

ამ ორი მინაწერის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზიბლიის
 ტექსტში რედაქტორული სამუშაოს ჩატარება ი. ნებეირიძის თავდაპირველ
 მიზანს არ წარმოადგენდა. მას მხოლოდ და მხოლოდ ძალზე დეფექტური წიგ-
 ნი ჰქონია ხელთ და მისი აღდგენა განუზრახავს. დეფექტური ადგილების
 შესასვებად მას მიუმართავს ბაქარის ბიბლიის სხვა სრული ცალისათვის (ამა-
 ზე მიუთითებს სიტყვასიტყვით გადმოწერილი ტექსტი, თავფურცელი და
 ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოვებული გერბის მოხატულობა) და დაუ-
 წყია ნაკლები ადგილების ხელნაწერით შევსება. მხოლოდ და მხოლოდ მუშა-
 ობის პროცესში მისულა იმ დასკვნამდე, რომ „ღიდი განხილვა უნდა ამ ხუ-
 ტურს დაბადებასა“ და შეცდომათა მოსპობის მიზნით განუზრახავს ტექსტის
 შემოწმება და განმართვა სხვათა მიხედვით. ეს გადაწყვეტილება მიუწერია
 კიდევ მის მიერ აღდგენილი ტექსტის ბოლოს. რაც შეეხება მეორე მინაწერს,
 ეს თანმიმდევრულად უფრო ადრე, მე-40 გვერდზეა დაცული. მაგრამ ქრონო-
 ლოგიურად შედარებით გვიანდელია. შესრულებულია მას შემდეგ, რაც რე-
 დაქტორმა დაამთავრა შესაქმის, ანუ მოსეს ხუთწიგნეულის, შემოწმება და
 კვლავაც აპირებს თავისი საქმიანობის გაგრძელებას, რათა „თვინიერ შეცთო-
 მათა ეგოს იგი საუკუნოდ“. ამ ვარაუდს ამართლებს აგრეთვე რედაქტორის
 კალიგრაფიაც.

2. ყურადღებას იქცევს თავფურცლის წინ ჩართულ ცარიელ ფურცელზე
 დაცული შემდეგი მინაწერი: „ქ. წმინდაო ეკლესიაო კაცხისავ, მცირე ესე ნა-
 მუშაკევი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით ძით
 და ასულით (ულ)“. ულ [430] = 1312 + 40 = 1742.

მიუხედავად იმისა, რომ მინაწერი ი. ნებეირიძის ხელით არის შესრულე-
 ბული, თარიღი — 1742 წ., ბუნებრივია, გამორიცხავს მისი ავტორობის შესაძ-
 ლელობას. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ მინაწერი რედაქტორის

¹² ამ საკითხის შესახებ იხ. Д. С. Лихачев, Текстология, М.-Л., 1964, გვ. 13.

მიერ დაზიანებული დედნიდან არის გადმოწერილი. თუ ეს ვარაუდურ სწორია, მაშინ ვინ შეიძლება იყოს ანდერძის ავტორი?



ჩვენ საშუალება გვქონდა სხვადასხვა წიგნსაცავში ბაქარის ბიბლიის კოლექციის დენიშე ეგზემპლარს გავცნობოდით. ანალოგიური მინაწერები ბიბლიის სხვა ცალკეულ ექნა აღმოჩენილი. მინაწერთა ავტორად ბაქარ ბატონიშვილი გვევლინება. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

1. მიუბოძეთ წმიდა ესე დაბადება ყიზლარელის იაკობის მღრდლის შვილს გაბრიელს მთავარსა, საქართველოს მეფის ბაქარის მოსახსენებლად

(საჯარო, K $\frac{33}{609}$).

2. წმიდა ესე დაბადება საქართველოს მეფის ბაქარის ნაჭირნახულევი მის ნეტარსხენებულის სულის მოსახსენებლად ფიქარეთის დეკანოზს შიოს მიუბოძეთ¹³.

3. ქ: გიბოძეთ წმიდა ესე დაბადება მეფის ბაქარის ნაჭირნახულევი წინამძღვარს მოსეს, სულისა მისის საოხად და მოსახსენებლად (ხელნაწ. ინსტ. წ. 3112).

4. მიუბოძეთ წმიდა ესე დაბადება საქართველოს მეფის ნაჭირნახულევი მის მოსახსენებლად... მამუკა ქავთარისშვილს (ხელნაწ. ინსტ. № 139).

5. წმიდაო ეკლესიაო ნინოწმიდისაგ, მცირე ესე ნამუშავევი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით ძით და ასულით (საჯარო,

K $\frac{74}{609}$).

6. ქ. სიონთა ღ'თის მშობელო, სასოო ჩემო მცირე ესე ნამუშავევი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (უნ., F 19837).

7. ქ. სამების ეკლესიაო, მცირე ესე ნამუშავევი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით. (უნ., F 19840).

8. ქ. წალკას წმიდასა ეკლესიასა შემოგწირავ მცირესა ამას ნამუშავევსა ჩემსა დაბადებასა რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (უნ., წ. 19835).

ზემოთ მოყვანილი მინაწერებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავს წარწერებს ბაქარის ბრძანებით უკეთებდნენ მოსკოვიდან საქართველოში გამოსავზავნ სასაჩუქრო ეგზემპლარებს. ამასთან კერძო პირისათვის განკუთვნილი ანდერძის ტექსტი განსხვავებოდა ეკლესია-მონასტრებისათვის განკუთვნილ წიგნთა ანდერძებისაგან.

ჩვენს განსახილველ ეგზემპლარზე დატული მინაწერიც ბაქარის ანდერძის ტიპური მაგალითია.

თუ დაუტყვირდებით, ბაქარის არც ერთი ანდერძი დათარიღებული არ არის. ჩვენს შემთხვევაში კი ანდერძს მიწერილი აქვს თარიღი ულ (1742), რომელიც მრგვალ ფრჩხილებშია ჩასმული. თუ განსახილველი ანდერძი ბაქარს ეკუთვნის, გაუგებარია მისი 1742 წლით დათარიღება. (თავფურცლის მონაცემების მიხედვით წიგნი ხომ 1743 წელს დაიბეჭდა).

ჩვენი ვარაუდით, თარიღი მინაწერზე ი. ნებეირიძის მიერ არის დამატებული. ამის საფუძველს გვაძლევს ბიბლიის ბოლოსიტყვაობის დასასრულს

¹³ მინაწერი მოგვყავს ფ. სიხარულიძის სტატიიდან „ბაქარის ნაჭირნახულევი“, „საბჭოთა ჟურნალი“, თბ., 1980, № 8, გვ. 89.

მისი ხელით შესრულებული მინაწერი: „დაბეჭდა 1742“. ეს მონაცემი აღმდგენელს ბიბლიის ბოლოსიტყვაობიდან გადმოუღია, სადაც ნათქვამია, „ქრისტეს აქეთ ჩლმბ [1742] სექტემბერსა ზ[7] განსრულდა“. როგორც ჩანს, ი. ნებიერძის სწორედ 1742 წელი მიაჩნდა ბიბლიის დაბეჭდვის თარიღად. ბაქარის ანდერძსაც უღ (1742) ამიტომ მიაწერა.

ი. ნებიერძის მიერ რედაქტირებული ბიბლიის ტექსტზე მუშაობისას წვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ. მოსეს ხუთწიგნეულის პირველი თავისათვის — შესაქმე — რედაქტორს ებრაული შესატყვისი მიუწერია: „ხოლო ებრაელებრ ითქმის „ბერესით“. ბიბლიის დანარჩენ რედაქტირებულ ნაწილში პარალელური ებრაული სახელწოდება არც ერთი თავის დასაწყისში ი. ნებიერძის მიერ მოყვანილი არ არის.

ძველი აღთქმის წიგნები ქართულ ბიბლიაში ჩვეულებრივ ბერძნულს მიხედვით არის ხოლმე დასათაურებული. ბერძნული სათაურები საკმაოდ განსხვავდება ებრაული მასორეთული ტექსტის წიგნთა სახელებისაგან. მაგ., დაბადებას ებრაულად ჰქვია ბერესით, გამოსვლათას — ველესემოთ, მეორე სჯულისას — ელლე ათდებამამ და ა. შ. ებრაული სახელის მოხსენება სათაურში უცხოა ქართული ტრადიციისათვის. ებრაული სახელწოდებები არ გვხვდება არც ათონის ბიბლიაში, არც ბაქარის გამოცემაში. გამონაკლისს წარმოადგენს მცხეთური ბიბლიის ტექსტი, რომელსაც მრავალი რედაქციული თავისებურება ახასიათებს და მათ შორის ერთ-ერთი — წიგნთა დასათაურება ებრაული სახელწოდებებით. ამ პრობლემას, სულხან-საბა ორბელიანის რედაქტორულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მზ. შანიძემ¹⁴. მისი დასკვნით, წიგნთა ებრაული სახელწოდებები მცხეთურ ხელნაწერში სულხან-საბა ორბელიანს ამსტერდამში 1666 წელს გამოცემული სომხური ბიბლიიდან გადმოუტანია¹⁵. მართლაც, სომხური ბიბლიის ტექსტში ებრაული სახელწოდებები გვხვდება ბიბლიის ამსტერდამულ, ანუ ვოსკანის, გამოცემაში და მის მიხედვით დაბეჭდილ სომხური ბიბლიის ტექსტებში. რაც შეეხება სომხური ბიბლიის მეორე რედაქციას, 1805 წლის ვენეციის ე. წ. ზოპრაბისეულ გამოცემას, მასში ებრაული სახელწოდებები დაბეჭდილი აღარ არის. ებრაული ფორმები არ გვხვდება არც სლავურ ბიბლიაში.

თავდაპირველად გავეჩინდა ეჭვი, ხომ არ ჰქონდა ი. ნებიერძეს რაიმე კავშირი ბიბლიის მცხეთურ რედაქციასთან? ამის გასარკვევად მის მიერ ჩასწორებული ტექსტი მცხეთურ ხელნაწერს¹⁶ შევეუდარეთ. შედარებამ სხვაობა გვიჩვენა. რაც შეეხება შესაქმის ებრაულ სახელწოდებას, მცხეთურში იგი ამ ფორმით არის დატული: „წიგნი დაბადებისა, რომელსა ეწოდების ებრაელთაგან ბერესით“. 1666 წლის სომხური ბიბლიის ამსტერდამულ გამოცემაში კი, სათაურის ფორმა ასეთია: „*ჭირკ მზნეიგ, ირ ესა სერაიხეიგნ ასი ჩერესიქ*“ როგორც ვხედავთ, ი. ნებიერძისეული ვარიანტი — „ხოლო ებრაელებრ ითქმის ბერესით“ — სომხური სათაურის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს რედაქტორის მიერ 1666 წლის სომხური ბიბლიის გამოყენებას. გარდა 1666 წლის გამოცემისა, ი. ნებიერძემ მუშაობის პრო-

¹⁴ მზ. შანიძე, მცხეთის ბიბლიის წიგნთა დასათაურებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 17, № 10, 1956, გვ. 952—957. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილი, თბ., 1981, გვ. 10—13.

¹⁵ იქვე, გვ. 957.

¹⁶ მცხეთური ხელნაწერი, მოსეს ხუთწიგნეული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაუთმო ელ. დოჩანაშვილი, თბ., 1981.

ცესში იყენებდა ვენეციის 1805 წლის ე. წ. ზოპრაბისეულ გამოცემასაც, რომელიც მე-19 ს-ში კანონიკურ ტექსტად ითვლებოდა, ძირითადი ტექსტის სწორედ ამ გამოცემის მიხედვით ჩაუსწორებია. (ამის შესახებ ქვემოთ ვახსენებ სუბარს).

რით შეიძლება აიხსნას რედაქტორისაგან მხოლოდ და მხოლოდ პირველი თავის დასათაურება ებრაულის მიხედვით?

მუშაობის პროცესში ი. ნებეირიძე ნახავდა, რომ ვენეციის გამოცემაში ებრაული სათაურები არსად მითითებული არ არის. ებრაული სახელწოდებების გარეშეა დაბეჭდილი სლავური ბიბლიაც, როგორც ჩანს, შემდგომში აღარ ჩათვალა საჭიროდ და ებრაული სახელწოდებები არსად აღარ მითითებია.

თავდაპირველად ვივარაუდებთ, რომ რედაქტირებისას ი. ნებეირიძეს ხელთ მხოლოდ 1666 წლის ამსტერდამული ბიბლია ჰქონდა. გადაწყვეტიტთ სწორედ ამ გამოცემისათვის შეგვედარებინა ი. ნებეირიძის მიერ ჩასწორებული ტექსტი-საწყის ეტაპზე ჩვენი ყურადღება მიიქცია რედაქტორის მიერ აღდგენილმა სარჩევებმა. ი. ნებეირიძისეულ ბიბლიაში სამი სარჩევია. პირველი მოლავსებულია აღდგენილ (5—6) გვერდებზე, ხოლო ის ფურცელი კი, რომელზეც მეორე და მესამე სარჩევია მოთავსებული, ჩართულია იქ, სადაც იწყება ნაბეჭდი ტექსტი, ანუ [11] გვ-ის წინ. ნაბეჭდი ტექსტის მსგავსად, რედაქტორი მაქსიმალური სიზუსტით აღადგენს როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის სარჩევს. თან სახელწოდებათა გასწვრივ პარალელური სომხური შესატყვისები მოჰყავს. რაც შეეხება მეორე სარჩევს, იგი შედგენილია საკუთრივ ამ წიგნისთვის. აქ რედაქტორი მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნთა ჩვენებით იფარგლება და მიზეზი გასაგებია. წინამდებარე ეგზეგმლარს აკლია სახარება და სამოციქულო. მკითხველს რომ საქმე გაუადვილოს, ამისთვის საძიებელში, წიგნთა სახელწოდებების გასწვრივ, რედაქტორი უთითებს იმ გვერდს, რომელიც ამა თუ იმ თავს წინამდებარე ეგზეგმლარში უკავია. ნაკლები ადგილებს ხელნაწერით აღდგენის დროს გვერდთა თანმიმდევრობა არეულა. ბეჭდურად მიითებულ გვერდთა ნომრები მათ ფაქტობრივ მნიშვნელობას აღარ ემთხვეოდა. პაგინაციის მოსაწესრიგებლად ი. ნებეირიძეს ხელახალი აღნუსხვა გაუკეთებია. მეორე სარჩევში იგი სწორედ გვერდის ახალ მნიშვნელობას უთითებს და უიოლებს მკითხველს საქმეს საჭირო თავის მოსაძებნად. პარალელური სომხური შესატყვისები წიგნთა სათაურებს ამ საძიებელშიც ახლავს. რაც შეეხება მესამე სარჩევს, ის მთლიანად სომხურია. შეიცავს როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებს.

ქართული და სომხური საძიებლის შედარებამ გვიჩვენა, რომ წიგნთა თანმიმდევრობით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ქართული სარჩევი იმეორებს რუსული ბიბლიის სახელწოდებათა რიგს. (ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ბაქარის ბიბლიის გამოცემლები სლავურის მიხედვით ასწორებდნენ ტექსტს). ხოლო სომხური ქართლისაგან იმითაც განსხვავდება, რომ დამატების სახით ახლავს შვიდი არაკანონიკური წიგნი: ზირაქი, სიტყვა ზირაქისა, III ეზრა, მანასეს ლოცვა, კორინთელთა ეპისტოლე პავლეს მიმართ, განსუენება იოვანესი და ევთალეს დარიგებანი. ი. ნებეირიძის მიერ შედგენილი სომხური სარჩევის შედარებამ 1666 წლის ვოსკანისეული ბიბლიის სარჩევთან სახელწოდებათა განსხვავებული ფორმები გვიჩვენა. იმავე სარჩევის შედარებამ 1805 წლის ვენეციის გამოცემასთან კი ცხადყო, რომ ნებეირიძისეული სომხური სარჩევი ზუსტად ემთხვევა 1805 წლის გამოცემის სარჩევს და, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით იმეორებს წიგნთა სახელწოდებებს.



დებებს. სწორედ ამ გამოცემას ახლავს დამატების სახით ზემოთ დასახელებული შვიდი არაკანონიკური წიგნი: *Սիրաք, Խոսք Սիրաքայ, Եզր Երբեք, աղյծք Մանասէի, Թուղթ Կրնթացուց առ Պապուս, Լանգիստ Լիվանուս աղբրս Լեւիպի.*

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მუშაობის პროცესში ი. ნე-
ბიერიძე სწორედ 1805 წლის ვენეციის ბიბლიას იყენებდა.

აქვე მოკლედ შეეჩერდებით სომხური ბიბლიის გამოცემებზე.

სომხური ბიბლიის სრული ტექსტი პირველად 1666 წელს დაიბეჭდა ამ-
სტერდამში, არქიმანდრიტ ვოსკანის ღვაწლითა და შრომით. სწორედ ამის
გამო მას ვოსკანისეულს უწოდებენ. ამ გამოცემას დაბეჭდვისთანავე კრიტი-
კულად შეხვდნენ სომეხი მოღვაწენი, რომლებიც ბრალს სდებდნენ ვოსკანს
იმაში, რომ მან ლათინურისა და ძველი სომხურის სათანადო ცოდნის გა-
რეშე ჩაასწორა ბიბლიის ტექსტი¹⁷. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ვოსკა-
ნისეული ბიბლია 150 წლის განმავლობაში ითვლებოდა კანონიკურად. ამაზე
შეტყველებს ბიბლიის შემდგევი ორი გამოცემა 1705 და 1733 წლებსა, რომ-
ლებიც ზუსტად იმეორებენ ვოსკანისეულ ტექსტს. ბიბლიის 1666 წლის გამო-
ცემის ტექსტი შეცვალა 1805 წლის ვენეციის ე. წ. ზოპრაბის ბიბლიამ. იოანე
ზოპრაბი (ზოპრაბიანი) იყო ვენეციელ მხითარისტა კონგრეგაციის წარმო-
მადგენელი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ლათინურ და ძველ სომხურ
ენებს. ვენეციის გამოცემას ახლავს კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და საე-
სებით შეესაბამება თავისი დროის მოთხოვნებს. იგი დაბეჭდილია ოთხ ტო-
მად. ზოპრაბის ტექსტის მიხედვით დაიბეჭდა 1817 წლის პეტერბურგის, 1860 წ.
ვენეციის, 1893—95 წ. კონსტანტინოპოლის გამოცემები. ამრიგად, მე-19 საუ-
კუნეში ბიბლიის კანონიკურ ტექსტად ითვლებოდა 1805 წლის გამოცემა და
სამეცნიერო წრეებშიც სწორედ ის იყო მიღებული.

იმის საილუსტრაციოდ, რომ რედაქტორი სომხური ბიბლიის მიხედვით
ასწორებს ტექსტს, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. B—ლიტერით აღვნიშ-
ნავთ ბაქარის ბიბლიის ძირითად ტექსტს, N-ით ი. ნებიერიძისეულ ვარიანტს,
S-ით კი 1805 წლის ვენეციის სომხურ ბიბლიას.

1. B. და არღარა იყოს მერმე წყალი რღუნისა ვითარმცა აღკოცა ყოველი
ზორცი.

N. და არღა იყოს მერმე წყალი რღუნისა მოსპოლვად ყნისა კორციე-
ლისა.

S. և ոչ ևս հղիցի ջրն զիկի ի սատակն զամ մարմին (შესაქმე 9, 15).

2. B. ლალადყავთ, რამეთუ მოგცა თქუენ უფალմან ქალაქი ესე.

N. აწ ლალადყავთ, რამეთუ მოგտցა უფალմან ქალაქი ესე კելთა
ჩუժնთა.

*S. արդ սոպղակեցէք քանդի մատնեսց տէր ի ձևս մ հ
զ ք ք ղ ք* (იხუ ნავე, 6, 16).

3. B. და გამოილო ქუეყანამან მწვანელი თივისა: მთესველი თესლისა
ნათესაობისაებრ

N. და გამოილო ქუეყანამან მწვანელი თივისა მთესველი თესლისა ნა-
თესაობისაებრ, რომელ არს ყოველსა ქვეყანასა ზედა.

*S. և հնան հրկիր բանջար խոտի սերմանն և սերմն որ է ի
վ կ ղ ր ա ղ ա մ հ ն ա լ ն հ ղ կ ղ ի.* (შესაქმე, 1, 12).

4. B. და შექმნა ღმერთმან კაცი. ხატებად ღმრთისა შექმნა იგი

¹⁷ Месроп Тер-Мовсисян, История перевода Библии на армянский язык, Спб., 1902, 83. 32.

N. და შექმნა ღმერთთან კაცი ხატებად თვსად; ღმრთისა ხატებისაებრ შექმნა იგი.

S. *ს არარ არ ღმარცხ ხ ყათსხრ ხარ. ესა ყათსხრს ასათიბი არარ გნა* (შესაქმე, 1, 27).

5. B. ნუ ეშურებინ სიკუდილად მაცთურებთა ცხორებასა თქვენსა.

N. ნუ გსურთ სიკუდილად მაცთურებთა ცხორებასა თქვენსა.

S. *შხ ვანსკაუქ ძანო მლირიქჩხს სხნაყ ბხრივ.*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიბლიის არშიებზე შესრულებულია მრავალრიცხოვანი მინაწერები, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1. გლოსები. 2. ტექსტში მოცემულ ქართულ სიტყვათა შესაბამისი სომხური და რუსული მნიშვნელობები. 3. ლექსიკურ ერთეულთა სინონიმური ვარიანტები

ნაბეჭდ ტექსტში, განსამარტავი სიტყვის თავზე, ხშირ შემთხვევაში რედაქტორი სვამს პირობით ნიშანს. გამოაქვს ეს ნიშანი სიტყვის გასწვრივ არშიაზე და იქვე იძლევა მის განმარტებას. ზოგ შემთხვევაში კი უბრალოდ გასწვრივ განსამარტავ სიტყვას და გასწვრივ მიუწერს განმარტებას. ტექსტში რედაქტორის მიერ გამოყენებულია სხვადასხვა პირობითი ნიშანი, რომელთა შორის რაიმე კანონზომიერების დადგენა არ მოხერხდა.

მინაწერთა საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: გლოსები

1. B. ამისთვის ეწოდა სახელი მისი ე დ ო მ.

მინაწერი: ედომ ნიშნავს მწითურსა (შესაქმე, 25, 30).

2. B. ამისთვის უწოდა სახელი ადგილისა მის კ ა რ ვ ე ბ.

მინაწერი: კარვებ ნიშნვენ სოკქოსთა, ესე იგი ფარებებსა, საცხტრებსა, გომებსა (შესაქმე, 33, 16).

3. B. და მოკუდა დებორა მ ზ ა რ დ უ ლ ი რებეკასი.

მინაწერი: ძიძა, დედა მძუძე, გამომზრდელი, მრჩენელი, ძუძუსმტე *ყახსან*, КОРМИЛИЦА (შესაქმე, 35, 8).

4. B. რამეთუ ძმა ჩემი ხარ, არა მსახურებდე მე — და ა დ.

მინაწერი: მედად, მუქთად, უფასოდ, *ბრხ*, даром (შესაქმე 29,15).

5. B. და უწოდა სახელი მისი გად.

მინაწერი: *ყაყ*, *ყახათ* ბედი, სეე (შესაქმე, 30,11).

6. B. და ათნი კერძო ვირნი, კიდებულნი საგზლითა.

მინაწერი: საზრდელი, სანოვაგე, ჭამადი, ხორავი, ნუზლი, საგზალი (შესაქმე, 45,23).

7. B. და სახელსდვა სახელი მისი ესავ.

მინაწერი: ესავ ნიშნავს *მაყით* ფაჩუნერი, ბალნიანი (შესაქმე, 25,24).

ტექსტში მოცემულ ქართულ სიტყვათა შესაბამისი სომხური და რუსული მნიშვნელობები.

1. B. ხოლო განახუნა იოსებ ყოველნი ს ა ფ ქ ჯ ლ ე ნ ი.

არშიაზე: საფქვილე, мучной амбар, *ჯახმარან*.

2. B. და მეგონა სამთა ფ ე შ ხ უ ა ნ თ ა სამინდოსთა ქ ო ნ ე ბ ა ა თ ა ვ ს ა ზ ე და ჩ ე მ ს ა.

არშიაზე: *სანანაჯრი* ფეშხენი, სამინდო, სამინდალი, мука пшеничная, წმინდა ფქვილი.

3. B. და პრქუა მათ მოსე რაად აცხოვნე ყოველი ნ ე ზ ე ი.

არშიაზე: ნეზვი, коза, свинья самка, *ღქ* женского рода, დედალი, მდედრი ცხოველი. ძუ, самец, მამალი, ხუადი, მამრი ცხოველი.



4. В და იყო ფაქლი მტოკუფარი.

არშიაზე: წუთხი, ფაქლი, შალალი, струнь, ზალა, წალა, შალაღე, *сукровица*, უღმრთო, გამამტეფოღეარი, горящий, ступь მტეფოღეარი

5. В მოიღე მეათედი წარმონაღებისა მის ნატყვენავისა.

არშიაზე: *кычыл*, добныча, დავლა. ალაფი, იავარი, ნატყვენავი, ნაშოვარი, საშოვარი, საპოვარი, ნატაცები.

6. В და გამოპყოთ ზვერი უფლისაჲ კაცთა მათგან მბრძოლთა.

არშიაზე: ზვერი, дань, пошлина, *ჩაა*, ხარკი, საური, გადასახადი, ბაეი

7. В ... შესვარე სამი საწყაული სამინდო და შეჰქმენ ყუშბეღებად.

არშიაზე: *ჩაჯიქ*, სამინდო. ყვერბულა, *ჩქანა*, *ჩქანასკ* *ოქრესნოკ*. ხმიადი, ლელენგო, მსუნეგანი.

სინონიმური ვარიანტები

1. В და ათნი კერძო ვირნიკიდებულნი პურითა.

არშიაზე: *ვირჩი კამ ლე ლე*

2. და უწოდა სახელი მისი გაღ.

არშიაზე. *გაგ*, *რახოა*, ბედი, სვე.

3. და უწოდა სახელი მისი დან.

არშიაზე: *გან*, *გათოი* მსაჯული, მოსამართლე.

4. და შეიგონა ღმერთმან რამეთუ შეჰქმნა კაცი ქუეყანასა ზედა და განიგონა.

არშიაზე: *სარღაგაი*, *ღღჯაგ*, *მთაწიხი ხეღ სრამხეგა*.

5. და დააცხრო წყალი.

არშიაზე: *გოგარხაგ*, *ზოსაღხაგ* *ვირხ*

6. ამათგან განითესნეს ყოველსა ქუეყანასა ზედა.

არშიაზე: *აქიხეგან* *თარამიხეგან*.

7. ... და მუნ არს ანთრაკი.

არშიაზე: *სოსთაღ კამ მარგარქო*, *გარანაღ კამ სეღენაღარ*.

მინაწერებზე დაკვირვებისას დაიბადა აზრი, რომ ი. ნებეირიძეს ხელოვნებრივად სომხურ-რუსული ლექსიკონი. ა. ხუდაბაშიანის სომხურ-რუსულ ლექსიკონთან (გამოცემა 1838 წელს) შედარებამ გვიჩვენა, რომ რედაქტორი სწორედ ამ ლექსიკონს მიმართავდა. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს წარმოგიდგენთ. N ლიტერით აღვნიშნავთ ნებეირიძისეულ ვარიანტს, ხოლო X ლიტერით კი ხუდაბაშიანის ლექსიკონისას.

N

X

ბაღჩხაღ — цветочный, вышитый цветами
განდაყხო — Архимагир, начальник палачей
რანთაყხო — страж тюремный, тюремщик
გჩყაროღ — арестованный, заключенный, узник

ბაღჩხაღ — цветной, вышитый цветами
განდაყხო — Архимагир, начальник палачей
რანთაყხო — страж тюремный, тюремщик
გჩყაროღ — арестованный, заключенный, узник

კარქაი — куча каменевъ
ლქხლ — мучить, терзать, томить,
изнурять, насиловать, притес-
нять

კარქაი — глыба, куча каменевъ.
ლქხლ — мучить, терзать, изнурять,
удручать, обижать, притеснять.

ბიბლიის წინამდებარე ეგზემპლარში ტექსტოლოგიური სამუშაო მე-19 ს-ის მეორე ნახევარშია ჩატარებული და საგულისხმო მასალას შეიცავს ენობრივი თვალსაზრისით. ი. ნებიერიძის ენისა და სტილის საკითხები ცალკე შესწავლის საგანია. ამჟერად კი ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გამოვიტანოთ, კერძოდ:

1. ი. ნებიერიძის ბიბლიის სახით ხელთ გვაქვს ძველი აღთქმის წიგნთა ერთ-ერთი საინტერესო, თან ბოლოდროინდელი რედაქცია.
2. ბაქარის ბიბლიის ტექსტს რედაქტორის ხელში სერიოზული რედაქციული ცვლილებები განუტვინია. მუშაობის პროცესში ი. ნებიერიძეს მიუძღრათავს სხვა რედაქციის ბიბლიური წყაროებისთვის, კერძოდ, სომხური ბიბლიის 1805 წლის ვენეციის გამოცემისათვის და მის მიხედვით ჩაუსწორებია ქართული ტექსტი.
3. ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების დასაზუსტებლად რედაქტორს 1838 წელს გამოცემული ა. ხუდაბაშიანის ლექსიკონი გამოუყენებია.
4. ჩასწორებული ტექსტი საგულისხმო მასალას შეიცავს როგორც ენობრივი, ისე ტექსტობრივი თვალსაზრისით. მასში არქაული ფორმების გვერდით შესხური დიალექტური ფორმები და მე-19 საუკუნის ქართულისთვის დამახასიათებელი გრამატიკული და ლექსიკური მასალაა დაცული, რომელთა კვლევის დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის.
5. ძველის კვლევა-ძიება ნათელს ჰფენს ქართული ბიბლიის ტექსტის სწორების ისტორიის კიდევ ერთ ფურცელს, წარმოგვიდგენს სამხრეთ საქართველოში ბიბლიის ტექსტზე მომუშავე აქამდე უცნობ მოღვაწეს.

М. Д. ДИАСАМИДЗЕ

ОДИН ИЗ ПОЗДНИХ СЛУЧАЕВ ИСПРАВЛЕНИЯ ТЕКСТА ГРУЗИНСКОЙ БИБЛИИ

Резюме

В отделе редких книг и рукописей публичной библиотеки ГССР, под номером К $\frac{36}{609}$ хранится один из интересных экземпляров Московского издания грузинской Библии 1743 года. Содержащийся в нем текст Ветхого завета исправлен во второй половине XIX в. священником из Ахалциха Иоаном Небиеридзе.

Исправленный текст имеет большое значение для истории ветхозаветного текста грузинской Библии.

В статье дается анализ филолого-текстологического метода И. Небиеридзе. На основе изучения исправленного текста можно заключить, что редактор пользовался армянскими источниками, а именно, армянской Библией 1805 года.

Выявленный экземпляр грузинской Библии дает возможность проследить за историей редактирования грузинского текста Ветхого завета в XIX веке.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საისტორიო წერილობითი წყაროების განყოფილება

წარმოადგინა ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

გულნაზ კიკნაძე

ქართული ირმოლოგიონის ერთი უცნობი ფრაგმენტის შესახებ

1. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივის ხელნაწერ წიგნთა ფონდში 172-ე ნომრით დაცულია ეტრატის 2 ფურცელი, რომელიც აქ შემოსულა 1925 წ. მოსკოვის ყოფილი ლაზარეის ინსტიტუტიდან. 1949 წ. გამოქვეყნებულ არქივის ხელნაწერთა აღწერილობაში ეს ფრაგმენტი კვალთაგან ერთი აღწერილია. როგორც „სავალობლები ძველი ნოტების ნიშნებით“ და ხელის მიხედვით დათარიღებულია IX ს-ით ან X ს-ის დამდეგით¹. ამ აღწერილობის მიხედვით ტექსტის დასაწყისი გარკვევით ამოკითხული არ არის („...რობითა მიხილესა... ზ...ილა...შჯუ“...)².

დღეისათვის დაზუსტებულია ამ სავალობლების რაობა — შეიცავს ახმის მოიხილესას 6 ძლისპირს და განძლიერდასას ერთ ძლისპირს თავისი ღმრთისმშობლისათი. მასადაამე, არქ. 172 ირმოლოგიონის — სავალობელთა რიტმულ-მელოდიური მოდელების — ფრაგმენტია.

კრებული, რომლის ნაშთსაც ეს ფრაგმენტი წარმოადგენს, მცირე ფორმატისა ყოფილა. ეტრატის სიმაღლეა 14,4, სიგანე — 10,5 სმ. სტრიქონების რაოდენობა პირველ ფურცელზე 11-ია, 2რ-ზე — 13, 2ვ-ზე — 14. მელანი ყოფილა ყავისფერი, რომელიც გაფერმკრთალებულია, ნაწერი ზოგან სულ გადალეულა, კიდეები შემოქმულია და შემოცვეთილი. დაზიანება შეხება ნაწერსაც, რაც აძნელებს ამოკითხვას.

არქ. 172 გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით (განსხვავებული ზომის, მეტად წვრილი ასოებითაა შესრულებული მხოლოდ მოიხილესას ბოლო ღმრთისმშობლისა 2ვ-ზე). ვალობათა სათაურები, ძლისპირთა და ღმრთისმშობლისათა დასაწყისი ასოები შესრულებულია ასომთავრულით, (ღმრთისმშობლისების გამოკლებით) გამოყენებულია წითელი მელანი. სინგურითაა შესრულებული მოიხილესას პირველი ძლისპირის დასაწყისი სიტყვა „ზეშთა“. მოიხილესას და განძლიერდასას შორის ორ სტრიქონზე ვხვდებით აგრეთვე წითელი ასომთავრულით შესრულებულ ანდერძს: „ვლხვი მონა შნი... წნი ლთისანო მმკსნთ“ (2ვ). სამწუხაროდ, ნაწერის გადალევის გამო სახელის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

ძლისპირებს ახლავთ სანოტო ნიშნები — ნეგები — სინგურით. უნეგებთა მხოლოდ მოიხილესას ბოლო ძლისპირი: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი, რომელმან ბრძანებითა მოსეს მიერ განვიყვანე ერი ჩემი...“

განკვეთილობის ნიშნად 1რ-ზე მხოლოდ წითელი წერტილები შემორჩენილა. მე-2 ფურცელზე ადგილ-ადგილ შავი წერტილებიც დასტურდება აქედან ერთ-ორ შემთხვევაში შავი მელანი გვიანდელ შთაბეჭდილებას ტოვებს. გვერდების ბოლო სტრიქონების ასოები თითქოს სტილიზებულია, ჩამოგრძელებულია და მომრგვალებული. ბოლო სტრიქონის ასეთი გაფორმება, რ. შმერ-

¹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბ., 1949, გვ. 168.

² იქვე.

ლინგის აზრით, ახასიათებს სამხრეთ საქართველოდან გამოსულ ხელნაწერებს.³ შესაძლოა, საანალიზო ფრაგმენტიც გადაწერილი იყოს იმავე რეგიონში.

2. ფრაგმენტის ორთოგრაფიიდან აღსანიშნავია: ა) არ დასტურდება ც. მის გადმოსაცემად გამოყენებულა ე. ბ) ო გრაფიულად ენაცვლება უ-ს; სა- ცუთორთავან, სიტყვაჲ (2v). გ) ჰ დიფთონგის გადმოსაცემად გამოიყენება: უ (ჩუენთათუს, თუსსა) კონტამინირებული კი (-თვის) და კომპლექსი ოი (გოიშვე- დაემკოიდრე).

როგორც ცნობილია, რიგ ძეგლში, კერძოდ კი იერუსალიმური სკო- ლიდან გამოსულ ხელნაწერებში ჰ დიფთონგი გადმოიცემა უი დაწერილობით.⁴ ჩვენს მაგალითებში ოი უნდა იყოს უნის ონით ჩანაცვლების შედეგი. ჰ-ს ოი კომპლექსით გადმოცემის მრავალი მაგალითი დადასტურებული გვაქვს ქარ- თული ირმოლოგიონის ერთ-ერთ ათონურ ნუსხაში (Ath 85).

ტექსტობრივად ფრაგმენტი ძირითადად მისდევს ძლისპირთა კრებულს A 603-ს (თუმცა დიდი სხვაობაა ძლისპირთა რაოდენობასა და რიგში). ამო- კითხულ ნაწილებში არქ. 172 იძლევა შემდეგ სხვაობებს:

არქ. 172	A 603
...რამეთუ დაიტე ღმერთი დაუ- ტეენელი დაემკოიდრე, სახიერ იქმნა საშოა შენი ცათა უვრცელეს	...რამელმან დაუტეენელი დაიტე დაემკედრე, მაცხოვარ ცათა უცელესად (!) იქმნა საშოა შენი
აწ მისსა მიმართ მე ვარ ღმერთი მამისა მიერ სიტყვაჲ	მისსა მიმართ ღმერთი მე ვარ მოსეს მიერ ღმერთი

საყურადღებოა, რომ სხვაობები დადასტურდა მხოლოდ ღმრთისმშობლი- სების ტექსტებში.

3. როგორც აღინიშნა, არქ. 172 მიმდევრობით შეიცავს ა ხმის მეორე ვალობის — მოიხილესას — ძლისპირებს თავისი ღმრთისმშობლისებით. გა- ლობის სახელწოდება მითითებულია დასაწყისში (მანამდე პირველ სტრიქო- ნად მიღის ორი სიტყვა, რომლის ამოკითხვაც ჭირს. ის უნდა იყოს უვალობ- დითსას უკანასკნელი ღმრთისმშობლისას დაბოლოება), შემდეგ მოდის მესამე ვალობა — განძლიერდასა. მასასადამე, საანალიზო ფრაგმენტი სტრუქტურის, ჰასალის განლაგების მხრივ (ხმის ფარგლებში ვალობების მიხედვით) მიეკუთვ- ნება ქართულში გავრცელებულ ირმოლოგიონის OdO ტიპს.⁵

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია OdO ტიპის ირმო- ლოგიონთა სამი რედაქცია.⁶

ირმოლოგიონის რედაქციული განსაზღვრის საფუძველს იძლევა, ერთი მხრივ, ვალობათა რაოდენობა ძლისპირთა აკოლუთიაში. მეორე მხრივ, — ირმოსთა რივი ვალობის ფარგლებში.

³ P. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI столетий, М., 1979, გვ. 130.

⁴ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1979, თბ., გვ. 19.

⁵ ბერძნულ-სლავური ირმოლოგიონების დიფერენციაცია OdO და KaO ტიპებად ეკუ- თვნის გერმანელ სლავისტს ერვინ კოსმიდერს (იხ. Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fra- gmente, Heraus gegeben von Ervin Koschmieder, München, 1955). ქართულში დადასტურე- ბულია KaO ტიპი (ძლისპირნი და ღმრთის მშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკლევა დაუბრუნა ელენე მებრტეველმა, თბ., 1971, გვ. 3—33).

⁶ ვ. ინგოროყვა, თხზულებანი, III, თბ., 1965, გვ. 79—82.



მირითად განსხვავებად I და II რედაქციის ქართულ ძღისპირთა კრებულს შორის გამოიყოფა პოზიცია ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდისადმი⁷ I რედაქციის კრებულებში, როგორც წესი, მოიხილესა ფიქსირებული არ არის⁸ ჩვენი ფრაგმენტი სწორედ მოიხილესას ძღისპირებით შემონახულა. ამით უკვე დგინდება მისი რედაქციული რაობა. არქ. 172 ვრცელი აღნაგობის, II რედაქციის ძღისპირთა კრებულის ნაშთია.

4. ძღისპირთა კრებულების ევოლუციისა და მოდიფიკაციის თვალსაზრისით მნიშვნელობა ენიჭება ძღისპირთა რიგსაც. ძღისპირთა რაოდენობისა და რიგის მიხედვით თვით პირველი რედაქციის ფარგლებში გამოიყოფა ამოსავალი, თავდაპირველი შედგენილობის (Sin 1, Sin 14) და გავრცობილი (იელური, Sin 65, Sin 59) ნუსხებში⁹.

Sin 14-ში ა ხმის ყოველ გალობაში პირველ ნომრად მიდის კოზმას საშობაო (ს. ევსტრატიადისის⁹ გამოცემის მიხედვით № 8), ხოლო იელურ ნუსხაში — იოანე არკელის (№ 9) აკოლუთიის ირმოსთა საკმაოდ თავისუფალი თარგმანები. იელური ირმოლოგიონის იამბიკური ძღისპირები (რომელთა დასაწყისებია „სასწაულითა იკსნა ერი უფალმან...“, „ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა...“, „პირველ აუწყა წინამსწარმეტყუელებით...“, „საკეთურთა ბნელთა ღამისათა...“, „შთავდა იონა...“, „სიყუარულითა ყოველთა მკსნელი-საათა...“, „ყრმანი, ბაბილონს შეუწუეველნი...“, „პირველად სახე-გექმნა შენ...“, „ჯერ-არს დუმლი...“) უცნობია Sin 14-ის ირმოლოგიონისათვის. Sin 1-ის შესაბამისი ნაწილი შემორჩენილი არ არის, მაგრამ ეს ძღისპირები იქაც არ უნდა ყოფილიყო ფიქსირებული. ამ დასკვნის საფუძველს კვადრებს Sin 1 და Sin 14-ის რედაქციული იდენტურობა¹⁰. ანალოგიურ სიტუაციაში II ხმის მიხედვით იელური ირმოლოგიონის სანათლისებო იამბიკურ ძღისპირებს („ზღესა ღელვათა მძვნვარეთა...“, „განკსნილნი ძუელთა კრულებათაგან...“, „საქმენი შენი ვითარცა განიცადნა...“ და სხვ.) თანაბრად არ იცნობენ Sin 1 და Sin 14-ის „ძღისპირნი და ღმრთისმშობლისანი“.

ძღისპირთა განლაგების იელური მოდელის (გალობის პირველ ნომრად იამბიკური ძღისპირი) სავალდებულო დადასტურებას ვხვდებით II რედაქციის ძღისპირთა კრებულებშიც, ოღონდ ამ უკანასკნელებში, რა თქმა უნდა, ვაზრდილია ირმოსთა რაოდენობა და შემატებულია II გალობაც — მოიხილესა.

არქ. 172-ს I ხმის მესამე გალობიდან დაუტაცეს მხოლოდ პირველი ძღისპირი დასაწყისით: „ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა...“ ამით იგი ეთიშება I რედაქციის ადრეულ ეტაპს (Sin 14-ში გალობა იწყება ძღისპირით „წინა საუქუნეთა მამისაგან შობილსა ძესა...“) და ემხრობა მისი მომდევნო ეტაპისა და II რედაქციის ხელნაწერების ტრადიციას.

5. X—XI სს. ირმოლოგიონის ნუსხები, რომლებიც შეიცავს I ხმის მოიხილესას ძღისპირებს, ჩვენამდე მცირე რაოდენობით შემონახულა: A 603, Ath 85, Sin 3, Ier 48. მათგან პირველი ორი დამოუკიდებელი კრებულების სახით არის მოღწეული, მომდევნო ორი კი უფრო სპეციფიკური დანიშნულებისაა — პარაკლიტონებზეა დართული.

⁷ ჰიმნოგრაფიული კანონის მეორე ოდის შესახებ მკვლევართა მოსაზრებებზე იხ. ლ. კვირიკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982, გვ. 21—22.

⁸ ძღისპირნი და ღმრთისმშობლისანი..., გვ. 012.

⁹ Εἰρηολόγιον ἐκδοθέντων ὑπὸ Μητροπολίτου Λεοντοπόλεως Σαφροῦσις Ἐδουρατιᾶδου, Chennevières Sur-Marne, 1932.

¹⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I. თბ., 1978, გვ. 58.

ძლისპირთა რაოდენობისა და თანამიმდევრობის სურათი ამ ხელნაწერებში ავსახეთ ცხრილის სახით, რომლისათვის ამოსავლად მიჩნეული იქნა „ხევი-შირებელი ირმოლოგიონის“ (A 603)¹¹ ძლისპირთა რიგი, სვეტებში მოთავსებული იქნა ძლისპირის რიგითი ნომერი კონკრეტული ხელნაწერის მიხედვით.

მიქაელ მოდრეკელის იადგარის (S 425) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, სამწუხაროდ, შესაბამის ნაწილში დაკარგულია. მაგრამ მოღწეული იადგარული მასალის მიხედვით შეიძლება მოვახდინოთ საანალიზო გალობის პირობითი რეკონსტრუქცია. კერძოდ, აღდგომის კანონებიდან I ხმის მოიხილესას დასაწყისების თანამიმდევრობით გამოკრება გვაძლევს OdO ტიპის ირმოლოგიონის პირობითს მოდელს (ასეთი დაშვების საფუძველს იძლევა მიქაელის ირმოლოგიონის შემორჩენილი ნაწილისა და აღდგომის კანონების შესწავლა — მოიხილესას და სხვა გალობების ძლისპირთა რაოდენობა და რიგი VIII ხმაში თითქმის ემთხვევა ირმოლოგიონისას). ამიტომ თავს ნება მივეცი, ცხრილში პირობითად, ვარსკვლავიანი ფორმების სახით წარმოგვედგინა S 425-ის მონაცემებიც.

A 603	ძლისპირთა დასაწყისები	არქ. 172	Ath 85	S 425	Jer 48	Sin 3
1	მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით, რამეთუ მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და ისმენდინ	3		6*		3
2	ქუეყანაჲ...	4		7*		2
3	იხილეთ, იხილეთ, ესრე თქუა უფალმან...	6		5*		
4	მოელოდა, ვითარცა ცუარტა...	2		1*	1	5
5	დიდებულ იქმნა პირი მოსესი ზეშთა ბუნებისა ხილვაჲ იხილა შველისმდებელმან	1	3	4*	2	6
6				2*		
7	იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი...	5				1
8	თავსა წიგნთასა დაწერა მოსე		1	8*		7
9	მეორედ შობაჲ მოსესი...		2	3*		4

ძლისპირთა მაქსიმალურ რაოდენობას (9) შეიცავს A 603, რომელიც ყველაზე სრული და ამასთან განვითარების ყველაზე მაღალი საფეხურის ამსახველი ნუსხაა, Sin 3-ში 7 ძლისპირთა, საანალიზო ფრაგმენტში კი — 6.

ძლისპირთა მინიმალური რაოდენობაა Jer 48-ში („მოელოდა. ვითარცა ცუარტა“... და „ზეშთა სოფლისა ხილვაჲ“...). ეს ორი ძლისპირი დასტურდება II რედაქციის ყველა კრებულის შედგენილობაში. Ath 85-ში ისინი არ გვხვდებიან მხოლოდ იმის გამო, რომ შესაბამისი ნაწილი ხელნაწერისა მოღწეული არ არის. ამ ორმა ძლისპირმა გაუძლო გადასინჯვისა და შემოკლების პროცესებს და კანონიკურის უფლებით შემორჩა შემდგომი პერიოდის ირმოლოგიონის რეპერტუარსაც (A 85, ქუთ. 22,564).

I რედაქციის ძლისპირთა რიგი ხელნაწერებში შედარებით მყარი და სტაბილურია. მოიხილესა ირმოლოგიონებში სხვა გალობებზე გვიანაა შესული და არ ექვემდებარება ერთიან ყალიბს. Jer 48-ის ძლისპირებს არქ. 172-შიც უკავიათ პირველი ორი ადგილი (რიგის შენაცვლებით). ამ ორი ნუსხის მიხედვით თითქოს იკვეთება ძლისპირთა განლაგების გარკვეული ტრადიცია. ეს ამოსავალი ფენის ძლისპირები უნდა იყოს. (მიქაელ მოდრეკელის აღდგომის

¹¹ ნევირბეული ძლისპირნი (ხელნაწერი A 603) გამოსცა, გამოკლევია და საძიებლები დაურთო გ. კინაძემ, თბ., 1982, გვ. 137—145.

დასდებლებში ამ ძლისპირების შემცველი კანონები პირველ ორ ადგილს იკავებენ, სავარაუდოა, რომ ამ ტრადიციას იცავდა მისი ირმოლოგიონიკი).

არქ. 172-ში არ დასტურდება A 603-ის სამი ძლისპირი: „თავსა წიგნთა-სა დაწერა მოსე...“, „მეორედ შობაა მოსესი...“, „დიდებულ იქმნა პირი მოსესი...“, Ath 85-ში კი შემორჩენილია მხოლოდ დასახელებული სამი ძლისპირი¹² და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ისინი გაერთიანებული არიან სახელწოდებით „უცხონი“. ეს ტერმინი II გალობის ძლისპირებთან სხვა არც ერთ ქართულ ირმოლოგიონში არ არის დადასტურებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით „უცხონი“ გამოყოფდა ძლისპირთა ახალ, მომდევნო ფენას¹³. Ath 85-ში დადასტურებული ფაქტი მიუთითებს მოიხილესას ძლისპირების დიფერენციაზე ძირითად და უცხო ფენებად. არქ. 172-ში მოიხილესას თავდაპირველი შედგენილობის ძლისპირებია მხოლოდ წარმოდგენილი და ეს უნდა განსაზღვრავდეს მის ადგილს ქართული ირმოლოგიონის ისტორიაში. არქ. 172 II რედაქციის ირმოლოგიონის იმ ეტაპის ამსახველია, როცა მოიხილესაში მხოლოდ ძირითადი ძლისპირები იყო შეტანილი.

1949 წ. გამოცემულ ხელნაწერთა აღწერილობაში, როგორც უკვე აღინიშნა, არქ. 172-ის თარიღად დადებულია IX ს. დასასრული და X ს-ის დამდეგი.

IX ს-ში ქართული ირმოლოგიონის ნევმებით გაფორმება მოსალოდნელი არ არის (სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით ავიტ ბერძნული ირმოლოგიონი ჩამოყალიბებული უნდა იყოს არა უადრეს IX საუკუნისა)¹⁴. ქართული ირმოლოგიონის ადრეული ნუსხები თარიღდება X საუკუნით (თავდაპირველი შედგენილობის ნუსხა Sin 1 X ს-ის I ნახევრისა, ხოლო გავრცობილი Sin 64—65 X ს-ის II ნახევრისა). არქ. 172 ასახავს ქართული ირმოლოგიონის განვითარების მომდევნო ეტაპს. საფიქრებელია, იგი X საუკუნის II ნახევრისაა.

Г. И. КИКНАДЗЕ

ОБ ОДНОМ НЕИЗВЕСТНОМ ФРАГМЕНТЕ ГРУЗИНСКОГО ИРМОЛОГИЯ

Резюме

В статье рассматривается двулиственный пергаментный фрагмент из рукописного фонда Центрального государственного исторического архива СССР (№ 172).

Установлено, что фрагмент относится ко второй редакции грузинского Ирмология и датируется II половиной X века.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსმა ე. მეტრეველმა

¹² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ., 1986, გვ. 124.

¹³ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი..., გვ. 072.

¹⁴ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი..., გვ. 055.

მანა რაფაჰა

გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემ მცირისაშუი კრიტიკის შედეგნილოზისათვის

უდიდესი ბიზანტიელი თეოლოგოსის, მწერლისა და პოეტის, გრიგოლ ნაზიანზელის, ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართულ თარგმანებს, ისევე როგორც სხვა უცხოენოვან (სირიულ, კობტურ, სომხურ, არაბულ, ძველ სლავურ) თარგმანებს. აღმოსავლური თარგმანების კვლევა პრობლემურია და საკითხთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნაზიანზელის ჰომილიათა შემცველი კრებულების სახეცვლილებისა და ადრეული შედგენილობის დასადგენად გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ ეფრემ მცირის თარგმანები.

ეფრემ მცირე, როგორც ცნობილია, არის გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა მთარგმნელი, რიგით უკანასკნელი, ანონიმი მთარგმნელის, გრიგოლ ომკელის, დავით ტბელისა და ეფთვიმე მთაწმიდლის შემდეგ.

ეფრემის მიერ თარგმნილი ჰომილიები მრავალ ხელნაწერში დასტურდება. მათგან ერთადერთ ხელნაწერში, A-292-ში, წარმოდგენილია შედარებით სრული რაოდენობა ჰომილიებისა, დანარჩენ ნუსხებში დაცულია 16 სიტყვიანი ლიტურგიკული კრებულები. ეფრემ მცირე ამ ჰომილიებს ხან „საეკლესიო საკითხავებს“ უწოდებს, ხან კი — „სადღესასწაულო საკითხავებს“¹.

16 სადღესასწაულო სიტყვის შემცველი ეფრემისეული კრებული დაცულია რვა უძველეს ხელნაწერში. ესენია: A 109 (XIII ს.), A 1490 (XII—XIII ს.), ქუთ. 9 (XIII ს.), Ier 15 (XII ს.), Ier 8 (XII ს.), Ier 13 (XIII—XIV ს.), Ier 43 (XII—XIII ს.), Sin 79 (XII—XIII ს.)².

ამ ხელნაწერთა გარდა, ეფრემისეული კრებული გვხვდება გვიანდელი ხანის სამ ხელნაწერში. ესენია: A 292 (1800 წ.), S 369 (XIX ს.), S 1189 (XIX).

აღნიშნულ ნუსხებში 16 ლიტურგიკული სიტყვის გარდა დასტურდება ხუთი დანართი. მათგან ერთი ნაზიანზელის თხზულებაა, მაგრამ იგი ჰომილიას არ წარმოადგენს, მეორე ნაზიანზელის თხზულების მიხედვით შედგენილი პარაფრაზია, ხოლო დანარჩენი სამი სხვა ავტორების თხზულებებია. დანართი თხზულებები შემდეგია:

1. გრიგოლ დვთისმეტყველი, მუკლები იამბიკოა — Ier. 43, A 109.

2. გრიგოლ დვთისმეტყველი, ებიტაფიად ბასილისსა სტიზონის იროიკონი პარაფრასნი ნიციტა ფილოსოფოსისანი — Ier. 8, Ier. 13, Ier. 15, Ier. 43, A 109, ქუთ. 9, A 292, A 1490, S 369.

3. გრიგოლ ხუცესი, ცხორება და განგება... გრიგოლი ღმრთისმეტყველისა — Ier. 15, Ier. 43, A 109, ქუთ. 9, A 1490, A 292, S 369.

4. ფსევდონონე, ზღაპრობანი [მითოლოგიური კომენტარები] — Ier. 43, A 1490, A 109.

¹ Ier 13, 250r; A 292, 279v.

² ზოგიერთი ნუსხის გადათარილება ეკუთვნის თ. ბრეჟაძეს. იხ. მისი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988.

5. სოფრონი იერუსალიმელი, სიტყუა შესხმისა... გრიგორიანული ღმრთისმეტყველისა — Ier. 13³.

აღნიშნული თხზულებები, გარდა ერთისა, მოთავსებულია ხელნაწერთა ბოლოს, 16 ლიტურგიკული სიტყვის შემდეგ. მხოლოდ ერთი — „ეპიტაფიად ბასილისა სტიხონის იროკონი“ — ყველა ნუსხაში მოსდევს 43-ე ჰომილიას, რომელიც ეფრემის კრებულში რიგით მესამე თხზულებაა. ჩამოთვლილი ხუთი თხზულება, ყველა დასტურდება ნაზიანზელის ჰომილიათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში⁴.

რა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ აღნიშნული ხუთი თხზულება 16-სიტყვიანი კრებულების დანართად ვიგულისხმოთ, ანუ როგორი უნდა ყოფილიყო თავდაპირველი შედგენილობა 16 ლიტურგიკული ჰომილიის შემცველი ეფრემისეული კრებულისა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთი რომელიმე ნუსხის საფუძველზე შეუძლებელია, ვინაიდან დღეს არსებული არცერთი ნუსხა სრული არ არის: ზოგი თავნაკლულია, ზოგი — ბოლონაკლული. ის ნუსხებიც კი, რომელთაც თითქოს თავში არაფერი აკლიათ (ვინაიდან იწყებიან Or 19-ით, რომელიც ეფრემის კრებულში ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა), როგორც ჩანს, გადაწერილია დეფექტური დედნიდან. ამაზე ცოტა ქვემოთ. ასეთ ვითარებაში, ცხადია, აუცილებელია ყველა ძველი ნუსხის მონაცემების გათვალისწინება.

ტექსტობრივად, ვარიანტული წაკითხვებით ერთად დგანან Ier. 43 და A 109 ხელნაწერები, ერთი მხრივ, და Ier. 15, Ier. 8, Ier. 13, Sin 79, A 1490, მეორე მხრივ. ტექსტობრივი სიზუსტითა და გამართულობით გამოირჩევა Ier. 15, რომელსაც მიჰყვება Ier. 8, მაგრამ ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, ძალზე ნაკლულია.

რაც შეეხება მოცულობას, შედგენილობას, ყველაზე სრული ამ თვალსაზრისით არის ორი ნუსხა — Ier. 43 და Ier. 13. მათი მონაცემების გათვალისწინებით შევეცდებით ეფრემისეული ლიტურგიკული კრებულის მოდელის აღდგენას.

Ier. 43 XII—XIII სს-ის ხელნაწერია. იგი თავბოლო ნაკლულია. ხელნაწერს ახლავს ანდრძი, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი სამხრეთ საქართველოდან იერუსალიმის ჯერის მონასტერში მოხვედრილა⁵.

Ier. 43 ნუსხა შემდეგი შედგენილობისაა: 1. გრიგოლ ღმრთისმეტყველის 16 ლიტურგიკული ჰომილია. თითოეულ ჰომილიას კიდევბზე ერთვის კომენტარები. მათგან ზოგი ბერძენი ავტორებისაა, ზოგი კი — ეფრემ მცირეს ეკუთვნის; 2. გრიგოლ ხუცესი — ცხოვრება გრიგოლ ღმრთისმეტყველისა; 3. ფსევდო ნონეს კომენტარები Or 43 და Or 39-ისა; 4. იამბიკო-ასმუტელედი.

Ier. 43 ნუსხა იმითაა საყურადღებო, რომ ამ ნუსხაში, სხვებისაგან განსხვავებით, გვაქვს ის შემადგენელი ნაწილები კრებულისა, რომლებიც არც ერთ სხვა ნუსხაში არაა დაცული და რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება შუქი მოეფინოს ეფრემისეული კრებულის თავდაპირველ რაობას.

ხელნაწერის დასაწყისში, ვიდრე ჰომილიების ტექსტი დაიწყებოდეს, დასტურდება: 1. შესავალი (1r—4r) — მთარგმნელის, ეფრემ მცირისა, რომელიც წარმოადგენს მიმართვას კვირიკე ალექსანდრიელისადმი. შესავალს აქვს სა-

³ ზემოთ მითითებული ხუთი თხზულება, ჩამოთვლილი ნუსხების გარდა, სხვა ხელნაწერებშიც დასტურდება. იხ. თ. ბრეგადის აღწერილობა.

⁴ Repertorium Nazianzenum, B. I, Orationes, Textus Graecus, 1, Codices Galliae, recensuit I. Mossay, 1981; B. 5, Orationes, Textus Graecus, 2, Codices Americae, Angliae, Austriae, 1987.

⁵ Ier 43, 307 r-v.



თაური: „ბერსა კვრივეს მცირე ეფრემ“. აღნიშნული შესავალი, ისევე როგორც საერთოდ ეფრემის ორიგინალური შესავლები, რომლებიც დართულები არიან თარგმნილ ძეგლებზე, ფრიად საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს შეიცავს². „ზანდუკი საეკლესიოთა ათქუსმეტათა ღმრთისმეტყუელის საკითხათაჲ“ (4v). ზანდუკში დანომვრით მოცემულია 16 ჰომილიის სათაურები შემოკლებული სახით. თითოეულ სათაურს მოსდევს ჰომილიის დასაწყისი ფრაზა. პირველი ჰომილია (Or 19) სათაურის გარეშეა. 16-სიტყვიანი კრებულის შედგენილობის წარმოსადგენად მოგვყავს ზანდუკი მთლიანად:

- ა არს მძლავრებაჲ
- ბ დღესასწაულსა კრისტეს შობისასა
კრისტე იშვების, ადიდებდით
- გ ეპიტაფიაჲ ბასილისი
ვეფულებოდა საღმე
- დ ნათელათეს განცხადებასა
კუალად იესუ ჩემი, კუალად საიდუმლოჲ
- ე სხუჲ ღუთისაგან განცხადებასა
ვეშინ ბრწყინვალე
- ვ გრიგოლის მიმართ ნოსელისა
მეგობრისა სარწმუნოსისა
- ზ დიდისა ათანასისათეს
ათანასის მატებელმან
- ს ჯმნისაჲ
ეთიარ თქუენდა ჩუენებრი
- თ გლახეთმოწყალებისათეს
კაცნო მამხო და თანადა
- ი წულელუებისათეს სეტყესა
რად დაქსნით წესსა
- ია პასექისათეს პირველი სიტყუაჲ
აღღვამისა დღე და დასა
- იბ სხუაჲ
საკუმბილავსა ზედა ჩემსა
- იგ ახალკრიაკისა და ეცესიისა
ენკენიისა პატრიქ ძუე
- იდ მეერგასისათეს და სლ
დღესასწაულისათეს მცირე
- იე მკაბელათეს
რაამე მკაბელნი
- ივ კებრიანესათეს
კენიდა კებრიანე
- იზ თუთ ცხოვრებაჲ წმიდისაჲ
თანახდელ კუოფს თქუენ

3. იამბიკო-აკროსტიქი. ამ იამბიკოს შესახებ ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი. 4. მარგინალურ ნიშანთა განმარტებანი. ოთხი სტროფი, სათაურის გარეშე (5v).

მარგინალურ ნიშანთა განმარტებანი დაწერილია წერილი ნუსხურით. ამ ლაპარაკია ოთხ ნიშანზე, რომლებიც ჩვეულებრივ არის ხელნაწერების არშიებზე ტექსტის ამა თუ იმ ადგილზე მკითხველის ყურადღების შეჩერების მიზნით. დასახელებულ ოთხ ნიშანთაგან ორი ტექნიკური ნიშანია: ⊗ „მზისთუალის

² ეფრემის შესავალი გამოქვეყნებულია. იბ. რ. ბლევიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მიმოხილველი I, ტფ., 1926. გვ. 157; ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, ე. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1955. თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147—149.



სახე“ და *„ვარსკულავის სახე“, და ორიც სიტყვიერი მითითებაა: „შუენიერი“ და „შეისწავე“. Ier. 43-ში განმარტებულია თითოეული ამ ნიშნის ფუნქციონირება „შხისთულის სახე“ — ავტორის მიხედვით დასმულია ტექსტის იმგვარი ვილას, სადაც საღვთისმეტყველო შინაარსის თემაზეა საუბარი. მზე სიმართლისა — ღვთის სიმბოლოა.

„ვარსკულავის სახე“ — დასმულია იმ ადგილებში, სადაც ღმერთის განხორციელებაზე და მისი, როგორც მაცხოვრის, განგებაზეა საუბარი. ვარსკულავით ქრისტეს შობა ეუწყა კაცობრიობას.

„შუენიერი“ — ზის ტექსტის იმ ადგილებში, როცა თხრობა ორატორული ან მხატვრული სახეებით ხდება.⁷

„შეისწავე“ — ზის ტექსტის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მოძღვრება (ბეჟაჟ), ისტორია (იჰორიჟ) და მხატვრული ტექსტია მოყვანილი და საჭიროა მათი განმარტება, კომენტირება.⁸

აღნიშნული ოთხი ნიშნის განმარტებანი, რომელიც შემოუნახავს Ier. 43-ს, სიტყვასიტყვით არის თარგმნილი ბერძნულიდან. ისინი დადასტურებულია ბერძნულ ხელნაწერებში და გამოქვეყნებულიც არის⁹.

Ier. 43 დღეს შეიცავს 21 თხზულებას. მაგრამ ვეჭვობთ, რომ იგი გადაწერილია ისეთი დედნიდან, რომელიც შეიცავდა მხოლოდ 16 ლიტურგიკულ ჰომილიასა და ერთ დამატებას — გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებას. რაც შეეხება ორ დამატებას — ფსევდო ნონეს კომენტარებსა და მუკლებს — იამბიკოს, ისინი დედანში არ უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მესამე დამატება — სტიხონსი იროიკონი — სათვალავის გარეშე ებმოდა ბასილის ეპიტაფიის ჰომილიას. ამ ვარაუდის დაშვების უფლებას გვაძლევს ხელნაწერის ზანდუკი. ზანდუკში დასახელებულია მხოლოდ 16 ჰომილია და გრიგოლის ცხოვრება მე-17 ნომრად. აქ არაფერია თქმული სხვა ჰომილიებზე. Ier. 43-ის დედანში 16 ლიტურგიკულ ჰომილიას წინ უძღოდა ეფრემის შესავალი, ზანდუკი, იამბიკო-აკროსტიქი და მარკინალურ ნიშანთა განმარტება.

Ier. 13 (XIII—XIV ს.) თავ-ბოლო ნაკლულია. შედგენილობის მიხედვით ეს ნუსხა განსხვავდება დღეს ცნობილი ყველა ნუსხისაგან. Ier. 13 ორი ნაწილისაგან შედგება: 1 ნაწილში არის: 1. 16 ლიტურგიკული სიტყვა, 2. სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუაჲ შესხმისაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყველისაჲ“ (250v—277r), 3. ეფრემ მცირის ვრცელი აკროსტიქი, რომელიც გარკვეულ ვედრებას წარმოადგენს¹⁰. II ნაწილი შეიცავს ლიტურგიკულ ჰომილიათა კომენტარებს (279r—384v).

⁷ ხელნაწერის სიტყვები: „სასწაული ესე შუენიერისა განწესებულ არს ადგილთა“ ნიშნავს შემდგეს: ნიშანი „შუენიერი“ ზის იმ ადგილებში და ა. შ. მარკინალური ნიშანი არის „შუენიერი“ და არა „სასწაული“, როგორც ეს ნათქვამია აღწერილობაში. იხ. აღწერილობა, გვ. 2.

⁸ ეფრემ მცირის სიტყვებით, „შეისწავე“ ზის „სჯელისდებითი“, „მოთხრობითი“ და „გამომეტყუელებითი“ შინაარსის შემცველ ადგილებთან. აშკარაა, რომ ეფრემ მცირე ამ ტერმინებით ვადმოსცემს იმ სამ ძირითად სახეობას, რომელიც ბერძნულ მწერლობაში არის მითითებული. იხ. С. С. Аверинцев, Греческая «литература» и ближневосточная «словесность», в кн.: Типология и взаимосвязи литератур древнего мира. М., 1971, გვ. 206—256.

⁹ Repertorium Nazianzenum, B. 1. Codices Parisini Graeca 517 (X ს.), 519 (1007 წ.); 527, 533. B. 5. ლონდონის ბრიტანეთის ბიბლიოთეკის 18.231 (972 წ.), ავტორის Suppl. Graeca 177 (X ს.); В. Н. Бенешевич, Описание греческих рукописей монастыря св. Екатерины на Синае, т. I. Спб., 1911, გვ. 201—203; J. Noret, Les manuscrits sinaitiques de Grégoire de Nazianz. Byzantion, t. XLVIII, 1978, Fasc. 1, Bruxelles, 1978, გვ. 152.

¹⁰ თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

Ier. 13 ნუსხა იმით განსხვავდება სხვა ნუსხებისაგან, რომ მხოლოდ აქ გვაქვს სოფრონ იერუსალიმელის შესხმა, ნაცვლად გრიგოლის ცხოვრებისა. შეიმდეგ, მხოლოდ აქ გვაქვს ეფრემის აქროსტიქი იამბიკო და, ბოლომდე მხოლოდ ამ ნუსხაში ჰომილიათა კომენტარები ცალკეა დაჯგუფებული ტექსტისა და ზოლოს, მაშინ, როცა სხვა ნუსხებში ისინი არშიებზეა სათანადო ჰომილიებთან.

Ier. 13-ის ორ ნაწილს რ. ბლეიკი სხვადასხვა დროით ათარიღებს: I ნაწილს მკვლევარი XIII—XIV სს-ს განაკუთვნებს, II ნაწილს — XVII ს-ს¹¹. ა. ცაგარელსა და ნ. მარს ხელნაწერი XIII—XIV სს-ის ხელით დაწერილად მიაჩნიათ¹². თ. ბრეგაძის ვარაუდით, ხელნაწერი თავიდან ბოლომდე ერთი (XIII—XIV, უფრო XIV ს.) ხელით არის დაწერილი. I და II ნაწილების ზომით განსხვავებული ნუსხურით დაწერის მიზეზი ის არის, რომ განსხვავებინათ კომენტარები ძირითადი ტექსტისაგან¹³.

ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ I და II ნაწილები ზომით სხვადასხვა (მსხვილი და წვრილი) ნუსხურით არის დაწერილი, და ამის გამო I ნაწილში გვერდზე 29 პუნქარია, II-ში 42, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ I და II ნაწილების ქალაღები განსხვავებულია, გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაწილები სხვადასხვა დროს არის გადაწერილი. გადაწერა ისინი ერთმა და იმავე პიროვნებამ (გიორგი ქვიტირელმა), თუ სხვა პირმა, ცხადია, რომ I და II ნაწილების გადაწერა ერთ მთლიან პროცესად არ მომხდარა, მათ შორის რაღაც პერიოდს გაუვლია გარდა განსხვავებული ხელისა და ქალაღისა, კიდევ რა საფუძველი გვაქვს ამ ვარაუდისთვის?

I ნაწილის ბოლოს, იმ ადგილას, სადაც მთავრდება 16 ლიტურგიკული სიტყვა, არის მთარგმნელის, ეფრემ მცირის, ანდერძი, რომელიც არც ერთ სხვა ნუსხაში არ დასტურდება. ანდერძი თავისი შინაარსით ისეთი ხასიათისაა, რომელსაც ჩვეულებრივ ნაწარმოების ბოლოს იძლევა მთარგმნელი. იგი ლოცვასა და შეწყალებას ითხოვს თავისი თავისა და თავისი თანამდგომების მისამართით¹⁴. ეს თანამდგომები არიან: საბა, იოანე მთავარაძსძე და კვირიკე, ალექსანდრიელი, ის პირები, რომლებიც Ier. 43-ის შესავალშიც ჩანან და A 292-ის ანდერძებშიც¹⁵.

მთარგმნელის ანდერძის შემდეგ Ier. 13-ში არის სოფრონ იერუსალიმელის შესხმა გრიგოლი ღვთისმეტყველისა. შესხმის ტექსტს მოსდევს მომგებლის — დავით ჭყონდიდლის და გადამწერის — გიორგი ქვიტირელის ანდერძები (277r). იქვეა ეფრემ მცირის აქროსტიქი.

I ნაწილის ბოლოს მთარგმნელის, მომგებლისა და გადამწერის ანდერძების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ Ier. 13 თავდაპირველი სახით აქ თავდებოდა, იგი მხოლოდ იმ ტექსტებს შეიცავდა, რომელთაც ეს ანდერძები მოსდევდა. ის გარემოება, რომ მთარგმნელის ანდერძი უშუალოდ მოსდევს 16 ლიტურგიკულ სიტყვას, გვაფიქრებინებს, რომ ნუსხა ისეთი დედნიდან იქნა გადმოწერილი, რომელიც შეიცავდა მხოლოდ 16 ჰომილიას და მთავრდებოდა ეფრემის ანდერძით. იგი, ალბათ, შეიცავდა გრიგოლის ცხოვრებას და ეფრემის აქროსტიქსაც. Ier. 13-ის გადამწერმა გრიგოლის ცხოვრების ნაცვლად სოფრონ იერუსალიმელის ტექსტი შეიტანა. Ier. 13-ის II ნაწილი, რო-

¹¹ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale Grecque à Jérusalem, par R. Blake, Paris, 1924, გვ. 33—36.

¹² А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае (Православный палестинский сборник, т. IV, вып. I, Спб., 1888; ნ. მარო, იერუსალიმის ბერძენული...

¹³ თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

¹⁴ იქვე, გვ. 163.

¹⁵ Ier 43, 1r—4r; A 292, 279v, 329 r-v.

შელიც ჰომილიათა კომენტარებს შეიცავს, მოგვიანებით იქნა გადაწერილი. ამრიგად, ჩვენი აზრით, 16 ლიტურგიკული ჰომილიის ეფრემისეული ტექსტები ბულში ჰომილიათა ტექსტები მთავრდებოდა მთარგმნელის ანდერძით, რომელიც დღეს არც ერთ ნუსხაში არ ჩანს, გარდა Ier 13-ისა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ Ier. 43-ში იმ ადგილას, სადაც ეფრემ მცირის აღნიშნული ანდერძი უნდა ყოფილიყო (ე. ი. 16 ჰომილიის შემდეგ), სწერია: „სრულ იქმნა თარგმანი ათექუსმეტთა საეკლესიოთა საკითხავთა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისაჲ მომადლებითა ღმრთისა და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა“ (258r)... უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ამ ნუსხების გადაწერს. თავისი შინაარსით ეს ანდერძი ეფრემ მცირის ანდერძის პარაფრაზს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ეფრემის ანდერძი იყო იმ ნუსხაში, რომლითაც ამ მინაწერის ავტორმა ისარგებლა. მაგრამ, ვინაიდან მან ამ ადგილას არ გაათავა თავისი ნუსხა და განავრძო სხვა თხზულებების (ზღაპრობანი, ცხოვრება) გადმოწერა, მან საჭიროდ არ ჩათვალა ეფრემის ანდერძის მთლიანად მოყვანა, მხოლოდ მიუთითა, რომ აქ გათავდა 16 ლიტურგიკული ჰომილიის ტექსტები.

ახლა, თუ Ier. 43-ისა და Ier. 13-ის შედგენილობას ერთმანეთს შევედარებთ, იმას, რაც ერთ ნუსხას აკლია, მეორის მონაცემებით შევავესებთ და, პირიქით, მეორისთვის პირველს გავითვალისწინებთ, შესაძლებელი ხდება 16 ლიტურგიკული ჰომილიის ეფრემისეული კრებულის პირველსახის აღდგენა.

საანალიზოდ აღებულ ნუსხათა დედანი, რომელიც შეიძლება ეფრემის ავტოგრაფიც იყო, შეიცავდა მხოლოდ 16 ჰომილიასა და გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრებას. 16 სიტყვას წინ უძღოდა ზანდუკი, მარგინალური ნიშნების განმარტება, იამბიკო-აკროსტიქი და ეფრემის შესავალი. ჰომილიებს ბოლოში ერთოდა ეფრემის ანდერძი და მისივე აკროსტიქი.

Ier. 43-ისა და Ier. 13-ის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა ნუსხებშიც, რომლებიც დღეს თავ-ბოლო ნაკლულია, უნდა ყოფილიყო შესავალი და ანდერძები. რაც შეეხება იმ დანართ ტექსტებს, რომლებიც დღეს დასტურდება ნუსხებში (ფსევდო ნონეს ზღაპრობანი, იამბიკო ასმუტკლედი), ისინი, როგორც ჩანს, გადაწერებმა მოგვიანებით ჩართეს 16 სიტყვიან კრებულებში, ხოლო „სტიხოსონი იროაკონს“ მოგვიანებით მიეცა ცალკე სათვალავი¹⁶. ამ უკანასკნელი ტექსტის რაობა და კრებულში მისი ადგილი დამაჯერებლად არის განხილული ქ. ბეზარაშვილის მიერ¹⁷.

ის, რომ აღნიშნული თხზულებები 16-სიტყვიანი კრებულების დანართად უნდა ვალიაოთ, გარდა Ier. 43-ის ზანდუკისა, სხვა ფაქტიდანაც მტკიცდება. აერძოდ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ისინი სრულიად განსხვავებული ენობრივ-სტილისტური ფორმით არიან თარგმნილი, ვიდრე ჰომილიები. თუ 16 ლიტურგიკული ჰომილიის ტექსტში ეფრემ მცირე უაღრესად ზუსტად, თითქმის პირწმინდად მისდევს ბერძნულ ორიგინალს, არც რას უმატებს, არც რას აკლებს, განსხვავებით ამისგან, დანართად მიჩნეულ ტექსტებში არ შეიმჩნევა ასეთი ერთგული მიდევნება ბერძნული ორიგინალისა. იგი შედარებით თავისუფალია¹⁸. ეს თავისუფლება იმით იყო გაპირობებული, რომ ეფრემ მცირე კომენტარების თარგმნისას ისე არ იყო შებოჭილი კონფესიონალური მოსაზრებებით და ბერძნული ოპოზიციისათვის პასუხის გაცემის მიზ-

16 თ. ბ რ ე ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

17 ქ. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიები (ეფრემ მცირის თარგმანი), კრ., „გულანი“, ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა შრომების კრებული, თბ., 1989, გვ. 116—146.

18 ქ. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 135—137.

ნოთ, როგორც თვით ჰომილიების თარგმნისას (ამის შესახებ დამატურად არის საუბარი ეფრემის შესავალში).

16 ლიტურგიკული ჰომილიის ეფრემისეული კრებულის ჩვენს მკვლევარულად აღდგენილი არქეტები გარკვეულ ანალოგიას პოულობს მესამე მკვლევართა შემცველ ბერძნულ ხელნაწერებთან.

ბერძნულად, როგორც ცნობილია, არსებობს ნაზიანზელის ჰომილიების სრული (52 ან 47 სიტყვიანი) კრებულები და ცალკე 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველი კრებულები¹⁹. მათთან ეფრემ მცირის 16-სიტყვიანი კრებულების მიმართების თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი მომენტების გათვალისწინება: 1. ჰომილიათა რიგი, 2. იამბიკოების არსებობა, 3. კომენტარების არსებობა, 4. რამდენიმე მცირე მოცულობის ტექსტის არსებობა.

1. ეფრემისეულ კრებულებში 16 ლიტურგიკული ჰომილიის რიგი ყველა ნუსხაში ერთნაირია. ჰომილიათა რიგი ასეთია: 19, 38, 43, 39, 40, 11, 21, 42, 14, 16, 1, 45, 44, 41, 15, 24. ეფრემისეული თარგმანების რიგი ბერძნულ ტრადიციაში დამკვიდრებული რიგისაგან (1, 45, 44, 41, 15, 24, 19, 38, 43, 39, 40, 11, 21, 42, 14, 16) იმით განსხვავდება, რომ ბერძნული რიგის პირველი ექვსი ჰომილია ქართულ თარგმანში ბოლოშია გატანილი. ჰომილიათა ბერძნული რიგი, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობაში დასტურდება, იმ კალენდარულ სისტემას ემყარება, რომელიც საკითხავებს აღდგომის ციკლით იწყებს. Or. 1 და 45 სწორედ აღდგომის დღის საკითხავებია. ეფრემისეული კრებულის რიგი კი იწყება შობის წინა დღის და შობის დღის საკითხავებით. ასეთებია Or. 19 („განდგომილისა იულიანესათჳს“) და Or. 38 („შობისათჳს“).

ერთ-ერთ ძველ ნუსხაში, კერძოდ Ier. 15-ში, თითოეულ ჰომილიასთან სპეციალურ ორნამენტირებულ ჩარჩოში მითითებულია ის დღე, როცა ესა თუ ის საკითხავი იკითხებოდა. ამ კალენდრულ მითითებებს იმეორებს გვიანდელი A 292 ნუსხაც.

Ier. 15-ის მითითებანი ჰომილიათა კალენდრულ რიგზე ასეთია (პირველი ციფრი მიუთითებს ეფრემის კრებულის რიგს, მეორე — ბერძნულისას):

1(19)—[წინა დღესა ქრისტეშობისსა აღწერისათჳს]²⁰; 2(38)—დეკენბერსა კე; 3(43)—იანვარსა ა; 4(39)—ნათელათჳს იანვარსა ვ; 5(40)—მეორესა დღესა განცხადებასა; 6(11)—იანვარსა ი; 7(21)—იანვარსა იმ; 8(42)—იანვარსა კე; 9(14)—ყველიერისა ოთხშაბათსა; 10(16)—კვრიაკესა ყველიერიისასა; 11(1)—აღვსებასა კვრიაკესა; 12(45)—აღვსებასა; 13(44)—ახალკვრიაკესა; 14(41)—მარტკლიასა; 15(15)—აღვსტოსსა ა; 16(24)—ოქტონბერსა.

ეფრემის კრებულში ჰომილიათა რიგი იწყება შობის წინა დღით და მთავრდება ოქტომბრის 2-ში.

ბელგიელი მკვლევრის, გ. ლაფონტენის განცხადებით, ეფრემისეული კრებულის რიგი თითქმის მთლიანად შეესატყვისება სომხური თარგმანების რიგს²¹.

ცნობილია, რომ სომხურ ხელნაწერებში ნაზიანზელის ჰომილიათა თარგმანები 4 კოლექციად არის დაჯგუფებული²²: 1. „ქრისტე იშვების“ (12 ლიტურ-

¹⁹ Repertorium Nazianzenum, B. I, Codices Galliae, 1981.

²⁰ პირველი ჰომილიის ეს მითითება აღდგენილია A 292 ნუსხის მიხედვით, სადაც კალენდარზე მითითება მოცემულია სათაურში.

²¹ G. Lafontaine et H. Metréveli, Les versions copte, arménienne et géorgiennes..., გვ. 69; G. Lafontaine, La tradition manuscrite de la version arménienne des Discours de Grégoire de Nazianz, Muséon 90 (1977), გვ. 283—284.

²² La version arménienne des Discours de Grégoire de Nazianz, Tradition manuscrite et histoire du texte, par G. Lafontaine et B. Coulie, Louvain, 1983; კ. მურადიანი,



გიკული ჰომილია), 2. „ვიძლიე მე“ (8 აპოლოგეტური ჰომილია), 3. „მათდა მიმართ“ (15 თეოლოგიური ჰომილია), 4. „ეგვპტით მომავალთა“ (11 სხვა ჰომილია)²³. ჩამოთვლილ 4 კოლექციაში 46 ჰომილია დაჯგუფებულია შინაგანსობრივი პრინციპით.

ქართული თარგმანის რიგს გარკვეულად ჰკავს 1 კოლექციის („ქრისტე-შეების“) რიგი, რომელიც მატენადარანის № 1500 ხელნაწერის მიხედვით ასეთია: 38, 39, 40, 1, 45, 44, 41, ეკლესიასტისადმი, 16, 14, 24, 15.

მსგავსება მხოლოდ იმაშია, რომ სომხური ლიტურგიკული კოლექცია იწყება შობის საკითხავით, Or. 38-ით. სხვა მხრივ მათ შორის სრული განსხვავებაა.

ჯერ ერთი, ეფრემის მიერ თარგმნილი ლიტურგიკული ჰომილიები (ისევე, როგორც ბერძნულში) რაოდენობრივად მეტია, ვიდრე სომხური ლიტურგიკული კოლექციის შედგენილობა. ეფრემთან 16 ჰომილიაა, სომხურში — 12. ამათგან ერთი, რიგით 8 (მეტაფრასტი ეკლესიასტესი), საერთოდ არ არის ლიტურგიკული ჰომილია. უფრო მეტიც, მას საერთოდ არ მიიჩნევენ ნაზიანზელის შრომად და გრიგოლ საკრველთმოქმედს მიაწერენ²⁴. ხუთი ჰომილია, რომლებიც ლიტურგიკულ საკითხავებს წარმოადგენენ, სომხურში გაფანტულია სხვა, არალიტურგიკულ კოლექციებში: Or. 21 და 43 — მეორე კოლექციაშია სათაურით „ვიძლიე“, Or. 42, 11 და 19 — მეოთხე კოლექციაშია სათაურით „ეგვპტით მომავალთა“²⁵.

შემდეგ, სომხური ლიტურგიკული კოლექცია შობის საკითხავით იწყება, ეფრემის კრებულში კი შობის საკითხავის წინ, ე. ი. პირველ ნომრად არის Or. 19 („იულიანესთვის“), რომელიც ქრისტეშობის წინა დღის (24 დეკემბრის) საკითხავია. სომხურ ტრადიციაში ამ საკითხავის ლიტურგიკული გამოყენება ხდება 19 სექტემბერს. თეთი ჰომილია სომხურ ლიტურგიკულ კოლექციაში საერთოდ არ დასტურდება, იგი სხვა, მე-4 კოლექციაშია მოხვედრილი.

ეფრემის ლიტურგიკული კრებული და სომხური ლიტურგიკული კოლექცია ჰომილიათა თანმიმდევრობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

ეფრემის რიგი:	19	სომხურის რიგი: ²⁶	38
	38		39
	43		40
	39		1
	40		45
	11		44
	21		41
	42		
	14	ეკლესიასტეს მეტაფრასი	
	16		16
	1		14
	45		24
	44		15
	41		
	15		
	24		

გრიგოლ ნაზიანზელი სომხურ ლიტურატურაში, ერევანი, 1988 (სომხურ ენაზე).

²³ კოლექციების სახელწოდებანი დარქმეულია სათანადო კოლექციის პირველი ნაწარმოების დასაწყისი ფრაზის მიხედვით.

²⁴ Repertorium Nazianzenum..., B. I, გვ. 23.

²⁵ G. Lafontaine, La Tradition..., გვ. 284.

²⁶ სომხური ლიტურგიკული კოლექციის შედგენილობა (12 ჰომილია) და მათი რიგი უმრავლეს შემთხვევაში მყარია. მხოლოდ ორ ხელნაწერში ბოლო (Or 15) გადმოინაცვლებს მე-8 ადგილას („მეტაფრასი ეკლესიასტეს“) ადგილას. იხ. G. Lafontaine, La tradition... გვ. 295—297.

სრულიად ნათლად ჩანს, რომ ეფრემის კრებულის ჰომილიათა რიგის ერთ-ერთი თქმის მთლიანად არ შეესატყვისება სომხური თარგმანებით ცნობილი ლიტურგიკული კოლექციის რიგს; გ. ლაფონტენის შეხედულების საწინააღმდეგოდ მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

ჰომილიების დაწყება Or. 19-ით, რაც ახასიათებს ეფრემისეულ კრებულს, დამახასიათებელი ყოფილა არაბული ხელნაწერებისათვის. მრავალ არაბულ ხელნაწერში ჰომილიათა რიგი — 19, 38, 39, 40 — ემთხვევა ეფრემისეულ რიგს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ Or. 43, რომელიც ეფრემის კრებულში მესამე ადგილზეა, Or. 38-სა და Or. 39-ს შორის, არაბულ ხელნაწერებში უკან არის გადაადგილებული²⁷.

16 ლიტურგიკული ჰომილიის ეფრემისეული რიგი იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ბერძნულ ხელნაწერებში. იგი სრულ ანალოგიას პოულობს Codices Regii-ის № 976 ხელნაწერთან, რომლის I ნაწილი XII ს-საა, II ნაწილი — XIV ს-ის, III ნაწილი — XI—XII ს-ისა²⁸. ლიტურგიკული ჰომილიები წარმოადგენს ხელნაწერის I ნაწილს. ბერძნულში იგი სრული არ არის. ეფრემის თარგმანთან შედარებით აკლია ხუთი სიტყვა. ბერძნული ხელნაწერის რიგი ასეთია: 19, 38, 43, 39, 40, 11, 21, 42, 14, 16, ..., 15, ...²⁹. გარდა აღნიშნულისა, ეფრემის ჰომილიათა რიგი ნაწილობრივ ემთხვევა შემდეგ ბერძნულ ნუსხებში წარმოდგენილ რიგს: Codices Regii № 1173 (XII ს.), 1174 (XII ს.), 1179 (XI ს.), 1463 (XI ს.), 1273 (XII ს.)³⁰. ეფრემისეული კრებულის რიგი ასევე ემთხვევა ბასილი მინიმუსის კომენტარების შემცველ ხელნაწერებში დადასტურებულ რიგს³¹.

ამრიგად, ეფრემისეული კრებული ჰომილიათა რიგის მიხედვით მსგავსებას პოულობს როგორც ზოგ ბერძნულ ხელნაწერთან, ისე არაბულ თარგმანებთან.

II. ეფრემის 16-სიტყვიან ლიტურგიკულ კრებულთაგან ორ უძველეს ნუსხაში — Ier. 15-სა და A 109-ში — რამდენიმე ჰომილიის წინ დასტურდება იამბიკოები. A 109-ში მითითებულია ორი იამბიკო (Or 39-სა და 40-თან)³². Ier. 15-ში იამბიკოები მითითებულია ოთხ საკითხავთან (38 43 39 42). თუმცა პოლოს სხვა ავტორთა თხზულებათა საძიებელში დამატებით მითითებულია კიდევ ერთი იამბიკო (Or. 11-თან)³³.

ხელნაწერებში არის კიდევ ერთი იამბიკო, რომელიც Or 11-ის იამბიკოს მსგავსად, ასომთავრული ხელით გაბმულად არის ნაწერი ტექსტის ზედა არშიაზე. იგი ახლავს Or. 21-ს³⁴. ამრიგად, იამბიკოები ახლავს კრებულის დასაწყისში მოთავსებულ ჰომილიებს: 38, 43, 39, 11, 21, 42-ს. ეს იამბიკოებია:

²⁷ I. Grand' Henry, La tradition manuscrite de la version arabe des „Discours“ de Grégoire de Nazianz. B. 2, Symposium..., გვ. 113—118.

²⁸ Repertorium Nazianzenum, B. I, Orationes. Codices Galliae, 1981.

²⁹ ...ნიშნით აღნიშნულია ის ჰომილიები, რომლებიც ხელნაწერს აკლია. ესენია: I, 45, 44, 41, 24.

³⁰ Repertorium Nazianzenum, B. I.

³¹ იქვე, ობ. Paris Coisl. 240 (XI ს.); 242 (X ს.); Marcian. 78 (XII ს.); Laurent. IV, 13 (X ს.), Paris Graeca 996 (XII ს.). I. S a j d a k. Historia critica scholiastorum et commentatorum Gregorii Nazianzeni, p. I, Cracoviae, გვ. 37—89.

³² თ. ბ რ ე ა ძ ე, დსახ. ნაშრ., გვ. 156.

³³ იქვე, გვ. 133—138.

³⁴ ობ. Ier. 15, 122r; A 109, 121r.

- Or. 38 საშოთ არსებით მზე პირველმოღებისა,
უდღოდ რომელ ძე მამამან სხუაგუამა,
მასვე უმამოდ გუამსა სისხლთაგან თვსთა
შობს დედაკაცი ადამენი ბეთლემს,
ჩჩელსა ახალსა, საუქუნეთა ღმერთსა. (Ier 15, 10r)
- Or. 43 ბასილი ცათა არა იუმალღესებს,
ეზეშთავების თვთ ღმერთამდე მისშემდგომთა,
გრძნობასა სულ ჰყოფს, სულსა-გონება,
ხოლო მას ღმერთგანმზილველ ღმრთისა თანა ღმრთისათა
და განსლვით ხატსა აპირშოშოვალითებს. (21v)
- Or. 39 ქალწულმან, რომელ კაცებრ სხუაგუამა ღმერთი,
ხოლო ჭადაგმან განბანა იორდანეს,
შიზეშმან ძედ და სულმან წამა სწორარსად,
წყალნი აახლა, აღამ აღაგო კუალად,
მან დღეს ნათელთაი ინათლისმთენა კრებაჲ. (79v)
- Or. 11 მზეებრ მნათობთა, ლომებრ მჭეცთ მეფობაჲ,
ჰშუენის ნოსელსა გრიგოლს ბასილის ძმობაჲ,
მღდღელთმთავრობ[ს] ქრისტე, ატ[ი]კელობს სოკრატებრ,
ზეშთმბრძოლობს მისსა, რომელსაცა განესნილმან
სული შეარწყუა ღმერთმთავრობითსა სულსა. (122r)
- Or 21 ყოვლისა ერთებრ მპყრობი სათნოებისაჲ,
აღექსანდრიით მემსხუერპლე ცის-ქუეშისაჲ,
ოთხგზის მთავსდები საზღვართავრობისაჲ,
მართლმთენებლობისა მზე, მეხი წვალებათაი,
სარკეთა (!)³⁴ დაჰქსნის დღეს დიდი ათანსი. (126v)
- Or. 42 ზეშთ-ბრწყინვალისა სამების ძლით ზეშთ-მნობაჲ
გრიგოლის დიდსა ისახელმრთოსმეტყველებს,
სათნობათა ხუავი აზესთმწყემსთმწყემსებს,
წედ წილ განწმედაჲ ამაღლითგანღმრთობილებს,
წევთთა ვანყრაჲ აზეცისკამარებს. (146v)

იამბიკოები არ ახლავს რიგით პირველ ჰომილიას (Or. 19) და მეხუთე ჰომილიას (Or. 40). მათი არ-არსებობა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: პირველ ჰომილიასთან იამბიკო არ ჩანს ხელნაწერთა დეფექტურობის გამო. Ier. 15 თავნაკლულია. რაც შეეხება A 109-ს, ისიც ნაკლული ყოფილა და დასაწყისი ფურცლები განუახლებიით XVIII ს-ში. ამდენად, საფიქრებელია, რომ ორსავე ნუსხას ჰქონოდა იამბიკო პირველ ჰომილიასთან.

რაც შეეხება Or. 40 (რიგით მე-5 ჰომილიას), შესაძლოა მას იმიტომ არ ახლავს იამბიკო, რომ იგი, ეს ჰომილია, შინაარსობრივად იმეორებს წინა (39-ე) ჰომილიას. ორივე ჰომილია ნათლისღებას ეხება და რადგან იამბიკო ახლდა წინა Or. 39-ს, მის მომდევნო ჰომილიასთან იმავე შინაარსის იამბიკოს წამძღვარება აღარ ჩათვალეს აუცილებლად.

ვინ არის ამ იამბიკოების ავტორი, ქართველი თუ ბერძენი მოღვაწე? ორიგინალურია თუ ნათარგმნი Ier. 15-სა და A 109-ში დადასტურებული იამბიკოები? უძველესი პასუხის გაცემა ჭერჭერობით გვიძნელდება, მაგრამ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნაზიანზელის ჰომილიების შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში დადასტურებულია იამბიკოების არსებობა.

³⁴ ქარაგმა არასწორად უნდა იყოს გახსნილი. შესაძლოა ყოფილიყო „საკრველთა“.



ბერძნულ სინამდვილეში არსებობდა ტრადიცია, გრიგოლ ნაზიანზელისა და მისი თხზულებების შესახებ შეეთხზათ იამბიკობი³⁵.

ი. საიდაკის ცნობით, გეორგი პისიდას დაუწერია ეპიგრამები თხზულებებზე. ასევე თეოდორე პროდრომეს ჰქონია იამბიკობი (αμφιλαμβόμε) ექმული³⁶. ვინდობონენსის ერთ-ერთ ხელნაწერში (X—XI ს.) დადასტურებულია *σχιλαί: ἰαμβίαιαι τῶν Φιλῆ εἰς τῶν λήγουσ τῶν Μειλιγίου*³⁷. ვ. ბენეშევიჩს წმ. ეკატერინეს მონასტრის № 361 ხელნაწერის აღწერისას გამოქვეყნებული აქვს ამ ხელნაწერში დადასტურებული რამდენიმე იამბიკო და ლექსი მიძღვნა გრიგოლ ნაზიანზელს³⁸.

საყურადღებოა, რომ ბერძნულ ხელნაწერებშიც იამბიკობი დადასტურებულია არა 16-ვე ჰომილიასთან: ზოგან ორი იამბიკოა, ზოგან — ოთხი, ზოგან — ხუთი და ა. შ.³⁹.

ქართული იამბიკობის წყაროს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ. საყურადღებოა ორიოდ ტექსტობრივი პარალელი, რომელიც აღმოჩნდა Ier. 43-ის აკროსტიქ-იამბიკოსა და ბენეშევიჩის მიერ გამოქვეყნებულ ლექს შორის: „წყარო ღვთისმეტყველების“ — *ἡ σχιλαῖη τῶν ἰαμβιατων*: „უძილ თუალ“ — *Σχινοὺς ἔραξ*. ამ ორიოდ პარალელის საფუძველზე რაიმე დასკვნის გაკეთება, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ მომავალი ძიების აუცილებელ საფუძველს, ფიქრობთ, მინც იძლევა.

ჩვენეი აზრით, Ier. 15-სა და A 109-ში დადასტურებული იამბიკობი ბერძნულადან უნდა იყოს თარგმნილი.

აღნიშნულ იამბიკობთან დაკავშირებით წარმოიშვა მოსაზრება: ხომ არ არის მათთან რაიმე კავშირში Ier. 43-ის დასაწყისში დადასტურებული იამბიკო-აკროსტიქი?

აღნიშნული აკროსტიქი, თ. ბრეგაძის შეხედულებით, ნუსხის გადამწერს ეკუთვნის, მის კიდურწერილობაში მოხსენებული „გეორგი“ ხელნაწერის გადამწერი არის⁴⁰. ეს სავსებით დასაშვებია. მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც ევარაუდოთ: ხომ არ ეკუთვნის იგი ბერძენ ავტორს, ხომ არ არის იგი რაიმე კავშირში Ier. 15-სა და A 109-ში არსებულ იამბიკობთან? რა საფუძველი გვაქვს ამ ვარაუდის დასაშვებად?

1. ჩვენთვის საინტერესო იამბიკო-აკროსტიქი, გარდა Ier. 43-ისა, დასტურდება სხვა ხელნაწერებშიც. ესენია A 52 და Ier. 18. A 52 ნუსხა XI11-ის ხელნაწერია, შეიცავს თეოფილაქტე ბულარელის განმარტებას იოანეს სახარებისა. ხელნაწერის ბოლოში არის გრიგოლ ღვთისმეტყველის სამი ჰომილია: i. 19, 38. ჰომილიების შემდეგ არის ჩვენთვის საინტერესო იამბიკო-აკროსტიქი და მარგინალურ ნიშანთა ის განმარტებანი, რაც არის Ier. 43-ში. მეორე ხელნაწერია Ier. 18, XIII—XIV სს-ისა. იგი მეტაფრასული კრებულია. მეტაფრასულ საკითხავებს შორის მოთავსებულია ნაზიანზელის ორი ჰომილია: 44 და 41. აქაც ხელნაწერის ბოლოს არის იამბიკო-აკროსტიქი და Or. 11-ისა და 42-ის იამბიკობი.

³⁵ I. Sajdak, დასახ. ნაშრ. გვ. 273.
³⁶ იქვე, გვ. 259.
³⁷ იქვე, გვ. 207.
³⁸ В. Н. Бенешевич, Описание греческих рукописей..., გვ. 201—203.
³⁹ I. Sajdak, დასახ. ნაშრ., გვ. 256—274; I. Noret, დასახ. ნაშრ., გვ. 146—207.
⁴⁰ თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 144.



ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო იამბიკო-აკროსტიქი, გარდა Ier. 43-ისა, სხვა ნუსხებშიც დასტურდება. თანაც ისეთ ტექსტებთან ერთად რომელთაგან ზოგი საერთოდ არ მოიპოვება Ier. 43-ში (ამდენად გამორჩეულია, რომ იგი ამ ნუსხიდან იყოს გადაწერილი). გვაფიქრებინებს, რომ იგი Ier. 43-ის გადაწერს არ უნდა ეკუთვნოდეს. იამბიკო 16-სიტყვიანი ეფრემის კრებულის არქეტის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ის, მსგავსად დანარჩენი იამბიკოებისა, ბერძნული წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

2. საყურადღებოა იამბიკო-აკროსტიქის ბოლო ტაქვი: „იამბიკომად მივიძღუანებ თავედოვანად“. გამორიცხული არაა, რომ „თავედოვანს“, რომელიც სასულიერო პოეზიაში „აკროსტიქის“ მნიშვნელობით იხმარება, ამ კონტექსტში ჰქონდეს სხვა მნიშვნელობა, კერძოდ: „თავების მიხედვით“. ეს მოულოდნელი არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეფრემ მცირე ნაზიანზელის პომილიებს „თავებს“ უწოდებს. A 292-ის ანდერძში იგი წერს: „ვითარცა ძალღმან მოვლოკო ნაბიჭვევისაგან დაცვენებულისა... საკითხავთა ამათ, რომელნი აკლდეს ერგასისთა მათ თავთა მიერ შესრულებულსა წიგნსა წმიდისა გრივოლი ღვთისმეტყუელისასა“ (329r). ავტორი, ჩვენი აზრით, ლაპარაკობს იამბიკოების „თავედოვანად“, ანუ თავების მიხედვით, მიძღვნაზე. ასეთი დაპირების კვალი შესაძლოა იყოს ზემოთ მოხსენებული იამბიკოები, რომლებიც დასტურდება Ier. 15-სა და A 109-ში რამდენიმე პომილიის წინ.

იამბიკოებთან დაკავშირებით გამოთქმული თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ეფრემისეული კრებულის არქეტისის დადგენისა და ბერძნულ ხელნაწერებთან მისი მიმართების გარკვევის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს მოკლებული არაა.

III. ეფრემისეულ კრებულში დასტურდება კომენტარები, რომლებიც ბერძნულში დართული აქვთ ნაზიანზელის პომილიებს. ცნობილია, რომ ბერძნულ სინამდვილეში სხვადასხვა დროის ავტორები კომენტარებს ურთავდნენ ღვთისმეტყველის პომილიებს⁴¹. ეფრემ მცირეს უთარგმნია კომენტარებიც.

რაც შეეხება სხვა ქართულ მთარგმნელებს, მათ თითო ან ორი სიტყვის კომენტარი უთარგმნიათ მხოლოდ. ეფთჳმე მთაწმიდელს უთარგმნია Or. 38 და 44-ის კომენტარები და მაქსიმე აღმსარებლის კომენტარები Or. 39 და 43-ისა, დავით ტბელს — Or. 9-ის კომენტარები და გრიგოლ ოშკელს — Or. 27-ისა⁴².

ეფრემის მიერ თარგმნილი კომენტარები ზოგ ხელნაწერში არსიებზეა მიწერილი იმ პომილიასთან, რომელსაც განეკუთვნებიან. ასეთია — A 109, Ier. 43, Ier. 15 და შერეული ტიპის A 16 ხელნაწერები. ერთადერთ ნუსხაში Ier. 13-ში კომენტარები 16 პომილიის ბოლოშია მოთავსებული იმ თანმიმდევრობით, როგორცაა გადაწერილი პომილიები. ოთხ ხელნაწერში (A 1490, Ier. 8, Sin. 79, ქუთ. 9) კომენტარები საერთოდ არ არის. ამათგან Ier. 8 და Sin. 79 ბოლონაკლული ნუსხებია და ამდენად ვერაფერს ვიტყვით — საერთოდ არ იყო ამ ხელნაწერებში კომენტარები, თუ იყო და დაკარგულ ფურცლებთან ერთად დაიკარგა. ვფიქრობთ, რომ ეფრემისეული კრებულის ავტოგრაფულ ნუსხაში კომენტარები იმ წესით იყო მოცემული როგორც დღეს გვაქვს A 109, Ier. 43-სა და Ier. 15-ში, ე. ი. კომენტარები მოთავსებული იყო ხელნაწერის არსიებზე.

ჩვენ გამოვდივართ ეფრემ მცირის მთარგმნელობითი პრინციპიდან, რომ ყოველგვარი კომენტარი, განმარტებანი და შეისწავენი უნდა მოთავსდეს ხელ-

⁴¹ I. S a j d a k. დსახ. ნაშრ., Repertorium Nazianzenum, B. 1, 1981; B 5. Orationes, Textus Graecus 2, Codices Americae, Angliae, Austriae. Paderborn, 1987.

⁴² თ. ბ რ გ ა ძ ე, დსახ. ნაშრ., გვ. 57—60.



ნაწერის არშიებზე, დაუშვებელია მათი ტექსტში ჩართვა⁴³. ეფრემ მცირეწმიდის თარგმანებში მულამ ერთგულად იცავს ამ პრინციპს. ამდენად მისი თარგმანები ნელია, რომ ნაზიანზელის ჰომილიათა კომენტარებიც მის მიერ ხელნაწერის არშიებზე იყო გატანილი. ეფრემის ბერძნული დედანი ასეთი აღნაგობის ხელნაწერებშია საგულვებელი.

IV. ეფრემის კრებულის შედგენილობის თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი მსგავსებას ავლენს იმ ბერძნულ ხელნაწერებთან, რომლებშიც დაცულია ბასილი უნდოს კომენტარები გრიგოლის ჰომილიებისა-

ბასილი უნდოა — Basile Mignimus — X ს-ის მოღვაწეა, რომელმაც კომენტარები გაუყეთა ლეთისმეტყველის ჰომილიებს⁴⁴. რაში ვლინდება მსგავსება ამ ბერძნულ ნუსხებსა და ეფრემის თარგმანებს შორის?

1. ბასილი უნდოას კომენტარები წარმოდგენილია იმ რიგით, რომლითაც დალაგებულია ჰომილიები ეფრემის კრებულში.

2. ბასილის კომენტარების შემცველ ბერძნულ ნუსხებში არის რამდენიმე მცირე მოცულობის ტექსტი⁴⁵. ისინი დასტურდება ეფრემის თარგმანის შემცველ ზოგიერთ ნუსხაში (Ier. 15, Ier. 43), სადაც ისინი არშიებზეა დაწერილი, როგორც ჩვეულებრივ კომენტარები. Ier. 13-ში კი სხვა კომენტარების მსგავსად ისინიც დაწერილია გაბმულ ტექსტად. ეს ტექსტებია:

ა) მიმართვა იმპერატორ კონსტანტინესადმი⁴⁶. ქრისტეშობის საციოხავის განმარტებებია, რომელთაც უძღვის შესავალი (Ier. 15, 10v; Ier. 43, Ier. 13, 284r—298v). ბ) ბასილი უნდოას შესავალი ტექსტი Or. 43-ის კომენტარების წინ⁴⁷. (Ier. 15, 22r; Ier. 43, 105—112; Ier. 13, 299r—322r). ქართულ ნუსხებში ამ ტექსტს აქვს დასათაურება, რომელიც Ier. 43 და Ier. 15-ში ცუდად იკითხება. Ier. 13-ში გარკვევით ჩანს სიტყვები: „ბასილი პროტოთრონი“. საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა არის ერთ-ერთი ბერძნული ხელნაწერის დასათაურებაში. ხელნაწერი შეიცავს ბასილი უნდოას კომენტარებს. იქ წერია: Βάσιλεως ἐλάχιστα; ὁ Καισαρείας Καπαδοκείας τῆ φιλοχρίστου θεσποτη Κωνσταντίνου: ἔχει δὲ καὶ Γεωργίου τὸ βίβλιον ἐρημηθεῖαν τῶν Μωυσοῦν καὶ ἀλλῶν τὰ δὲ προοίμια τῶν πρωτοβόρου. ვ. მარგინალურ ნიშანთა განმარტება⁴⁸.

ეფრემის კრებულის ტექსტობრივი პარალელები გამოვლენილია იმ ბერძნული ხელნაწერების მიმართ, რომლებიც წარმოდგენილია ი. საიდაკის გამოცემასა და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა ი. მოსკვის აღწერილობაში. ბერძნულ ხელნაწერთა უფრო ფართოდ მოძიების შედეგად შესაძლებელია მეტად გაიზარდოს ამ პარალელთა რიცხვი.

ამდენად, ვარაუდის სახით შესაძლოა განვაცხადოთ შემდეგი: 16 ლიტურგიკული ჰომილიის ეფრემ მცირის თარგმანის შემცველი კრებულის დედანი შესაძლოა იმ ბერძნულ ხელნაწერებში ვიგულოთ, რომლებშიც ბასილი მცირის კომენტარებია დადასტურებული.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად საგულისხმოა იმის გათვალისწინებაც, რომ ეფრემ მცირე თავის ანდერძებში რამდენიმეჯერ აღნიშნავს 16-სიტყვიანი კრებულის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, თარგმნის ფაქტს. Ier. 13-ის

⁴³ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფეას გამოცემა, თბ., 1976, გვ. 68.

⁴⁴ I. S a j d a k, დასახ. ნაშრ., გვ. 37—89.

⁴⁵ იქვე, გვ. 71, 82; Repert. Nazianzenum, B. I. გვ. 103—106.

⁴⁶ I. S a j d a k, დასახ. ნაშრ., გვ. 71, 82. Repert. Nazianzenum, B. I. Codices Galliae №№ 242, 573, 576...

⁴⁷ I. S a j d a k, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

⁴⁸ იქვე, გვ. 104, 242, 516.



ანდერძში (150r) ვკითხულობთ: „დიდება და მადლობა დასაბამსა და სრულ მყოფელსა ყოველთა კეთილთასა წმიდასა სამებასა ერთარსებასა, რომელსა სრულ-ყვნა ათექუსმეტნი ესე საეკლესიონი სიტყუანი დიდისა გრიგოლის ღმრთისმეტყუელისანი“. იმავე ანდერძის სხვა ადგილას: „ესრეთ სრულ იქმნეს მრავალყამეული იძულებით ბრძანება სულიერისა მამისა ჩუენისა ბერის კვირკვე აღექსანდრიელისა კუალად მეორედ თარგმნითა ამთ სადღესასწაულოთა საკითხავთათა“.

აქ გარკვეულად ლაზარაკია 16 სადღესასწაულო საკითხავის, როგორც 45-სიტყვიანი კორპუსიდან გამოყოფილი კრებულის, თარგმნის შესახებ.

16-სიტყვიანი კრებულისაგან განსხვავებულია A 292 ხელნაწერი, რომელიც ეფრემ მცირის თარგმანების შედარებით სრულ კრებულს წარმოადგენს. მისი შედგენილობა ეფთვიმე მთაწმიდლისა და დავით ტბელის თარგმანებთან მიმართებით განხილულია გ. ლაფონტენისა და ე. მეტრეველის მიერ⁴⁹. ჰომილიათა ქართული თარგმანების სრული კორპუსის აღდგენის ცდა მოცემულია თ. ბრეგაძისა და ქ. ბეზარაშვილის მიერ⁵⁰.

A 292 ნუსხის, როგორც კრებულის, რაობისა და შედგენილობის თვალსაზრისით საყურადღებოა გადამწერის, იოანე ოსეს ძის, ანდერძში შემონახული ცნობა, რომ მას თავისი ნუსხა გადაუწერია ეფრემის „ორტომედი“ კრებულისაგან⁵¹.

„ორტომედი“, ცხადია, გულისხმობს ისეთ კრებულს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ორი ტომისაგან შედგენილი კრებულები ცნობილია როგორც ბერძნულ ხელნაწერებში, ისე ზოგ აღმოსავლურ ვერსიაში. I ტომს შეადგენენ ლიტურგიკული სიტყვები, II-ს — დანარჩენი ჰომილიები⁵².

ცნობილია, რომ ბერძნულ ტრადიციაში 16 ლიტურგიკული ჰომილიის ცალკე კრებულად ვაფორმება XI ს-ს ეკუთვნის. უფრო ადრე, IX ს-ში, ლიტურგიკული ჰომილიები დაჯგუფდა 45-სიტყვიანი კრებულების თავში, შემდეგ კი (XI ს.) ისინი გამოიყენენ დანარჩენ ჰომილიებს და ცალკე კრებულები შექმნეს. ეფრემ მცირის დედანი ერთ-ერთი ამ ტიპის ბერძნული ხელნაწერი უნდა ყოფილიყო, კერძოდ ისეთი ხელნაწერი, რომელშიც ლიტურგიკული ჰომილიები ხელნაწერის თავში, ანუ პირველ ნაწილში, იქნებოდა დაჯგუფებული.

ნაზიანზელის ჰომილიათა ქართული თარგმანების ზუსტი რაოდენობის დასადგენად უნდა ვავითვალისწინოთ ის ტრადიცია, რაც არსებობს ბერძნულ ხელნაწერებში ნაზიანზელის თხზულებათა სრული კორპუსის შედგენილობის თვალსაზრისით.

შედგენილობის თვალსაზრისით ბერძნულ ხელნაწერებში ერთგვარობა არაა. მიუხედავად ნუსხათა არაერთგვარობისა, ბერძნულ სინამდვილეში დაკანონებულია, რომ ნაზიანზელის ჰომილიათა სრული კორპუსი შეიცავს 45 ჰომილიასა და 10 დამატებას (ტექსტებს, რომლებიც საკითხავებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ტრადიციით ჰომილიათა კრებულშია ჩართული). ეს ტექსტებია: ეპისტოლე 101 (კლიდონის I), ეპისტოლე 102 (კლიდონის II), ეპისტოლე 202 (ნეკტარიოსის), ეპისტოლე 243 (ევაგრეს), სწავლა ქალწულისა მიმართ, მეტა-

⁴⁹ G. Lafontaine et H. Metreveli, დასახ. ნაშრ., გვ. 69—73.
⁵⁰ თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9—10; ქ. ბეზარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 116—134.
⁵¹ A 292, 407r.
⁵² A. de Halleux, La version syriaque des Discours de Grégoire de Nazianze, Symposium Nazianzenum..., B. 2, გვ. 88. C. Helly-Fermy, Un manuscrit des Discours de Grégoire de Nazianz au Monastere de Tatarna, Symposium Nazianz., B. 2, გვ. 34.

ფრასი ეზეკიელისა, მეტაფრასი ეკლესიასტესი, წერილები ურთიერთარსნი, ასეული იამბიკოჲ და ცხოვრება გრიგოლისა⁵³.

45 ჰომილიათაგან 16 ლიტურგიკული საკითხავია, 29-არალიტურგიკული. ამ უკანასკნელთ ეფრემ მცირე აპორიტას უწოდებს⁵⁴. ეფრემმა ეს სიტყვა, უთუოდ, რომელიღაც ბერძნულ ხელნაწერში ამოიკითხა. აპორიტა ბერძნული **ἀπὸρρητος**-ია, რომლის მნიშვნელობაა „დაფარული“, „არგამხელილი“. ამასთან მიმართებით საყურადღებოა ის მინაწერები, რომლებიც ზოგიერთ ბერძნულ ჰომილიასთან დასტურდება. ესენია: **ἀναγυσσάρχμεις, μὴ ἀναγυσσάρχμεις**. ი. მოსესი შეხედულებით, ესენია „წასაკითხავი“ და „არწასაკითხავი“ ჰომილიები. 16 ლიტურგიკული ჰომილია წასაკითხავია, ანუ ღვთისმსახურების დროს იკითხებოდა, დანარჩენი ჰომილიები „არწასაკითხავია“, რადგან ისინი ღვთისმსახურებისას არ იკითხებოდა⁵⁵.

ეფრემ მცირის აპორიტა (**ἀπὸρρητος**), ალბათ, **μὴ ἀναγυσσάρχμεις**-ის ფარდი მნიშვნელობით არის ნახმარი⁵⁶.

გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერებს ორ ოჯახად ჰყოფენ: M და N ოჯახად⁵⁷. თ. შინკო M ოჯახში აერთიანებს 47 სიტყვის შემცველ კრებულებს, ხოლო N-ში — 52-სიტყვიანს. უკანასკნელ წლებში ზოგი მკვლევრის მიერ გამოთქმულია აზრი, რომ შინკოს ჰიპოთეზა გადასინჯვას თხოვლობს, რადგან დადასტურდა მთელი რიგი ხელნაწერებისა, რომლებშიც M და N ოჯახისათვის დამახასიათებელი ნიშნები არეულია⁵⁸.

კვლევის დღევანდელ ეტაპზე ნაადრევია ზუსტად განისაზღვროს ის, თუ რომელ ოჯახს განეკუთვნებიან ქართული თარგმანები. ამ საკითხის საბოლოო დადგენა მოხერხდება A 292 ნუსხის, ე. ი. სრული კრებულის, შესწავლის შედეგად⁵⁹.

მიუხეობრედეთ ჰომილიათა ქართული თარგმანების სრული კრებულის შედგენილობის საკითხს.

მართალია, დღეს არსებული არც ერთი ქართული ხელნაწერი არ შეიცავს ჰომილიათა სრულ კრებულს, როგორც ეს შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში⁶⁰, მაგრამ ის, რაც ქართულ ხელნაწერებში დაფანტულად არის დადასტურებული ოთხი ქართველი მთარგმნელის ტექსტების სახით, სრულ წარმოდგენას გვიქმნის ნაზიანზელის ჰომილიათა ქართული კორპუსის შედგენილობისა და სისრულის შესახებ.

ყველაზე სრული კრებული ეფრემის თარგმანებისა, როგორც აღვნიშნეთ, არის A 292 ხელნაწერი. აღწერილობის მიხედვით, A 292 შეიცავს 43 სტა-

⁵³ Repert. Nazianzenum, B. 1, გვ. 23—25.

⁵⁴ A 292, 279v.

⁵⁵ I. Mossay, La collection des Discours „non-lüs à date-fixé“ dans le Ms. de New-York Gorda Goodhart G. 44, Sumposium Nazianz. B. 2, გვ. 15.

⁵⁶ „აპორიტას“ სწორი გაგება მოცემულია ქ. ბეზარაშვილის შრომაში, იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში („მაცნე“, ვლს, 1986, № 3, გვ. 87—112).

⁵⁷ Th. Sinko, De traditione orationum Gregorii Nazianzeni, Pars prima, Cracoviae, 1917. Pars secunda, De traditione indirecta, Cracoviae, 1923.

⁵⁸ J. Mossay, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

⁵⁹ დღესდღეობით, ერთი ლიტურგიკული ჰომილიის, კერძოდ 21-ე ჰომილიის, („შესხა...ქმ. ათანასესი“) ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შესწავლის შედეგად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართული თარგმანის ტექსტი მისდევს N ოჯახის ბერძნულ ხელნაწერებს.

⁶⁰ G. Lafontaine et H. Metreveli, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

ტიას⁶¹. მათგან ერთი (Or. 4) დავით ტბელის თარგმანია, დანარჩენი 42 თხზუ-
ლების თარგმანი ეფრემ მცირეს ეკუთვნის.

რა თხზულებებია ესენი?

A 292-ში დასტურდება ეფრემის მიერ თარგმნილი ნაზიანზელის 31 პო-
მილია, 9 დამატება და 2 სხვა თხზულება.

დამატებებს წარმოადგენენ შემდეგი ტექსტები: 1. სწავლა ქალწულისა
მიმართ, 2. ეპისტოლე 102 (კლიდონის), 3. ეპისტოლე 202 (ნექტარიოსის),
4. ეპისტოლე 243 (ევაგრეს), 5. მეტაფრასი ეზეკიელისა, 6. მეტაფრასი ეკლე-
სიასტესი, 7. ეპისტოლენი ურთიერთარსნი ვასილის მიერ დიდისა და გრიგორი
ღმრთისმეტყველისა, 8. ეპისტოლენი გრიგორისნი, 9. ცხოვრება გრიგორისი.

ბერძნული სრული კორპუსისაგან განსხვავებით, სადაც მე-7-ე და მე-8
ეპისტოლენი ერთ სტატიად არის გატანილი, A 292-ის აღწერილობაში ისინი
ცალ-ცალკეა გატანილი 38-ე და 39-ე ნომრებად. ხელნაწერში მათ ერთი და
იგივე ასოითი სათვალავი უჭით — ლმ: ლმ — „ეპისტოლენი ურთიერთარსნი“
და ლმ — „ეპისტოლენი გრიგორისნი“. მომდევნო სტატიას — ბასილის ეპის-
ტოლეებს, — აქვს ნომერი „მ“. არ ჩანს „ლთ“. გამოთქმულია მოსაზრება,
რომ „ლთ“-ს ადგილას თუ რამე თხზულება ნაკლები არაა, მაშინ გადამწერის
შექანიკურ შეცდომასთან უნდა გვექონდეს საქმე: მან ორ სტატიას ერთი და იგი-
ვე რიგითი ნომერი მიუწერა⁶². შესაძლოა ამ ფაქტის სხვაგვარი გაგებაც: 38-
ისა და 39-ის ერთი ასოითი სათვალავი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ორი სტა-
ტია ერთ მთლიან თხზულებად არის გააზრებული. შესაძლოა თვითონ მთარ-
გმნელს ამ სახით ჰქონდა ისინი გადმოღებული.

ბერძნული სრული კორპუსისაგან განსხვავებით, A 292-ში არ დასტურ-
დება ერთ-ერთი დამატება, კერძოდ, „ასეული იამბიკოა“, რომელიც ბერძნულ-
ში სრულ კორპუსში შედის და რომლის ეფრემისეული თარგმანი მრავალ
ხელნაწერშია დაცული⁶⁴. A 292-ში დასტურდება კიდევ ორი თხზულება,
რომელთაგან ერთ-ერთი (რიგით 40-ე) — „ეპისტოლენი წმიდისა ბასილისნი“ —
ამჟამად სხვა ავტორისაა, ისინი ბასილი კესარიელს ეკუთვნის, ხოლო რიგით
მე-4 არის „ეპიტაფიად ვასილისა სტიხოსნი იროიკონი პარაფრასნი ნიკიტა
ფილოსოფოსისანი“. ეს უკანასკნელი, A 292-ის გარდა, დასტურდება 16 ლი-
ტურგაკული პომილიის შემცველ კრებულებშიც, სადაც, როგორც ზემოთ აღ-
ვნიშნეთ, იგი ჩვეულებრივ მოსდევს Or. 43-ს, ანუ ბასილის ეპიტაფიას. და
თავდაპირველად სათვალავში არ შედიოდა. ასეთია A 292 ნუსხის შედგენი-
ლობა.

ნაზიანზელის პომილიათა თარგმნის ისტორიის თვალსაზრისით საყურად-
ღებოა A 292 ხელნაწერზე დართული ეფრემისეული ანდერძების ცნობები,
რამდენადაც მათზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ნაზიანზელის თხზუ-
ლებათა სრული ქართული კორპუსის აღდგენა.

⁶¹ თ. ბ რ ე ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 167—180.

⁶² ამათგან ზოგი თხზულება ფსევდო ნაზიანზელისაა. მაგ., ეპისტოლე 243 (ევაგრეს
მიმართ) გრიგოლ ნოსელის თხზულებად არის მიჩნეული, ხოლო „მეტაფრასი ეკლესიასტესი“
გრიგოლ საკვირველთმოქმედს ეკუთვნის. ვინაიდან ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციით, ჩა-
მოთვლილი თხზულებები გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა კრებულშია შესული (იხ.
Reperit. Nazianzenum, B. I, გვ. 23—24), ქართულ სინამდვილეში ეფრემისეული კრებუ-
ლის შედგენილობის რკვევისას, ისინიც უნდა იქნენ გათვალისწინებული.

⁶³ თ. ბ რ ე ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

⁶⁴ იქვე, გვ. 320.

ერთ-ერთ ანდერძში ეფრემ მცირე აღნიშნავს, რომ მას წმიდა სამებისა და ღვთისმშობლის მეოხებით მოემაღლა, რომ „ვითარცა ძაღლმან მოვლოცო ნაბიჭვისაგან დაცხებულისა წმიდათა მათ პირთაგან ევთიმი მთავარდღეობისა და დავით ტბელისა ნეშტი საკითხავთა ამათ, რომელნი აკლდეს ერგასისთა მათ თავთა მიერ შესრულებულსა წიგნსა წმიდისა გრიგორი ღვთისმეტყუელისასა და აწ არს მომადლებითა შენითა ქართულადუა უნაკლო რიცხუ საკითხავთა მისთა, ვითარ-იგი ბერძულად და ყოველივე ბერძელისაგან“ (331r).

როგორც ირკვევა, ეფრემ მცირე იცნობდა და სარგებლობდა, ალბათ, ისეთი კრებულთ, რომელიც 50 თავისაგან, ანუ 50 თხზულებისაგან, შედგებოდა.

ბერძნულ ხელნაწერებში დადასტურებულია 50 თხზულების შემცველი კრებულები. ისინი 52-სიტყვიან ოჯახს განეკუთვნებიან. მართალია, ეფრემის წყარო 50-სიტყვიანი კრებულია, მაგრამ ქართულ ხელნაწერებში ნაზიანზელის ჰომილიათა მეტი რაოდენობა დასტურდება. ყველა ქართველი მთარგმნელის მიერ შესრულებულ თარგმანებს თუ გავითვალისწინებთ, ნაზიანზელის ჰომილიათა სრული კორპუსი 50 ერთეულზე მეტ თხზულებას წარმოაჩენს.

A 292-ის ერთ-ერთ ანდერძში ეფრემი იუწყება შემდეგს: ბერმა კირილე ალექსანდრიელმა „კადნიერ მყო მე ახლად თარგმნად ათექვსმეტთა სადღესასწაულოთა და ამას ერთსა აპორიტათაგანსა.. ხოლო ათცხრამეტნი იგი აპორიტათაგან პირველ ჩემგანვე თარგმნილნი სიტყუადართვით და მისვე მამისა... კვალსა შედგომითა ითარგმნეს ჩემგან“ (279v).

ეფრემის სიტყვებით, მას ხელმეორედ უთარგმნია 16 ლიტურგიკული ჰომილია და ერთი აპორიტა. ვინაიდან აღნიშნული ანდერძი მოსდევს Or. 3-ს, ცხადია, ეფრემი ერთ აპორიტაში ამ ჰომილიას გულისხმობს (მართლაც, Or. 3 ეფრემამდე თარგმნილი ჰქონდა ეფთვიმე მთაწმიდელს), ხოლო პირველად ეფრემს უთარგმნია 19 აპორიტა.

ეფრემის ანდერძების მიხედვით, მას უთარგმნია ნაზიანზელის 36 თხზულება: მეორედ თარგმნილი 16 ლიტურგიკული ჰომილია და 1 აპორიტა + პირველად თარგმნილი 19 აპორიტა. თუ ამ რაოდენობას მივუმატებთ იმ 14 თხზულებას, რომლებიც ეფრემამდე თარგმნილი იყო დავით ტბელის (4, 8, 9, 10, 12, 28, 34, 36, ეპისტოლე 101) და ეფთვიმე მთაწმიდელის (20, 29, 30, 31, 37) მიერ, მივიღებთ ეფრემის პირველ ანდერძში აღნიშნულ რაოდენობას — 50-ს.

მაგრამ ასეთი გამოთვლა ჰომილიათა ქართული თარგმანების რაოდენობისა არ შეესაბამება იმ რეალურ ვითარებას, რაც ქართულ ხელნაწერებში არსებობს ჰომილიათა საერთო რაოდენობის მხრივ.

საქმე ის არის, რომ ეფრემის თარგმანები ხელნაწერებში დაცულია უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე თვითონ ასახელებს თავის ანდერძებში.

A 292 ხელნაწერში, როგორც აღვნიშნეთ, დასტურდება ეფრემის მიერ თარგმნილი 40 თხზულება⁶⁵. თუ ამას მივუმატებთ ეფრემის მიერ თარგმნილ კიდევ ერთ თხზულებას, რომელიც A 292-ს არ შემოუნახავს, მაგრამ გვაქვს ლიტურგიკული სიტყვების შემცველ ძველ კრებულებში, კერძოდ „ასეულ იამბიკოს“, მივიღებთ, რომ ეფრემს სულ უთარგმნია 41 თხზულება.

ანდერძში ეფრემი ლაპარაკობს 36 თხზულების თარგმნის შესახებ. რაშია საქმე? რატომ არ ეთანხმება ანდერძის ცნობა იმ რაოდენობას, რაც ხელნაწერებში გვაქვს? ამაზე უტყუარი პასუხის გაცემა ძნელია, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, რომელ სიტყვებს გულისხმობდა ეფრემი იმ 19 აპორიტაში, რომე-

⁶⁵ ამ სათვალავში, იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, არ შეგვაქვს „სტიხოსნი იროკონი“ და „ეპისტოლენი წმიდისა ბასილისნი“.

ლიც მან პირველად თარგმნა. ეფრემს რომ დაესახელებინა 19 აპორიტა, მასონ ზუსტად გვეცოდინებოდა, რომელია ის 5 ჰომილია, რომელიც მან ანდერჟეჟიანულად არ დაასახელა.

ეფიქრობთ, რომ ის 19 აპორიტა, რომელიც პირველად თარგმნილად გამოაცხადა ეფრემმა, არის შემდეგი თხზულებები: 5, 6, 7, 13, 17, 18, 22, 23, 25, 26, 27, 32, 33, ეპისტოლე 102, 202, 243, მეტაფრასი ეკლესიასტესი, მეტაფრასი ეზეკიელისა, სწავლა ქალწულისა მიმართ.

ეფრემი აპორიტებს შორის არ დაასახელებდა „გრიგოლის ცხოვრებას“, რომელიც მანამდე თარგმნილი ჰქონდა ეფთვიმე მთაწმიდელს. ასევე არ დაასახელებდა Or. 7 და 27-ს, რომლებიც მანამდე თარგმნილი იყო სომხური ენიდან გრიგოლ ოშკელის მიერ. ანდერჟეჟის მიხედვით ირკვევა, რომ ეფრემი Or. 7 და 27-ს ნამდვილად არ მიიჩნევს პირველად თარგმნილად: „ლოცუა ჰყავთ ეფრემისთვის თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი... ხოლო მე სომხურისა წილ ბერძულისაგან კუალად მეორედ ვიძიულე თარგმნად“ (A 292, 312r). „მეორედ“ და „კუალად მეორედ“ — პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ისევე როგორც 16 სადღესასწაულო სიტყვის მიმართ სხვა ანდერჟეჟი ეფრემი შენიშნავს: „კუალად მეორედ ბერძულისაგან თარგმნითა ამათ სადღესასწაულოთა საკითხავთაათა“ (Ier. 13, 150r).

ასეა თუ ისე, ხელნაწერებში გვაქვს ეფრემის მიერ თარგმნილი 41 თხზულება.

ეფრემ მცირის ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც ზუსტ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურ ძიებებზე იყო დაყრდნობილი, მიმართული იყო იქითკენ, რომ ქართულ ენაზე არსებულყოფილ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა სრული კორპუსი. ეს კი ძველი თარგმანების კრიტიკულ შეჯერებასა და შეცვლას მოითხოვდა. ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობა ორი მხრივ იყო მიზართული: ა) გარკვეული მოსაზრებების გამო, რაც იმდროინდელი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მოვლენებით იყო შეპირობებული, მან ხელახლა თარგმნა 21 თხზულება. ესენია: 16 ლიტურგიკული ჰომილია, 4 არალიტურგიკული ჰომილია (2, 3, 7, 27) და 1 დამატება (ცხოვრება გრიგოლისი); ბ) ეფრემმა პირველად თარგმნა, ე. ი. შეავსო ქართული კორპუსი იმ თხზულებებით, რომლებიც დავით ტბელისა და ეფთვიმე მთაწმიდლის შემდეგ დარჩა უთარგმნელი. ასეთია სულ 20 თხზულება: 11 არალიტურგიკული ჰომილია (5, 6, 13, 17, 18, 22, 23, 25, 26, 32, 33), 1-ასეული იამბიკოა და 8 დამატება (იხილეთ ზემოთ).

ქართულ თარგმანებში სულ 55 თხზულება დასტურდება (41-ეფრემის მიერ თარგმნილი, 14 — დავით ტბელისა და ეფთვიმე მთაწმიდლისა). ამათგან 44 ჰომილიაა, ხოლო 11 დამატება.

ქართულად ჰომილიათა რაოდენობა ერთით ნაკლებია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, Or. 35 ქართულად, ისევე, როგორც სხვა აღმოსავლურ ენებზე, საერთოდ არ უთარგმნიათ. სამაგიეროდ, დამატებების რაოდენობა ქართულში ერთით მეტია. ამის მიზეზი ისაა, რომ „წერილები ურთიერთარსნი“, რომელიც ბერძნულ ორიგინალში ერთ სტატიად არის წარმოდგენილი, ქართულ თარგმანში ორ დამოუკიდებელ სტატიად არის გატანილი⁶⁶.

ნაზიანზელის კორპუსში საერთო სათვალავში არ შევიტანეთ „სტიხოსნი იროაკონი“ (როგორც Or. 43-ის ნიკიტა პაფლაგონიელისეული პარაფრაზი) და ზასილი კესარიელის ეპისტოლენი.

ამდენად, მართალია, დღეს არსებულ ქართულ ხელნაწერთაგან არც ერთი არ წარმოადგენს გრიგოლის ჰომილიათა სრულ კრებულს, მაგრამ ის, რაც

⁶⁶ თ. ბრეგვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176—177.

ქართულ ხელნაწერებში დაფანტულად არის დადასტურებული ოთხი ქართული მთარგმნელის ტექსტების სახით, სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული მთარგმნელის ჰომილიათა ქართული კორპუსის შედგენილობისა და სისრულეობის შესახებ. გრიგოლ ოშკელის, დავით ტბელის, ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის თარგმანების ურთიერთშედარების, სხვადასხვა მონაცემის გათვალისწინების შედეგად შესაძლებელი გახდა ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების სრული კორპუსის შედგენილობის გარკვევა. ქართული კორპუსი იმდენივე თხზულებას შეიცავს, რამდენსაც ბერძნული ორიგინალი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ბერძნული ორიგინალის შემდეგ სირიულია ერთადერთი, რომელშიც შენახულია ნაზიანზელის 44-ეე ჰომილია⁶⁷. როგორც გაირკვა, ეს მოსაზრება ზუსტი არ არის. ავტორის მიერ გათვალისწინებული არ არის ქართული თარგმანები. ქართული თარგმანების სახით დაცულია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა სრული კორპუსი.

ქართული კორპუსი შეიცავს ყველა იმ თხზულებას, რომელიც ბერძნულ ორიგინალში დასტურდება (Or. 35-ის გამოკლებით); იგი ისევე სრულია, როგორც ბერძნული ორიგინალი და სირიულ-სომხური თარგმანები.

М. А. РАПАВА

О СОСТАВЕ СБОРНИКОВ ЕФРЕМА МЦИРЕ, СОДЕРЖАЩИХ ПЕРЕВОДЫ ГОМИЛИЙ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА

Резюме

Ефрем Мшире является одним из переводчиков произведений Григория Назианзина. Переводы Ефрема в грузинских рукописях представлены в виде сборников, включающих 16 литургических гомилий и одного полного сборника произведений Назианзина.

В первоначальный состав сборника литургических слов, вышедшего из-под пера Ефрема Мшире, входили лишь 16 литургических слов и житие Григория Назианзина. Текстам гомилий предшествовали: содержание, толкование маргинальных знаков (переведенное с греческого) и оригинальное предисловие самого Ефрема. В конце гомилий были помещены: памятная запись Ефрема Мшире и его оригинальное ямбическое стихотворение, посвященное Григорию Назианзину.

Дополнительные тексты (мифологические комментарии Псевдо-Ноны, ямбические стихи и парафраз Никиты Философа к эпитафии Василия Великого), очевидно, не входили в первоначальный состав сборника 16 литургических слов. Они внесены туда переписчиками.

Основываясь на текстологических параллелях (порядок гомилий, несколько малых текстов в виде комментариев), следует предполагать, что греческим оригиналом, служащим подлинником для Ефрема Мшире, являются рукописи, содержащие комментарий Василия Малого.

При сличении переводов Ефрема Мшире с переводами предшественников (Григория Ошкели, Давида Тбели, Ефимия Мтацмидели) выявляется, что на грузинском языке существует полный корпус сочинений Григория Назианзина (44 гомилии и 11 дополнительных текстов).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

ი. შხაბაძე

თარგმანი, როგორც ერთიანი პროცესი

თარგმანი ერთსა და იმავე დროს განიხილება როგორც ქმედება და როგორც პროცესი. ქმედებისა და პროცესის გაერთიანება გულისხმობს უპირველეს ყოვლისა მრავალმნიშვნელობის ამოხსნას, სიტყვათა შესაფერის მნიშვნელობათა პოვნას და პროცედურათა განსაზღვრას, ანუ გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, თუ რა ითვლება ტექსტში უპირველესი ყურადღების საგნად ან რისი უგულვებელყოფა შეიძლება, ქმედებისა და პროცესის ერთიანობა მოიცავს საერთო და აუცილებელ ცოდნას აღძრულ საკითხთა დასმისა და გადაწყვეტისათვის. ამასთანავე არაერთმნიშვნელობის ამოხსნა და სიტყვათა მნიშვნელობის პოვნა ემყარება სიტყვათა და წინადადებათა სინტაქსურ, სემანტიკურ და მეტაფორულ მახასიათებელთა ცოდნას.

პროცედურათა ცოდნა გულისხმობს ყოველი ქმედების, ანუ უფრო ზუსტად, ყოველი ნაბიჯის გაცნობიერებას. ქმედება შეიძლება გაუტოლდეს იმ მცდელობას, რომელსაც უეჭველად ადგილი აქვს ინფორმაციის ძიების, წარმოდგენის, მიგნებისა და აღნუსხვის (აღრიცხვის) გზაზე, თუმცა საყურადღებოა, რომ ასეთი ხასიათის მცდელობა, ან თუნდაც ტექსტის სემანტიკური წარმოდგენა (რეპრეზენტაცია), ყოველთვის არ მიმდინარეობს დაძაბულად და არაერთმნიშვნელოვნად. ამ პროცესს ხშირად თან სდევს გარკვეული ყოყმანი და ბუნდოვანება; მაგრამ უმთავრესად თარგმანი ავტომატურად, მშვიდად, ალელეებისა და დაძაბულობის გარეშეც ხორციელდება. თარგმნის როგორც ყოვლისმომცველი მოვლენის ძირითად მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ დანასკვთა მიღების წესები განუყოფელია ტექსტის სემანტიკური ანალიზისაგან. ტექსტის სემანტიკური ანალიზი და დანასკვთა მიღების წესები უმალეს დონეთა ყველაზე დაბალ საფეხურს განეკუთვნება¹.

სათარგმნი ტექსტის სასრული და თავისთავადი ხასიათის გამო მთარგმნელი თავს ერთგვარად შეზღუდულად გრძნობს იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვიტოს, რის უგულვებელყოფა შეიძლება ტექსტში, რაა ნაკლებ საინტერესო, ანდა სრულიად დაინტერესდეს იმით, რისი გაგებაც მას სურს. ნებისმიერ შემთხვევაში მთარგმნელი ვალდებულია არ გამოორჩეს ტექსტის არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

მთარგმნელის მხრივ ტექსტის დამუშავების დრო განისაზღვრება მისი ფონისმიერი ცოდნის დონით. აქვე მოქმედებს ყველა დამატებითი პროცესი, რომელიც გარკვეულ მიმართებაშია ანალიზის მიმდინარეობასთან, თუმცა მთლიანად წინადადების ან მისი ნაწილების გაგება მთავრდება მათი წაკითხვისა და დამუშავების დამთავრებისთანავე. წინადადების თარგმნისას ინფორმაციის ძიება და დამუშავება ხდება უმალეს დონეებზე, იმის გამო, რომ სიტყვათა მნიშვნელობის დადგენასთან დაკავშირებული ყველა პროცესი ხორციელდება ანალიზისა და დანასკვთა გამოყვანის წესთა მეშვეობით წინადადების ყველა დონეზე, რის შედეგადაც მთარგმნელი აღნუსხავს და აფიქსირებს მის ზიერ მოპოვებულ ყველა სახის ინფორმაციას. აღნიშნული უეჭველად მეტყვე-

¹ P. Шенк, М. Лебович, Л. Бирнбаум, Интегративная понимающая система, «Новое в зарубежной лингвистике», вып. XII, М., гл. 401—447.

ლებს თარგმნის, როგორც ერთიანი, ყოვლისმომცველი (ინტეგრალური) პროცესის ბუნებაზე.

ტექსტზე მუშაობის ყველა პროცესი ლაგდება ან პარალელურად (სხვა პროცესი ერთდროულად სრულდება) ან თანმიმდევრულად. პარალელურად მიმდინარე პროცესთა მინიმალური გაგების ზღვარი შეიძლება დაირღვეს მომდევნო სიტყვის შემოსვლის შედეგად. ამრიგად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელს უხდება სიტყვათა თანმიმდევრულად და ერთმანეთის ხარჯზე დამუშავება; ამ თვალსაზრისით ყველა სიტყვა ტოლფასოვანი არ არის. იმ სიტყვებს, რომელთაც განსაკუთრებული სინტაქსური, სემანტიკური (ლოგიკური) ან მეტაფორული ღირებულება გააჩნიათ, დამუშავებისას შეიძლება ზედიზედ დრო სჭირდება; ვიდრე იმ სიტყვებს, რომლებიც ასეთი ნიშნით არ ხასიათდება ან მთარგმნელის ყურადღების მიღმა რჩება.

შეუძლია მთარგმნელს განახორციელოს ტექსტის სრული დამუშავება იმ ენებზე, რომლებსაც იგი მიმართავს? რა თქმა უნდა, არა, როგორი „კონგენიალურიც“ არ უნდა იყოს თარგმანი-ტექსტის სრული დამუშავება ურთულესი პროცესია ერთ ენაზეც კი, მით უფრო რთულია იგი, როცა ასეთი დამუშავების საკითხი დგება რამდენიმე ენის მიმართ.

ამრიგად, მთარგმნელის მიერ ტექსტის დამუშავება ხორციელდება ალაგ-ალაგ უსრულოდ. არამთლიანად. ტექსტის ანალიზისა და დანასკვთა ორგანიზაცია წარმართება ერთდროულად ინტერესით და მოლოდინით. ინტერესი მთარგმნელის ყურადღებას მიმართავს ტექსტში მთარგმნელისათვის ყველაზე საინტერესო მხარისაკენ, ხოლო მოლოდინი კი განაგებს ტექსტიდან შესაძლო დასკვნათა გამოტანას.

თარგმნის დაწყების მომენტიდან მოყოლებული მთარგმნელი ყურადღებას არ აქცევს და ტოვებს ზოგიერთ სიტყვას, ვიდრე არ მიაღწევს ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვამდე, რომელიც ზოგიერთ ენაში სინტაქსური ჯგუფის ან ფრაზის ბოლოშია განლაგებული. ყველა აქამდე გამოტოვებული სიტყვა „თავს იკრის ერთად“ (მარცხნიდან მარჯვნივ) და გროვდება მეხსიერების შუალედურ (ბუფერულ) არეში. ეს გრძელდება მანამდე, სანამ „ზემოდან ქვემოთ“ დამუშავების პრინციპის მეშვეობით არ აღმოჩნდება სიტყვა, რომელიც ბიძგს მისცემს ტექსტის დამუშავების დაწყებას. ყველაზე საინტერესო სიტყვის ამორჩევის შემდეგ მთარგმნელი ბრუნდება უკან და გამოავლენს იმ მიმართებებს, რითაც ერთმანეთს უკავშირდება ყველაზე საინტერესო ელემენტები. სხვა სიტყვები ან მიმართებები ან საერთოდ უგულვებელიყოფა, ან აისახება მეტნაკლებად, მათი აქტივობის შესაბამისად.

ტექსტის არასრული დამუშავების შემთხვევაშიც კი მთარგმნელი იღებს ტექსტიდან მისთვის საინტერესო უზარმაზარ ინფორმაციას. საერთოდ ტექსტის ზოგადად გაგების პროცესი შეიძლება წარმართოს მხოლოდ ინტერესით ან მხოლოდ მოლოდინით, მაგრამ მთარგმნელის მიერ გაგების მექანიზმი წარმართება როგორც ინტერესით, ასევე მოლოდინით. მოლოდინი თავს იჩენს ტექსტის გაგების სისტემის ნებისმიერ საფეხურზე.

ტექსტის ანალიზი წარმატებით მიმდინარეობს მაშინ, როცა ამა თუ იმ სინტაქსური ან კონცეპტუალური ტიპის გამოჩენის მოლოდინი იმდენად ცხადია და განსაზღვრული, რომ ეს საშუალებას იძლევა ყურადღების მიღმა დარჩეს სხვა ყველაფერი, ვიდრე ეს ტიპი არ აღმოჩნდება. მოლოდინის გააქტიურება და ინტერესი განსაზღვრული ელემენტის მიმართ გულისხმობს უკუსვლას მთარგმნელის მიერ და შესაბამისად „მარცხნიდან მარჯვნივ“ ანალიზის პრინციპის უარყოფას.

განსაზღვრული ენის სინტაქსური წყობა აუცილებლად ზღუდავს მთარ-

გმნელს. მიუხედავად ამისა, მთარგმნელი შეიძლება განსაკუთრებით დაინტერესდეს მსაზღვრელ სიტყვათა გამოვლენით, ან ფუნქციური სიტყვების ძიებით, ვინაიდან ასეთი გამოვლენა ან ძიება ხშირად გადამწყვეტი აღმოჩნდება ხოლმე იმ სიტყვის დასადგენად, რომელსაც ფასეულობის თვალსაზრისით ალბათობის ყველაზე მაღალი ხარისხი გააჩნია.

თარგმნის დროს განუწყვეტლივ ურთიერთმოქმედებს და მდიდრდება მთარგმნელის ეპიზოდური მეხსიერება და მისივე ცნობიერების სხვა კომპონენტები, სადაც ასახულია როგორც ცოდნა სამყაროზე, ასევე კონცეპტუალური ცოდნა. უკანასკნელი მოიცავს აგრეთვე ინტერესებს ფასეულობათა მიმართ. ცოდნის ამ სახეობათა ადგილი ხანგრძლივ მეხსიერებაშია. არსებობს ყოველთვის საინტერესო ცნებები, ზოგიერთი ცნება კი საინტერესოა მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებაში.

„საინტერესო დინამიკური ცნებაა, იგი ყველაზე ძირითადი მომენტია და მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი საგანი საინტერესოა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რაც ხდებოდა წინამავალ კონტექსტში“². სცენარის (გეგმის) დონეზე, რომელიც ცოდნის უმაღლეს ორგანიზაციას წარმოადგენს, მოლოდინი ხორციელდება „ზემოდან ქვემოთ“, როგორც ამ სცენარის მომავალი, შესაძლებელი განვითარების წინასწარამოცნობა; მთარგმნელის ყურადღებას თარგმნის პროცესში მიმართავს ძირითად ერთეულებზე და ქმნის ტექსტზე პასუხისმგებლობის მომენტს. ასეთ დროს ჩაერთვება მთარგმნელის შინაგანი ცენზორები (მ. მინსკის მიერ შემოტანილი ტერმინი), რომლებიც ააქტიურებენ ტექსტზე პასუხისმგებლობას.

თარგმნის პროცესში მთარგმნელი განსაზღვრულ შემთხვევებში ადვილად ეძებს და პოულობს შესაბამის ერთეულებს ხმარებულ ენებში: მეხსიერებაში ან ლექსიკონებში. როგორც კი მთარგმნელი შებრკოლდება სიტყვის არაერთმნიშვნელობის ან მოცემული ერთეულის არასაკმარის ცოდნის გამო რომელიმე ენაზე, მთარგმნელის ცნობიერებაში აღდგება ამ მოვლენის სცენარი, რომლის აზრობრივი ცარიელი ადგილები (ლაკუნები) შეივსება ისეთი ენობრივი ერთეულებით, რომელთაც ხშირად მცირე რაიმე აქვთ საერთო სათარგმნი ტექსტის შესაბამის სიტყვებთან.

მთარგმნელი თითქოს გაითამაშებს ერთსა და იმავე სცენარს რამდენიმე ენაზე, უცვლელად ტოვებს ძირითად სქემას, მაგრამ ცარიელ ადგილთა შევსება ემორჩილება მოცემულ ენათა მოთხოვნებს სინტაქსის, მორფოლოგიისა და სემანტიკის თვალსაზრისით.

თავისთავად მთარგმნელის მიერ შექმნილი პუკარედი სწორედ შესაძლო სცენართა მწკრივს წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს ამ სცენართა განვითარებასა და გაშლას.

აზროვნებიდან, ენიდან და მიზანდასახულობიდან მომდინარე მონაცემების მომცველ სტრუქტურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზეფრეიმი (სუპერფრეიმი) იმ შემთხვევაშიც კი, როცა განხილვის საგანს მხატვრული ტექსტი წარმოადგენს. ზეფრეიმი წარმოგვიდგება როგორც უმაღლესი სტრუქტურა, რომელიც აიგება განსაზღვრული სქემის მიხედვით და ვითარდება შესაბამისი სცენარის თანახმად: სცენარის ქვედა ბოლოები უჭირავს მრავალრიცხოვან ფრეიმულ სცენარებს, პრეტერმინალებს, რომელთა ცარიელი ადგილები (ბუდეები) საჭიროებს შევსებას.

ზეფრეიმის წარმოქმნა და განხორციელება განპირობებულია უმაღლესი მიზნებით. მიმართულებას ზეფრეიმის ფუძიდან სცენარის, სცენების და ტერ-

² რ. შენკი, მ. ლებოვიჩი, ლ. ბირნბაუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 414.

მინალგებისავენ წარმართავს მოლოდინი და ინტერესი. ურთიერთშიმართებ
ენასა და ზეფრემის, სცენარს, სცენარებს, ფრემებსა და ტერმინალგებებს
ვერ ეტევა გრამატიკისა და სემანტიკის ფარგლებში და ხშირად საკმარისა
სმ ინფორმაციის მოშველიება, რომელიც ენისმიერი ცოდნის მიღმა არის მოქ-
ციეული.

ბრუნვათა გრამატიკა კიდევაც რომ უკავშირდებოდეს სცენებს, არ შეიძ-
ლება მივიჩნიოთ ფრემული რეპრეზენტაციის ენობრივი ხორციშესხმის ერ-
თადერთ შესაძლო ფორმად. ზეფრემის ტერმინალურ მდგომარეობათა სიმრავ-
ლეში, ცხადია, წამოიჭრება დესკრიფციული და ფუნქციური განსჯის აუცი-
ლებლობა. სცენართა აღდგენა ფრემულ სტრუქტურებში სავარაუდლოა ზდებო-
დეს გენერაციულ და ტრანსფორმაციულ გრამატიკაზე დაყრდნობით („ბუ-
ნებრივი ლოგიკის“ გამოყენებაც სრულად არ გამოირიცხება). ფრემის ენობ-
რივი განხორციელება სრულდება მაშინ, როდესაც დასრულდება ფრემის
შესაბამისობაში მოყვანა მასთან დაკავშირებულ წინადადებასთან. თუკი ფრე-
მის ტერმინალები განიხილება როგორც ცვლადები, მათი შევსება მარკერთა
მოთხოვნებზე დაყრდნობით შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტულ წინადადება-
თა განსაზღვრად (სპეციფიცირებად), რაც თავის მხრივ მოასწავებს წინადა-
დებებს შემადგენელ ნაწილთა დამოკიდებულების განსაზღვრას შესაბამის
ფრემთან (წინადადების კომპონენტთა დაბმა. გავიხსენოთ „ბმული ფუნქცია“).

ამგვარად მთარგმნელის ცნობიერება წარმოვედგება როგორც დიდი და
მცირე ფრემებით გამოხატული ცოდნის უზარმაზარი ქსელი, რომლის ნაწილი
ინახება ხანგრძლივ მეხსიერებაში, განსაზღვრული ნაწილი მოქმედებს ხანმოკ-
ლე მეხსიერებაში, ხოლო დანარჩენი ლაგდება შუალედურ (ბუფერულ) არეში.

მთარგმნელის ენისმიერი ცოდნა გულისხმობს მოცემულ ენათა გრამატი-
კისა და სემანტიკის ცოდნას. ცოდნათა სხვა სახე მოიცავს ცოდნას სამყარო-
ზე, სინამდვილეზე, ღირებულებებზე — ასეთი ცოდნა წარმოვედგება რო-
გორც ცოდნათა სიმრავლე. თარგმნისას ცოდნა სამყაროს შესახებ მნიშვნე-
ლოვნად იზღუდება კონკრეტული ტექსტის საგნობრივი სამყაროთი. მთარგმ-
ნელი არ ქმნის ტექსტს, იგი მას აღადგენს, კვლავ წარმოქმნის კონკრეტული
ტექსტის საფუძველზე. ამდენად მნიშვნელობის ჩამოყალიბების პრობლემები,
ლექსიკურ ერთეულთა შერჩევა, აზრობრივ აქცენტთა განაწილება, ცნობიერი
და გაუცნობიერებელი მომენტები ჩანაფიქრის ამოცნობისა და განხორციე-
ლების პროცესში თარგმნისას კარგავს საწყის გარკვეულობას, სიმძაფრეს.
მთარგმნელი მოწოდებულია ეძიოს, აღმოაჩინოს, მნიშვნელობა მიანიჭოს და
აღადგინოს ყველა დასახელებული პროცესი, ამდენად სათარგმნი ტექსტი
იქცევა არაგამჭვირვალე კონტექსტად. სათარგმნი ტექსტი წარმოადგენს ავტო-
რისეულ მხატვრულ ცდას, ნაამბობს ინტერპრეტატორის მიერ. ამ ცდის შინა-
არსი წინასწარმოცემულია. ნებისმიერ მთარგმნელს, მოქმედებს რა წინასწარ-
მოცემულ მნიშვნელობათა საზღვრებში, შეუძლია თავისებურად გაიგოს და
ახსნას ტექსტი (იგულისხმება ინტერპრეტაცია). თარგმნის ლოგიკური საფუ-
ძველი არ უნდა ვეძებოთ ჭეშმარიტების პირობათა აღრიცხვის ლოგიკაში; აქ
შეიძლება დავეყრდნოთ მხოლოდ ბუნდოვან, ჭეშმარიტების მსგავს (fuzzy)
ლოგიკას, ვინაიდან სწორედ ასეთად წარმოვედგება სამყარო თარგმნის შე-
სრულებისას. ინდივიდთა და დროის არამკაფიო კვანტიფიკაცია არ გვაძლევს
საშუალებას მივუღდეთ სათარგმნი ტექსტს ჭეშმარიტების ფუნქციის თვალსაზ-
რისით, მაშინაც კი, როცა მას რეზიუმეს სახით დავიყვანთ პირველი რიგის
ენამდე. საერთოდ, სათარგმნი ტექსტი შეიძლება შევადაროთ მოდალურ კონ-
ტექსტს, ვინაიდან მის მიმართ შეიძლება დაისვას ალტერნატიული, ჰიპოთეზუ-

რი კითხვა: როგორ შეიძლება და ყოფილიყო სხვანაირად? (ხომ არ შეიძლება და ყოფილიყო სხვანაირად?).

თუ სათარგმნ ტექსტს მნიშვნელობის თვალსაზრისით მივეუდგებით, მაშინვე აღმოვაჩინებ — თუ რა მრავალ განზომილებას და განსხვავებულ დონეებს მოიცავს ეს მნიშვნელობა და დავრწმუნდებით, რომ მნიშვნელობა არ ვლინდება ერთსახეობად, უნიკალურად. მნიშვნელობა ძალზე ნაყოფიერად გადმოიცემა შესაძლო სამყაროთა ვაზრების მეშვეობით, მით უმეტეს, რომ შესაძლო სამყაროთა სემანტიკის დინამიკური ხასიათი ეხამება მნიშვნელობის პროტოტიპური რეპრეზენტაციის ასეთსავე დინამიკურ ხასიათს. ნებისმიერი დიდი ფრეიმი, ფრეიმთა და ქვეფრეიმთა სიმრავლე შეიცავს სცენათა ანუ შესაძლო სამყაროთა, სიმრავლეს, რომლებიც ასახავს გარემოებათა შესაძლო მდგომარეობას და აგრეთვე მოვლენათა სავარაუდო სვლის წინასწარ განსაზღვრას. ენა კი მოწოდებულია უზრუნველყოს მათი სიტყვიერი განხორციელება.

შესაძლო სამყაროთა სემანტიკა, როგორც მნიშვნელობის წარმოდგენის საშუალება, ფრეიმულ სტრუქტურათა მსგავსად, თავს უყრის ენობრივ და არაენისმიერ ინფორმაციას, მომდინარეს ენობრივი ქმედების ყველა დონიდან (იგულისხმება გრამატიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა). მნიშვნელობა ფუნქციური და კონცეპტუალურია ნებისმიერ დასახელებულ დონეზე და ბრუნვით-სიღრმისეული გრამატიკა შეიძლება ჩართულ იქნეს შესაძლო სამყაროთა სემანტიკაში, როგორც ანალიზის ერთ-ერთი დასაშვები სახეობა განსაზღვრულ ენობრივ მდგომარეობაში.

ჩ. ფილმორი ხელოვნური ინტელექტის სფეროში შემუშავებულ ცნებებს უკავშირებს ენის გამოყენებას გაგების პროცესის თვალსაზრისით. ეს ცნებები შემდეგი ტერმინებით აღინიშნება: სცენა, ფრეიმი, სქემა, აღწერა, შაბლონი, სცენარი, პროტოტიპი, მოდული და მოდელი³.

ენათა შორის ურთიერთობა თარგმნის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო საკითხია.

აღამიანთა ირგვლივ სამყარო ერთია. მაგრამ ამ სამყაროში მცხოვრები ადამიანები მას სხვადასხვანაირად გაიაზრებენ და გააზრების ეს განსხვავება აიხსნება ენათა შორის განსხვავებაში. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ერთმანეთისა ესმით ცხოვრების ნებისმიერ — სულიერ თუ ნივთიერ — სფეროში, ენობრივი ურთიერთობის ნებისმიერ დონეზე. დამოუკიდებლად იმისაგან, როგორი იქნება ეს დონე: მარტივი და ყოველდღიური, თუ ყველაზე რთული და ამაღლებული.

ენათა შორის განსხვავებას საფუძვლად უდევს სამყაროს კონცეპტუალიზების (ცნებებით ასახვის) განსხვავებული გზები და საშუალებანი. კონცეპტუალიზება გულისხმობს ობიექტის საზრისისეული სახის შექმნას და ამ სახისათვის ენობრივი გამოხატულების მინიჭებას. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ კონცეპტის ასეთი ენობრივი ხორცშესხმა სემანტიკურ პრიმიტივად და დავუკავშიროთ მას საკითხი უმცირესი სემანტიკური კომპონენტების არსებობის შესახებ.

თანამედროვე მეცნიერება ამ კითხვას ერთმნიშვნელოვნად ვერ პასუხობს. ასეთი პრიმიტივების სასარგებლოდ მეტყველებს თანამედროვე განმარტებითი ლექსიკონების შექმნა, სადაც დეფინიციები თითქმის ჩამოჰკავს სემანტიკურ პრიმიტივებს, მაგრამ, მეორე მხრივ, სალექსიკონო რუბრიკა შეიძლება მათი არარსებობის დამამტკიცებლადაც გამოვიყენოთ, ვინაიდან თვითოეული ერთე-

³ Ч. Филмор, Основные проблемы лексической семантики, «Новое в зарубежной лингвистике», вып. 12, стр. 74—123.

ულის სალექსიკონო რუბრიკა, იშვიათი გამონაკლისის გარდა მოიცავს ამ ენათუელის მრავალ მნიშვნელობას.

თუ ეს ასეა, მაშინ სადღა უნდა მოიძებნოს ცნებათა ის საერო-რომლის საფუძველზედაც ადამიანები ერთმანეთს უგებენ? შესაძლოა იგი უნდა იძებნებოდეს ადამიანთა აზროვნების უნარში და ენობრივ კომპეტენციაში.

სწორედ აზროვნების, ცოდნის დაგროვების, ინფორმაციის ძიებისა და შეკვლევის, ენობრივი კომპეტენციის ზოგადადამიანური უნარი ანიჭებს ადამიანს შესაძლებლობას ერთი გამოხატოს და გადასცეს ის, რასაც მას აწვდის ცდა და აზროვნება. ამისათვის ენა იყენებს მის განვარგულებაში მყოფ ყველა საშუალებას. ადამიანთა ურთიერთვაგების საფუძველი ალბათ უნდა მოიძებნოს განსჯის წარმოქმნის, ცოდნის ჩასახვისა და ენობრივი კომპეტენციის ამოქმედების ყველაზე სიღრმისეულ შრებში. ადამიანებმა ბევრი რამ იციან სამყაროს შესახებ და შეუძლიათ ამ ცოდნის განსჯა, მისი გამოყენება თუ სხვისათვის გადაცემა.

ზეფრეიმი შეიძლება გავიზაროთ როგორც თემატური ფრეიმი, რომელსაც ექნება სახელი და სტანდარტული სიუჟეტი. ზეფრეიმი აერთიანებს ცოდნას მონაცემებისა და იმ პროცედურათა შესახებ, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა მიმართ ინფორმაციის ძიებისას, პოვნისას და დამუშავებისას, ცოდნას იმ სცენარის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა გაიშალოს თემა, ასევე ცოდნას ფრეიმულ სცენებზე და მათ ენობრივ უზრუნველყოფაზე, ცოდნას სამყაროს შესახებ⁴.

როცა საქმე ეხება სტანდარტულ, წინასწარმოცემულ ან ანალიზისა და გაგების პროცესში აგებულ სიტუაციებს, ეს პროცესები თანაბრად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიმდინარეობს. მაგრამ ადამიანები მხოლოდ სტანდარტულ ენებზე რომ აზროვნებდნენ, მაშინ ცხოვრება უსაზღვროდ მოსაწყენი იქნებოდა. ვინაიდან კაცობრიობას არ ექნებოდა ის შესანიშნავი უნარი, რომელსაც ადამიანის მხატვრული აზროვნება ეწოდება. სტერეოტიპების ფარგლებშიც კი თვით პირველი რიგის ენაზე ადამიანს შეუძლია ხატოვნად და მოქნილად გამოხატოს თავისი აზრი და ხორცი შეასხას მას უსაზღვროდ ნატიფი და უშუალო „გულბრწყვილი“ („ნაიფური“) სახით.

ჩვეულებრივი ენა გამოხატავს ყველაფერს და საჭიროების შემთხვევაში აღწევს ამას უაღრესად მშვენიერი ფორმით; ამასთანავე არ ღაზავს ჩვეულებრივი, ნორმალური ხმარების საზღვრებს და არ არღვევს გაგებინების ზღურბლს. ენის ასეთი ხმარება ბუნებრივია ადამიანისათვის და მის შესახებ ცოდნა დაგროვილია ადამიანის ცნობიერებაში (ასევე ქვეცნობიერებაში) და ცნობილია როგორც ხატოვანი აზროვნება, რომლის უნარი მეტ-ნაკლებად გააჩნია ყველა ადამიანს და რომელიც, როგორც ზოგადადამიანური ცოდნა, ასახულია ლექსიკონებში, სიტყვათა საკუთარი და გადატანითი მნიშვნელობის ხმარების ამსახველ რუბრიკაში. ხატოვანი აზროვნების უმაღლესი გამოვლინება განხორციელებულია ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის ქმნილებებში. ხატოვანი აზროვნების უმაღლესი გამოვლინება ესაა ცნობიერის და ქვეცნობიერის, გონის (აზროვნებისა) და ინტუიციის ჰარმონია. მშვენიერი შეიძლება იყოს თვით სახის აგებულება, მისი სტრუქტურა და მისი ფორმალური განხორციელება. მაგრამ როგორი შორეული და გარდაქმნილი არ უნდა იყოს ახალი სახე, ისინი ძველი სახეების საფუძველზე აიგება; მათში ყოველთვის შეიძლება ამოვიცნოთ სტერეოტიპი და გავადევნოთ თვალი მის გარდაქმნას,

⁴ М. Миянский, Структуры для представления знаний, Психология машинного зрения, М., 1978, гл. 249—336.

სახეცვლილებას. ეს ძალიან რთული, ხშირად თითქოს განუხორციელებელი, მაგრამ მაინც შესაძლებელი პროცესია. ადამიანები ფლობენ ცოდნას სტეროტიპთა სახეცვლილებისა და მათგან ახალი სახეების აგების შესახებ. ეს ცოდნა ეყრდნობა ფიგურალურ, სიმბოლურ, მეტაფორულ აზროვნებას. ადამიანები ადვილად ცნობენ გაცვეთილ, უინტერესო სახეებს და სათანადოდ აფასებენ აზრის მოულოდნელ, მოქნილ სახეს, მაგრამ როგორც კი ასეთი ცოდნა დაფიქსირდება, ხოლო ენის შემთხვევაში აღინუსხება ლექსიკონებში, რომელიც მომავალი თაობებისათვის მათი განმეორება უკვე სტერეოტიპული ხდება.

როგორი წარმავალიც არ უნდა იყოს მიღწევები მხატვრული აზროვნებისა თუ იმ სფეროში, ისინი ფრეიმულ ფორმას იძენენ და გროვდებიან როგორც ცოდნა „ამა თუ იმ მიმდინარეობის ენის“ შესახებ; მაგ.: „რომანტიკოსთა ენა“, „იმპრესიონისტთა ენა“, „სიმბოლისტთა სამყარო“ და ა. შ. მიღებული ცოდნის თვალსაზრისით განსჯის საგანი ხდება არა მარტო რომელიმე კერძო შემოქმედის ან მთელი ეპოქის საბოლოო შედეგი, ქმნილება, არამედ განსჯა ეხება სულიერ ფასეულობებს, შინაგან სამყაროს, შემოქმედის, ანდა კონკრეტული შემოქმედებითი ცდის ან მდგომარეობის წარმომადგენლის ინტუიციას. სოველივე ეს ხდება ზოგადსაკაცობრიო ცოდნად და ექვემდებარება ადამიანის ინტელექტის განკარგულებას. ზოგჯერ ადამიანები სრულიად ახალ, ჯადოსნურ სამყაროს ქმნიან, ამბობენ ისე, როგორც მანამდე, არაფის არ უთქვამს და ხედავენ იმას, რაც აღრე არაფის არ დაუხატავს. გამოხატვის ასეთი, თავისთავადი, საკუთარი საშუალებებისადმი სწრაფვა იწვევს სტერეოტიპთა მსხვერველს, რაც იწყება აზრის წარმოქმნის ყველაზე ღრმა საფუძვლებიდან და გრძელდება მისი საბოლოო ჩამოყალიბებით მიღებულ შედეგამდე. ამ პროცესში შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ინგრევა და იცვლება სახის ძიებისა და შექმნის ყველა კოორდინატი. რეალური თუ წარმოსახვითი სამყაროს ინდივიდები უკვე აღარ ხასიათდება ჩვენი სამყაროს, ჩვენი ცოდნის თვალსაზრისით და ისინი გამოუცნობნი ხდებიან. ყველანაირი კავშირი ან მიმართება ინდივიდთა შორის იცვლის ხასიათს, უჩვეულო ხდება, ასოციაციები ძალზე ძაბავს მათი აღქმისა და შემეცნების პროცესს და ენები, რომლებიც ასეთი სამყაროებითაა ამეტყველებული, თუმცა კი იყენებს გამოხატვის ჩვეულებრივ ფორმებს, მაგრამ ხშირად ბუნდოვანია და ზოგჯერ პირდაპირი გაგების ზღვარსაც კი სცილდება. ჩვეულებრივი კონცეპტები, რომელთა საშუალებით ადამიანები ეწევიან განსჯას მნიშვნელობის შესახებ, უჩვეულოდ განისაზღვრება და სრულიად სხვაგვარ მიმართებებს ამყარებს; მეტაფორათა წარმოქმნა იცვლის არსს და მოსწავებს გადასვლას სხვა, ჩვენს ბუნებრივ ენათა მიღმა მყოფ ენათა სამყაროში; ყოვნიება ინტერპრეტაციის გაცნობიერებული პროცესი და ირღვევა უკვე საკმაოდ შერყეული, ნიშანთა ენობრივი სისტემები; აღმავალი გზით მიმართება გაუგებრობის ზღვრად „სიმბოლისტთა“, „კუბისტთა“, „ექსპრესიონისტთა“, „აბსტრაქციონისტთა“ ენებიდან „ცნობიერების ნაკადის“ და ჭოისის წნამდე. ამ ენათაგან მომავალი ინფორმაციისათვის ცოდნის ფორმის მიკვლევა მომავლის საქმეა. მომავლის საქმეა აგრეთვე შეიცვლილი ცნობიერების მდგომარეობის ენათა მეტაფორული ქმედების კვლევაც.

საეარაუდოა, რომ ტექსტის გაგების იმიტაციური მოდელი უნდა ეფუძნებოდეს ტექსტის დამუშავების ცვლად სიღრმეს. ცვლადი სიღრმის არსი მდგომარეობს შემდეგში: თარგმნის პროცესში მთარგმნელს წარმართავს ინტერესირი დაწვრილებით ანალიზებს ყველაფერს, რაც მისი ინტერესის სფეროში შედის და ყურადღების გარეშე ტოვებს სიტყვათა უამრავ მნიშვნელობას, რომელიც აღებულ შემთხვევაში დედანის ტექსტის აზრობრივ სამყაროს არ შესაბამება. ასეთი მიდგომის გარეშე გაგების პროცესი უსასრულოდ შეიძლე-

ბა გაგრძელდეს: „აბსოლუტურად ყველა დასკვნის გაკეთება ცოდნის სტრუქტურებიდან უარეს შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია, საუბრის შემთხვევაში — პრაქტიკულად შეუძლებელი. ადამიანი, როცა იგი ტექსტს იგებს ჩვეულებრივ ენაზე, ხელმძღვანელობს მხოლოდ იმით, რისი ცოდნაც მას სურს, რაც მას აძლევს საშუალებას უგულუბელუც მრავალმნიშვნელოანობა, პოლისემია, უთვალავი იმპლიკაცია და სხვა სიძნელეები, მაგრამ არასც იგი კარგავს სრული ვაგების თვალსაზრისით, ანაზღაურდება ტექსტის დამუშავების პროცესის სისწრაფით და საიმედოობით“⁵. ტექსტზე მუშაობის სხვადასხვა საფეხურზე გამოიყენება დამუშავების სხვადასხვა დონეები. ტექსტის გაგებისას მთარგმნელს შეუძლია იმოქმედოს ისეთი მოცულობით და ისეთ სიღრმეზე, რამდენადაც ეს საჭირო იქნება.

ზოგიერთი სიტყვა ადვილად გაიგება და არ საჭიროებს რთულ სემანტიკურ რეპრეზენტირებას; როცა ტექსტის საბოლოო წარმოდგენა არ კმარა მნიშვნელობის გასაგებად და შესაბამისი ლექსიკური ერთეულის შესარჩევად მაშინ დასაშვებია ყველაზე მოსახერხებელი ფორმის სემანტიკური რეპრეზენტაციის გამოყენება. ეს შეიძლება იყოს „კონცეპტუალურ მიმართებათა ენა, რომელზედაც განხორციელდება დასკვნათა გამოტანა კონცეპტუალურ საფუძველზე, და ცოდნა, რომელიც აისახება ამ ენაზე, იმყოფება სცენებს მიღმა და მოქმედებს მალულად, ისე რომ სრულიად არ მკლავდება ზედაპირზე. კონცეპტუალურ მიმართებათა ენა გამოიყენება როგორც შინაგანი ენა, როგორც ერთგვარი კონცეპტუალური ესპერანტი, რომელზედაც მეტყველების (დისკურსის) ყველა მონაწილეს შეუძლია ურთიერთობა“⁶. ცხადია, მიღებულ მნიშვნელობებს არ ექნებათ რეპრეზენტაციის ერთადერთი ფორმა. ძირითადი წინააღმდეგობა ელემენტარული კომპონენტების არსებობის შესახებ შემდგენიარად ყალიბდება: აუცილებელი არის თუ არა მარტივი წინადადების მისაღებად ყოველთვის მივმართოთ წარმოდგენის ურთულეს ფორმებს? ტექსტის დამუშავების ცვლადი სიღრმის ცნება სწორედ ასეთ აუცილებლობას აგვაცილებს.

სათარგმნი ტექსტის ანალიზისას შემავალი ინფორმაციის დამუშავება და ამისთვის საჭირო სიჩქარე დამოკიდებულია მთარგმნელის ენისმიერ უნარზე. ტექსტის ჩვეულებრივი აღქმის დროს დამუშავება უფრო გვიან ხდება, ვიდრე შესული ინფორმაციის დროს. თარგმნისას ამ დროის ხანგრძლივობის განსაზღვრა ძნელია. ტექსტის კითხვისას ცნობილია ყოველი სიტყვის მომდევნო სიტყვა, რაც აადვილებს მრავალმნიშვნელობის გადჭრას. „დადგენა იმ კრიტერიუმისა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება გამოიტოვოს ტექსტში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და აქტუალური პრობლემაა ადამიანის ენისმიერი უნარის მოდელირებისას“⁷.

გამოსატოვებელი სიტყვების განსაზღვრის კრიტერიუმი წარმართება „ჩაიწერე და გამოტოვე“-ს სტრატეგიის საფუძველზე. ეს სტრატეგია ჩამოყალიბებული კითხვათა სახით ლაგდება და მოქმედებს ინტერესით და მოლოდინით.

როგორც კი გამოჩნდება სიტყვა ნიშნით — „HIGH INTEREST“, ე. ი. ძლიერ საინტერესო სიტყვა, იგი წარმოქმნის კითხვებს „ზემოდან ქვემოთ“, რომლებიც დაკავშირებულია მისაღები ინფორმაციის გარკვევასთან. თუ ეს არსებითი სახელია, მოთხოვნები შემდგენიარად ლაგდება:

ვინ არის ის? — მოთხოვნა ერთად უყრის თავს ყველა ზედსართავს (გან-

5 რ. შენკი, მ. ლებოვიჩი, ლ. ბირნბაუმი, დასახ. ნაშრ., გვ. 417.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 417 და შემდეგ.

საზღვრებას) და მიაწერს მეხსიერებიდან ამოღებულ იმ არსებით სახელს, რომელსაც ისინი მიეწერება.

რა ქნა მან? — პასუხი წარმოადგენს დასკვნას მოქმედების შესრულების შესახებ და იგი გაიცემა ტექსტის შემდგომ გაგრძელებამდე.

რატომ? — მოთხოვნა ეძებს მიზეზს; სად? — მოთხოვნა ეძებს ადგილს; ვის? — მოთხოვნა ეძებს ობიექტს; რა მიზნით? — მოთხოვნა მიუთითებს იმ სცენარზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს.⁸

მოთხოვნები კითხვების სახით განაგებს ანალიზს. რომელიც სრულიადაც არ გულისხმობს მარტივი დონით შემოფარგვლას. პროცესი საკმაოდ რთული შეიძლება აღმოჩნდეს და მისგან მომავალი ინფორმაცია მოიცავდეს ვაგების ვრცელ არეს. ვაგება ხორციელდება როგორც ერთიანი პროცესი, მოთხოვნები მოიცავს ისეთ მხარეებს, რომლებიც არსებითია თვით ანალიზის, დასკვნათა გამოტანის, სცენართა გამოყენებისა და მიზანდასახულობისათვის.

მოლოდინთა დაკმაყოფილების საფუძველზე, რასაც ადგილი ჰქონდა „მაღალი ინტერესის“ სიტყვისაგან მიღებული ინფორმაციის შედეგად, აიგება კონცეპტუალური სტრუქტურები.

სცენარის ფიქსირების შედეგად, ყურადღება მთლიანად გადადის იმ მოთხოვნათა ჩამოყალიბებასა და დაკმაყოფილებაზე. რომელიც გამომდინარეობს სცენარიდან, რომლებიც აუცილებელია მთლიანად ამბის ასაგებად. ასეთ ვითარებაში ყურადღება ცალკეულ წინადადების მიმართ სუსტდება.

წაკითხულ სიტყვას შემდეგნაირად შეიძლება მოვექცეთ: სიტყვა შეიძლება გამოიტოვოს, იგი შეიძლება ჩაიწეროს ოპერატიულ მეხსიერებაში (ხანმოკლე მეხსიერებაში) და შემდეგ გამოიტოვოს, ანდა შეიძლება სიტყვა უმაღლეს მთლიანად დამუშავდეს.

გამოიტოვება ის სიტყვები, რომლებიც, წაკითხვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ არ ფლობენ არსებით კონცეპტუალურ მნიშვნელობას.

სიტყვებს, რომლებიც ჩაიწერება ოპერატიულ მეხსიერებაში და გამოიტოვება, აკისრიათ რაღაც განსაზღვრული ფუნქცია ან გარკვეული ცნებითი მნიშვნელობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ბანალურად და უინტერესოდ მიიჩნევა, თუმცა მათი უგულებელყოფა არ შეიძლება, ვინაიდან თავიანთი დანიშნულებით ისინი შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს საინტერესო მოვლენათა და ინდივიდთა შესახებ ცოდნის დაკონკრეტებისას. ეს სიტყვები სხვადასხვა როლს ასრულებს იმ კონცეპტუალურ სტრუქტურებში, რომლებიც გამოხატავს საინტერესო მოვლენებს, თუმცა ანალიზის შემდგომ საფეხურებზე მათი გამოჩენა აუცილებელი არ არის.

სიტყვებს, რომელთა დამუშავება ემორჩილება სტრატეგიას „ჩაწერე და გამოტოვე“, გარდა კონცეპტუალური მახასიათებლებისა, თან ახლავს (ლექსიკონში) გარკვეული ინფორმაცია მათთან დაკავშირებულ პროცედურათა შესახებ; ასეთი ინფორმაცია ჩაწერილია იმ მოლოდინში, რომელიც ხელს უწყობს ამ სიტყვათა კონკრეტულად გახდომას. მოლოდინი ამოქმედდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ძირეულ სიტყვასთან დაკავშირებული ცნება ჰემოარტად აზუსტებს საინტერესო ცოდნას.

სიტყვა უმაღლეს და სრულად მუშავდება მაშინ, როდესაც მთარგმნელი ყურადღებას წარმართავს მისი მნიშვნელობისკენ და იმ მოლოდინისაკენ, რომელსაც ეს მნიშვნელობა წარმოშობს. ასეთი სტრატეგია მოიშველიება ყველა საინტერესო და არსებითი კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონე სიტყვის მიმართ. ასეთი სიტყვები და მათგან გამომდინარე მოლოდინი წარმართავს ანალიზის მთელ მსვლელობას.

ზოგადად მოლოდინი შეიცავს მარტივ, კონკრეტულ მოლოდინს, როგორცაა, მაგ., დასამუშავებელ სიტყვებთან დაკავშირებული პოზიტიური მოლოდინი. მაგრამ სიტყვები, რომლებიც ემორჩილება სტრატეგიას „ჩაწერე და გამოტოვე“, უფრო მაღალი დონის მოლოდინსაც წარმოშობს, დაახლოებით ისეთს, რომელიც სცენართა აგებას უტოლდება. ამ სიტყვათა საშუალებით გამოიყენება მოვლენები და განისაზღვრება მათი დაშვების მიზანშეწონილობა მოცემულ კონტექსტში. უმაღლესი დონის მოლოდინი ეხმარება იმის გადაწყვეტას, თუ რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ კონტექსტში „ზემოდან ქვემოთ“ ხედვის თვალსაზრისით. ამდენად იგი გადამწყვეტია ტექსტის ანალიზის დალაგებისათვის.

მოქნილი ანალიზი პასუხს ვასცემს კითხვებზეც იმ მოვლენათა და ინდივიდთა შესახებ, რომლებიც არ გაითვალისწინება მოლოდინით.

მოლოდინი ხორციელდება მოთხოვნათა საშუალებით, რომლებიც დასკვნათა გამოტანის ფორმით გვევლინებიან, ან ისინი ქმნიან წყვილს „კონტროლი — მოქმედება“.

როდესაც მთარგმნელი შეუდგება მოქმედ მოთხოვნათა განხილვას, მოთხოვნები ლაგდება იმგვარად, რომ პირველ რიგში განიხილება ის მოთხოვნები, რომლებიც სულ ბოლოს გააქტიურდნენ, ვინაიდან სწორედ ისინი შეიცავს უახლეს და ყველაზე ადევკატურ მოლოდინს.

აუცილებელ მოთხოვნათა რიცხვი შემდგენიარად შემოისაზღვრება: აიგოს ახალი კონცეპტუალური სტრუქტურები; შეივსოს რომელიმე კონცეპტუალურ სტრუქტურაში პოზიციის რომელიმე სხვა კონცეპტუალური სტრუქტურით; გააქტიურდეს შემდგომი მოთხოვნები; მოთხოვნა-ინიციატორმა შეიძლება შექმნას ცარიელი ადგილები სტრუქტურაში. ამ საფუძველზე ზუსტად ეს პოზიციები უნდა შეივსოს; აქვე დასაშვებია წარმოიქმნას მოლოდინი უფრო რთულ შემდგომ ეპიზოდთა, მოქმედებათა, ან მდგომარეობათა შესახებ; შეიცვალოს მოთხოვნა — როცა მისი მთლიანობა ირღვევა, ასეთი მოთხოვნა ისპობა.

მოთხოვნები ასრულებს სამი სახის კონტროლს: მოწმდება კონკრეტული ლექსიკური ერთეული; უნდა შემოწმდეს აკმაყოფილებს თუ არა ლექსიკური ერთეული განსაზღვრულ პირობებს, მაგ., სიტყვას შეიძლება მოეთხოვოს სცენარის გააქტიურება; განსაზღვრულ სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპის ინდივიდთა ან მოვლენათა ძიება. ძიება შეიძლება გულისხმობდეს ან სახესთან დაძთხვევის შემოწმების მარტივ პროცედურას, ან სემანტიკურ ნიშანთა კონტროლს.

კონკრეტული სემანტიკური ერთეულის ძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავების დროის შემოკლების თვალსაზრისით. ძიების მოთხოვნა ეხება როგორც დამხმარე, ასევე სრულმნიშვნელოვან სიტყვებს.

სიტყვამ შეიძლება გამოიწვიოს მოლოდინი მიმართული იმ კონკრეტული სიტყვების ძიებისკენ, რომლებიც მიუთითებენ შესაფერისი სცენარის გამოყენებაზე. მოთხოვნები ახორციელებს კონტროლს კონცეპტუალურ დონეზეც.

მოთხოვნათა ძიებას სათარგმნ ენაზე გადასატანი ინფორმაციის მიმართ უნდა დაერთოს იმ მოთხოვნათა ნუსხს, რომელიც დაკავშირებულია სათარგმნ ენათა შორის შესაბამისობა-მიღწევადობის (იგივეობის) პრინციპებთან. მოთხოვნები და მოლოდინი, რომელიც მართავს ტექსტის გაგებას, უნდა გარდაისახოს სათარგმნ ენაზე. გარდასახვა უნდა განხორციელდეს უმაღლეს დონეზე, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მოხდეს სცენართა დამთხვევა, შემდგომ სქემათა და სცენართა შესაბამისობაში მოყვანა. ასეთი გარდასახვა



გადამწყვეტი აღმოჩნდება მიღებული ინფორმაციის დამთხვევის მოლოდინის და დალაგების თვალსაზრისით. მოლოდინი რომელიც მიმართულია უმაღლესი ტიპის დონისადმი, განსაზღვრავს სცენართა, სქემათა და სცენათა შესაბამისობაში მოყვანის სტრატეგიას. ასეთი სტრატეგია გამოიყენებს მოვლენებს და ინდივიდებს და გადაწყვეტს მოცემულ ენებზე მათი განსხვავებული მახასიათებლების მიწერის საკითხებს.

ამ მოთხოვნილებათა (რომლებიც კითხვებით ვადმოიცემა) დაკმაყოფილების პროცესი მთარგმნელის მხრივ იწვევს მიღებული გადაწყვეტილებებისადმი მერყევ დამოკიდებულებას. გადაწყვეტილებათა მიღება ყოველი სათარგმნი ფრაგმენტის მიმართ უკავშირდება მთარგმნელის შინაგან ცენტურათა მუშაობას, რომლებიც მოქმედებაში მოდიან ტექსტზე პასუხისმგებლობის საფუძველზე. მათი მიზანია აიცილონ მოსალოდნელ მცდარ გადაწყვეტილებათა მიღება⁹.

შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებული მოთხოვნები კონცეპტუალური სისტემების აგებისას განსხვავებულ ენებში აწყდება ასაგებ კონცეპტთა ურთიერთდამთხვევის ზღვართა განუსაზღვრელობას, უფრო ზუსტად, ამ ზღვართა წაშლას, ბუნდოვნებას. ასეთი დამთხვევა ფარდობითია და მას საფუძვლად უდევს კონკრეტული ენის კონცეპტთა და მეტაფორთა აგების თავისებური ხერხები.

ეს უკანასკნელი თავისებურად მოქმედებს ინდივიდთა და მოვლენათა განსაზღვრისას. შეუძლია შეცვალოს და შეეხოს სცენართა აგებას. იგულისხმება, რომ სცენარი უცვლელად რჩება.

მოლოდინი, არჩევანი, პასუხისმგებლობა მართავს თარგმნის პროცესს და უნდა აკმაყოფილებდეს დედნის ავტორის მიზანდასახულობას და მთარგმნელის პრეტენზიებს. კონტროლიდან მომდინარე მოთხოვნები ყურადღებით ამოწმებს ავტორის მიზანდასახულობის შეთავსებადობას თარგმნილი ტექსტის მიმართ. კონტროლს, გარდა კონკრეტული ლექსიკური ერთეულებისა, ინდივიდთა და მოვლენათა ძიებისა, ეკისრება შეთავსებადი ინფორმაციის ძიება ასეთი მიზანდასახულობის მიმართ და მას შეუძლია გააუქმოს თარგმანი, თუ საჭირო ინფორმაცია არ მოიხაება. ასეთი კონტროლის აუცილებლობა იმიტომ გამოწვეული, რომ ზოგჯერ მთარგმნელი, იყენებს რა მთელ ნიჭს, უცვლელად ტოვებს მხოლოდ სცენარს, მთლიანად ცვლის მის ენობრივ პროგრამას და ქმნის ახალ ნაწარმოებს სხვა ენაზე, რომელიც მაქსიმალურად პასუხობს ავტორის მიზანდასახულობას (შეად. თ. ჩხენკელის მიერ თარგმნილი ფ. გ. ლორკას „მოლაღატე ცოლი“ ბ. პასტერნაკის და ნ. ხატისკაის მიერ თარგმნილი იმავ ნაწარმოებს). ასეთი მთარგმნელები ჭეშმარიტი პოეტებია.

არსებობს მთარგმნელთა მეორე ტიპი, ისინი ცდილობენ სიტყვასიტყვით გადაიღონ დედნის ენობრივი საშუალებანი სათარგმნ ენაზე; მიღებული შედეგი დედნის შესახებ ანგარიშს წააგავს. ასეთ მთარგმნელთა კონცეფცია გაუმართლებლად პედანტური გვეჩვენება ენობრივი ფარდობითობის თვალსაზრისით, რომლის თანახმად ერთი ბუნებრივი ენის გარდასახვა მეორეში შესაძლოა ჰგავდეს სასწაულთა ქვეყნის მრუდე სარკეებში ასახულ ანარეკლს. ლაპარაკი ზედმეტია ისეთ მთარგმნელებზე, რომელთაც არ ესმით დედანი.

ამრიგად, წარმოდგენილი მსჯელობის მსვლელობისას გამოყენებული მრავალი დებულება, შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის სფეროში, შეიძ-

⁹ М. Минский, Остроумие и логика когнитивного бессознательного, «Новое в зарубежной лингвистике», вып. XXIII, М., 1988, 23. 287—288.

ლება გამოვიყენოთ ადამიანის ქცევის მისაბაძად განსაზღვრული ენობრივი/და
აზროვნებითი პროცესების მიმდინარეობის დროს.

შეფასების როგორც კრიტერიუმებს შეიძლება მივმართოთ თავგანმარტობის/და
საზრისით? დასაშვებია მრავალი ასეთი კრიტერიუმის არსებობა, მაგრამ მათ
უნდა შეძლონ პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე: რა უნდა იქნეს მიჩნეული
ამოსაველ დებულებად? სავარაუდოდ მიგვაჩნია შემდეგი შესაძლებლობანი:

თარგმანის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს დედანი, უცვლელად უნ-
და დარჩეს სცენარი და სცენები, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ ინდივიდთა სიმრავლე, მათი თვისებანი და მიმართებანი მათ შორის შე-
ნარჩუნებულია თარგმანში. სცენარი და სცენები უკავშირდება ერთმანეთს
ინფერენციალური (დასკვნის გამოტანის) მიმართებებით. ასეთი მიმართებები
შეარდება წინადადებათა შორის სცენის დონეზე (ამბავის წინადადებანი) და
წინადადებათა შორის სცენისა და სცენარის დონეზე (რეჟიუმეს წინადადე-
ბანი).

ყოველი წინადადება ფასდება როგორც აზრის (სწორად აგებული და
ერთმნიშვნელოვანი), ასევე ქეშმარიტების თვალსაზრისით მოცემულ სიტუა-
ციაში. ასეთი შეფასების კრიტერიუმს იძლევა რეპრეზენტაციის ლოგიკური
ფორმა, სემანტიკური რეპრეზენტაცია. სცენარი ავლენს მრავალგანზომილე-
ბიან მიზანდასახულობას და ამავე მიზანდასახულობით წარიმართება.

ყოველი თარგმნილი ტექსტი, აწონილ-დაწონილი ალბათობის მსგავსი
შეფასებების პირობებში, მინიმალურად უნდა განსხვავდებოდეს დედნისაგან.
ასეთი შეფასება გულისხმობს ყოველი წინადადების შედარებას და იგი უნდა
მოიცავდეს ტექსტიდან გამომდინარე შესაძლო მოკვეთილ და უარყოფილ წი-
ნადადებათა მაქსიმალურ რიცხვს. ივარაუდება, რომ შეფასება მომდინარეობს
დედნისა და თარგმანის მიზანდასახულობათა თავსებადობის პრინციპიდან. ეს
უკანასკნელი, ენობრივი ზეგავლენის თანადროულად, განაპირობებს ფასეუ-
ლობათაგან მომდინარე (აქსიოლოგიურ) ინფორმაციას, გადაწყვეტილებათა მი-
ლებას მთარგმნელის მიერ და ემოციურ ზემოქმედებას.

თვით სცენათა და სცენარის თავსებადობის პირობებში მაქსიმალურად
ღრმა დონეზე (რეჟიუმეს დონეზე) ზედაპირული რელიზაცია აუცილებლად
იძლევა ისეთ განსხვავებას თარგმნილ ტექსტსა და დედანს შორის, რომ ისინი
არასოდეს არ ემთხვევიან მთლიანად ერთმანეთს. ეს იქნება მხოლოდ დაუსრუ-
ლებელი სწრაფვა მაქსიმალური თავსებადობისკენ მინიმალური განსხვავების
პირობებში.

როცა ინფორმაციის შესაბამისობა არადაამაკმაყოფილებლად შეფასდება,
დადგინდება მთარგმნელის მოლოდინის სიყალბე, ასევე შინაგან ცენზორთა
შეუსაბამო რეაგირება. გარდა თავსებადი და შეუთავსებადი ინფორმაციის
ზონისა, არ არის გამორიცხული შუალედური ზონის არსებობა, სადაც და-
გროვდება ქარბი ინფორმაცია, რომელიც არ არის დედანში, მაგრამ გაჩნდება
ან მთარგმნელის სუბიექტური განწყობის ნიადაგზე, ან განსხვავებული ენის
ზემოქმედების შედეგად. ასეთი ინფორმაციის მოცულობისა და არსის გან-
საზღვრა შეუძლებელია.

ყოველი თარგმნილი ტექსტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწილი,
ფრაგმენტი კონკრეტული ენის სინამდვილისა, სამყაროსი. ამ ენის წინაშე
იგივე სამყარო, ინდივიდები, მოვლენები წარმოდგება, რაც დედნის ენაშია,
მაგრამ სათარგმნი ენა ამ სამყაროს აღიქვამს და გარდასახავს თავისი საშუა-
ლებებით, მისთვის დამახასიათებელი კონცეპტუალიზაციის და მეტაფორიზა-
ციის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ენები ერთმანეთისაგან მეტწილად

მეტაფორიზაციის უნარით განსხვავდებიან. თუმცა ამ სფეროშიც არსებობს საოცარი დამთხვევები.

ყოველი ტექსტი წარმოადგენს მიღწევად სამყაროს მეორე ენისათვის, მაგრამ ამავე დროს მიუღწევადსაც, ვინაიდან ისინი თარგმნისას გარდაუვალად, თუმცა ხშირად შეუმჩნევლად, შორდებიან ერთმანეთს.

აქამდე თარგმნის მიმართ თავს არიდებდნენ ფუნდამენტური ლოგიკურ-ფილოსოფიური საკითხების დასმასა და გადაწყვეტას. თანამედროვე პირობებში ისახება სინტერესო პერსპექტივები ფსიქოლოგიური, ენობრივი, ლოგიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისით.

И. Г. ПХАКАДЗЕ

ПЕРЕВОД КАК ИНТЕГРАЛЬНЫЙ ПРОЦЕСС

Резюме

Интегральный характер процесса перевода заключается в том, что он объединяет знания, необходимые для снятия многозначности и нахождения подходящих значений слов, знания о предпринимаемых процедурах относительно принятия решений насчет того, что кажется в тексте наиболее значительным, или же что может остаться незамеченным. Языковая компетенция переводчика должна решать вопросы, связанные с многозначностью слов и с нахождением подходящих смыслов. Знание процедур означает, что переводчик осознает каждую операцию, проводимую с целью поиска, представления, извлечения и исчисления информации. Несмотря на то, что эти операции иногда протекают гладко, без усилий, автоматически, часто осуществление перевода сопряжено с озадаченностью, напряжением, и переводчик в такой ситуации колеблется перед принятием решений и возвращается назад. Правила вывода умозаключений присоединяются к анализу текста и располагаются на самой низкой ступени более высоких уровней принятия решений. Переводчик ограничен в своих возможностях сконцентрироваться на том, что ему кажется самым значительным, замкнутым характером оригинала. В любом случае, он не должен оставлять без внимания ни один значительный аспект текста. Перевод как процесс определяется в рамках употребления языка со всеми вытекающими из такой позиции дискурсивными и когнитивными последствиями. Модель, имитирующая поведение переводчика, может быть построена на базе разработок искусственного интеллекта, затрагивающих речемыслительные процессы.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიაშვილმა

დალი შენგელია

„თამაშობს“ ტიპის ზმნათა პირიანობის საკითხისათვის ძველ ქართულში

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თამაშობს“ საშუალო ფორმა იმ ზმნათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ერთპირიანობის ფუნქციითაც დაიტვირთონ და პარალელურად სხვა კონსტრუქციაში ორპირიანობის ფუნქციის მქონენიც იყვნენ: თამაშობს ის — თამაშობს ის მას¹.

ძველ ქართულში დასტურდება თამაშობს ტიპის ზმნათა როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ფორმები:

ვაჭრობს (იგი): დაემკვდრნედ ამას ქუეყანასა და ვაჭრობდედ (დაბ., 34,21); ვაჭრობს (იგი მას): რამთა ვაჭრობდეს მოცემულსა მას (სინ. მრ., 86,37).

ზუაობს (იგი): მაგისტვს ნუ ზუაობ (ილ. აბ., მ. ცხ., 196); ზუაობს (იგი მას): სირცხელი არს... რამთა უცხოსა ზედა ქველის — საქმესა ვზუაობდედ (ილ. აბ., მ. ცხ., 170).

დღესასწაულობს (იგი): ყოველი დაბადებული დღესასწაულობს (სინ. მრ., 31,10); დღესასწაულობს (იგი მას): რავდენნი ხარებასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა დღესასწაულობდენ (სინ. მრ., 10, 26—27).

მიზეზობს (იგი): მიზეზობნ მედგარი და თქვს (იგავ., 22,13); მიზეზობს (იგი მას): ნუ ვინ მიზეზობნ უმეტრობასა (ილ. აბ., ბ. კეს., ექს. დღ., 103,14).

შაბათობს (იგი): და შაბათობდა ერი დღესა მეშვესა (გამ., 16,30); შაბათობს (იგი მას): შაბათობდეთ შაბათსა მას თქუნესა (ლევიტ., 23, 32).

გალობს (იგი): გალობდეს დებორა და ბარაკ (მსაჯ., 5,1) გალობდენ და იხარებდენ შენდაში ყოველნი (ფს., 69,5); გალობს (იგი მას): რომელი-იგი მღდელთა ვერ ცნეს, მას გალობენ (სინ. მრ., 144,38); ჰგალობდა ფსალმუნსა დაეითისსა (კიმ., 11, 151, 19).

ქადაგებს (იგი): ქადაგებდით და იტყოდეთ (მათე, 10, 7); ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა (მათე, 6, 2); ქადაგებს (იგი მას): არა უდაბნოსა ქადაგებენ სახარებასა (სინ. მრ., 31, 8); იყო იოვანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისასა მისატყვებელად ცოდვათა (მარკ., 1, 4).

პირდაპირი დამატება ჩანს შესიტყვებაში ტირის, გოდებს ზმნებთანაც:

ს-ტირის (იგი მას): და შეუდგა მას სიმრავლე ერისაჲ და დედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას (ლუკა, 23, 27); ნუ სტიროთ მოკვლარსა (იერ., 22,10); არცა სტიროდიან მას (იერ., 22,18); შდრ. ტირის (იხ): ნუ სტიროთ ჩემ ზედა (ლუკა, 23, 28).

ჰ-გოდებს (იგი მას): რომელნი ეტყებდეს და ჰგოდებდეს მას (ილ. აბ., DE, ლ. 23, 27); ამისთვის ვითარცა იხილა იგი ეკლესიამან გვრგვნოსანი ეკლითა, შესაკრებელისა მის მათისა კანდიერებასა ჰგოდებს და იტყვს (სინ. მრ., 44, 29); შდრ. გოდებს (იგი): ვგოდებდი და ვიფხურდი თმათა თავისა ჩემისათა (III ეზრა, 8, 72); და გოდებდენ შთასადებელნი სამკაულისა თქვენისანი (ესაია, 3, 26).

¹ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმთა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 190.

ზემოდასახელებული მაგალითებიდან აშკარაა, რომ **თამაშობს** ტიპის ზმნები ძველ ქართულში ლაბილური კონსტრუქციისაა. შესიტყვებაში ხანს ხანს პირდაპირი დამატება, ხანდახან კი — არა. ამგვარი ზმნების ნათქვამია: „იმის მიხედვით, დასტურდება თუ არა კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება, თითოეული მათგანი შეიძლება იყოს გარდამავალიცა (ე. ი. ჰქონდეს მოქმედებითის ფუნქცია) და გარდაუვალიც (საშუალო ფორმის ფუნქცია): ტიროდა ის — „საშუალო“ ფორმა, ხოლო სტიროდა ის მას — მოქმედებითი გვარის ფუნქციის მქონე. ამ ტიპის ზმნები, ხანს, იმ ძველ ვითარებას გვიჩვენებენ, როცა გვარის კატეგორია ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული და კონსტრუქცია განარჩევდა ზმნებს აქტიურობა-პასიურობის მიხედვით. ეს თავისებური ანარეკლი უნდა იყოს იმ ლაბილური კონსტრუქციისა, რომელიც დღესაც დასტურდება ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“².

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში **თამაშობს** ტიპის ზმნათა უღვლიდების პარადიგმის შემავსებელი ფორმები მყოფადსა და ნამყო ძირითადში ხან ერთპირიანია, ხან ორპირიანი: **ივაკრებს (იგი):** დაეშენენით და **ივაკრებდით** მას ზედა და მოიგებდით მას შინა (დაბ., 34, 10); **ივაკრებს (იგი მას):** არა თუ რაათა თავისა თვისსა **ივაკროს** სათნოებად (სინ. მრ., 12,1).

ილოცებს (იგი): ილოცი მამისა შენისა მიმართ ფარულად (მათე, 6, 6); **ილოცებს (იგი მას):** ესე სიტყუად ილოცა (კიმ., I, 274,22).

იმარხებს (იგი): და **იმარხეს** მას დღესა შინა და შეწირეს მსხუერალი ცხორებისა (მსაჯ., 20,26); **იმარხებს (იგი მას):** ყოველთა ჰურიათა იმარხონ დღე იგი სრულიად მარხვით და ლაღდებით (ესთერ, 9,31).

იბოროტებს (იგი): **იბოროტე,** რომელ ჰყავ მოკლვად კაცისა ღმრთისაჲ პირისაგან სიყმილისა (იერ., 38, 9); **იბოროტებს (იგი მას):** **იბოროტეს** კაცთა ამათ ყოველნი, რავდენნი უყვეს იერემიას (იერ., 38,9).

როგორც ზემოდასახელებული მაგალითებიდან გამოჩნდა, ძველ ქართულში **თამაშობს-ითამაშებს** ტიპის ზმნები პირდაპირ დამატებას ხან შეიწყობდა, ხან არა. პირველ შემთხვევაში ეს ზმნები ვაგებულ იქნა როგორც მოქმედება, ზოლო მეორე შემთხვევაში — როგორც მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ამ ზმნებში მკვეთრად არაა დიფერენცირებული მოქმედებითი გვარისა და „საშუალო“ ფორმების ფუნქცია.

ორივე შემთხვევაში II სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **თამაშობს-ითამაშებს** ტიპის ზმნები მოქმედებითი გვარის ზმნათა ყალიბებს იმეორებენ.

ძველ ქართულში „**თამაშობს**“, „**ტიროს**“ ტიპის ზმნებთან გვხვდება პირდაპირ დამატებად სახელი, რომელიც ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი:

დღესასწაულობს (იგი დღესასწაულს): ვდღესასწაულობთ დღესასწაულსა სიხარულისასა (სინ. მრ., 19,15); **დღესასწაულობდ,** იუდა, **დღესასწაულთა** შენთა (ნათმ., 1,15); **იდღესასწაულებს (იგი დღესასწაულს):** **დღესასწაული** ესე წმიდაჲ იდღესასწაულეს (ანტიოქ., 54, 36).

შაბათობს (იგი შაბათს): **შაბათობდეთ** შაბათსა მას თქუნესა (ლევიტ., 23, 32); **იშაბათებს (იგი შაბათს):** იშაბათენით შაბათნი თქუნენი (ილ. აბ., ლევიტ., 23,31).

გალობს (იგი გალობას): რაეთა მხოლოჲ ოდენ გალობდეს სამკუდროსა მას გალობასა (ეც., VII, 167, 29); **იგალობებს (იგი გალობას):** მაშინ იგალობეს მოსე და ძეთა ისრაელისათა გალობად ესე ღმრთისა მიმართ (გამ., 14,32).

ანგაპრობს (იგი ანგარებას): რომელი ანგაპრობდეს ანგარებასა ბოლოში
სასლოთა თესთა (ამბ., 2, 9); რადთა ანგაპრობასა ანგაპრობდენ (ეზეკ., 22, 27).
მიზეზობს (იგი მიზეზობას): მიზეზობდეს იგინი მიზეზობასა (სადაცხვენი
კიმ., 165, 3).

მშადლობს (იგი მადლს): ამისა შემდგომად ვმადლობდ მადლსა მას ღმრთი-
სასა (სინ. მრ., 67, 3).

გოდებს (იგი გოდებას): და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა
(გოდ. იერ., 1); ცოლი მისი გოდებასა გოდებდა (აღწ., 184, 21).

ტოზიკობს (იგი ტოზიკს): ქრისტეს ტოზიკსა ეტოზიკობ (ევსტ., 30, 13).

ტირის (იგი ტირილს): და ტიროდა ეზეკია ტირილსა დიდსა (ესაია, 38, 3).

იუნჯებს (იგი საუნჯეს): ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა თქუენთა ქუეყა-
ნასა ზედა (მათე, 6, 19); ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა (მა-
თე, 6, 20).

იმარხებს (იგი მარხვას): მარხვად იმარხეთა ჩემდა (ზაქ., 7, 5).

ილოცებს (იგი ლოცვას): ილოცა ლოცვად იაკობ და თქუა (დაბ., 28, 20);
და ვითარცა ესე ლოცვად ილოცა იუდა, შეიძრა ადგილი იგი (სინ. მრ., 242, 4).

ზმნის ფუძისავე სახელი პირდაპირ დამატებად გვხვდება მსახურებს
ტიპის ზოგიერთ ზმნისთანაც:

მსახურებს (იგი მას მსახურებას): და მსახურებდეს ლევიტელი იგი მსა-
ხურებასა მას კარვისა საწამებელისასა (რიცხ., 18, 23); არა გმსახურებდეს
შენ მსახურებასა მონისასა, ვითარცა მორეწე (ილ. აბ., G, ლევიტ., 25, 39).

მმონებს (იგი მას მონებას): არა გმონებდეს შენ მონებასა კირთებრ (ლე-
ვიტ., 25, 39).

აღნიშნულ ზმნებთან პირდაპირ დამატებად ზმნის ფუძისავე სახელის არ-
სებობა, შესაძლებელია, ნათარგმნი ტექსტების გავლენის შედეგი იყოს, მაგრამ
არაა გამორიცხული, რომ აქ ენის განვითარების გარდამავალ საფეხურთან
გვქონდეს საქმე, როცა პირდაპირ დამატებად გამოყენებული სახელი ზმნის
ფუძედ იქცევა, მაგრამ კონსტრუქციაში მისი პოვნეირებაც საჭიროა. შემდგომ
ეტაპზე პირდაპირი დამატების ადგილს უბრალო დამატება იკავებს (ჩნდება
პარონომაზიული ფორმები):

ტირის (იგი): ტიროდა ტირილითა (დაბ., 46, 29).

ტყუ(ვ)ის (იგი): ყოველი მძა ტყუელით ტყუეოდის (ილ. აბ., I იერ., 9, 4).

ქმობს (იგი): ქმობდეს ქმითა დიდითა (მათე, 20, 30).

მეფობს, უფლებს (იგი): ან მეფობით ნუ მეფობდია ჩუენ ზედა, ანუ უფ-
ლებით უფლებდე ჩუენ ზედა? (დაბ., 37, 8).

„ურკინა მან მას“ ტიპის ზმნათა შესახებ ნათქვამია: „უშუალო ობიექტი
ზმნის ფუძის კუთვნილება ხდება: უ-რკ-ინ-ა მან მას (უშუალო ობიექტად ნა-
ვარაუდვეი საგანი — „რქა“ — ზმნის ფუძეში აღმოჩნდა ჩართული). ჩა-უ-
ნისკარტ-ა მან მას იგივეა, რაც: ჩა-ს-ცხ-ო მან მას ნისკარტი“³.

ძველ ქართულში ურქენს ტიპის ზმნათა შემცველ კონსტრუქციაში პირ-
დაპირი დამატება ძალზე იშვიათად ჩანს, უმეტესად კი ან არა გვაქვს, ან მის
ნაცვლად უბრალო დამატება გვხვდება:

უხარკებს (იგი მას ხარკს): ან უკეთუ ქალაქი ესე აღაშენონ და ზღუდენი
ამათნი აღესრულნენ, ხარკსა არა ვინ უხარკებდენ (III ეზრა 2, 19); შდრ. უხარ-
კებს (იგი მას): მონასა გონიერსა აზნაურნი უხარკებედ (ილ. აბ., ზირ., 0;
10, 28).

ურქენს (იგი მას); რქებითა თქუენითა ურქენდით (ეზეკ., 34, 21).

³ ბ. გ. ო. ბ. ე. ნ. ა. ძე, ზმნის სმოვანარეფისული წარმოება ქართულში, თბ., 1983, გვ. 177.

უგალობებს (იგი მას): უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა (იფს., 42,10).

იძინებს ტიპის ზმნათა შემცველ შესიტყვებებშიც პირდაპირი დამატების ადგილს ზმნის ფუძედ გამოყენებული სახელით გამოხატული უბრალო დამატება იჭერს:

იძინებს (იგი): დაიძინა სტეფანე ძილითა (სინ. მრ., 61,8) შღრ. დაიძინეს ძილი მათი (ფს., 75,6).

თანამედროვე ქართულში **თამაშობს ის/თამაშობს ის მას** ტიპის ზოგიერთი ზმნის პირიანობა სტაბილური გახდა. მაგ., ბუდობს, ბოგინობს, ბანაკობს, ვახშობს, შიმშილობს მხოლოდ ერთპირიანებია, ხოლო ქირაობს, თაობს, თაკილობს, უცხოობს ზმნები — მხოლოდ ორპირიანი. ძირითადად, **თამაშობს** ტიპის ზმნათა პირიანობა კონსტრუქციითაა შეპირობებული.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

1. აშბ. — წინაწარმეტყველება ამბავების, მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა ღაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.
2. აღწ. — ივ. ჭავჭავაძის შვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.
3. ბარ. — წინაწარმეტყველება ბარუქისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
4. გამ. — წიგნი გამოსლვათა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.
5. გოდ. იერ. — გოდებანი იერემია წინაწარმეტყველისანი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
6. დაბ. — წიგნი დაბადებისა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.
7. ევსტ. — მარტყოლა და მოთხინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.
8. ეზეკ. — წინაწარმეტყველება ეზეკიელისი, გამოსცა თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1977.
9. ეზეკ. — წინაწარმეტყველება ეზეკიელისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
10. ეზრა — წიგნი ეზრასი I, II, III მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982.
11. ესაია — წინაწარმეტყველება ესაიასი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
12. ესთერ — წიგნი ესთერისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.
13. ეტ. — კ. კეკელიძე, ეტოუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961.
14. ზაქ. — წინაწარმეტყველება ზაქარიასი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.
15. იგავ. — იგავთა წიგნი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.
16. იერ. — წინაწარმეტყველება იერემიასი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
17. ილ. აბ. — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
18. კიმ. — კიმენი, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, გამოსცა კ. კეკელიძემ, I, ტფილისი, 1918; II, თბ., 1946.
19. ლუკა — სახარება ლუკას თავი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.
20. ლევიტ. — წიგნი მესამე ლევიტელთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.
21. მათე — სახარება მათეს თავისაჲ, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.



22. მარკ. — სახარებაჲ მარკოზის თაჲ, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია/ გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.
23. მეფე. — მეფეთა I, II, III, IV. მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა თბ., 1982.
24. მსაჯ. — წიგნი მსაჯელთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1961.
25. მს.წ. მამათა სწავლანი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1960.
26. ნაუშ. — წინასწარმეტყველება ნაუშისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.
27. რიცხ. — რიცხეთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.
28. სინ. მრ. — სინური მრავალთაჲ 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1959.
29. ფს. — დაიით წინასწარმეტყველისა მიერ ქებაჲ (ფსალმუნი დავითისი), მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.

Д. С. ШЕНГЕЛИА

К ВОПРОСУ О ВАЛЕНТНОСТИ ГЛАГОЛОВ ТИПА ТАМАՏՈՅՍ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке глаголы типа «tamaՏօԻս—itamaՏօԻԲს» лазбильной конструкции. В словосочетании прямое дополнение иногда имеется, иногда — нет. В качестве прямого дополнения часто выступает имя с той же основой, что и глагол (hmadloԲს imadլs, hճabatօԲს ճabatս). Здесь налицо проявление переходной ступени в развитии языка, когда используемое в качестве прямого дополнения имя становится глагольной основой, но в конструкции его наличие также необходимо. На следующем этапе развития языка место прямого дополнения занимает простое (terօԲს terօԲit, upleԲს upleԲit), появляются паронимические формы.

В современном грузинском языке валентность одной части глаголов типа tamaՏօԻս is | tamaՏօԻԲს is mas стабилизировалась. Такие глаголы как buԲօԲს, boginօԲს стали только одноличными, а kiraօԲს, taօԲს — только двухличными.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ჯორბენაძემ

გრიგოლ იმნაიშვილი

ს კონსონანტი ქართულ დიალექტებში¹

წინასიბილანტიური ყრუ ფშვინეიერი სისინა ს სპირანტის გარდასახვის, სხვა კონსონანტთან შერწყმისა და გაუჩინარება-დაკარგვის სხვა შემთხვევები, რომლებიც ცნობილია სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ისტორიაში, მეტ-ნაკლებად დასტურდება ამ ენის ყველა დიალექტში (შიშვილი—სიმშილი, შიში—სიში, ჭიჭარი—ბჰის კარი, ცამეტი—ათ სამეტი; ხ-ს დაკარგვა ზ. შ და ძ თანხმოვნების წინ: გულზე, ხეზე, წყალში, მიწაში, გაბაშვილი, კალაძე და სხვ.). მაგრამ ყურადღებას იქცევს ის, რომ, ამასთან ერთად, რიგ დიალექტებში არცთუ იშვიათად შეინიშნება აგრეთვე ს სპირანტთან დაკავშირებით განსხვავებული (ურთიერთსაპირისპირო) ვითარება. დიალექტების ერთ ნაწილში ს ბგერა ჩვეულებრივ გვევლინება გარდასახული ფორმით მთელ რიგ პოზიციებში (ყრუ ფშვინეიერი ბუნების ა-ს ან ჰ-ს სახით) ან სულ იკარგება, ხოლო მეორე ნაწილში ს მეტად მყარია და ანალოგიურ პოზიციაში არ შეიძლება დასუსტდეს ან დაიკარგოს.

ყრუ ფშვინეიერი სისინა ს სპირანტის სიმყარისა და დასუსტება-დაკარგვის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ მთელი რიგი აღმოსავლური და დასავლური, ბარისა და მთის კილო-თქმები თავიანთი განსხვავებული და მსგავსი ფონეტიკური მოვლენებით.

ს სპირანტი მეტ-ნაკლებად ლაბილურია ისეთ აღმოსავლურ კილო-თქმებში, როგორიცაა: კახური, ქიზიყური, ქართლური (დასავლური ნაწილის გამოკლებით), მთიულური, გუდამაყრული, ფშაური, თიანური, ყიზლარ-მოზდოკური, ინგილოური, ფერდიდნული, ჭავჭავური და მესხური. ამ დიალექტებსა და კილოკავებში ს არცთუ იშვიათად განიცდის ცვლილებას პოზიციურად და ზოგჯერ იკარგება სულ. მაგრამ ამ თვალსაზრისით საგრძნობი სხვაობა შეინიშნება აქ დასახელებულ ენობრივ ერთეულთა შორისაც.

ს სპირანტის ლაბილურობა ყველაზე შორს არის წასული კახურში, ქიზიყურში, ქართლურსა² და საკუთრივ თიანურში. ამთში, სხვებისაგან განსხვავებით, მესამე სუბიექტური პირის ს-ც იქცევა ყრუ ფშვინეიერი იერის მქონე ა-დ ხმოვნის მომდევნოდ: იყოა „იყოს“, გააკეთა „გაკეთეს“, დგაა „დგას“, ეკუთვნია „ეკუთვნის“ და მისთ.

ამ კილო-თქმებში მეტად მოხშირებულია ს სპირანტის დასუსტება-დაკარგვის სხვა შემთხვევებიც (ფუძისეული და ფორმანტისეული ს-ს ა-დ ქცევა ან სულ დაკარგვა სხვადასხვა პოზიციაში და სხვ.), როგორც ეს სწორად არის აღნიშნული სათანადო ლიტერატურაში³.

ზემოდასახელებულ ყველა კილო-თქმაში ს სპირანტის შემცველი კონსონანტთა რთული კომპლექსი (სწრ, სწ, სტ, სპ, სთ...) მეტ-ნაკლები სიხშირით

¹ წაითხვლია X რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე თელავში 1988 წლის 21 ოქტომბერს, თეზისები, თბ., 1988, გვ. 31—33.

² იგულისხმება დასავლური ნაწილის გამოკლებით.

³ არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, კრ. „არილი“, ტფ. 1925, გვ. 57—88; შისიგე, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში, ენიკის მოამბე, I, ტფ., 1937, გვ. 66—76; ვ. თოფურია, ქართლური, კრ. „არილი“, ტფ., 1925, გვ. 127—152; გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომების კრებული, თბ., 1970, გვ. 143—210.

განიცდის ცვლილებას ამ ს ბგერის ხარჯზე. მასში ს გარდაისახება (იქცევა) ერთ ფშვინვიერი ბუნების **ა-დ** ან **ჰ-დ**)⁴ ან სულ გაუჩინარდება (უმთავრესად მისი წვის თავში); მაგ.: მო**ა**წრებაში, სა**ა**წორი, ძმ**ა**წული, ვა**ა**წავლე, **ა**წავლა, მე**ა**წარ, ბო**ა**ტანი, კომბ**ა**ტო, ჩუ**ა**ტი, ქი**ა**ტი, ლ**ა**ტი, ტ**ა**ტი (—ტასტი), მუ**ა**ტი (—მუსტი), მამ**ა**თან; ლ**ა**ტი, კომბ**ა**ტო, მი**ა**თან; წ**ა**ფე, წ**ა**რეთ, ტ**ა**ფილო, პეც**ა**ლიტი, წყ**ა**როთან და სხვ.

დასტურდება გარდამავალი საფეხურიც: ვა**ა**ა**ა**წრო, ჩა**ა**ა**ა**წრამენ. ზე**ა**ა**ა**სტაფონი, ბო**ა**ატანი, კაც**ა**ა**ა**თვინ და მისთ.

რიგ დასავლურ დიალექტებში კი ჩვეულებრივ ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენებს: ს უცვლელად გვენახება და ცვლილებას განიცდის ან სულ იკარგება კომპლექსის სხვა კომპონენტი (ს**წ**→სტ, ს**წ**რ→სრ, სთ→ს, სც→ს).

ეს მოვლენა მეტად გავრცელებულია გურულში. აქ ს**წ** კომპლექსის აფრიკატი კომპონენტი **წ** კარგავს სპირანტულ ელემენტს და იქცევა ტ-დ⁵, ხოლო ს უცვლელად გვენახება; მაგ.: სტავლა, სასტავლებელი, მასტავლებელი, ნასტაველი, უსტაველი, ასტავლის, სტავლობდა, ვისტავლე, ვასტავლე, მასტავლა, შეისტავლა, სტორი, სისტორე, ვასტორებული, სასტორი, გაასტორეფს, გამო-სტორდება, გავასტორეთ და სხვ.

ს**წ**რ კომპლექსში შემაჯავლი **წ-ც** შეიძლება იქცეს ტ-დ (უმთავრესად ზემო-გურულში) და მივიღოთ სტრ კომპლექსი (მიესტრო). მაგრამ ხშირად ს-სა და რ-ს შორის **წ**, როგორც წესი, სულ უჩინარდება ტ-ს საფეხურის გავლით (განსაკუთრებით ქვემოგურულში) და სახეზე გვრჩება სრ; მაგ.: გაასრა „გაასწრო“, მუუსრა „მოუსწრო“, შამოგვესრა „შემოგვესწრო“. დაგვესრობოდა „დაგვესწრობოდა“, მოგვესრა „მოგვესწრო“, მუასრობდი „მოუასწობდი“, მოსრობაში „მოსწრებაში“, მოსრობაზე „მოსწრებაზე“, ვერ მუასრა „ვერ მოასწრო“, თავი ვერ დამისრეს „თავი ვერ დამისწრეს“, სრაფი „სწრაფი“, მოსასრაფი და სხვ.

ამ ზმნებში **წ** იკარგება მაშინაც, როცა მას რ უშუალოდ არ მოსდევს, მაგრამ მოქცეულია ს-ს შემდეგ, მის (ს-ს) უახლოეს მეზობლად; მაგ.: მუასარი „მოვასწარი“, ჩუუსარი „ჩაუუსწარი“, დივესარი „დავესწარი“; გავასარი „გავასწარი“ და მისთ.

ს-ს უშუალო მომდევნოდ **წ**, **ც** და **თ** ხშირად ვერ ძლებს მაშინაც, როცა ეს ს ფორმანტისეულია (და არა ფუძისეული).

ამ ბგერების (**წ**, **ც**, **თ**) წინ ფორმანტისეული ს (პირის ნიშანი) გურულში შეიძლება მოგვევლინოს მხოლოდ ზოგიერთ ზმნაში. **წ** ამ შემთხვევაშიც იქცევა ტ-დ ან სულ უჩინარდება; მაგ.: მისტობა „მისწვდება“, ვასტობა „ვასწვდება“, შესტობა „შესწვდება“, მოსიწ „მოსწი“ და სხვ.

ქვემოგურულში ფართოდ არის გავრცელებული პირის ნიშნისეული ს-ს მომდევნოდ ფუძისეული **ც**-ს გაუჩინარების შემთხვევები; მაგ.: მისა „მისცა“, მისენ „მისცეს“, მიხემდენ „მისცემდენ“, მიხე უნდა „მისცე უნდა“, მიხემემ „მივცემემ“, ხემეს „სცემეს“, ხემდა „სცემდა“, დახემია „დასცემია“, მოხილდა „მისცილდა“ და სხვ.⁷

ზოგიერთ ზმნაში ს პრეფიქსმა შეიძლება სახე იცვალოს ფუძისეული

⁴ „ამონადენი პერენიალის შემკირება-შესუსტებით ან ნაპრალის ვაფართოვებით... შეიძლება ს-ს მავარი ნაპრალისეული“ [ბგერა ნაპრალისეული ს-სგან]. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 211.

⁵ იქვე, გვ. 212.

⁶ მოსი და ვაალე კარიო (ქვემოგურული, სოფ. ლაშისლე).

⁷ ზემოგურულში კი მოხშირებულია სტ-ც (მიცემდენ, მიცემს, მიცა...). ეს ზმნა აქ ჩვეულებრივ წარმოდგენილია ირიბი ობიექტური პირის ნიშნის გარეშე.

ხმოვნის გავლენით (ნაწილობრივი ასიმილაციით: მოსჭრა—მოშკრა—მოშრა⁸ დასჭერდა—დაშჭერდა—დაშერდა; წასძლია—წაშლია და მისთ.)⁸

შენიშნულია, რომ ძირეულ აფრიკატჩამოცილებულ ზმნებში (მისა⁹ სონს „მოსწონს“, შეზღვეს, დაშირდა „დასჭირდა“, დაშერდა და მისთ). „გვაქვს არა მარტივი სპირანტები, არამედ გარკვეულად დაყოვნებული სახის სპირანტები (თუმცა შეიძლება ყველა სახეობაში არათანაბრად დაყოვნებული)“⁹.

მთელ გურულში სთ ხშირად გვევლინება ს-ს სახით, როცა ს წარმოადგენს მიცემითი ბრუნვის ნიშანს, ხოლო თ — -თან(ა) თანდებულის თავკიდურ ბგერას; მაგ.: მასან „მასთან“, ბაბასან „ბაბასთან“, ნალიასან „ნალიასთან“, ბეზიასან, ეკლესიასან, მეფესან, საქფილესან, ალაგესან, ერთიმეორესან, თედორესან, ქარცივაძესან და სხვ.

სწ, სწრ, სც, სთ კომპლექსების გარდასახვისა (სწ—სტ) და გამარტივების (სწრ—სრ, სც—ს, სთ—ს) თვალსაზრისით (ს-ს უცვლელად შენარჩუნებით) განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემოგურული კილოკავი. აქ ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს. ზემოგურულ კილოკავში კი იგი შედარებით უფრო ნაკლებად დასტურდება. კიდევ უფრო ნაკლებია ლეჩხუმურში, ქვემოიმერულში, ზემოიმერულში, აჭარულსა და სოჭურში (სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში), როგორც ეს ჩანს ს. ულენტის, შ. ძიძიგურის, ჯ. ნოღაიდელის, შ. ნიგარაძის, ქ. ძოწენიძის, პ. ჯაჯანიძის, მ. ალაგიძის, კლ. კუბლაშვილის, ალ. ღლონტის, ქ. ლომთათიძის, ი. მეგრელიძის, ბ. ჯორბენაძის, ოთ. მიქიაშვილისა და სხვათა შრომებიდან და აგრეთვე გამოქვეყნებული და ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში დატული ხელნაწერი ტექსტებიდან.

დავასახელოთ სათანადო მაგალითები დიალექტების მიხედვით.

ლენხუმური: ისტავლიდა (ქდ¹⁰ 484,4 ქვ.), ვასტავლეყე (ქდ 486,8 ქვ.), სტავლებით (ქდ 496,7 ქვ.), უსტავლია (ქდ 496, 11 ქვ.), მასტავლებლები (ქდ 486,6 ქვ.), მევესტარი (ქდ 484,11), მოსტრებია (ქდ 486,3 ქვ.)...

ქვემოიმერული: ისტავლა (ქდ 472,12), სტავლის (ქდ 472,11), უსტაულელი (ქდ 479,12), სასტავლებლათ (ქდ 472,27), მასტავლებლათ (ქდ 469—470), სტორათ (ქდ 473,1) მოუსტრო (ქდ 470,8), დაასტრო (ქდ 471, 14), მოუსტრია (ქდ 469,5 ქვ.), ამისანა (ქდ 465,4), იმისანა (ქდ 474,16), ხენწიფესან (ქდ 474,26)...

ზემოიმერული: დეისტავლე (ქდ. 441,10), ასტავლა (ქ. ძოწ.¹¹ 399,1), სტორათ (ქ. ძოწ. 453,19), მისანა (ქდ 445,7), ამისანა (ქდ. 445,14), ხენწიფესან (ქ. ძოწ. 374,4), ნალიასან (ქ. ძოწ. 333,1), დეისტრო (ქ. ძოწ. გვ. 19) და სხვ.¹²

აჭარული: სასტავლში (ჯ. ნოღ.¹³ 81,5), ნასტავლი (შ. ნიე.¹⁴ 228,11),

⁸ ქ. ლომთათიძე, პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში, ივეწ, ტ. XIII, თბ., 1986, გვ. 67.

⁹ იქვე, გვ. 68.

¹⁰ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

¹¹ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები), თბ., 1973.

¹² იხ. აგრეთვე, ქ. ძოწენიძე, იქვე, გვ. 45, 180, 207, 210.

¹³ ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1960; მიმოხილვა, გვ. 7—43, ტექსტები, გვ. 44—194.

¹⁴ შ. ნიეაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი (გამოკლევა და ტექსტები ლექსიკონით), ბათუმი, 1961, გამოკლევა, გვ. 9—143, ტექსტები, გვ. 147—228.

ესტავლობდი (შ. ნიე. 182,2 ქვ.), სტორეთ (შ. ნიე. 204, 10 ქვ.), სისტორ (შ. ნიე. 182,12 ქვ.), სისტორა (ჯ. ნოლ. 93,15 ქვ.), გნსტრა (ჯ. ნოლ. 81,9 ქვ.), სისტორა (ჯ. ნოლ. 96,17 ქვ.). მოვისტრა (შ. ნიე. 228,11), მევესტარ (შ. ნიე. 224,4), ღედასან (ჯ. ნოლ. 95, 15), გოგოსან (ჯ. ნოლ. 101,15 ქვ.), მეფურნესან (ჯ. ნოლ. 171,21), მალაზიასან (ჯ. ნოლ. 104,15)...

სოჭური: ისტავლა (ოთ. მიქ.¹⁵ 147,1 ქვ.), სტავლაც, მუასტარით (ოთ. მიქ., გვ. 23) და სხვ.

მთარაჭულში, როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან, არცთუ იშვიათად დასტურდება სწ, სწრ, სტ, სთ კომპლექსების გამარტივება ს სპირანტის ხარჯზე; მაგ.: წავლა, შეიწავლა, წორა, გადაწრო, ბოტანი, ტუმარი, ვტუმრა, ქრიტე, მეჭოგეთან, ტყეთან, მამიდათან, იმითანე და სხვ.¹⁶

ფორმანტისეული ს-ს დაკარგვის შემთხვევები სთ კომპლექსში ფიქსირებულია ზემორაჭულშიც¹⁷ და ზემოაჭარულშიც¹⁸.

ამ კილოკავებში უჩინარდება აგრეთვე პირისა და ბრუნვის ნიშნისეული ს-ც-ინვერსიულ ზმნებში, მიცემითსა და ნათესაობითს ბრუნვებში და სხვ.¹⁹

ამ თვალსაზრისით ეს კილოკავები (განსაკუთრებით — მთარაჭული და ზემოაჭარული) საერთოს პოულობენ რიგ აღმოსავლურ კილო-თქმებთან.

აღმოსავლურ კილოებში, როგორც ცნობილია, ხშირად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი ელემენტი ს და მიცემითი ბრუნვის ს ნიშანი (თანხმოვნის შემდეგ) და აგრეთვე მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ს ინვერსიულ ზმნებში; მაგ.: ხი სახლი, წიწილებ „წიწილებს“, უჭირამ „უჭირავს“, უთქომ „უთქვამს“ და სხვ.

ს-ს დაკარგვის ანალოგიური შემთხვევები, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ზოგიერთ დასავლურ კილო-თქმაში (მაგალითად, მთარაჭულში, ზემორაჭულში, ზემომერულში, ზემოაჭარულში და სხვაში) შეინიშნება.

აღმოსავლურ კილო-თქმებში მიცემითი ბრუნვის ს ზოგჯერ შეიძლება გაუჩინარდეს მაშინაც, როცა მას ემთავსებული ა-ს ხმოვანი ერთვის (პურა „პურსა“). მაგრამ ეს უკანასკნელი იშვიათად შეინიშნება და ისიც მხოლოდ ზოგიერთ კილო-თქმაში (მაგალითად, ქვემოქართლურში). დასავლური დიალექტებისათვის კი საერთოდ არ არის დამახასიათებელი ს სპირანტის დაკარგვის ანალოგიური შემთხვევები.

ზოგ აღმოსავლურ კილო-თქმაში ფორმანტისეული ს უჩინარდება ორიდენტურ ხმოვანს (ორ ა-ს) შორის და ორივე ხმოვანი ერთი ამოსუნთქვით გამოითქმის გაგრძელებულად; მაგ.: იმაც „იმასაც“, გააკეთეველი „გასაკეთებელია“ (ინგილოური) და სხვ.

ანალოგიური შემთხვევა დადასტურებულია ქართული ენის სოჭურ მეტყველებაშიც; მაგ.: ჩააცმელი „ჩასაცმელი“ და სხვ.²⁰

ზოგიერთ აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტში (ქართლურში, ჯავახურში, აჭარულსა და სხვაში) დადასტურებულია ფუძისეული და ფორმანტისეული ს-ს ქცევა მ-დ ინტერვოკალურ პოზიციაში, ხმოვნის წინ, ხმოვნის მომდევნოდ და აგრეთვე თანხმოვნის წინ თავიიდურ პოზიციაშიც; მაგ.: იპიც

¹⁵ ოთ. მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტების ურთიერთობისა და ინტერფერენციის საკითხები, თბ., 1986, ენობრივი მიმოხილვა, გვ. 3—140, მეტყველების ნიმუშები, გვ. 141—185.

¹⁶ შ. ძიძიგური, ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 187—188.

¹⁷ იქვე, გვ. 221.

¹⁸ შ. ნიქარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

¹⁹ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 221, 222; შ. ნიქარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56—57.

²⁰ ოთ. მიქიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

„ისიც“, იმაჰაც, ჰად, ჰაით, ჰადმე, ლაჰტი, ეჰ „ეს“, იჰ „ის“, მიჰთანა, ციხე
 ჰთან, რუჰ პირი, ოქროჰ თმა, კაციჰგან, მიჰკენ, სახლიჰკენ, მაგჰჰ „მაგჰჰჰჰჰჰჰჰ
 იმიჰ „იმის“, დლიჰ „დლის“, დღეჰ „დღეს“, ნახეჰ „ნახეს“, უთხრეჰ „უთხრეს“,
 გააკეთოჰ „გააკეთოს“, გამოდოჰ „გამოდოს“, ჰტუმარი და სხვ.²¹

შენიშვნა: ს წინაენისმიერი ყრუ ფშვინვიერი სპირანტისავან, ჰ-ს საფეხუ-
 რის გავლით, შესაფერ პოზიციაში (მაგ. სწ კომპლექსში), შეიძლება მივიღოთ
 უქანაენისმიერი ყრუ ფშვინვიერი ხ (სწორი—ჰწორი—ხწორი).

ყურადღების ღირსია, რომ მთის ერთი რიგის აღმოსავლური კილოები
 (ხეცურული, თუშური, მოხეური და სხვ.) სთ კომპლექს სშირად უცვლელად
 ინარჩუნებენ თანხმოვნის მომდევნოდ მაშინაც, როცა თითოეული მისი შე-
 შადგენელი ელემენტი ფორმანტისეულია და სალიტერატურო ენაში პირველი
 მათგანი (ს) უკვე გაუჩინარებულა; მაგ.: ბოდსთან, ქალსთან, კაცებსთან, ქის-
 ტებსთან²², უფროსებსთან (თუშ.²³ 81,10), თუშებსთან (თუშ. 93,4), დიდო-
 ებსთან (თუშ. 98,9 ქვ.), კარებსთან (თუშ. 114,14), აყრებსთან (თუშ. 105,1 ქვ.),
 აყარსთან (თუშ. 106,3), რაშსთან (თუშ. 116,7 ქვ.), ნავსთანაც (თუშ. 116,1 ქვ.),
 თათარსთან (თუშ. გვ. 31) და სხვ.

მოხეურში სთ კომპლექსი შენარჩუნებულია ზმნებში, სადაც პირველი (ს)
 პირს აღნიშნავს, ხოლო მეორე (თ) — რიცხვს; მაგ.: გწყალობდესთ (მობ.²⁴
 96,10), გამავაყვალასთო (მობ. 96,3 ქვ.), გაგითენდესთ (მობ. 116,23), მამა
 გიცხონდესთ (მობ. 125,24) და სხვ.²⁵

ანალოგიური შემთხვევები დასტურდება ფშაურშიც; მაგ.: გიყვარსთ, გა-
 ჰატეებსთ, გამოგიქროლებსთ, მიგინარცხებსთ, აქესთ, გყავსთ და სხვ.²⁶ არ
 არის უცხო ზემოიმერულისათვისაც; მაგ.: დაუელამსთ (ქ. ძოწ. 529,2 ქვ.), გე-
 ბრალებოდესთ, უნახავსთ, მოდისთ (ქ. ძოწ., გვ. 87). გამონაკლისის სახით
 შეიძლება წავაწყდეთ სხვა კილო-თქმაშიც.

ამგვარად, როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, განსხვავე-
 ბულია ს-ს ბედი ქართულ დიალექტებში. ეს ბგერა ყურადღებას იქცევს ლა-
 ბილტურობისა და სიძყარის მიხედვით. ამ მხრივ ძირითადად ერთმანეთის სა-
 პირისპირო ვითარება დასტურდება აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში.

რიგ აღმოსავლურ კილო-თქმებში ფუძისეული თუ ფორმანტისეული ხ
 კონსონანტის დაუსტება-დაკარგვა, ხოლო დასავლურ დიალექტებში მისი
 უცვლელად შემონახვა ანალოგიურ პოზიციაში და კომპლექსის ცვლა სხვა
 კომპონენტის ხარჯზე გამოწვეული უნდა იყოს ნაპარალოვანი ხ სპირანტის

21 ე. თ. ფ. რ. ი. ა., ქართული ენის, კრებ. „არილი“, ტფ., 1925, გვ. 32; არ. მ. არ. ტ. ი. რ. -
 ს. ო. ვ. ი., ქართული ენის ქავახური დიალექტი, თბ., 1984, გვ. 34—35; მისივე, ქავახურის
 შესებრთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინსტ-ტის
 შრომები, ტ. VIII, თბ., 1950, გვ. 293; გრ. ბ. რ. ი. ძ. ე., ქართული ენის ქავახური კილო (ფო-
 ნეტიკური მიმოხილვა), „მაკნე“ (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), თბ.,
 1970, № 6 (57), გვ. 244—245; მისივე, ქართული ენის ქავახური კილო, თბ., 1988, გვ.
 55; ქ. ნ. ო. ლ. ა. დ. ე. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 20; შ. ნ. ი. ე. ა. რ. ა. ძ. ე., ზემოაჭარულის თავისებურე-
 ბანი, ბათუმი, 1957, გვ. 24—25; მისივე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი (გამო-
 კვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1961, გვ. 45; მისივე, აჭარული დია-
 ლექტი (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა), ბათუმი, 1975, გვ. 36—37.

22 ალ. კ. ი. ნ. კ. ა. რ. ა. ე. ლ. ი., ხეცურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 52.

23 თ. უ. თ. უ. რ. გ. ა. ი. ძ. ე., თუშური კილო, თბ., 1960, გამოკვლევა, გვ. 1—68, ტექს-
 ტები, გვ. 71—185.

24 ივ. ქ. ა. ე. თ. ა. რ. ა. ძ. ე., ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექ-
 სიკონი), თბ., 1985, გამოკვლევა, გვ. 5—82, ტექსტები, გვ. 83—160.

25 იქვე, გვ. 73.

26 გ. ც. ო. ა. ნ. ი. ძ. ე., ფშაური კილო, თბ., 1978, გვ. 67, § 64.



თავისებური ბუნებით. იგი ერთნაირი სიმყარით არ უნდა ხასიათდებოდეს უნიკალური ან სხვა ტიპის ფონოლოგიური და მორფოლოგიური ერთეულებში.

ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა აღმოსავლურ ცილო-თქმებში, დასავლური დიალექტებისაგან განსხვავებით, ხ ხოლად იცვლება (სუსტდება) ან სულ უჩინარდება, თუ ამით საფრთხე არ მოელის სიტყვის შინაარსს და მის უცვლელად შენარჩუნებას ხელს არ უწყობს აზრის დამახინჯების საშიშროება.

Г. М. ИМНАИШВИЛИ

S КОНСОНАНТ В ГРУЗИНСКИХ ДИАЛЕКТАХ

Резюме

Переднеязычный глухой фрикативный сибиллянт *s* в диалектах грузинского языка неоднороден. С точки зрения устойчивости (по твердости и слабости) наблюдаются различные изменения этого спиранта.

Эти и другие фонетические явления привлекают внимание к целому ряду поднаречий и говоров восточных и западных, горных и равнинных диалектов.

В некоторых поднаречиях и говорах восточных диалектов сложные комплексы консонантов (*sçr, sç, st, sp, st*), содержащих свистящий спирант *s*, изменяются за счет звука *s*: он переходит в *j* или *h*, либо исчезает, напр.: *sajçori* „весы“, *kombojto* „капуста“, *lahçi* „плетенка“, *çgarî* „быстрый“, *çoret* „как раз“, *çqarofan* „у родника“.

Замечается и переходная ступень: *bojhçani* „огород“, *zejhstapon* „Зестарфон“, *kaçijhtvin* „для человека“, *çajhçuramen* „выжмут“.

В западных диалектах обычно наблюдаются иные обстоятельства: *s* сохраняется, но изменяется или исчезает другой компонент комплекса: *sç→st, sçr→sr, st→s, sc→s* (*stavla* „учение“, *gaasra* „опередил“, *masan* „к нему“, *misa* „дал“, *mosilda* „отвязался“).

В некоторых восточных поднаречиях и говорах, несмотря на то, что спирант *s* является формантным или принадлежностью основы, после гласных (в непосредственном соседстве) он часто превращается в *j*, напр.: *ij* „он“, *ej* „этот“, *namij* „отца“, *iqoj* „пусть будет“, *gaaketej* „сделали“, *sizej* „зятю“.

В западных диалектах аналогичных явлений не наблюдается.

В ряде диалектов (напр., в ингилойском) формантный элемент *s* между двумя гласными (*aa*) исчезает и оба гласных (*aa*) произносятся одним выдохом (длительно): *imaas* „и ему“, *gaaketevel* „то, что должно сделать“.

В некоторых восточных (кое-где и западных) диалектах иногда замечается превращение *s* в *h* в непосредственном соседстве с гласным (в интервокальной позиции, перед гласным и после гласного), напр.: *ihiç* „он же“, *imahaç* „ему же“, *had* „где?“, *hajt* „куда?“ *mihtana* „такой“, *imih* „его“, *kaçihgan* „от человека“, *paheh* „увидели“ и др.

В восточных диалектах нередко теряется консонант *s* после согласных, когда он является суффиксом дательного падежа или суффиксом третьего логического субъектного лица в инверсивных глаголах, напр.: *çiçileb* „цыплятам“, *uçigam* „держит“, *utkom* „оказывается, сказал он“ и др.

Суффикс дательного падежа *s* иногда исчезает и в том случае, когда за ним следует эмфатический гласный *a* (*puga* «хлебу»).

Такой случай отмечается только в восточных говорах, и то редко. Следует заключить, что ослабление и исчезновение принадлежности основы и формантного *s* в ряде восточных наречий, а в западных диалектах в аналогичных позициях сохранение его без изменений и изменение комплексов за счет других компонентов, вызвано своеобразной природой этого щелинного звука (спиранта *s*). Разумеется, *s* не характеризуется одинаковой устойчивостью в восточных и западных диалектах грузинского языка. Поэтому естественно, что *s* в некоторых поднаречиях и говорах восточных диалектов, в отличие от западных, изменяется или исчезает, если этим не искажается смысл фразы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა გან-
ყოფილება

წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინ-
სტიტუტმა

ენის ჩიხა

მოქმედების ნომინაცია და სემანტიკური ინტერპრეტაცია ნარატიულ ტექსტში

როგორც ცნობილია, მოქმედების აღნიშვნას, ნომინაციას ზმნის საშუალებით განიხილავენ როგორც ე. წ. ზმნურ ნომინაციას, ანუ „ზმნურ მოქმედებას“ (глагольное действие) [33], შდრ. [31]. მოქმედების ნომინაცია წინადადების საშუალებით გააზრებულია პროზოზიციის ტერმინებში (არუთინოვა, 1972, შდრ. ფილმორი [34]). ინფორმაციული თვალსაზრისით ტექსტსაც იკვლევენ [60; 66; 55; 19; 13].

ტექსტის სეგმენტის ფარგლებში მოქმედების ნომინაცია ძირითადად ხორციელდება შემასმენელთა წყების საშუალებით.

ამჯერად განვიხილავთ თბრობით ტექსტში ნომინაციისას აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის კანონზომიერებებს. სემანტიკურ ინტერპრეტაციას ვუკავშირებთ სემანტიკურ, ენობრივად ღირებულ კატეგორიებს და ამდენად თვით ინტერპრეტაციას განვიხილავთ გარკვეულ დონეზე (ბუნებრივია, შეუძლებელია იგულისხმებოდეს ტექსტის ეპიზოდში გაშლილი მოქმედების „ამოწურავი“ ინტერპრეტაცია. შდრ. ინტერპრეტაციის პრობლემატიკა ჰერმენეუტიკის პოზიციებიდან [22]).

ჩვენთვის გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ ლექსიკურ ერთეულთა და ტექსტის სეგმენტთა სემანტიკური ანალიზის გზით შესაძლებელი აღმოჩნდა სემანტიკურ კატეგორიათა ისეთი ჯაჭვის გამოვლენა, რომელიც რელევანტური ჩანს პრედიკატის ლექსიკური სემანტიკის, წინადადების სემანტიკურ-სინტაქსური ორგანიზაციის და თბრობითი ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით. ეს კატეგორიებია: მოქმედების ნორმა, მოქმედების („გარეგანი“) მიზეზი, მოქმედების „შინაგანი“ მიზეზი (ანუ მოტივი), მოქმედების ინტენცია/მიზანი, მოქმედება, შედეგი (შდრ. ფილმორი [34; 35], პოტიე [59], სილნიციკი [31], ტოდოროვი [63], ბრემონი [42], ვენდლერი [65], კომრი [45], პოლისკი [53], კაცი [23]).

კატეგორიათა ზემოთ წარმოდგენილი წყება წარმოქმნის სემანტიკურ ბუდეს, ჯაჭვს, რომელსაც ვაჩინია ტემპორალური და კაუზალური სტრუქტურა.

ტემპორალურ-კაუზალურ ჯაჭვში კატეგორიათა შორის, რომლებიც იძლევიან მოქმედების სემანტიკის ინვარიანტული წარმოდგენის საშუალებას, მიმართებები ატარებენ იმპლიკაციის ხასიათს [8]. აღნიშნული ტემპორალურ-კაუზალური რკალიდან (მოქმედების „გარეგანი“ მიზეზი, მოქმედების „შინაგანი“ მიზეზი, მოქმედების ინტენცია/მიზანი, მოქმედება, შედეგი) შედარებით განცალკევებით დგას მოქმედების ნორმის კატეგორია.

აღნიშნული სახით კატეგორიათა მთლიანი ჯაჭვი, რომელიც სემანტიკურ „ბუდეს“ წარმოქმნის და სამ (ლექსიკურ, სინტაქსურ და საკუთრივ ტექსტის) დონეზეა რელევანტური სემანტიკური თვალსაზრისით, აქამდე სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილი არ ყოფილა. განსაკუთრებით ეს ეხება მოქმედების ნორმას, „გარეგან“ მიზეზს, „შინაგან“ მიზეზს (იგივე მოტივს) და სემანტიკურ კატეგორიათა მთელი ჯაჭვის, როგორც ტემპორალურ-კაუზალური მიმართებებით დაკავშირებული „ბუდის“, გააზრებას.



როგორც უკვე აღნიშნეთ, კატეგორიათა ჯაჭვი ვლინდება როგორც პრედ-
 კატის ლექსიკურ სემანტიკაში, ასევე წინადადებაში სემანტიკურ-სინტაქსური
 თვალსაზრისით (მხედველობაში ვაქქს მიზეზის, მიზნის, შედეგის გარემოებებში
 ბი, თვით მოქმედების აღმნიშვნელი პრედიკატის სემანტიკურ-სინტაქსური
 ქცევა). კატეგორიათა იგივე ჯაჭვი რელევანტური ჩანს ტექსტის სეგმენტისათვი-
 საც: ერთი მხრივ, შესაძლებელია ტექსტის სეგმენტში ასეთი ჯაჭვის გამოვლენა
 (სეგმენტის სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურის თვალსაზრისით). მეორე
 მხრივ, კატეგორიათა აღნიშნული ჯაჭვი რელევანტური ჩანს ტექსტის სეგმენ-
 ტის ფარგლებში ფიქსირებული სიტუაციის სემანტიკური დანაწევრების და ინ-
 ტერპრეტაციის თვალსაზრისითაც (ისევე, როგორც პრედიკატის და წინადად-
 ბის შემთხვევაში).

ქვემოთ განვიხილავთ ტექსტის სეგმენტებს, რომლებშიც ვლინდება აღნიშ-
 ნულ კატეგორიათა სინტაგმატური ჯაჭვი. თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნა
 ჯერ ზნა-პრედიკატთა სემური ანალიზის გზით აღნიშნული კატეგორიების გა-
 მოვლენა ზნის და, ზოგადად, პრედიკატის ლექსიკურ სემანტიკაში.

ცნობილია, რომ სემური ანალიზი შეიძლება არსებითად ემყარებოდეს გან-
 მარტებითი ლექსიკონის მონაცემებს (შდრ. ე. წ. „დეფინიციათა ტრანსფორმა-
 ციის“, ანუ სალექსიკონო განმარტებების — დეფინიციების ჩანაცვლების, სა-
 ფეხურებრივი მეთოდი (ი. არნოლდი [10], შდრ. ი. სტეპანოვი [32]).

ამავე დროს, შესაძლებელია სემური ანალიზი სხვა გზითაც: კერძოდ, ამ
 მიზნით შეიძლება გარკვეული კორპუსი ლექსიკური ერთეულებისა, რომელთაც
 სემანტიკური სიახლოვე ახასიათებს. ასეთ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპი-
 რების (ოპოზიციების) საფუძველზე გამოიყოფა სიტყვის მნიშვნელობის ელე-
 მენტარული შემადგენლები — სემები. გამოიყოფა კატეგორიული სემები, ე. ი.
 უზოგადესი სემები, სუბსემები, არქისემები (ანუ ინტერგრატიული სემები), რომ-
 ლებიც საერთოა მოცემულ ლექსიკურ ერთეულთათვის და დიფერენციალური
 სემები, რომლებიც თითოეულ ლექსიკურ ერთეულს განასხვავებს ყველა და-
 ნარჩენისაგან (ბირვიში [16], ბოლინჯერი [17], კაცი [23]). ქვემოთ წარმოვად-
 გენთ პრედიკატთა შემდეგი ჯგუფის სემურ ანალიზს:

დასჯა	შდრ. მოკვლა	შდრ. შერისძიება	შდრ. დანდობა
ჩამოხრჩობა	მოწამვლა	ჯავრის ამოყრა	შეწყალება
		ჯავრის შექმა	სინდისის ქენჯნა
			შდრ. რუს. казниться (казнить себя).

ზოგიერთი პრედიკატი ფრაზეოლოგიურია, ამიტომ ლექსიკური თვალსაზრისით
 ერთ ერთეულს წარმოადგენს. სემური ანალიზისას ვეყრდნობით სალექსიკონო
 განმარტებებს.

სალექსიკონო განმარტების მიხედვით! „მოკვლა“ არის „სიცოცხლის მოს-
 პობა“ („მოკლავს“: „სიცოცხლეს მოუსპობს“). შევადაროთ პრედიკატი „ჩამოხ-
 რჩობა“, მისი სალექსიკონო განმარტება: „ჩამოაზრჩობს“ — „საკვდილით დას-
 ჯის საზრჩობელაზე“.

ამგვარად, „მოკვლა“ პრედიკატისაგან განსხვავებით „ჩამოხრჩობას“ აქვს
 დამატებითი სემები — დასჯა, საზრჩობელაზე. ჩავანაცვლოთ „დასჯა“ პრედი-
 კატის სალექსიკონო განმარტება: „სჯის“ — „ვიწმესთვის დადებული სასჯელი
 სისრულეში მოჰყავს“. ჩავანაცვლოთ „სასჯელის“ სალექსიკონო განმარტება:

¹ სალექსიკონო განმარტებები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის
 მიხედვით [4].



„დამნაშავის მიმართ მიღებული ზემოქმედების საშუალება, ღონისძიება“². ჩვენა-
 ნაცვლოთ „დამნაშავის“ განმარტება: „დანაშაულის ჩამდენი“; „დამნაშაულის“
 სალექსიკონო განმარტება: 1. „დანაშაული“ — მოქმედება, რომელიც არღვევს
 არსებულ წესრიგს და ისჯება კანონით. 2. მცდარი ან საზიანო მოქმედება, სხვის-
 თვის საწყენი ქცევა. ჩვენაწვლოთ „წესრიგის“ და „კანონის“ სალექსიკონო
 განმარტებები. „წესრიგი“ — „წესის მიხედვით გამართული რისამე ვითარება“,
 „წესის“ სალექსიკონო განმარტება: „გარკვეული ქცევის ნორმა, რიგი, ჩვეუ-
 ლება“. ჩვენაწვლოთ „კანონის“ სალექსიკონო განმარტება: „კანონი (ბერძნ.)
 1. (. . .), 2. „საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი საყოველთაოდ
 სავალდებულო წესი“.

„ზომა“ განმარტებულია როგორც „დასაშვები, საჭირო (სიდიდე, რაოდენო-
 ბა), ნორმა, წესი, საზღვარი“² — აქაც ქცევის ნორმასთან გვაქვს საქმე. ამ
 მხრივ საინტერესოა: აგრეთვე „ზომიერი“, „ზომას გადაღის“, „ზომაზე“, „ზომა-
 გადასული“, „წესიერი“, „ნორმალური“, აგრეთვე: „საზომი“ (შდრ. სალექსი-
 კონო განმარტებები), აგრეთვე „წესი“, „ჩვეულება“, „ადათი“, „რჯული“, „სა-
 მართალი“ „წესი და რიგი“, „ადათ-წესები“, „წესჩვეულება“, შდრ. „წესიერი“,
 „უწესო“, „ზომიერი“, „უზომო“ (შდრ. შესაბამისი სალექსიკონო განმარტებე-
 ზი). „ზომიერი“: „მოქმედებაში, ქცევაში გარკვეული ფარგლების დამკველი“.
 შდრ. „წრესგადასული“ (მაგ. ქეიფი). შდრ. რუსული (რუსულ-ქართული ლექ-
 სიკონის მიხედვით [3] „преступить“—1. „ძვ. გადაბიჯება, გადასვლა, გადაღობვა“;
 „преступить порог“ — „ზღურბოზე გადაბიჯება“, „преступить закон“ —
 „გადატ. კანონის გადაღობვა, დარღვევა“, შდრ. ქართ. „წრეს, ზომას გადასვლა“,
 „წრესგადასული“, „უზომოდ“, „ზომიერად“. შდრ. გამოთქმა: „ზომა არ იცი“;
 შდრ. თეთონ სიტყვა „ნორმის“ ეტიმოლოგია³. ლათ. norma — გონით (იხმარება
 საღებრგლო-სამშენებლო საქმეში სწორი კუთხეების გამოსაყვანად), დურგლის სწორ-
 კუთხა სახაზავი, საზომი, თარგი.

ამგვარად, ნორმის კატეგორია ვლინდება, ერთი მხრივ, როგორც სემანტი-
 კური კომპონენტი „დასჯა“ (აგრეთვე „ჩამოხრჩობა“) პრედიკატების მნიშვნე-
 ლობაში, მეორე მხრივ კი, ლექსიკურ ერთეულთა მთელ კორპუსში⁴, რომელ-
 შიც საინტერესოა ნორმის, როგორც „შემოსაზღვრული სივრცის“ („წრე“, „სა-
 ზღვარი“, „ზომა“, „ფარგლები“, „საზღვრები“, „ზღვარი“, შდრ. რუს. „черта“,
 „грань“), ხოლო ნორმის დარღვევის, როგორც „შემოსაზღვრული სივრცის
 გადაღობვის“ მეტაფორები (ზომას / წრეს / ზღვარს „გადაღის“, „წრესგადასუ-
 ლი“).

² ზომა (სალექსიკონო განმარტება): „2. დასაშვები, საჭირო (სიდიდე, რაოდენობა). —
 ნორმა, წესი; საზღვარი“; „ზომაზე მეტი ხალხი მოვიდა“; „ყველაფერში ზომაა საჭირო“; „ლა-
 ბარაკში ზომადა ზომას გადაღის“; „ზომაზე, ზომით“; „ზომიერად“ (ქართული განმარტებითი
 ლექსიკონი, ერთობეული, გვ. 232 [4]. შდრ. „ვერ მოზომა“, „გადაამლაშა“, „გადაამეტა“,
 „ზედმეტი მოსდის“. შდრ. „საზომი“: 1. „რითაც ზომავენ რასმე... 3. გადატ. ნიშანი, თვალსა-
 რისი, რომელიც საფუძვლად უდევს რისამე შეფასებას“. შდრ. ფასი: „2. ღირებულება, მნიშ-
 ვნელობა, ძალა“; შდრ. „ღირს“ (მაგ. რაიმეს გაყვება), „ღირსეული“, „ღირსება“, „ღირსია“
 (შექების, აღიარების, გაიყვების დაგმობის); „ზომიერადსული“: „ზომას გადასული, მეტისმეტი“
 [4].

³ რუსულ-ქართული ლექსიკონი [3].
⁴ ინგლ. norm—fr. Lat „norma“—„carpenter's square, rule, pattern“ [64].
⁵ წესი, რიგი, ჩვეულება, წესრიგი, სამართალი, კანონი, ნორმა, ზომა, ზომიერი, წესიერი,
 ნორმალური; შდრ. „ზომა არ იცი“, უზომო, უწესო, არანორმალური, წრესგადასული; შდრ.
 საზომი, წესი და რიგი, ადათი, რჯული, ადათ-წესები, წეს-ჩვეულება და სხვ. (შდრ. შესაბამისი
 სალექსიკონო განმარტებები).



ლი“. შდრ. „ზომიერის“ სალექსიკონო განმარტება: „მოქმედებაში, ქცევაში გარკვეული ფარგლების დამცველი“. შდრ. რუს. преступить черту, преступить закон, преступление)⁶.

თუ შევადარებთ, ჩაენაცვლებთ და გავაერთიანებთ ზემომოყვანილ სალექსიკონო განმარტებებს ასეთ შედეგს მივიღებთ: „დასჯა“ პრედიკატის ლექსიკური სემანტიკა შემდეგს გულისხმობს: 1. არსებობს რალაც წესრიგი, ნორმა, რომელიც საზოგადოებრივად ღირებულია; 2. ვილაც არღვევს წესს (ნორმას); 3. ამის შედეგად საზოგადოება (მისი წარმომადგენელი ან წევრი) განიზრახავს, მიზნად დაისახავს ვნება მიაყენოს დამნაშავეს, ანუ წესის (ნორმის) დამრღვევს; 4. დამნაშავის მიმართ ტარდება „დაძსჯელი ღონისძიება“. (შდრ. „სასჯელის“ სალექსიკონო განმარტება: „დამნაშავის მიმართ მიღებული ზემოქმედების საშუალება, ღონისძიება“, „ღონისძიების“ სალექსიკონო განმარტება: „ორგანიზებული მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია რისამე განხორციელება“); 5. დამნაშავისათვის „ენება მიყენებულია“ (იგი დასჯილია).

ამდენად, ერთი ზმნა აფქსირებს არა ერთ პროცესს, სიტუაციას, არამედ სიტუაციათა მთელ მიზეზ-შედეგობრივი და ტემპორალური მიმართებებით დაკავშირებულ ჯაჭვს. სიტუაციათა ჯაჭვში მოქცეულია „დასჯა“ მოქმედების მიზეზი (არსებული წესის, ნორმის დარღვევა), მოქმედების მიზანი (დამნაშავისთვის ენების მიყენება), თვითონ მოქმედება (როგორც დაძსჯელი ღონისძიება, აქტივობა), მოქმედების შედეგი: დამნაშავისათვის მიყენებული ენება⁷.

ფაქტობრივ ერთ ზმნაში მოქცეულია შეკუმშული ნარატიული ტექსტი, რადგან ასეთ ზმნას, შეიძლება ითქვას, „ზერთული“ სემანტიკა ახასიათებს. კონტექსტში ხშირად გამოყოფილია დასჯის მიზეზი, როგორც ნორმის დარღვევა. შდრ.: „შჯულისა გარდამავალმან და ურჩმან მოიღოს საშჯელისა კჳლად გება“⁸. „გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა“ (მათე, 5, 21, HIK). შდრ.: „არა კაც ჰკლა, ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სიკუდილისა“ (FG); „რომელმან პრქუას ძმასა თჳსსა რაკ, რომელი არს საძაგელ, თანა-მდებ არს კრებულისაგან განსლუად; და რომელმან პრქუას ძმასა თჳსსა ცოფჳ, თანა-მდებ არს იგი გჳპენიასა ცეცხლისასა“ (მათე, 5, 22, FG); „ხოლო რომელმან თქუას გმობაჲ სულისა წმინდისათჳს, არა აქუს მიტეეებაჲ უკუნისამდე, არამედ თანა-მდებ არს საუკუნოისა სასჯელისა“ (მრ., 3, 29, HIK)⁹; შდრ., ერთი მორალური ნორმის მეორით შეცვლა: „გესმა, რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ (მათე, 5, 38, HIK), ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუბჳარ მას ერთეკრძოფცა“ (მათე, 5, 39, HIK); შდრ. „გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი“ (მათე,

⁶ შდრ. წრე: „სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით“. „წრეს გადაღის“; „ზომიერების, წესიერების ფარგლებს სცილდება, ზედმეტს შერბება; აჭარბებს“. „წრესგადასული“; „ზომიერების, წესიერების ფარგლებს გადაცილებული; მეტისმეტად თავისუფალი, თავაშუებული“ [4].

⁷ ის, რომ ზმნის მიერ ფიქსირებულ სემებს (ფაქტობრივ „სემანტიკურ სიტუაციებს“) შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებია, დასტურდება შესაბამისი კითხვების დასმითაც („რატომ?“ „რისთვის?“ „რის შედეგად?“ „რა მიზნით?“ და სხვ.); „კითხვების დასმა“ სემანტიკურ, ე. წ. „ფარულ“ კატეგორიათა გამოვლენის ერთ-ერთი ხერხია (შდრ. ფილიპოვი [34; 35], ბულიგინა [18]).

⁸ აბალი აღთქმა, ეპისტოლენი პავლესნი, ებრაელთა მიმართ ეპისტოლე. შდრ. (ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით): „სასჯელი — „შჯა“, „ტანჯვა“, „სატანჯველი“, „სამსჯაერო“, „განაჩენი“, „დასჯა“.

⁹ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია [5].

5, 43, HIK). „ხოლო მე გეტყვ თქვენ: გიყუარდებ მტერნი თქვენნი და სიყუარდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გღვენიდნენ“ (მათე, 5, 44, HIK)¹⁰.

ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელაურში“ რიგი ნორმებისა: წესებისა, რჯულსა მოთხოვნებისა დაარღვია აღუდამ, რისთვისაც ისჯება. ეს ნორმები შემდეგნაირადაა ფიქსირებული: „— რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა“; „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასკერ დანითა“; „— გაურჯულბულს არჯულებ, შენ ეგ არ შავიზდებისა... გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მავითა“; „— გაგონილაა, — იძახდა, — ასე ავდება რჯულისა: საკლავს თვითონ ჰკლავს აღუდა, მამხსენე ქისტის სულისა“.

ამის შედეგია თემის შემდეგი გადაწყვეტილება: „სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ აღუდას სახლის დირენი“¹¹, რაკი აღუდამ დაარღვია წესი, აიგდო რჯული.

როგორც ვხედავთ, ნორმა, რომლის დარღვევისთვის ისჯება ინდივიდი, საზოგადოებრივი ღირებულებისაა (უკავშირდება „რჯულს“, „წესრიგს“, „სამართალს“, შეიძლება იყოს სამართლებრივი, რელიგიური, მორალური) და ასეთი ნორმის დამრღვევის დასჯა გააზრებულია როგორც სამართლიანი ქცევა. თუმცა მისი შინაარსი ვნების მიყენებაა.

შევადართ „დასჯა“ პრედიკატს ისეთი ფრაზეოლოგიური პრედიკატები, როგორიცაა „შურისძიება“ და „ჯავრის ამოყრა“.

„შურისძიების“ სალექსიკონო განმარტება: „სამაგიეროს გადახდა მიყენებული შეურაცხყოფის, დამცირების, ჩადენილი დანაშაულისათვის“; მაგ., „შურისძიებით მოკლეს“. შდრ. „ჯავრის ამოყრის“ სალექსიკონო განმარტება: 1. „თავისი ჯავრის გასაქარვებლად აენებს, დაუშავებს ვისმე რასმე, სამაგიეროს გადაუხდის“.

სალექსიკონო განმარტება პრედიკატისა „ჯავრს შეჰკამს“ ასეთია: „შურს ვერ იძიებს ვინმეზე, ჯავრს ვერ ამოიყრის“ („ჯავრი“: 1. დარდი, საფიქრალი; 2. ბრახი, ბოღმა; „ბოღმა“: დარდი, ნალველი).

ამგვარად, „ჯავრის ამოყრა“ პრედიკატის სალექსიკონო განმარტება მეტად ფაქიზი და დიფერენცირებულია. მის საფუძველზე დავასკვნით, რომ „ჯავრის ამოყრა“ გულისხმობს შემდეგს:

1. ერთმა ინდივიდმა (ან ჯგუფმა) მეორეს რაღაც ავნო; 2. რის შედეგად ამ უკანასკნელს „ჯავრის, ბოღმის“ გრძნობა გაუჩნდა და 3. მისი სურვილია სამაგიეროს გადახდა — ვნების მიყენება; 4. იგი ახორციელებს აქეთვენი მიმართულ აქტივობას, ღონისძიებას; 5. ამის შედეგია ის, რომ მან მტერს ენება, ზიანი მიაყენა.

ანალოგიური პრედიკატია „შურისძიება“. ფრაზეოლოგიური პრედიკატი „ჯავრის შეჰკამს“ კი ლექსიკონში ასეა განმარტებული: „შურს ვერ იძიებს“, „ჯავრს ვერ ამოიყრის“.

ამგვარად, პრედიკატები „შურისძიება“, „ჯავრის ამოყრა“ ფაქტობრივ აფიქსირებენ შემდეგს: 1. მოქმედების „გარეგან“ მიზეზს: „ერთმა ინდივიდმა (ან ჯგუფმა) მეორეს ენება მიაყენა“; 2. მოქმედების შინაგან მიზეზს (ანუ მოტივს): „მას ვისაც ენება მიაყენეს უჩნდება, ჯავრის, ბოღმის შეგრძნება“; 3. მიზანს: „სამაგიერო ენების“ მიყენების განზრახვას; 4. მოქმედებას: მიზნის განხორციელებისკენ მიმართულ ვარკვეულ აქტივობას, ღონისძიებას, 5. მოქმედების შე-

¹⁰ იქვე.

¹¹ ვაჟა-ფშაველა, აღუდა ქეთელაურ, წიგნში: ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ., 1957.

დგეს: მტრისათვის სამავიერო ვნების მიყენებას (როგორც მიზნის განხორციელების).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პრედიკატის სემანტიკაში გამოვლენილ სემანტიკურ სიტუაციათა ჯაჭვი რომ უთუოდ აღნიშნულ სემანტიკურ კატეგორიებს (მიზეზი, მიზანი, მოქმედება, შედეგი) შეესაბამება, სალექსიკონო განმარტებების მონაცემების გარდა დასტურდება შესაბამისი კითხვების დასმითაც სემანტიკურ, „ფარულ“ კატეგორიათა გამოვლენის ხერხს წარმოადგენს (შდრ. [34; 35], [18]).

ამგვარად, გამოვყავით ხუთი სემანტიკური სიტუაცია, რომელსაც ერთი ზმნა აფიქსირებს: მოქმედების „გარეგანი“ მიზეზი, მოქმედების „შინაგანი“ მიზეზი (მოტივი), მოქმედების ინტენცია (მიზანი), მოქმედება და შედეგი (როგორც მიზნის განხორციელება). გარდა ამისა, პრედიკატის სემანტიკაში გამოვავლინეთ ისეთი სპეციფიკური კატეგორიული სემა, როგორიცაა „მოქმედების ნორმა“. „ნორმის არსებობა“ მეექვსე სემანტიკური სიტუაციაა, რომელსაც პრედიკატი აფიქსირებს (თუმცა კატეგორიათა და, შესაბამისად, პრედიკატის სემანტიკაში გამოვლენილ კატეგორიულ სემათა შორის ტემპორალურ-კალულურ მიმართებათა ხასიათის გათვალისწინებით, „ნორმის არსებობა“, როგორც კატეგორიული სემა, რიგით პირველი უნდა იყოს). ამდენად რაკი ერთი პრედიკატი აფიქსირებს ექვს სემანტიკურ სიტუაციას, რომელთაც დროში თანამიმდევრობა ასაისათებთ, შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივ, გვაქვს ეკვივალენტობა ამგვარი პრედიკატებისა და თხრობითი (ნარატიული) ტექსტის სემანტიკას შორის; თუმცა პრედიკატში თხრობითი ტექსტისთვის „ტიპური შინაარსი“ (სიტუაციათა ქრონოლოგიური რიგი) „სემანტიკურად შეკუმშული“ სახითაა მოცემული.

შევადართ „ჯავრის ამოყრა“ და „შურისძიება“ პრედიკატები ზმნა-პრედიკატებს „დასჯას“ და „ჩამოხრჩობას“: „დასჯა“ და „შურისძიება“ (აგრეთვე „ჯავრის ამოყრა“) განსხვავდება შემდეგი სემებით: „დასჯა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს რაიმე საზოგადოებრივად ღირებული ნორმის არსებობას, მის დარღვევას, „შურისძიება“ (აგრეთვე „ჯავრის ამოყრა“) კი გულისხმობს არა რაიმე ზოგადი, საზოგადოებრივად ღირებული ნორმის დარღვევას, არამედ კონკრეტული ინდივიდისათვის (ან ჯგუფისთვის) რაღაც ვნების მიყენებას. შესაბამისად, თუკი „შურისძიება“ („ჯავრის ამოყრა“) პრედიკატებისათვის მოქმედების შინაგანი მიზეზი, ანუ მოტივი, პირადი ბრახი, ბოღმია, „დასჯის“ მოტივი (ანუ შინაგანი მიზეზი) უფრო სოციალურად ორიენტირებული გრძობაა, იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც წესის, კანონის პატივისცემა ან მორჩილება, რაც დაახლოებით ასე შეიძლება იყოს ფორმულირებული: წესი, ნორმა უნდა დავიცვათ, წესი არ არის... შდრ. „შენ რომ სხვა მოკლა, შენც მოგკლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია“; „წესი არ არის მტრის მოკლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“; „რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დაწერილა რჩულადა“ („აილუდა ქეთელაური“).

„დასჯა“ და „შურისძიება“ („ჯავრის ამოყრა“) პრედიკატები ძირითადად განსხვავდებიან სწორედ მოქმედების გარეგანი და შინაგანი მიზეზით (მოტივით), ხოლო მიზნით (ვნების მიყენება), მოქმედებით (ვნების მაყენებლისთვის გამიზნული აქტივობა) და შედეგით (მიყენებული ვნება) ისინი თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს. აქედან აშკარაა, თუ რამდენად დიდი მინტერპრეტირებელი ძალა აქვს მიზეზის („გარეგანის“ და „შინაგანის“) და მიზნის კატეგორიებს მოქმედების კატეგორიასთან მიმართებით.

საგულისხმოა, რომ პრედიკატი „სინდისის ქენჯნაც“ ნორმის (ყრბოდ კი მორალური ნორმის) დარღვევას გულისხმობს მიზეზად, მაგრამ აქ ნორმის დარ-

ღვევის შედეგი მოქმედება (დამნაშავეის დასჯა) კი არ არის, არამედ სინდისის დამრღვევის სულიერი მდგომარეობაა.

ამ მხრივ საინტერესოა რუსული პრედიკატი „казнить себя, ^{საჩუქრული} აქ დამსჯელი არის არა რაიმე „გარეთა ძალა“, არამედ საკუთარი სინდისი.

„სინდისის“ სალექსიკონო განმარტებაა: „საკუთარი საქციელის ავტორიანობის შინაგანი შეფასება. საკუთარი ყოფაქცევისათვის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა“. „სინდისის ქენჯნა“: „წუხილი თავისი ცული საქციელის ვაშო“. შდრ. „სინდისი შეაწუხებს“: „სინდისის ქენჯნა ექნება, ინანებს თავის ცულ საქციელს“. „სინანული“: „უცმაყოფილება, წუხილი ჩადენილი შეცდომის ან არასწორი, უღირსი საქციელის გამო. გულსტკივილი, დანანება“... „მოინანიებს“: „(ძვ.) სინანულს იგრძნობს და აღიარებს (დანაშაულს, ცოდვას, ჩვეულებრივ ცოცვით); შდრ. [28]-ს მიხედვით: „казниться“, „мучить себя, терзаться, сознавая свою вину; „казнить“: 1. „подвергать смертной казни; 2. переи. подвергать нравственным страданиям, наказать“.

„დასჯა“ ზმნა ექვს სემანტიკურ სიტუაციას აფიქსირებს: 1. ნორმის არსებობა; 2. ნორმის დარღვევა — მოქმედების გარეგანი მიზეზი; 3. ნორმის დაცვის აუცილებლობის შეგნება — მოქმედების შინაგანი მიზეზი (მოტივი); 4. ნორმის დამრღვევისათვის ენების მიყენების განზრახვა — მიზანი მოქმედებისა; 5. აქეთ-კენ მიმართული აქტივობა — მოქმედება; 6. მიყენებული ენება — შედეგი.

რაც შეეხება „ჩამოხრჩობა“ ზმნას, „დასჯა“ მისი ჰიპერონიმია, ე. ი. მათ აქვთ ზოგადი საერთო სემები, მაგრამ „ჩამოხრჩობა“ მეტ კონკრეტულ სემას შეიცავს, კერძოდ „ჩამოხრჩობაში“ დაკონკრეტებულია, თუ რა ენებას აყენებენ დამნაშავეს: „ჩამოხრჩობა“ ეს სიკვდილით დასჯაა, გარდა ამისა „ჩამოხრჩობა“ პრედიკატი აფიქსირებს სიკვდილის დასჯის ზერხსაც (სახრჩობელის საშუალებით). ამგვარად, თუ „დასჯა“ პრედიკატი ექვს ძირითად სემას შეიცავდა, „ჩამოხრჩობა“ შეიცავს რვა არსებით სემანტიკურ კომპონენტს¹².

როგორც სემურმა ანალიზმა გვიჩვენა (სალექსიკონო განმარტებათა საფუძვლებრივი ჩანაცვლების გზით), პრედიკატთა ლექსიკურ სემანტიკაში გამოიყოფა კატეგორიულ სემანტიკურ ნიშანთა (სემათა) სინტაგმატური ჯაჭვი, რომელიც ტემპორალური და კალსულური მიმართებებითაა დაკავშირებული. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაბამის სემანტიკურ კატეგორიათა „ბუდის“ გამოვლენა ლექსიკურ დონეზე, მით უფრო, რომ აღნიშნული „ჯაჭვის“ შესაბამისი სემანტიკური კატეგორიების ბუდე რელევანტურია არა მარტო ლექსიკური თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს შესაბამისი სემანტიკურ-სინტაქსურა ფუნქციები გარემოებებისა: მიზეზის, მიზნის, შედეგის, და თვით მოქმედების მაფიქსირებელი პრედიკატის (შემასმენლის) სემანტიკურ-სინტაქსური ფუნქცია. მაგრამ არსებითია ასეთი კატეგორიების (მათი „ჯაჭვის“) გამოვლენა ლექსიკურ დონეზეც (პრედიკატის ლექსიკური სემანტიკის აღწერის თვალსაზრისით) და, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, აგრეთვე თხრობითი ტექსტის მონაკვეთის ფარგლებში. ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ სემანტიკურ კატეგორიათა „ბუდის“ შესახებ, რომელიც სემანტიკური თვალსაზრისით რელევანტურია სამ დონეზე: ლექსიკურზე, სინტაქსურზე და საკუთრივ ტექსტის დონეზე¹³ (ე. ი. საკუთრივ ტექსტის დონის ერთეულთა — ე. წ. ტექს-

¹² შდრ. პრედიკატები „მოკლავს“, „მოწამლავს“.

¹³ წინადადებაში შემასმენლის, გარემოების ან განსაზღვრების პოზიციებში ვლინდება ყველა აღნიშნული კატეგორია. „ნორმის“ სემანტიკა გამოიხატება პრედიკატის სემურ შედგენილობაში კატეგორიული სემის სახით (შდრ. „დასჯა“, „ჩამოხრჩობა“, „დანდობა“, „პატიება“, პრედიკატები), განსაზღვრების პოზიციაში (შდრ. „უზომო/წრეგადასული დროსტარება“, „წესიერი/



ტის სეგმენტთა ფარგლებში). ასეთი შესაბამისობა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, იძლევა ტექსტის მონაკვეთის ერთ პრედიკატში შეკუმშვის საშუალებას, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზერთული პრედიკატები „დასჯა“, „ჩამოხრჩობა“, „დანდობა“, „ჯავრის ამოყრა“ და სხვა), შეიძლება ითქვას, სემანტიკური თვალსაზრისით მთელ თხრობით ტექსტს, მოთხრობას მოიცავენ. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სიტყვის (პრედიკატის) წინადადების და ტექსტის სეგმენტისათვის საერთო სემანტიკური კანონზომიერების მიკვლევას.

არსებითია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ კატეგორიათა აღნიშნული ჯაჭვი არა მარტო ვლინდება ზმნების სემურ შედგენილობაში (კატეგორიულ სემათა სახით) სემასიოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, ონომასიოლოგიური თვალსაზრისით საფუძვლად უდევს აღსანიშნი პროცესის სემანტიკურ ინტერპრეტაციას. გააზრებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დასჯა“ და „შურისძიება“ ზმნები არსებითად მხოლოდ მიზეზის და მოტივის ხასიათით განსხვავდებიან, დანარჩენი მათ სემანტიკაში არის მხოლოდ „ვნების მიყენება“. თუ შევადარებთ „მოკვლა“ ზმნას, იგი საერთოდ ნაკლებდაა ინტერპრეტირებული, რაკი მხოლოდ მიზანს აფიქსირებს, მოქმედების მიზეზებზე კი „არაფერს ამბობს“. სემანტიკური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიზნის კატეგორიასაც. ამ მხრივ სიმპტომატურია ისეთი ზმნები როგორცაა „დანდობა“, „შეწყალება“.

„დანდობის“ სალექსიკონო განმარტებაა: „დაზოგავს, არ გაიმეტებს, შეზბრალებს“. მაგ., „მოლაღატე არ დაინდეს“. შდრ. „ვერ გავიმეტე“¹⁴ მუცალი მარჯვენის მოსაჭრელადა“ („აღუდა ქეთელაური“).

„დანდობა“ ვნების არ მიყენებას ნიშნავს, ამდენად, თითქოს უმოქმედობას უნდა გულისხმობდეს. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ „დანდობა“ პრედიკატის სემანტიკის სპეციფიკას, შემდეგი ვითარება გვექნება: „დანდობა“ გულისხმობს მოქმედების გამიზნულობას, „დანდობის“ განზრახვაა ვნების არ მიყენება მისთვის, ვინც ამას იმსახურებს (მაგ. მტრისათვის). რაკი „დანდობას“ ასეთი ინტენცია (მიზანდასახულობა) ახასიათებს, ვნების არ მიყენება გაიზრება როგორც მოქმედება (ერთგვარი გამიზნული, „შევენებული არ მოქმედება“) და არა როგორც უმოქმედობა ან მდგომარეობა. „დანდობა“ ზმნა აფიქსირებს ასეთი გამიზნული „არ მოქმედების“ გარეგან მიზეზსაც და მოტივსაც (მოქმედების მოტივი ამ შემთხვევაში შეზბრალებაა¹⁵).

/ნორმალური ქცევა“); გარემოების პოზიციაში („ნორმალურად / წესიერად იქცევა“). სავარაუდოა, რომ ფ. წ. „პირობის“ გარემოება (обстоятельство условия [11, 277]) ნორმის სემანტიკის გადმოცემის თვალსაზრისით შეიძლება ახუსტებდეს შესაბამისი ლექსიკური სემანტიკის სახელთა და პრედიკატებით ფიქსირებული ნორმის შინაარსს: „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ზელ არ მასკერ დანითა“. აღსანიშნავია ბრძანებითი კილოს (წართქმითი და უკუთქმითი) სემანტიკა (შდრ. „არა ვაც ჰელა“) ნორმის, როგორც ბრძანების, იმპერატივის, შეგონების ან აკრძალვის გააზრებისას (შდრ. კანტის კატეგორიული იმპერატივი).

¹⁴ შდრ. „გაიმეტებს“ (სალექსიკონო განმარტება): „არ დაინდობს, არ დაზოგავს, გაწირავს“.

¹⁵ შდრ. „ხეტიალი“: „უმიზნო სიარული“, — ხეტი: „განუსჯელად მოქმედი, წინდაუხედავი“; სეირნობა: „ღია ცის ქვეშ, პაერზე დადის ნელ-ნელა (გასართობად ან დასასვენებლად“, — სეირი: „(არაბ.) თავის შესაქცევი, გასართობი რამ“. შდრ. შეგიბრება: „რაიმე მოღვაწეობის (მუშაობის, თამაშის და მისთ.) ფორმა, რომლის დროსაც მონაწილეები ისწრაფებიან აჯობონ ერთმანეთს ოსტატობაში, ხელთელებაში და სხვ.“; ჯიბრი: „(არაბ.) სურვილი ეწინმსთვის რაიმე ჯობნისა, ქიშპი“, ექიშპება: „ქიშპობას, მეტოქეობას უწევს ვისმე, ეცილება, ეჯიბრება“; — ქიშპი: „ჯიბრი, ცილობა, მეტოქეობა“. შდრ. ქეიფობა, ქეიფი: „(არაბ.) 1. პურის ქამა და ღვინის სმა ბევრისა ერთად, რასაც თან ახლავს მზიარულება, — დროს ტარება, ნადიმი, ღრეობა“ — ქეიფი: 2. „(არაბ.) გუნება-განწყობილება, მზიარულ, კარგ გუნებაზე ყოფნა“. შდრ. „ქეი-

ანალოგიურია პრედიკატი „შეწყალება“, რომელიც მისჯილი სასჯელის მი-
ტიებას, დამნაშავეს არ დასჯას აღნიშნავს, არა როგორც უმოქმედობას, არამედ
როგორც მოქმედებას.

ამგვარად, მოქმედების ნომინაციისას სემანტიკური ინტერპრეტაციის თვალ-
საზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქმედების მიზნის (ინტენციის)
არსებობა / არარსებობას და აგრეთვე მოქმედების მიზნისა და მიზეზების („ში-
ნაგანი“ და „გარეგანი“ მიზეზების) კონკრეტული შინაარსის გახსნას, რაც ზე-
მოთ ნაჩვენები იყო პრედიკატების ლექსიკური სემანტიკის სემური ანალიზის
საფუძველზე. ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მთელი
რიგი ზმნებისა ცალკე გამოყოფს, თუ შეიძლება ითქვას, სემანტიკურ ფოკუსში
მოაქცევს მოქმედების მიზეზს (გარეგანს თუ შინაგან მიზეზს, ანუ მოტივს). მა-
გალითად: ზმნა „შეაგულიანებს“ (სალექსიკონო განმარტება): „მოქმედების ხა-
ლისს გაუჩენს, წააქებებს“ (შდრ. „გული მოიცა“). „წააქებებს“ (სალექსიკონო
განმარტება): „შეაგულიანებს, გაბედულებას შემატებს, გაათამამებს რომ რაიმე
ჩაიდინოს“. შდრ. „გამოიწვევს“ — მაგ., თვითონ ჩხუბი არ უნდოდა, გამოი-
წვევს (ან გამოიწვევად იქცეოდნენ). „მიზეზებს“ (სალექსიკონო განმარტება):
„მიზეზად მოჰყავს, იგონებს რასმე“ („მიზეზებს მოუცლელობას“). „მიზეზ-
მიზეზ“ (სალექსიკონო განმარტება): „მიზეზი (საფუძველი, საბაბი რაიმე მოქ-
მედებისათვის) რომ ვერ მოუნახავს“: „მიზეზ-მიზეზ დოს მარლი აკლიაო“.
შდრ. „მიზეზიანი“ (სალექსიკონო განმარტება): „ვინც რისამე მიზეზს ეძებს
შარიანი, ჭირვეული“. „უბიძგებს“ (სალექსიკონო განმარტება): „1. ხელს ან
ხარს წაჰკრავს; 2. (გადატან.) ბიძგს მისცემს, წააქებებს, ხელს შეუწყობს“
„შეუთებს“ (სალექსიკონო განმარტება): „1. შეუყუთებს (ცეცხლს); 2. გადატ.
შეაგულიანებს, წააქებებს, გაახლებს“; შდრ. შეუჩუჩხუტებს: „1. ჯოხს და
შისთ. შეეყოფს ცეცხლში და აამოძრავებს“. 2. გადატ. წააქებებს, შეაგულია-
ნებს“. შდრ. „შეუყუთებს“.

„შეუთებს“, „შეუჩუჩხუტებს“ (შდრ. „შეუყუთებს“) პრედიკატებში ვლინ-
დება მოქმედების მიზეზის. მოტივაციის სემანტიკის გააზრება ცეცხლთან დაკავ-
შირებული მეტაფორების საშუალებით (შდრ. სხვაგვარი მეტაფორიზაცია:
„უბიძგებს“, „შეაგულიანებს“. შდრ. „ბიძგი“, „გულადი“, „გული მოიცა“).

საინტერესოა, თუ რა სახის მეტაფორიზაცია ვლინდება ანალოგიური სემან-
ტიკის ინგლისურ პრედიკატებსა და სახელებში: goad: 1. „მენახირის წვეტიანი
ჯოხი; ასეთი ჯოხით ნახირს გადენა; 2. სტიმულის მიცემა ადამიანისათვის“¹⁶;
prod: 1. „რაიმე წვეტიანი ნივთით წაბიძგება, ჩხვლეტა, 2. სამოქმედო სტიმუ-
ლის მიცემა“; fillip: „1. წიკპურტი; 2. სტიმული“; spur: „1. დეზები, 2. სტიმუ-
ლი“. როგორც ვხედავთ. ზემოთხსენებულ პრედიკატებში მოქმედების მიზეზი,
მოტივი გააზრებულია როგორც სტიმული „ჩხვლეტის“ და „დარტყმის“ მეტა-
ფორებზე დაყრდნობით.

ამ მხრივ განსხვავებულია spring: 1. „ზამბარა, 2. ადამიანის მოქმედების მა-
მოძრავებელი ძალა, მოტივი“. შდრ. mainspring: ძირითადი მამოძრავებელი ძა-
ლა, მოტივი.

საინტერესოა თვით პრედიკატის stimulate („სტიმულირება“) და სახელის sti-
mulus („სტიმული“) ეტიმოლოგია. ინგლისური stimulate მომდინარეობს ლათი-
ურნი stimuläre-დან (ამ უკანასკნელის მნიშვნელობებია: „1. წვეტიანი ჯოხით

ფი გაუფუძეს“, „ქეიფი მოუვა“ („ქეიფზე მოვა, დადგება“) — კარგ გუნებაზე დადგება, გა-
შობიარულდება (ჩვეულებრივ ღვინის სმის შედეგად)“, „ქეიფად (ქეიფში) მოუვა“: „მოეგუნე-
ჯება, მოეპრიანება“. შდრ. უქეიფოდ: „ცოტათი ავად, შეუძლოდ“.

¹⁶ განმარტებები The Universal English Dictionary-ს [64] მიხედვით.



ჩხელეტა, 2. წაქეზება, სტიმულის მიცემა“). ინგლისური stimulus („სტიმული“) მომდინარეობს ლათინური stimulus-იდან (ამ უკანასკნელს ძირითადი მნიშვნელობები: „1. ჩხელეტა, 2. სტიმული“). ლათ. stimulus უკავშირდება stilius-ს (რაც, როგორც ცნობილია, ნიშნავს „წვეტიან ჯოხს, ინსტრუმენტს“).¹⁷ მოტივი (ინგლ. motive, ფრ. motif) მომდინარეობს ლათინური mōtivum („მოძრაობის მიზეზი“)-დან, (შდრ. პრედიკატი movēre: „მოძრაობა, ამოძრავება“).

ამგვარად, როგორც სემანტიკური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ასევე ზნაათა ლექსიკურ სემანტიკაში ფიგურირების თვალსაზრისით, ინტენცია-მიზნის კატეგორიაზე არანაკლებ ღირებულია მოქმედების „გარეგანი“ მიზეზი და განსაკუთრებით კი „შინაგანი“ მიზეზი, ანუ მოტივი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კატეგორიათა ასეთ ჯაჭვს გააჩნია ტემპორალური სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს კულსურ რკალსაც. იგი თხრობით ტექსტში ხშირად ვლინდება სწორედ ქრონოლოგიურად: მოქმედების მიზეზებიდან მიზნის, მოქმედების „გავლით“ შედეგამდე.

მაგალითად მოგვყავს თხრობითი ეპიზოდი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „მსახიობი“, რომელშიც გაშლილია მთელი ჯაჭვი კატეგორიებისა: მოქმედების „გარეგანი“ მიზეზი (პერსონაჟი თეატრში მოისმენს მონოლოგს, რომელიც არსებული ზნეობრივი ნორმების დარღვევისკენ მოუწოდებს), მოქმედების მოტივი, ანუ „შინაგანი“ მიზეზი (მოსმენილი მონოლოგის ზემოქმედება პერსონაჟის განწყობილებაზე, მის გრძნობებზე), პერსონაჟის გადაწყვეტილება და მიზანი (იმოქმედოს თავისი სურვილების შესაბამისად, არად ჩაადლოს ზნეობრივი ნორმები), თვითონ მოქმედება და მისი სავალალო შედეგები (ახლობელი ადამიანების გაუბედურება და თვით პერსონაჟის სინდისის ქენჯნა):

...„თეატრს მივადექი. არ ვიცი რა პიესას თამაშობდნენ... მახსოვს მხოლოდ ერთი მოქმედი პირი, ერთი მისი მონოლოგი. იგი ამბობდა: „...მე რათ არა მაქვს ნება ერთ ცხედარს გადავუარო, ერთი ჩვეულება, სხვისთვის სასარგებლო და ჩემთვის მტანჯავი კანონი დავარღვიო!“, რომ მივალწიო ჩემს საწადელს, ჩემის ბედნიერების ზღვას“¹⁸... ჯერ კიდევ გადარჩენილიყო ჩემში ასაფეთქი და აფეთქდნენ: ჯერ წყნარ ცრემლებად გადმოდიოდა დაგუბებული გრძნობა და მერე ერთ გადაწყვეტილებად გადაიჭრა, — რაც უნდა მოხდეს, მეც უნდა ვეცნო გზა ჩემთვის სასურველი, ავდექი, ელვასავით გამიელვა სადღეე ცხენივით გაწაღებულმა გეგმამ. წავედი. ამხანაგის ოთახში ჩუმად შევიპარე, ამოვიღე მისი უსათუოდ დიდი მომჭირნეობით გადანახული ასიოდე მანეთი, ოქროს საათი ძეწკვითურთ და უკანვე დაებრუნდი თეატრში.

მეორე კვირას ჟკვე უნივერსიტეტში ვიყავი... სამი წელი დავრჩი. კურსდამთავრებული დაებრუნდი, მამა გარდაცვლილიყო პირდაპირის შიმშილით, მაგრამ მოუვლელიობით, უპატრონობით, ჩემს ხელშიაც ცუდად გრძნობდა სა-

¹⁷ ეტიმოლოგიები [64]-ის მიხედვით: stimulate.—Lat. stimulare: „to prick with a goad; to rouse up, stimulate“; stimulus—Lat. stimulus: „goad, sting, pang; spur, incentive; cp. Lat. stilus: „pointed instrument“.

** [64]-ის მიხედვით: motive—L. Lat. mōtivum, n.,: „cause of movement, fr. mōt —(um), p. p. type of „movēre“.

¹⁸ საინტერესოა, რომ ნორმის დარღვევის, როგორც შემოსაზღვრული სივრცის (წრის, საზღვრის, ფარგლების და სხვ.) გადალახვის მეტაფორა (იგი ზემოთ გამოვავლინეთ იმ ლექსიკურ ერთეულთა სემური ანალიზისას, რომლებიც „ნორმის“ სემანტიკას გამოხატავენ) მხატვრულ ტექსტში შემდგომ განვითარებას პოვებს: შდრ. „მე რად არა მაქვს ნება ერთ ცხედარს გადავუარო... კანონი დავარღვიო“.

¹⁹ აქ მთავრდება მსახიობის მონოლოგი და იწყება თხრობა პერსონაჟის მოქმედების შესახებ (პირველ პირში).

წყალი თავს... ჩემი ბატარა და... საღაცე დაიკარგა... წინათაც, უნივერსიტეტში
ეგზონობდი სინდისის ქენჯნას, მაგრამ როცა ვნახე ორი საყვარელი არსება...
მის ხელით დაღუპული, უნებლიედ დაგხარე თავი და ვილარ ვწევ...
სინდისის ქენჯნა ვერ დაეძლიე...²⁰

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი სემანტიკური კატეგორიების ჯაჭვი, „ბუ-
დე“ (ნორმა, მიზეზი, მოტივი, მიზანი, მოქმედება, შედეგი) არა მარტო ქრონო-
ლოგიურად ვლინდება ზემომოყვანილი ტექსტის სეგმენტში, არამედ განსაზ-
ღვრავს მასში კონკრეტულ პრედიკატთა და, ზოგადად, ლექსიკურ ერთეულთა
ფუნქციონირებასაც²¹ (შდრ. აღნიშნული თვალსაზრისით აგრეთვე ტექსტის სე-
გმენტები, რომლებიც ქვემოთ მოგვყავს).

ანალოგიურად, კატეგორიათა მთელი ჯაჭვია წარმოდგენილი შემდეგ თხრო-
ბით ეპიზოდში²²: „ვაჟმა მიიღო შემდეგი მოკლე წერილი:

ყველა თქვენსავით არ აზროვნებს და თქვენ მიერ გაღმერთებული ქალივით
ვერ იმოქმედებს.

ვაჟი შიშმა აიტანა. ბუნდოვანმა სიტყვებმა აგრძობინა, რაღაც ცუდი ამბს
მომასწავებელი.

— მე ვარ, მე, ყველაფერში დამნაშავე... ჩემ მიერ უმნიშვნელოთ ნათქვამი
სიტყვები მას ზოგჯერ ისრათ ხვდებოდა, ზოგჯერ კი მალამოთ ევლინებოდა.
ფიქრობდა ვაჟი და თავის თავზე აბობოქრებული წყრომა საზარელ სურათს
უხატავდა (...).

ყმაწვილი წამოდგა, დინჯათ მიდიოდა, მიზანი გაზომილი ქონდა; აზრი და-
შომშინდა; გადაწყვეტილება შეუდრეკელი იყო. ჯიბეებში იწყობდა ქვას, მძა-
მესა და ბრტყელ-ბრტყელს, რომ ადვილად არ ამოვარდნოდა. დინჯისავე ნაბი-
ჯით შევიდა ზღვაში... წყალი წელზე ცემს, მკერდამდი მიწვდა... და ვაჟი ტყვი-
ასავით წავიდა ძირისკენ... ჩვეულებრივი ლე-ლივიც არ დაუწყია წყალს იქ,
საღაც ადამიანმა გაათავა თავისი ტანჯული ცხოვრება“²³.

ზემომოყვანილ თხრობით ეპიზოდებში (ტექსტის სეგმენტებში) ვლინდება
ქრონოლოგიურად დალაგებულ მოვლენათა რიგი, რომელსაც სემანტიკური ინ-
ტერპრეტაცია მიეწერება მოქმედებასთან დაკავშირებულ სემანტიკურ კატე-
გორიათა (ნორმა, მიზეზი, მოტივი, მიზანი, მოქმედება, შედეგი) ტერმინებში.

თხრობით ტექსტში გვხვდება არანარატიული, „საკუთრივ ინტერპრეტაციუ-
ლი“ მონაკვეთებიც, რომლებიც ჩართულია თხრობაში და პერსონაჟთა მოქმე-
დების ინტერპრეტაციას ახორციელებს მოქმედების ნამდვილი მიზეზების, მო-
ტივებისა და მიზნების შინაარსის გახსნის საფუძველზე:

„ყველას ამკარად ეტყობოდა ვის მხარეზედაც იყო, მხოლოდ ოდანი იმე-
დაძეს „ჩაქეინდრა“ თავი, ხმას არ იღებდა... და ძლიერ უსინდისოდ აპირებდა
ემოქმედნა... გადაწყვეტილი ჰქონდა დაევიწყებინა მინაიას ანგარიში და ყველა-

²⁰ ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტ. 1, თბ., 1958, გვ. 297—298.

²¹ შდრ. „ნება ერთ ცხედარს გადაეუარო“, „ჩვეულება... კანონი დავარდვიო“, „გადარჩე-
ნილიყო ჩემში ასაფეთქი და აფეთქდნენ: ჯერ წყნარ ცრემლებად გაღმოდოდა დაგუბებული
გრძნობა“, „მერე ერთ გადაწყვეტილებად გადაიქრა“, „ელვასავით გამოიარა საღოდ ცხნი-
ვით გამზადებულმა გემამ“. „ვერ იქნა სინდისის ქენჯნა ვერ დაეძლიე“.

²² ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ერთი დრამის ეპილოგი, ტ. 1, გვ. 290.

²³ შდრ. ტემპორალურ-კაუზალურ კატეგორიათა ჯაჭვი და შესაბამის მოვლენათა ქრონოლო-
გიური განვითარება: „გარეგანი“ მიზეზი (წერილი...), „შინაგანი“ მიზეზი („...შიშმა აიტანა“,
„მე ვარ ყველაფერში დამნაშავე“); მიზანი (შდრ. „მიზანი გაზომილი ქონდა... გადაწყვეტილება
შეუდრეკელი იყო“), მოქმედება („ყმაწვილი წამოდგა, დინჯათ მიდიოდა... ჯიბეებში იწყობდა
ქვას... დინჯისავე ნაბიჯით შევიდა ზღვაში...“), შედეგი („ვაჟი ტყვიასავით წავიდა ძირისკენ...
ადამიანმა გაათავა ტანჯული ცხოვრება“).



ფერში დასთანხმებოდა ესტატეს მედიატორებს. ამიტომ იყო გაჭუმბული და მხოლოდ საჭირო წუთში მოქმედებდა, აბა რა ექნა: სამმა მანეთმა მოაშოვნა კარს მომდგარი მოვალე და თუ ოლას მეცადინეობით მისი შვილი დიაკვნობას იშოვნიდა, ეს ხომ სულ დასახლება იქნებოდა... მინაიი კი, ფაქრობდა „გადაბირებული“ ოღანე, რას გამიკეთებს?

ზოგჯერ ოღანე იმიტაც იმართლებდა თავს²⁴ — უმცროსმა, უცოლშვილო ძმამ თუ ცოტა რამე დაუთმო უფროს ძმას, ქვეყანა არ დაიქცევაო“ (ნ. ლორთქიფანიძე, „კერიასათვის“, იქვე, გვ. 377).

ეს ინტერპრეტაციული ჩანართია თხრობით ეპიზოდში, რომელიც აფიქსირებს მოქმედების მიზანს, მიზეზებს და მოტივებს.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ჩამოხრჩობის, როგორც მოქმედების, ნომინაცია განხორციელებულია ტექსტის სეგმენტში, რომელიც იწყება სიტყვებით „ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა“²⁵. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს სეგმენტი სემანტიკური კვივალენტობის თვალსაზრისით შეიძლება შევეუდაროთ „ჩამორჩობა“ პრედიკატს (ე. ი. ტექსტის აღნიშნული მონაკვეთი შეიძლება შეიკუმშოს და ასე ითქვას: „ფარაჯაში გახვეული ბიჭი ჩამოახრჩვეს“; ან „პეტრემ ნახა, როგორ ჩამოაჩრჩვეს ბიჭი“).

ნაწარმოებში გადაიწყვეტია შემდეგი: ჩამოხრჩობის პროცესი, რომელიც ყველას თვალწინ მიმდინარეობს, ფაქტობრივ ტექსტში ერთდროულად ორგვარად არის ინტერპრეტირებული: სიკვდილით დასჯა ერთდროულად დანახულია პეტრესა და მთხრობელის (ავრეთვე შერეული ხალხის) თვალთ. ეს იმით აიხსნება, რომ პრედიკატები „დასჯა“ და „ჩამოხრჩობა“ აფიქსირებენ მოქმედების მიზეზებს და მიზანს (მიზეზია — ნორმის დარღვევა, მიზანია — დამნაშავეს მოკვლა), ტექსტის სეგმენტში განხორციელებული ნომინაცია სიკვდილით დასჯის პროცესისა კი აუცილებლობით არ მოითხოვს მოქმედების მიზეზის და მიზნის საგანგებოდ გამოყოფას. ტექსტის სეგმენტში შეიძლება ასე აღინიშნოს მოქმედების პროცესი, რადგან ამგვარი ნომინაცია ფაქტობრივ ეყრდნობა მოქმედების შუა ფაზას — მოქმედების გაშლას და არა მის მიზეზს და მიზანს (როგორც ეს „დასჯა“, „ჩამოხრჩობა“ პრედიკატებშია). ტექსტში წარმოდგენილ სიკვდილზე დასჯის პროცესს პეტრე მიაწერს სულ სხვა მიზანს და მიზეზს და ამიტომაც მას გაიაზრებს როგორც „ტყუილ ჩამორჩობას“, „თამაშას“, „თვალთმაქცობას“, და არა როგორც მართალ ჩამორჩობას“, თუმცა მთლად დარწმუნებული არც არის, ეჭვიც ეპარება.

გვაქვს ორგვარი ინტერპრეტაცია — ორგვარი სახელი — ორგვარი თვალსაზრისი. პირველი ინტერპრეტაციით ამ მოქმედების მიზეზია დარღვეული ნორმა, მიზანია დამნაშავეს მოკვლა, ამ მოქმედების სახელია „ჩამორჩობა“, სიკვდილით დასჯა. მეორე, პეტრესეული, ინტერპრეტაციით ამ მოქმედების მიზანს არ

²⁴ შდრ. აქვე, „უსინდისოდ აპირებდა ემოქმედნა“. ცხადია, ოღანია „თავს იმართლებდა“ საკუთარი სინდისის წინაშე, რომელიც აწუხებდა, ქენჭნიდა; ამდენად, აქ იგულისხმება მორალური ნორმის დარღვევა (შდრ. ნორმისა და „სინდისის ქენჯნის“ სემანტიკის შესახებ ზემოთ).

²⁵ ი. ჭავჭავაძე, სარჩობელაზედ, ქართული პროზა, წიგნი VIII, თბ., 1984, გვ. 215—220. „...ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს (...) ფარაჯაში აღარ უჩანდა. წითელპერანვა ჭალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი, მერე კიბე შეიღვა სარჩობელის ბოძს. მიუბრუნდა უბედურს, ხელის კერით წინ წიავდა, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა (...) ჭალათმა თავი გააყოფინა ყულფეში, გამოიკალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა. ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეტრად ცხელ-წყალ თავგადასხმული. უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფართხალი. დიდხანს იქნევა საწყალმა ფეხები. — დილაღი რომ სულ გვრე იქნეო ფეხები, მანც არ დაგაჯერებ, — ამბობდა პეტრე“.

არის კაცის მოკვლა, არამედ სეირი, თავის შექცევა, გართობა და პეტრესწამი-
რების გაბრიყვება. ამ მოქმედების სახელია „თამაშა“, „ტყუილი ჩამოღობვა“
„თვალთმაქცობა“²⁶.

ამდენად, ნომინაცია (როგორც „სახელის დარქმევა“) სემანტიკური ინტერ-
პრეტაციით, კატეგორიზაციით (ე. ი. სემანტიკური კატეგორიების ტერმინებში
დანაწევრებით) განისაზღვრება. პროცესის სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის
გაღამწყვეტია მიზეზის, მოტივის და მიზნის (ინტენციის) სემანტიკური კატე-
გორიები. ზემომოყვანილ ტექსტის სეგმენტში გამოვლინდა თხრობის ე. წ.
ორმაგი თვალსაზრისი (ორი თვალსაზრისის თანაარსებობა). თხრობის თვალსაზ-
რისის პოეტიკა შეისწავლის. ამავე დროს, მისი ენობრივი მხარე უთუოდ წარმო-
ადგენს ტექსტის ლინგვისტიკის კომპეტენციას.

ზემომოყვანილი თხრობითი ეპიზოდის ანალიზმა გამოავლინა თხრობის ორ-
მაგი თვალსაზრისის ენობრივი საფუძველი — ალსანიშნის (ამ შემთხვევაში
პროცესის) სემანტიკური ინტერპრეტაციის მექანიზმი (ინტერპრეტაცია ხდება
სემანტიკური და, ამდენად, ენობრივად რელევანტური კატეგორიების — „ნორ-
მა“, „მიზეზი“, „მოტივი“, „მიზანი“, „მოქმედება“, „შედეგი“ — ტერმინებში).

აღნიშნული პროცესის ორგვარი სემანტიკური ინტერპრეტაცია გულისხმობს
ტექსტში ორი თვალსაზრისის თანაარსებობას — პეტრესეულსა და მთხრობე-
ლისეული (აგრეთვე შეკრებილი ხალხის) თვალსაზრისების თანაარსებობას,
რაც არსებითია ნაწარმოების მხატვრული კონცეფციიდან გამომდინარე.

თუკი იგივე პროცესს შეკუმშულად აღვნიშნავთ პრედიკატებით „დასჯა“,
„ჩამორჩობა“ (მაგ. „კაცი ჩამოახრჩვეს“)²⁷, თხრობის ორმაგი თვალსაზრისი
გაქრება — გადადევარტ „ყოვლისმცოდნე ავტორის“ თვალსაზრისზე, რადგან
ეს კონკრეტული ლექსიკური ერთეულები „გვიკარნახებენ, თავს გვახვევენ“
აღნიშნული პროცესის სემანტიკური ინტერპრეტაციის გარკვეულ „სიღრმეს“,
აფიქსირებენ რა მოქმედების მიზეზს და მიზანს. თხრობაში ორმაგი თვალსაზ-
რისის „მოხსნა“ კი ნიშნავს ნაწარმოების მხატვრული კონცეფციის საკვანძო
მომენტის გაუქმებას, რადგან მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გაღამწყვეტია
სწორედ წინააღმდეგობა, კონტრასტი, ყოველდღიურ, „საღ“ აზრსა და პეტრეს
გულუბრყვილობას შორის. გულუბრყვილობას, რომელიც ფაქტობრივ პრო-
ტესტის გამოვლენაა იმ რეალობის მიმართ, რომელსაც იგი თვლით ზედავს,
მაგრამ ვერ მიიღებს და ვერ დაიჭერებს.

ამგვარად, როგორც ზემომოყვანილი თხრობითი ეპიზოდების ანალიზმა გვი-
ჩვენა, სემანტიკური კატეგორიები (მოქმედების ნორმა, მოქმედების „გარეგანი“
მიზეზი, მოქმედების „შინაგანი“ მიზეზი, მოქმედების მიზანი, ინტენცია, თვით
მოქმედება და შედეგი), რომლებიც გამოვლინდა პრედიკატის ლექსიკურ სე-
მანტიკაში, რელევანტურია და ვლინდება ტექსტის სეგმენტის ფარგლებშიც და
განსაზღვრავს ამ უკანასკნელის სემანტიკური ინტერპრეტაციის ხასიათს.

ამგვარად, ნარატიული ტექსტის სემანტიკური კვლევის ასპექტებიდან ჩვენ
ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციის

²⁶ შდრ. თვალთმაქცობა: „თვალთმაქცის თვისება“. თვალთმაქცი: „ცბიერი, ეშმაკი, მატყუა-
რა“. მატყუარა: „ვისაც ტყუილი სჩვევია“. ტყუილი: „რაც მართალი არ არის, რაც სინამ-
დელის არ შეეფერება“. თამაშა: „მე. სეირი, სანახაობა“. სეირი: „(არაბ.) თავის შესაქცევი,
გასართობი რამ“ [4].

²⁷ ივლისხმება გარკვეული ეკვივალენტობა ტექსტის სეგმენტისა და შესაბამისი პრედი-
კატის სემანტიკას შორის. შდრ. პრედიკატის (მთელი წინადადების) და ტექსტის სეგმენტის
სემანტიკური ეკვივალენტობა (ასპექტური) დიფერენტულობის სემანტიკური კატეგორიის თვალ-
საზრისით (6. ჩიჩუა [7]).

კანონზომიერებებზე, ტექსტის მონაკვეთში მოქმედების ან მოქმედებათა ჯაჭვის აღნიშვნის დროს.

აღნიშნული იყო, რომ ჩვენ არ ვგულისხმობთ „ამომწურავ“ ინტერპრეტაციას (თუკი ასეთი რამ შესაძლებელია საერთოდ ივარაუდებოდეს ტექსტის მიმართ), არამედ სემანტიკური ინტერპრეტაციის გარკვეულ დონეს.

სემანტიკური ინტერპრეტაცია გარკვეულ დონეზე გულისხმობს სემანტიკურ კატეგორიზაციას, ანუ ტექსტისთვის რელევანტური სემანტიკური კატეგორიების ტერმინებში აღსანიშნავი სიტუაციის სიღრმისეულ სემანტიკურ დანაწევრებას და აგრეთვე სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების სემანტიკურ შეთანხმებას, ინტერგაციას ტექსტის გარკვეულ მონაკვეთში. თუკი აღრე ვანიხილავდნენ ერთეულთა „სემანტიკურ შეთანხმებას“ წინადადების ფარგლებში (მაგ. ჯ. კაცი [23]), ტექსტის დონეზე ისმის უკვე წინადადებათა სემანტიკურ შეთანხმების საკითხი (ტექსტის სეგმენტის ფარგლებში), რასაც განსაზღვრავენ როგორც სემანტიკური იზოტოპიის გამოვლენას. რ. ბარტის სიტყვებით, სემანტიკური იზოტოპიის გამოვლენა აზრს ჰაერში გამოკიდებულს აღარ ტოვებს (...empêche le sens de „baller“), ტექსტის სემანტიკური დონეების გარჩევა ამ მხრივ არსებითია ([41, 25]. შდრ. გრემა, შმიდტი [47, 39]).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თხრობითი ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის რელევანტურობის თვალსაზრისით ჩვენ გამოვყავით ისეთი სემანტიკური კატეგორიები, რომლებიც საერთოა ზმნა-პრედიკატისა და ტექსტის ეპიზოდისათვის — ეს არის, ერთი მხრივ, კატეგორიათა სინტაგმატური ჯაჭვი, ხოლო, მეორე მხრივ კი, დიურატულობის სემანტიკური კატეგორია.

კატეგორიათა აღნიშნულ ჯაჭვში სინტაგმატური მიმართებები ვლინდება ტემპორალური იმპლიკაციების სახით (შდრ. [8]). გარდა ამისა, კატეგორიათა სინტაგმატური ჯაჭვი გულისხმობს პარადიგმულ, გადამკვეთ ლერძსაც. ეს ორი ლერძი მჭიდროდაა დაკავშირებული და ცვლილება ერთ-ერთ მათგანზე იწვევს ცვლილებებს მეორეზე. არსებითია ის, რომ ორ ლერძზე ორგანიზებული სემანტიკური კატეგორიები წარმოქმნიან სემანტიკურ ბუდეს. ეს უკანასკნელი რელევანტური ჩანს როგორც ზმნა-პრედიკატისთვის, ასევე წინადადებისა და ტექსტის სეგმენტისათვის. კატეგორიათა ბუდის განსხვავებული გამოხატვის, რეალიზაციის მხრივ შესაძლებელია ზმნათა და ტექსტის სეგმენტთა სემანტიკური კლასიფიკაცია.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ენაში არსებობს პრედიკატთა კორპუსი, რომელიც ძალიან რთული და მდიდარია სემანტიკურად. ასეთ პრედიკატებს მიეკუთვნება: შეწყალება, დანდობა, მიტევა, პატიება, ჯავრის ამოყრა, შურისძიება, სისხლის აღება, დასჯა, ჩამოხრჩობა, შდრ. ჯავრის შეჭმა და ა. შ. ასეთი პრედიკატები განსაკუთრებული ღირებულების მქონეა, რადგან სემანტიკურად მოიცავენ, აფიქსირებენ კატეგორიათა მთელ სინტაგმატურ ჯაჭვს — მოქმედების „გარეგანი“ და „შინაგანი“ მიზეზებიდან დაწყებული შედეგით დამთავრებული, ზოგჯერ აგრეთვე დამატებით სემებსაც (მაგ., ქეცვის ნორმას, სასჯელის კონკრეტულ შინაარსს, ინსტრუმენტს და სხვა). ამდენად, ამგვარი ზმნების სემანტიკური ანალიზი ღირებულია სწორედ კატეგორიების მთელი ჯაჭვის ერთ სიტყვაში მოცემულობის თვალსაზრისით.

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კატეგორიათა აღნიშნული ჯაჭვი საკუთრივ ენობრივ ხასიათს ატარებს — იგი ვლინდება სიტყვაში (ზმნა-პრედიკატში) ან ფრაზეოლოგიურ პრედიკატში, პრედიკატის ლექსიკური სემანტიკის აღსაწერად არის აუცილებელი; აღნიშნული კატეგორი-

ების გარეშე ზემოთ განხილული ზმნების სემანტიკას ვერ ამოვწურავთ. სემანტიკური ანალიზი ვერ იქნება ბოლომდე მიყვანილი.

არსებითად საინტერესო ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციებიდან ჩანს სწორედ სიტყვის (პრედიკატის) სემანტიკის შესაბამისობა (ყერძოდ „დასჯა“, „ჩამოხრჩობა“ ტიპის პრედიკატებისა) ტექსტის მონაკვეთის სემანტიკასთან, ე. ი. კატეგორიათა ჯაჭვი შეიძლება ფიგურირებდეს როგორც ტექსტის მონაკვეთში — გამოლილად, ასევე შესაბამისი სემანტიკის ერთ ზმნაში („შეკუმშულად“). ამდენად, იგულისხმება კორელაციები სიტყვას (პრედიკატს, აგრეთვე შესაბამის წინადადებასა) და ტექსტის ეპიზოდს შორის.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამგვარი მიდგომა ენობრივი ფაქტებისადმი გვაძლევს საშუალებას მივაყვლიოთ ზოგ ისეთ კანონზომიერებას, რომელიც საერთოა პრედიკატის საკუთრივ ენობრივი, ლექსიკური (ან ასპექტურ-გრამატიკული)²⁸ სემანტიკისათვის და ტექსტის სეგმენტის სემანტიკისათვის.

მოინიშნა შესაძლებლობა დაგვეკავშირებინა ნომინაციისას მოქმედების სემანტიკური ინტერპრეტაცია ისეთ კატეგორიასთან, როგორცაა თხრობის თვალსაზრისი, რომელიც, როგორც ცნობილია, პოეტიკის კატეგორიაა; თხრობის თვალსაზრისის და აგრეთვე პოეტიკის სხვა კატეგორიათა ენობრივი საფუძვლის გამოვლენის პრობლემა მხოლოდ ბოლო ხანებში დაისვა [21; 35; 55; 51; 52]. საკითხი ასე დგას: ენობრივი კანონზომიერებების გათვალისწინებით აღწეროთ ის კატეგორიები, რომელთაც აქამდე ენობრივი კატეგორიების მოუხმობლად შეისწავლიდა პოეტიკა, სიუჟეტოლოგია, სტილისტიკა და სხვა დისციპლინები.

ამრიგად, მოქმედების სემანტიკური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ზმნური და ტექსტური ნომინაციისას რელევანტურია სემანტიკურ კატეგორიათა ერთი და იგივე სინტაგმატური ჯაჭვი, რაც იძლევა საშუალებას აღსანიშნი სინტაქსის სემანტიკური ინტერპრეტაციის ენობრივი მექანიზმი დავეუკავშიროთ თხრობის თვალსაზრისს, როგორც პოეტიკის კატეგორიას — კონკრეტულ ტექსტში საბოლოო მხატვრული ფუნქციის გააზრების პერსპექტივით. ამავე დროს, შესაძლებელია ერთეულების მეორეული სემანტიზაცია ტექსტის სინტაგმატურ დერძზე მეორეულ, ახალ პარადიგმატულ მიმართებათა (ოპოზიციათა და ეკვივალენტობათა) გამოვლენის შემთხვევაში (შდრ. ლევი-სტროსი, იაკობსონი, გრემა, ბარტი [40; 54; 56; 57; 46; 47; 41]).

ასეთ ვითარებაში შესაძლებელია არა მარტო კონკრეტული ლექსიკური ერთეულების, არამედ აგრეთვე ტექსტის მთელი მონაკვეთებისა და სემანტიკურ კატეგორიების რეინტერპრეტაცია, რაც სპეციფიკურად ვლინდება მხატვრულ ტექსტში ავტორის მხატვრული მეთოდის, სტილის და კონკრეტული მხატვრული კონცეფციის შესაბამისად²⁹.

²⁸ შდრ. [7].

²⁹ მაგ. ა. კამიუს რომანში „L'Étranger“ კითხვაზე, თუ რატომ მოკლა კაცი, მერსო უპასუხებს — „მზის გამო“ (à cause du soleil). ამგვარად, ამ ადამიანის „მოქმედებას“ ვეღარ გავიხრებთ ჩვეულებრივი საზომით. აქ გაწყვეტილია კატეგორიათა ჯაჭვი: „მოქმედება“ თითქოს პირდაპირ (ნორმის, მოტივის, ინტენციის, მიზნის გარეშე) უკავშირდება გარეგან, ფიზიკურ მიზეზს — მზეს, სიცხეს და „გაღის“ ადამიანური სფეროდან. სწორედ ადამიანის მოქმედებასთან დაკავშირებულ კატეგორიათა ჯაჭვის „გაწყვეტა“ (და ამდენად, მოქმედების კატეგორიის მეორეული, სპეციფიკური სემანტიზაცია) ავლენს გაუცხოებული ადამიანის პრობლემას.



1. ვ. ბოედერი, ძველი ქართული ნარატივის ერთი ტექსტოლოგიკური თავისებურება/არაგამებლობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, 1988 წ. 11—16 ოქტომბერი, მოხსენებთა თეზისები, თბ., 1988.
2. ლ. ენუქიძე, სიღრმული სტრუქტურისა და ბირთვული წინადადების ადგილი ქართულში; სინტაქსისა და ტექსტის ლინგვისტიკის მომიჯნავე პრობლემები, წიგნში: ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987, გვ. 89—129.
3. რუსულ-ქართული ლექსიკონი, რედკოლეგია: რ. გავუა, ნ. ვანძე, ლ. კაიშური, ა. კობახიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ქ. ლომთაიძე (თავმჯდომარე), მ. შრეველიშვილი, ნ. საყვარელიძე, თბ., 1983.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბ., 1986.
5. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკლევა დაურთო ი. იმინაშვილმა, თბ., 1979.
6. ბ. ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგადი პრინციპისათვის, წიგნში: „ბალეარი მწერლობისა“, თბ., 1987, გვ. 3—32.
7. ნ. ჩიჩუა, ლიტერატულობისა და დინამიკურობის სემანტიკის გამოყენება თხრობითი ტექსტის ეპიზოდში, „მაცნე“, ელს, 1988, № 3.
8. ნ. ჩიჩუა, მოქმედების სემანტიკა კატეგორიულ ტერმინებში, „მოამბე“, 1984, № 2.
9. ა. პარისი, ნარატივის სინტაქსური ანალიზი ქართველურ ენებში, ოსუ სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, 1988, № 11—16, ოქტომბერი, მოხსენებთა თეზისები, თბ., 1988.
10. Арнольд И. В., Семантическая структура слова в современном английском языке и методика ее исследования (на материале имени существительного), Л., 1966.
11. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, 2-ое изд., М., 1969.
12. Аристотель, Поэтика, Л., 1927.
13. Арутюнова Н. Д. Номинация и текст, в кн.: Языковая номинация: Виды наименований, М., 1977.
- 13а. Арутюнова Н. Д., Синтаксис, в кн.: Общее языкознание, М., 1972.
14. Бахтин М., Вопросы литературы и эстетики, М., 1975.
15. Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, М., 1972.
16. Бирвиш М., Семантика, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981.
17. Болинджер Д., Атомизация значения, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981.
18. Булыгина Т. В., Грамматические и семантические категории и их связи, в кн.: Аспекты семантических исследований, М., 1980, с. 320 — 355.
19. Гак В. Г., О семантической организации текста, в кн.: Лингвистика текста: Материалы научной конференции, ч. I, М., 1974, с. 61—66.
20. Греческо-русский словарь, издан иждивением народного просвещения, часть вторая, М., 1848.
21. Дейк Т. Ван, Вопросы прагматики текста, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
22. Зисль А. Я., Стафеецкая М. П. Интерпретация произведения как феномена культуры, в кн.: Художественная рецепция и герменевтика, М., 1985, с. 69—101.
23. Катц Дж., Семантическая теория, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981.
24. Кривонос Б. А., Вопросы языкознания, 1986, № 6.
25. Краткая литературная энциклопедия, т. I—9, М., 1962—1978.
26. Москвичева Г. В. (отв. ред.), Вопросы сюжета и композиции, Межвузовский сборник, Горький, 1980, 1982.
27. Николаева Т. М., Лингвистика текста: Современное состояние и перспективы, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.
28. Ожегов С. И., Словарь русского языка, М., 1960.
29. Пропп В. Я., Морфология сказки, 2-ое изд., М., 1969.

30. Распопов И. П., Несколько замечаний о так называемой семантической структуре предложения, ВЯ, 1981, № 4, с. 24 — 34.

31. Сильницкий Г. Г., Семантические типы ситуаций и семантика глаголов, в кн.: Проблемы структурной лингвистики 1972, М., 1973, с. 373 — 391.

32. Степанов Ю. С., Номинация, семантика, семиология (виды семантических определений в современной лексикологии), в кн.: Языковая номинация: Общие вопросы, М., с. 294 — 354.

33. Уфимцева А. А., Лексическая номинация, в кн.: Языковая номинация: Виды наименований, М., 1977, с. 5 — 85.

34. Филлмор Ч., Дело о падеже, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, М., 1981, с. 369 — 495.

35. Филлмор Ч., Дело о падеже открывается вновь, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 10, 1981, с. 496 — 530.

36. Хэллидей М. А. К., Лингвистическая функция и литературный стиль, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 9, М., 1980, с. 116 — 147.

37. Хэллидей М. А. К., Место функциональной перспективы предложения (ФПП) в системе лингвистического описания, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.

38. Цилевич Л. М. (отв. ред.), Вопросы сюжетосложения, Сб. статей, вып. 3, Сюжет и жанр, Рига, 1974; вып. 4, Сюжет и композиция, Рига, 1976.

39. Шмидт З. П., «Текст» и «история» как базовые категории, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., 1978.

40. Якобсон Р., Лингвистика и поэтика, в кн.: Структурализм: «за» и «против», М., 1975, с. 193—230.

41. Barthes R., Introduction à l'analyse structurale des récits.—„Communications“, 1966, № 8, 33-1—27.

42. Bremond Cl., La Logique des possibles narratifs.—„Communications“, 1966, № 8, 33-60—67.

43. Bremond Cl., Logique du récit, Paris, 1973.

44. Cassirer E., The Philosophy of Symbolic Forms, trans. Ralph Manheim., New Haven, 1953, 1, 33-99.

45. Comrie B., An Introduction to the Study of Verbal Aspect, London, New York, Melbourne: Cambridge University Press, 1976.

46. Greimas A. J., Du Sens, Paris, ed. du Seuil, 1970.

47. Greimas A. J., Eléments pour une théorie de l'interprétation du récit mythique.—„Communications“, 1966, № 8.

48. Heidegger M., Holzwege. Frankfurt am Main, 1950, S. 286.

49. Heidegger M., The Nature of Language, In: „On the Way to Language“, New York, 1971, 33-59.

50. Hamon Ph., Mise au point sur les problèmes de l'analyse du récit“, „Le français moderne“, 1972, № 3, 33-204—221.

51. Hendricks W. O., Linguistic Contribution to Literary Science, „Poetics“, 1973, № 7.

52. Hendricks W. O., The Relation between Linguistics and Literary Studies, „Poetics“, 1974, № 11, 33-10—21.

53. Holisky D. A., Aspect and Georgian Medial Verbs, Caravan Books, Delmar, New York, 1981.

54. Jacobson R., Lévi-Strauss, „Les Chats“ de Ch. Baudelaire, „L'Homme“, 1962, vol. 2, № 1, 33-5—21.

55. Kuroda S. Y., Reflections on the foundations of Narrative Theory: In: North-Holland Studies in Theoretical Poetics: Pragmatics of Language and Literature V. 2, ed. by Teun A. van Dijk, W. O. Hendricks, Amsterdam, Oxford: North-Holland Publishing Company, American Elsevier Publishing Company, Inc., 1976, 33-107—140.

56. Lévi-Strauss C., The Structural Study of Myth. „Journal of American Folklore“, 1955, vol. 68, № 270, 33-428—444.

57. Lévi-Strauss C., Mythologiques, I—IV, Paris, 1964—1971.

58. Lévi-Strauss C., La pensée sauvage, Paris, 1962.

59. Pottier B., Linguistique Générale, Paris, Klincksieck, 1974.

60. Searle J. R., The Logical Status of Fictional Discourse, In: Expression and Meaning, Cambridge University Press, 1979, გვ. 58—75.
61. Skaličková V., The Need for a Linguistics of La Parole, Recueil Linguistique de Bratislava, v. 1, Bratislava, 1948, გვ. 21—36.
62. Todorov Tz., Les catégories du récit littéraire, „Communications“, 1966, № 8, გვ. 125—151.
63. Todorov Tz., La grammaire du Décameron, Paris: Mouton, 1969.
64. The Universal English Dictionary. ed by H. C. Wyld. with an Appendix by E. Partridge, Routledge and Kegan Paul Ltd., Broadway House, London, Toppan Company LTD, Tokyo.
65. Vendler Z., Linguistics in Philosophy, Cornell University Press; Ithaca, New York, 1967.
66. Wierzbicka A., Descriptions or Quotations? In: „Sign, Language, Culture“, I, The Hague-Paris, 1970, გვ. 627—644.

Н. Ш. ЧИЧУА

НОМИНАЦИЯ И СЕМАНТИЧЕСКАЯ ИНТЕРПРЕТАЦИЯ ДЕЙСТВИЯ В НАРРАТИВНОМ ТЕКСТЕ

Резюме

Путем семного анализа (трансформации словарных дефиниций) предикатов, семантико-синтаксического анализа предложений и текстовых сегментов (СФЕ) в работе выявлена цепочка («гнездо») семантических категорий, которая релевантна с точки зрения номинации и семантической интерпретации действия на лексическом, синтаксическом и текстовом уровнях. «Норма действия», причина («внешняя»), причина («внутренняя», т. е. «мотив»), «интенция/цель», «действие», «результат» — цепочка категорий, которая связана каузальными и темпоральными отношениями импликации. Эта цепочка категорий релевантна также с точки зрения семантической классификации предикатов и текстовых сегментов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ენის ციტიზმი

 სილაბური ზღვრულობის საკითხისათვის იოტ-კომპონენტთან
 შესაბამის სიტყვაში

ესპანურ სიტყვაში არსებული ყველა სახის ვოკალიზებული შენაერთის ერთიანობაში წარმოდგენისას ესპანიზმთა და ამერიკანიზმთა ლექსიკონის თითქმის მთლიანი „გახმოვანება“ დაგვიკვირდებოდა. დაახლოებით იმავე შედეგთან გვექნებოდა საქმე ამერიკანიზმთა ლექსიკონიდან ამოკრებილი იოტ-კომპონენტთან ვოკალიზებული ჯგუფების შემთხვევაშიც. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფარემობას, რომ სასაუბრო ესპანურში გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით გამოიყენება ხმოვანთშეერთების მქონე სიტყვები, ვიდრე ისინი ლექსიკონებშია ფიქსირებული, დავრწმუნდებით, რომ თანამედროვე ესპანური ენის ვოკალური სისტემა ფართოა და მრავალგვარი — იგი სრულიადაც არ ეყრდნობა ხუთ ძირითად მონოფთონგს [a, e, o, i, u]. ამ უკანასკნელთ უნდა დავუმატოთ 15 ორელემენტური [ja], [je] და მისთ. ტიპის ვოკალური კომპლექსი, ასევე 7 სამელემენტური [jai], [way] და მისთ. ტიპის ვოკალური კომპლექსი, რომლებიც ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ [1; 2]. მათ გვერდითაა იოტ-კომპონენტური ვოკალიზებული ჯგუფები და სხვა ხმოვანთშეერთებანიც, რაც მთლიანობაში, მართალია, არ გვაძლევს ესპანური ვოკალიზმის ამომწურავ სურათს, მაგრამ შედარებით სრულყოფილ წარმოდგენას მაინც გვიქმნის მასზე.

ვოკალურ კომპლექსში ერთიანდება ერთ მარცვალში მოქცეული ერთფონემური ვოკალური შეერთებანი, ხოლო **ვოკალურ ჯგუფში** შედის სხვადასხვა მარცვალში განაწილებული და ცალკეულ ფონემებად წარმოდგენილი ვოკალური შეერთებანი [1, გვ. 336]. ვოკალური ჯგუფი ასევე მოიცავს იოტ-კომპონენტურ mayo, playa ტიპის შიდა ვოკალიზებულ ჯგუფებსაც. ამ უკანასკნელი ჯგუფის სახელწოდება დაკავშირებულია აღნიშნული შეერთების სიტყვისშიგნითა და არა სიტყვათშორის პოზიციასთან. ვოკალური კომპლექსები და ვოკალური ჯგუფები თავის მხრივ წარმოადგენენ უფრო ფართო და ზოგად კლასს — **ვოკალურ შენაერთებს**, რაც გულისხმობს ყველა სახის ერთ და მრავალფონემურ ხმოვანთშემცველ ბგერათშეერთებას. იგი თავს უყრის როგორც ya, ye და მისთ. ტიპის ხმოვანთშეერთებას, ან „ძლიერი“ ხმოვნებისაგან შემდგარ ei, ea და მისთ. ტიპის ვოკალურ რიგებს, ასევე სხვა ნებისმიერ მრავალელემენტურ ვოკალურ შეერთებებსაც.

სილაბური ზღვრულობის დადგენა იოტ-კომპონენტურ ვოკალურ შეერთებათა შემცველ ესპანურ სიტყვებში სამ გარემოებასთან არის დაკავშირებული:

1. ესპანური მარცვლის, და აქედან გამომდინარე, მარცვალთგასაყარის იდენტიფიკაცია. 2. ვოკალურ შეერთებებში იოტის სტატუსის დადგენა. 3. მოცემულ სიტყვებში მახვილის ადგილი (განაწილება).

მარცვლის ფუნქციონალური დანიშნულება ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამორკვეული და, ამ მხრივ, ესპანური ინტერპრეტაცია მის სრულ შესატყვის დახასიათებას დღემდე არ იცნობს. ეს გარემოება, ნებისმიერ ცოცხალ მეტყველებაში არსებული ზღვრულობის უზუსტობიდან გამომდინარე, გაკვირვებას არ იწვევს. მარცვლისა და მისი ზღვრულობის საკითხები ესპანისტიკაში

სხვადასხვა ორიგინალური პოზიციებიდან დეტალურადაა დამუშავებული. ამ
ჯერად შევვებით ზოგიერთ მათგანს.

ესპანური ენის ფონეტიკის კლასიკოსის, თ. ნავარო თომასის პოზიცია ცვლისა და მისი ზღვრულობისადმი შემდეგნაირია: მარცვალი — ეს არის ყვე-
ლაზე ელემენტარული ფონეტიკური ჯგუფი. აქუსტიკურად იგი წარმოადგენს
ორი პერცეპციული კლებით შემოსაზღვრული ბგერის ბირთვის, ფიზიოლო-
გიურად კი ორი კენთოვანი აქტივობის კლებას შორის მოქცეულ არტიკულა-
ციურ ბირთვის. მაგალითად, გაგრძელებული ბგერა **a** შეიძლება დაიყოს მარ-
ცვლებად: ა) თუკი შეძლებისდაგვარად, ჰაერნაკადის ძალის შენარჩუნებისას
დროდადრო მასში (**a-ში**) ჩაერთავთ ნაკლებად პერცეპციულ ბგერას: ayayaya;
ბ) თუკი იმავე ბგერა **a-ს** შემთხვევაში ჰაერნაკადის ძალას ხან მოვემატებთ
და ხან შევამცირებთ: **á-á-á-á**. სიტყვაში Aragón პირველი ორი მარცვალი
გამოყოფილია ბგერა **r-ის**ათვის დამახასიათებელი პერცეპციულობის მყისიე-
რი კლების შედეგად; სიტყვაში Aaron კი იგივე მარცვლები ორ ბგერა **aa-ს**
შორის მქონე ინტენსივობის მყისიერი დაწვეის შედეგად ნაწილდება [3, გვ. 28].

საყურადღებოა, რომ ესპანელი ფონეტიკოსი ა)-ს შემთხვევაში არ წარ-
მოგვიდგენს ზუსტ მარცვლებად დაყოფას, რადგანაც, როგორც ჩანს, იოტ-
კომპონენტის ჩართვა მხოლოდ იწვევს მარცვალთვასაყარს და არა მარცვალთა
ზღვრულობას აწესებს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, როგორ და-
ყოფდა მარცვლებად თ. ნავარო თომასი ბგერათშეერთებას ayayaya; ამისა-
თვის საჭირო ხდება წინასწარ გამოვარკვით ავტორის იოტისადმი დამოკი-
დებულება (რასაც თავად მეცნიერი ქვემოთ წარმოგვიდგენს). თუმცა მოსა-
ლოდნელი იყო, რომ პრავალეემენტინ ვოკალურ შენაერთში, მარცვლებად
დაყოფისას შეერთების — **ya[ʎa]:a-ya-ya-ya**, [a⁺a⁺a⁺a⁺], ანუ **a+3ya-ის**,
ჯამის ჩვეულებრივი ნაქრები კი არ შემდგარიყო, არამედ ერთმანეთში ჩა-
წნული ერთიდან მეორე **a-ს**კენ გარდამავალი ბგერითი „ძაფების“ სახით წარ-
მოდგენილიყო იგი: [a⁺a⁺a⁺a⁺a⁺], სიდაც გრაფემა **y** (იოტი) წარმოდგება
ორი ბგერითი ნაწილაკის სახით — [i⁺] და [ʎ]. თ. ნავარო თომასი ითვა-
ლისწინებს მარცვლის ზღვრულობის ზუსტად დადგენის შეუძლებლობას ამ
კონკრეტულ შემთხვევაში და მის მიერ ჩართულ ელემენტს უწოდებს არა თან-
ხმოვანს, არამედ „ნაკლებად პერცეპციულ ბგერას“.

ესპანელი მეცნიერის მიერ მარცვალთვასაყარის, ანუ „მარცვალთა მიხედ-
ვით წარმოთქმის“ (silabeo) უნიფიცირებული მასალიდან ჩვენ გამოვყოფთ
იმ რამდენიმე დებულებას, რომლებიც განმარტავენ როგორც ჩვენ მიერ ზემოთ
მოცემულ ayayaya-ს მარცვალთვასაყარის ვარიანტს [a⁺a⁺a⁺a⁺a⁺], ასევე
mayo, playa ტიპის მარცვალთვასაყარის ვარიანტსაც [mai⁺o], [plai⁺a]
(იგულისხმება ბგერათშეერთების ტიპის — „ორ ხმოვანს შუა მოქცეული თან-
ხმოვანი“ — მარცვალთვასაყარის ცნობილი წესი): „...მაგრამ აუცილებელია
ვიცოდეთ, სილაბურ ბირთვში ეს თანხმოვანი პირველი ან მეორე ხმოვნის
შემადგენელი ნაწილის სახით შედის, თუ იგი ორივე ხმოვანზე ნაწილდება“
[3, გვ. 172]. შენიშვნა თანხმოვნის ორ ხმოვანზე განაწილების შესახებ გარ-
კვეთლწილად იოტსაც შეეხება, თუმცა იოტი შეიძლება არც მივიჩნიოთ თან-
ხმოვნად და, არსებული კლასიფიკაციების მიხედვით, „არახმოვნით“ და „არა-
თანხმოვნით“ შუალედურ ტიპს მივაკუთვნოთ. ერთნაირ თანხმოვანთა მარ-
ცვლოვან განაწილებასთან დაკავშირებით თ. ნავარო თომასი ხაზგასმით შე-
ნიშნავს, რომ ამ სახის კონტაქტის დროს თანხმოვნები წარმოითქმება ერთი
შედარებით გაგრძელებული (გემინირებული) თანხმოვნის სახით, რომელიც

ერთმანეთზე მიყოლებულ ორ მარცვალზე ნაწილდება. ამგვარი თანხმოვნის შემართვა „მისი მდგრადობის გარკვეული წილით წინამავალ მარცვალს ემყარება, დანარჩენი წილით კი მომდევნო მარცვალს; ამდენად, ორმანეთის ცვლის ზღვარი ამ ვაგრძელბეული თანხმოვნის მდგრადობის ცენტრზე გადის. აქედან გამომდინარე, ამავე თანხმოვნის ხანგრძლივობა ზუსტად არ უტოლდება ორი ჩვეულებრივი თანხმოვნის ჯამს; თუმცაღა სხვა უფრო უკეთესი წესის უქონლობის გამო ამგვარი თანხმოვნის ფონეტიკური ჩაწერისას ჩვენ ორმაგი თანხმოვნით ვსარგებლობთ: innumerable—*ĩnnũmərabl̃a...*“ [3, გვ. 175-176]. სწრაფი მეტყველების დროს, იქვე აზუსტებს ავტორი, მრავალეუმენტიანი ვიბრანტი **rr** ინტერვოკალურ პოზიციაში თავის ვიბრაციას ორ მოსაზღვრე მარცვალს შორის ანაწილებს: *carro* — *kár-ro*, შენელებული მეტყველების დროს კი **rr**-ის მთელი არტიკულაცია მეორე მარცვალთან იყრის თავს: *ká-ro* [3, გვ. 176].

ზემოთ წარმოდგენილი დებულებანი გარკვეულწილად ეხმაურება ამავე ავტორის მიერ აღნიშნულ შემდეგ მარცვალთგასაყარის შესაძლებლობას: *voy a morir* და *no hay ánimo* როგორც *boj̃-a-mo-r̃r̃* და *noáj̃-á-ni-mo*, სადაც „**y** მეტ-ნაკლებად ორივე მარცვალში ფიგურირებს“ [3, გვ. 151]; ასევე ეხმიანება იგი ა. რეფორმატკის მტკიცებას *майя*, *Гойя*, *секвойя* ტიპის უცხო სიტყვებში და *район*, *майор* ტიპის სიტყვებში ერთმანეთზე მიყოლებული ორი იორის შესაძლებელი მარცვალთგასაყარის შესახებ, შემდეგნაირად: *рай-йон*, *май-йор* და არა როგორც *ра-йон*, *ма-йор* ან მით უმეტეს, როგორც *рай-он*, *май-ор* [4, გვ. 78]. ბევრ საერთოს პოულობს იგივე დებულება ი. სტეპანოვის მოსაზრებასთან *a'-cteur*, *ba'-trie* ტიპის ფრანგულ სიტყვებში გემინირებული თანხმოვნის მიხედვით მარცვლის ზღვრულობის დადგენისა და წინამავალი მარცვლის „სუსტად დახურულობის“ თაობაზე [5, გვ. 91]. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა დავუშვათ ესპანური *mayo* და *playa* ტიპის სიტყვების ზემოაღნიშნული მარცვალთგასაყარი — როგორც [*mai^hy*] და [*plai^hya*] იოტკომპონენტიანი არასრულად დახურულ [*l^h*] მარცვალთან ერთად.

ე. ალარკოს ლიორაკის მარცვლის კონცეფცია ესპანური სიტყვის უფრო მახვილის დახასიათებასთან არის დაკავშირებული. მარცვალი — ეს არის პროსოდემა, მინიმალური ფონემატური ერთეული, რომელსაც მახვილის მიღება შეუძლია. მახვილის რეალიზაცია ხდება სილაბურ ბირთვში, ან მარცვლის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ყოველთვის ხმოვნით ფონემას წარმოადგენს. მარცვლის მეორე, მარგინალური ნაწილი ასილაბური ფონემებისაგან შედგება: ესპანურში აქ მოსალოდნელია თანხმოვანთა გაჩენა, ხმოვანთაგან კი მხოლოდ /i/ და /u/ შეიძლება იყოს. ამდენად, ესპანური ენის პროსოდემები ერთმანეთისაგან მახვილთან დაკავშირებული კორელაციით განსხვავდებიან, რომელიც თავის მხრივ, ინტენსიურ მარცვალს არაინტენსიურისაგან, ანუ „დადებით მახვილს უარყოფითისაგან“, გამოყოფს [6, 202].

მარცვლისა და მარცვალთგასაყარის თეორიის თვალსაზრისით ყურადსაღებია ლ. ე. ალვარეს ენაოს შეხედულება. მარცვალს იგი წარმოადგენს როგორც აკუსტიკურ ჯგუფს, ადვილად ამოსაცნობ მინიმალურ რიტმულ ერთეულს [7, გვ. 42], და აგრეთვე როგორც შევიწროებით თანმხლებ გაფართოებას, რასაც ადგილი აქვს ფონაციის პროცესისას გარკვეული დროის ერთეულში [7, გვ. 44]. ხმოვანთგასაყარის მახვილთან დაკავშირებისას ალვარეს ენაო, როგორც სხვა მკვლევარები, მიუთითებს ტონურ (მახვილიან) და ატონურ (უმა-



ხვილო) მარცვალთა არსებობაზე, რომელთაგან პირველს მიაკუთვნებს პროსოდიკულურ დემებს, ანუ „იმ ფონეტიკურ ერთეულებს, რომლებსაც მათზე დაყრდნობით მახვილის წყალობით განმასხვავებელი ნიშანი მოეპოვებათ“ [7, გვ. 46]. მარცვალთგასაყართან დაკავშირებით იგი ოტო ესპერსენის მიერ შემოთავაზებული მკვლევრობის აკუსტიკურ სკალას ეყრდნობა: მკვლევრობის მინიმუმიდან მაქსიმუმამდე. მარცვლის აღმავალი მკვლევრობის ზოგადი თეორიისა და სიტყვაში მარცვალთგასაყარის ადგილის განმსაზღვრელი სხვა კრიტერიუმების შესახებ წვრილად იხ. ლ. ბონდარკოს წიგნი „თანამედროვე რუსული ენის ბგერითი აგებულება“ [8, გვ. 127—129].

ა. კილისისა და ჯ. ა. ფერნანდესის ცნობილ ნაშრომში „ესპანური ენის ფონეტიკა და ფონოლოგია“, მარცვლისადმი მიძღვნილ თავში პირდაპირია ნათქვამი, რომ მარცვლის აგებულება, განსაკუთრებით კი მისი ზღვრულობა დღეისათვის თითქმის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ცალკეული ფონემა, ხაზგასმით აღნიშნავენ ავტორები, თავისთავად არ წარმოადგენს საკომუნიკაციო საშუალებას; იგი (ფონემა) ამ თვისებას მხოლოდ შედარებით დიდ ერთეულში გაერთიანებისას შეიძენს. ფონემის შემდეგ მასზე უფრო დიდი ერთეული, რომელიც ერთ ან რამდენიმე ფონემას შეიცავს, მარცვალია [9, გვ. 135]. სილაბური ზღვრულობა შემდეგი მახასიათებლებით განისაზღვრება: 1. ღიაობის მინიმუმით ორ მაქსიმუმს შორის. 2. არტიკულაციური დაქიშვის მინიმუმით ორ მაქსიმუმს შორის. 3. მკვლევრობის მინიმუმით ორ მაქსიმუმს შორის. ა. კილისი და ჯ. ა. ფერნანდესი, გამოყენების სიხშირის კლების მიხედვით, ესპანური მარცვლის შემდეგ სურათს წარმოგვიდგენენ: CV, CVC, V, CCV, VC, CCVC, VCC, CVCC, CCVCC მონოფთონგისაგან შემდგარი სილაბური ბირთვით, ასევე CD (თანხმოვან-დიფთონგი), CDC, CCD, D, CCDC, DC, დიფთონგისაგან შემდგარი სილაბური ბირთვით. კილის-ფერნანდესის ამ სქემას, ვფიქრობთ, ასევე უნდა დაემატოს სამეღვინეტიანი ვოკალური კომპლექსისაგან შემდგარი მარცვლები (ადრეული ტრადიციით — „ტრიფთონგები“) და სხვადასხვა სახის იოტ-კომპონენტიანი ვოკალიზებული შენაერთები, სადაც იოტი გამოკვეთილად თანხმოვნით ბგერას არ წარმოადგენს. ხსენებული ნაშრომის ავტორები ესპანურ მეტყველებაში მარცვლის ღიაობისადმი არსებულ ტენდენციებს უჭერენ მხარს, მარცვალთგასაყარის საკითხში კი აკადემიურ გამოცემებში ფიქსირებული და საყოველთაოდ აღიარებული კანონებით იფარგლებიან [9, გვ. 136, 138—139].

სიტყვაში სილაბური ზღვრულობის დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებული ღირებულებისაა ლ. შჩერბას დაკვირვებანი რუსულ მეტყველებაში მარცვალთგასაყარის თაობაზე, რაც ავტორს გადმოცემული აქვს სტატიაში „რუსული დამწერლობის თეორია“ (ხელნაწერი, 1942—1943 წწ.) [10]. საკუთრივ მარცვალს ლ. შჩერბა განსაზღვრავს, როგორც „მეტყველების ნაკადის იმ მონაკვეთს, რომელიც ბგერის გაძლიერებით იწყება და მთავრდება ბგერის შესუსტებით“... იქვე, შენიშვნებში იგი დასძენს: „მარცვლის თეორია ფონეტიკის ურთულესი პრობლემების სფეროში ექცევა და აქ შეუძლებელია მისი (თეორიის. — ნ. ც.) მთლიანი, ყოველმხრივი განვითარება“ [10, გვ. 160]. ავტორის თანახმად, დამარცვლით წარმოქმნისას მარცვალთგასაყარის შემდეგი სავარაუდო კანონები მოქმედებს: 1. თუ ხმოვნებს შუა ერთი თანხმოვანი მოექცევა, მაშინ მარცვლის ზღვარი ყოველთვის ხმოვნის შემდეგ გადის: *тра-ва́, ра-йón, ма-йóр* და ა. შ. 2. თუ ხმოვნებს შუა j-ზე დაწყებული თანხმოვანთა ჯგუფი მოექცევა, მაშინ j ყოველთვის წინამავალ ხმოვანს მიეკედლება და მასთან ერთად დახურულ მარცვალს ქმნის: *най-кó-выи́, кóй-ка* და

ა. შ. ვ. თუ ხმოვნებს შუა მოქცევა თანხმოვანთა ჯგუფი, რომელიც არ იწყება *j*-ზე (ამას მიეკუთვნება ორმაგი თანხმოვანიც), მაშინ პირველი ამ თანხმოვანი ენათაგანი, ჩვეულებრივ, მახვილიანი ხმოვნის შემდგომ პოზიციაში წინამძღვარულად სარცვალს მიეკედლება, უმახვილო ხმოვნის შემდგომ პოზიციაში კი მომდევნო სარცვალს: *kŏ-l-ba*, *kám-ni*, *kás-sa* და ა. შ. მაგრამ *ko-lba-sá*, *pe-mní*, *ka-ssír* და ა. შ. [10, გვ. 161].

ლ. შჩერბას იღვას *район, майор* სიტყვათა მარცვლებად დაყოფის შესახებ ხმოვნის შემდგომი ზღვრულობის მიხედვით ასევე ეხმარება თ. ნავარო თომასის შეხედულება ესპანური სიტყვის *subrayar* შემდეგნაირ დაყოფაზე: *sá-ba-řa-yár*, რაც იოტის მახვილიან მარცვალზე მიკედლებით აიხსნება [3, გვ. 177].

ყურადღება უნდა მიექცეოდეს იმ გარემოებას, რომ შემდგომ, მეტყველებაში მარცვალთგასაყართან დაკავშირებული კანონების განხილვის დროს, ლ. შჩერბა იმავე *рай-он, май-ор* სიტყვათა სხვაგვარი მარცვალთგასაყარის შესაძლებლობასაც უშვებს; ეს აიხსნება „რთულთავიკიდურიანი ანუ ძლიერდამართვიანი და რთულბოლოკიდურიანი ანუ ძლიერშემართვიანი სემანტიზებული თანხმოვანთა დაპირისპირების სიტყვათშერთვაში შემოსვლით...“. „ისტორიული თვალთახედვით ეს უცნაური წარმოთქმანი სიტყვათა დაწერილობის შედეგად გაჩნდა, განსაკუთრებით კი დაწერილის თვალთაღქმით“ [10, გვ. 163]. მნიშვნელოვანია ის, რომ ზემოხსენებულ სიტყვათა მარცვლის ზღვრულობის წარმოქმნაში ლ. შჩერბა უშვებს მერყეობას, რაც თავის მხრივ ესპანურ იოტ-კომპონენტთან შემთხვევას გვაგონებს და მარცვლის ზღვრულობის „მერყევე ბუნებას“ ადასტურებს. ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება შემოთ ნახსენებ *рай-ион, май-йор* მარცვალთგასაყარის მესამე ვარიანტს, რომელიც წარმოდგენილია ა. რეფორმატსკის სტატიაში „ფონემა იოტი და <и> რუსულ ენაში“ [4, გვ. 78].

იოტ-კომპონენტთან ესპანურ სიტყვაში მარცვლის ზღვრულობის დადგენა იმიტაც რთულდება, რომ არც ზოგადფონეტიკურ და ფონოლოგიურ თეორიათა და არც ცალკეულ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის ფარგლებში ჭერ კიდევ არ არის გადაჭრილი პრობლემა იოტის ადგილის თაობაზე. თეორიაში თანაარსებობს მრავალგვარი კონცეფცია, ექსპერიმენტული მონაცემები კი იოტის შესახებ თითქმის არ მოგვეპოვება. ამ ბგერითი ელემენტის სტატუსის საბოლოო ინტერპრეტაციაზე ჩვენ არ ვეაქვს პრეტენზია, მაგრამ ათასგვარ მიმდინარეობათა გვერდის ავლით შევეცდებით, რამდენადმე გავერკვეთ მის ფონეტიკურ და ფონემურ ბუნებაში.

უილიამ ვ. კრესი (კორჯათუნის უნივერსიტეტი), რომელიც „გლაიდ/ხმოვნის“ დაპირისპირების ნეიტრალიზაციას იკვლევს და ამასთან დაკავშირებით თავის აღრინდელ შრომასაც (1974 წ.) იმორწმებს, ამტკიცებს, რომ ესპანურ ენაში გლაიდის ორი სრულიად განსხვავებული ტიპი არსებობს: 1. „მარკირებული კონვენციური გლაიდი“ (*marking convention glide*), მაგალითად, *bien* ტიპის სიტყვებში, სადაც იგივე *bien* ყოველთვის იქნება [bjén] და არა [bi-én]; 2. „ვარიაციული გლაიდი“ (*variable glide*), მაგალითად, *guión* ტიპის სიტყვებში, სადაც *guión* შეიძლება წარმოითქვას როგორც [gi-ón] (2 მარცვალი), ან როგორც [gión] (1 მარცვალი) [11, გვ. 91], ანდა *radio* ტიპის სიტყვებში — [rá-di-o] და [rá-djo] [11, გვ. 103].

რეგიონალური წარმოთქმის მიმოხილვისას კრესი აღნიშნავს, რომ მექსი-

კაში, ცენტრალურ ამერიკაში, კარიბის აუზში ვენესუელისა და კოლუმბიის სანაპიროებზე yate, yema, yegua, mayo ტიპის სიტყვებში **y** თავისი წარმოშობით თქმით მეტ-ნაკლებად უახლოვდება ინგლისურ **y**-ს, ანუ წარმოითქმის **yate** [jate], **yema** [jema], **yegua** [jegwa], **mayo** [majo]. ესპანურენოვანი სამყაროს დანარჩენ ნაწილში კი ეს სეგმენტი წარმოითქმის როგორც ჩვეულებრივ თვალში საცემი ფრიკატულობის ჩართვით, ანუ როგორც ფრიკატული: **yate** [jate], **yema** [jema], **yegua** [jegwa], **mayo** [majo] [11, გვ. 92].

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში mayo, playa ტიპის სიტყვები ერთნაირ წარმოთქმით რიგს შეადგენენ yate, yema და მისთ. ტიპის სიტყვებთან ერთად. თუმცა, ვფიქრობთ, რომ იოტს, როგორც ელემენტარულ ერთეულს, ამ შემთხვევებში სხვადასხვა რეალიზაცია მოეპოვება: სიტყვაში mayo იგი ორი ბგერითი ელემენტარული ნაწილაკით წარმოადგება [i⁺y] რაზეც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხოლო yate და მისთ. სიტყვებში — ერთი ბგერითი ელემენტით [y]. მოცემულ შემთხვევაში ელემენტარული ერთეულის (ეე) ქვეშევრდობით /y/ ერთეულს, რომელიც უფრო მცირეა, ვიდრე ფონემა /y/; იგი გარკვეული კომპონენტის სახით შედის ეოკალურ კომპლექსებში, ჯგუფებში, შენაერთებში და შესაბამისად წარმოადგება ბგერითი ნაწილაკების სახით [j], [j], [i⁺y], [y], როგორც ეს არის სიტყვებში gaviota, jersey, limpiáis, tarraya, soslayo, yana, yo, ya და სხვ. იგი წარმოჩნდება რთულ ბგერათა სისტემაში; სადაც ესპანური ენის ეოკალურ შენაერთთა განსტოებული ქსელი იგულისხმება.

კვლავ ვუბრუნდებით უილიამ ვ. კრესის განმარტებას და დამატებით შევნიშნავთ, რომ, თუკი მის მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვით ვიმსჯელებთ, აეტორი მაინც აღიარებს იოტის სხვადასხვაობას წარმოთქმის თვალსაზრისით, რაც უფრო მეტად ღრმავდება გლაიდის „მარკირებული კონვენციულობისა“ და „ვარიაციულობის“ დიფერენციაციის ფონზე.

თ. ნავროს თომასის აზრით, **y**-ის მერყეობა წარმოთქმისას გამოწვეულია წარმოთქმის სიძლიერის მიხედვით მიღებული ლინგვო-პალატალური ნაპარალის სიდიდის ვარიირებით. აფექტური და ემფატიკური წარმოთქმის დროს ენა უფრო ზევით აიწევს სასისაყენ, რითაც ფრიკატული [y] გარდაიქმნება აფრიკატულ [j]-დ; შესუსტებული წარმოთქმა, პირიქით, იმდენად ზრდის ენასა და სასას შორის მანძილს, რომ [y] ზოგჯერ უფრო ხმოვნით ელვადობას იძენს, ვიდრე თანხმოვნისას. ცოცხალ მეტყველებაში ამ ორ ზღვარს შუა უპირადად ეარიანტი მოიპოვება, მაგრამ მისი გამართული წარმოთქმის დროს [y] ყველაზე ხშირად ფრიკატული თანხმოვნის სახით გვხვდება. ესპანური [y]-ის ნორმასთან მიახლოებული არტიკულაცია ოდნავ უფრო დახურულია, ვიდრე იმავე გერმანული ბგერისა სიტყვებში ja, jung, ან ფრანგულისა სიტყვებში — hier, piller, ინგლისურისა სიტყვებში — yes, young; დიფერენციაცია განსაკუთრებით შეიმჩნევა ლათინოამერიკელთა წარმოთქმაში — ისინი ayer, raya, mayo და მისთ. ტიპის ესპანურ სიტყვებში **y**-ს წარმოთქვამენ უფრო სუსტად და ლიად, ვიდრე იმავე ბგერას ესპანელები. ესპანური ფრიკატული [y] (ორთოგრაფიულად y ან hi) ჩვეულებრივ თავიკიდური მარცვლის ბგერათა ჯგუფში ჩნდება, თუკი იგი არ მოსდევს n ან l-ს; [y] ასევე ჩნდება სწრაფი მეტყველების დროს აბსოლუტურ თავიკიდურ პოზიციაში, განსაკუთრებით კი უმაღვილო მარცვალში: cayado, rayado, ayer, bueyes, hoye, saya1, ayuda, reyer-ta, la yema, la hierba, de hierro, mi yerno, hermano y hermana, yacimiento, yantar [3, გვ. 129 -131].



როგორც მრავალი მეცნიერი-ესპანისტი, თ. ნავარო თომასიც იოტ-კომპონენტის ფრიკატულობის ეგიდის ქვეშ თავს უყრის როგორც ორელემენტული ნი ვოკალური შენაერთების ელემენტს, ასევე სამელემენტოან ვოკალიზაციულ ჯგუფებში არსებულ ელემენტებსაც, მაგალითად, სიტყვებში *yacimiento, yantar*, აგრეთვე სიტყვებში *ayer, bueyes, hoyo, ayuda* და სხვ., რომლებიც, როგორც აღინიშნა, საკუთრივ ვოკალიზებული შენაერთების თვისებრიობიდან გამომდინარე, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუმცა, უდიდესი ექსპერიმენტული ტალანტისა და დახვეწილი ფონეტიკური ინტუიციის მქონე „ესპანური წარმოთქმის სახელმძღვანელოს“ ავტორი, ამავე დროს, გვთავაზობს შემოხსენებულ ორელემენტოან ვოკალურ შენაერთებსა და სამელემენტოან ვოკალიზებულ ჯგუფებს შორის არსებულ შუალედურ ვარიანტებს, რომლებიც *la yema, la hierba, de hierro, mi yerno* ტიპის ფონეტიკურ სიტყვათშერთვისას წარმოიქმნება; და იგი აზუსტებს, რომ მის მიერ შემოთავაზებული ფრიკატული [y]-ის შემცველი ვარიანტები სწორედ სწრაფი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი [3, გვ. 131]. ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა [y]-ის ინტერპრეტაციათა ვარიირებისას: ეს ბგერა წარმოდგეს ხან როგორც ფრიკატული თანხმოვანი, ხან კი როგორც ელემენტი, რომელიც შესაბამისი წარმოთქმის დროს ამ თანხმოვიდან ხმოვნისაკენ გადაინაცვლებს.

ცნობილია, რომ არ შეიძლება ხმოვანსა და თანხმოვანს შორის გადაულახავი ზღვრის გაღება. გ. რამიშვილი ხმათა ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებულ თავის ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ადასტურებს „სონორთა, განსაკუთრებით ნარნარათა“ ნათესაობას ხმოვნებთან, რაც ეფუძნება ამ ბგერების (ნარნარებისა და ხმოვნების) დიდ როლს ხმათა ამოცნობაში [12, გვ. 27].

ე. ალარკოს ლიორაკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „როგორც ფონოლოგიურად, ასევე ფონეტიკურად ვოკალური და კონსონანტური სისტემები სინამდვილეში ორ სეპარატულ სისტემას კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და საერთო განმასხვავებელი ნიშნებით ორგანიზებული სისტემებია. მაგალითად, ბგერა [y], რომელიც ფონეტიკურად თანხმოვანია, ფონოლოგიურად ფონემა /i/-ის მხოლოდ ვარიანტი შეიძლება იყოს (როგორც ეს არის გერმანულში), ესპანურში კი სხვადასხვა ფონემის სახით არსებულ /y/ და /i/-ს შეუძლიათ თავიანთი ოპოზიციის ნეიტრალიზაცია. ამდენად, მართალია, მოხერხებულობის თვალსაზრისით ჩვენ ე. წ. ვოკალური თავისებების შესწავლას კონსონანტური თავისებებისაგან გამოცალკევებით ვახდენთ, მაგრამ სინამდვილეში ორივე ეს ჯგუფი ერთი და იგივეა“ [6, გვ. 57]. თუმცა ამავე ავტორის მიერ შემოთავაზებული ესპანურ ფონემათა კლასიფიკაცია ხმოვნებად და თანხმოვნებად დაყოფის ტრადიციას ეთანხმება: ვოკალური ფონემები, რომელთაც თავისთავად, ცალკე ან ერთმანეთთან კომბინაციით შეუძლიათ სიტყვის ან მარცვლის წარმოქმნა — **a** (თანდებული), **he** (ხმნა), **y, o, u** (კავშირები), **ah, oi, huiá**; კონსონანტური (ყველა დანარჩენი) ფონემები, რომელთაც თავისთავად, ხმოვნის მონაწილეობის გარეშე არ შეუძლიათ სიტყვის ან მარცვლის წარმოქმნა [6, გვ. 145].

ბგერით ელემენტებში [ʔ], [l], [lʰ], [ʔ] რეალიზებული იოტ-კომპონენტი, ჩვენი აზრით, თანხმოვანსა და ხმოვანს შუა არსებულ იმ გარდამავალ „ბუფერულ“ ზონას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მათ შორის ძნელად შესაძრწევი ზღვარი წარმოიქმნება. ამიტომ შემოჩამოთვლილ მერყევ და გარდამავალ ელემენტთა კატეგორიული მიკუთვნება თანხმოვნურ-ბგერითი წარ-

შონაქმნებისათვის სრულებითაც არ არის გამართლებული, თუმცა ამავე ელემენტთა როლი ხშირად იტვირთება კონსონანტური ფუნქციებით.

იოტ-კომპონენტის ბუნება ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ესპანელ ლინგვისტთა უმეტესი ნაწილი [3; 6; 7; 9 და სხვ.], როგორც დავინახეთ, მას მიიჩნევს პალატალიზებულ მჟღერ თანხმოვნად, რომელიც ორი ფონეტიკური ვარიანტის სახით რეალიზდება: აფრიკატი [ɟ] *cónyuge, inyectar, con hierro* ტიპის სიტყვებში და ფრიკატული [y] *cayado, ayer, bueyes, hoyo* ტიპის სიტყვებში. ინტერვოკალურ პოზიციაში ჭარბობს ფრიკატული ვარიანტი, მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელია აფრიკატულიც, განსაკუთრებით კი ემფაზაში, მაგალითად, სიტყვაში *ayer*.

იოტის სტატუსთან დაკავშირებით დაახლოებით იმავე შეხედულებისაა ნ. კარპოვიც. იგი თვლის, რომ იოტი შუაენისმიერი სონანტია, რომელიც ყოველდღიურ ესპანურ მეტყველებაში ორი წარმოთქმითი ფორმით რეალიზდება: როგორც ნაპრალოვანი [j] და ხშული [y]. [j]-ის ნაპრალოვანი ელფერი გარკვეული სპეციფიკური თვისებით გამოირჩევა: „ზმოვნის შემდგომ პოზიციაში მას ძალზე ფართო ნაპრალი და რამდენადმე შესუსტებული არტიკულაცია აქვს, რამაც ზოგიერთ მეცნიერს საფუძველი მისცა, ნახევარზმოვნის ელფერი მიეკუთვნებინა მისთვის. თუმცა, მიუხედავად ფართო ნაპრალისა და შესუსტებული არტიკულაციისა, იგი არ კარგავს თანხმოვნითი ბგერის თვისებას“ [13, გვ. 74]. აქ იგულისხმება იოტ-კომპონენტი *soy, ley* ტიპის სიტყვებში.

როგორც ჩვენს ადრინდელ სტატიაში [1] აღვნიშნავდით, ესპანურ ენაში ორელემენტიანი ვოკალური კომპლექსების (ტრადიციული ფორმულებით — „დიფთონგების“) ფონემატური სტატუსის დადგენის თვალსაზრისით *ley, rey* ტიპის სიტყვები კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ. ამ კომპლექსთა ბიფონური მნიშვნელობის იდეის მომხრენი თავიანთ კონცეფციას იმით ასაბუთებენ, რომ არსებობს შესაძლებლობა ამავე შეერთებების ორ მეზობელ მარცვალთა მიხედვით განლაგებისა: *leyes, reyes* [le-yes], [re-yes]. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, „გაიკვეთება“ არა თავად ორელემენტიანი ვოკალური კომპლექსი *ey[ej]*, არამედ მხოლოდ მისი ბოლო ელემენტი [i]; სწორედ ეს ელემენტი ნაწილდება ორ მარცვალს შორის — [i^y] : [lei^yes], [rei^yes] [1, გვ. 337, 339]. იოტ-კომპონენტის შემცველ სამელემენტიანი ვოკალიზებული ჯგუფების შემთხვევაში, *mayo, playa* ტიპის სიტყვებში ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს და მარცვალთგასაყარი შემდეგ სახეს იღებს: [mai^yo], [plai^ya], თუმცა სიტყვებში *leyes* და *mayo* დერივაციული სურათი რამდენადმე განსხვავებულია. ორი ნაწილაკისაგან — [i^y] — შემდგარი ბგერითი ელემენტი ელემენტარული /^y/ ერთეულის რეალიზაციას განეკუთვნება, რაც რთული ვოკალური შენაერთებისთვისაა დამახასიათებელი.

ფონეტიკურ სურათში, სადაც „ნახევარზმოვნათა“ ფონოლოგიური პრობლემა იჩენს თავს, ი. მელჩუკი ფრიკატულ და აფრიკატულ იოტს ბგერათა I რიგში შემდეგ ადგილს მიაკუთვნებს „თანხმოვნობის“ ზრდის მიხედვით:

1. [i] [pino] pino
2. [i] [baile] baile
3. [j] [bien] bien
4. [j] [hierba, playa] hierba, [plája] playa
5. [ɟ] [cónyuge, hierba] cónyuge, [ɟierba] hierba

(სასაუბრო-ხალხური და დიალექტური წარმოთქმა).



იგი ბგერებს [j] და [d̥] თანხმოვნებად თვლის: [j] — პალატალიზებული ფრიკატივად და [d̥] — აფრიკატთან მიხსლოებულ იმავე ფრიკატივთან თავკიდურ კონსონანტურ ელემენტთან ერთად. „ნახევარხმოვანი“ [i] და „ნახევართანხმოვანი“ [j] ორ შუალედურ საფეხურს შეადგენენ აშკარა ხმოვნიდან [i] აშკარა თანხმოვანამდე [j]. ორი უკანასკნელი ბგერის (იხ. სქემაში 4 და 5) ფონემურ კუთვნილებასთან დაკავშირებით ავტორი თანხმოვნითი ფონემის [j] და მისი ვარიანტების — ფრიკატული [j] და აფრიკატული [d̥] — სასარგებლოდ მსჯელობს. რაც შეეხება ბგერებს [i] და [j], იგი მათ სპეციალურად გამოყოფილ არახმოვნით და არათანხმოვნით /j/ ფონემა-გლაიდს მიაკუთვნებს [14, გვ. 92—94, 101].

მელჩუის ესპანურ ვოკალიზებულ შენაერთებში არსებულ „ნახევარხმოვანთა“ და იოტ-ელემენტთან არაორდინალურ გააზრებას, ჩვენი მხრივ, შემდეგს დავუმატებდით: საკვლევი ბგერითი ელემენტები [i], [d̥], [iʲ], [j], რომლებიც გარკვეულწილად ამავე ავტორის მიერ ზემოთ მოყვანილი ბგერების ანალოგიურია, წარმოადგენენ არა საკუთრივ სრულ ბგერებს, არამედ ერთი ბგერითი კომპლექსის, ჯგუფისა ან შენაერთის ბგერით ნაწილაკებს. ან ბგერით ელემენტებს ვერ მივაკუთვნებთ ცალკეულ ფონემებს ან ფონემა /i/-ის ვარიანტებს; ისინი ქმნიან /j/ ელემენტალურ ერთეულს, რომელიც ვოკალურ კომპლექსებსა და ხმოვანთმერთვაში არსებული სრული ფონემის შედგენილობაში შედის, ან იმ ფონემის შემადგენელია, რომელიც თავის მხრივ სამელემენტიანი ვოკალიზებული ჯგუფებისა და სხვა ვოკალური შენაერთების ნაწილს წარმოადგენს.

იოტ-კომპონენტის აბსოლუტური დახასიათებისას არ უნდა დაგვავიწყდეს მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი შეფარდებითი თვისებები: სხვა ბგერებთან შეთანხმება, მეზობელი ხმოვნების თვისებრიობაზე გავლენა, მარცვალთგასაყარის სიგნალიზაციის უნარი და მისთ. იოტის გამოჩენა სხვადასხვა სახის ვოკალიზებულ შენაერთებში მიუთითებს სილაბური ზღვრულობის არსებობაზე მის გარშემო; სილაბური ზღვრულობის ზუსტი ადგილმდებარეობა უკვე ამის შემდგომ დგინდება, რაც დამოკიდებულია საკუთრივ ვოკალიზებული შენაერთების, მისი ცალკეული ელემენტებისა და მასთან არსებული ბგერითი ნაწილაკების ფონეტიკურ დახასიათებაზე. მახვილის განაწილება, როგორც აღინიშნა, საბოლოო წერტილს სვამს იოტ-კომპონენტთან ესპანურ სიტყვებში სილაბური ზღვრულობის დადგენისას.

ლიტერატურა

1. ნ. ცქიტიშვილი, ვოკალიზებული კომპლექსების შემცველი ესპანური სიტყვების აქცენტოლოგიური სტრუქტურა, ენობრივ მოვლენათა ანალიზის, ისტორიისა და სწავლების მეთოდის საკითხები, თბ., 1987.
2. Цкитишвили Н. В. Трехэлементные вокальные комплексы в испанском слове: акцентное распределение, Сборник научных трудов МГИИЯ им. М. Тореца, вып. 342, М., 1989.
3. Navarro Tomás T., Manual de pronunciación española, Duodécima edición, La Habana, 1966.
4. Реформатский А. А., Фонемы йот и <и> в русском языке, Фонологические этюды, М., 1975.
5. Степанов Ю. С., Основы общего языкознания, М., 1975.
6. Alarcos Llorach E., Fonología española, Madrid, 1976.

7. Álvarez Henaó L. E., Fonética y fonología del español, Primera edición, Bogotá, 1977.
8. Бондарко Л. В., Звуковой строй современного русского языка, М., 1977.
9. Quilis A., Fernández J. A., Curso de fonética y fonología españolas, Novena edición, Madrid, 1979.
10. Шерба Л. В., Теория русского письма, Избранные работы по русскому языку, М., 1957.
11. Cressey W. W., Absolute Neutralization on the Phonemic Glide-versus-Vowel Contrast in Spanish, Contemporary Studies in Romance Linguistics, Washington, 1978.
12. ჯ. რამიშვილი, სამეტყველო სიგნალი და ხმის ინდივიდუალობა, თბ., 1976.
13. Карпов Н. П., Фонетика испанского языка, М., 1969.
14. Мельчук И. А., О фонологической трактовке «полугласных» в испанском языке, ВЯ, 1965, № 4.

Н. В. ЦКИТИШВИЛИ

К ВОПРОСУ СИЛЛАБИЧЕСКИХ ГРАНИЦ В ИСПАНСКОМ СЛОВЕ С ЙОТ-КОМПОНЕНТОМ

Резюме

Исследуются испанские внутренние вокализованные группы в слогах типа *pauo*, *pluo*. Устанавливается роль йот-компонента в сигнализации слоговых границ, его фонетические реализации и фонематический статус в сложных двух-, трех- и многоэлементных вокальных соединениях. Вводится понятие элементарной единицы, соответствующей данному переходному компоненту, реализующемуся в виде двух звуковых элементарных частиц.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე სპეციალობის კათედრა
წარმოადგინა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
თ. გამყრელიძემ

ზ რ ი ბ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ მ

 დ ი ა ლ ე კ ტ უ რ ი ი ზ ო გ ლ ო ს ბ ი დ ა ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა
 (ა ნ ა ლ ი ზ ი ბ ა ს კ უ რ ი თ ე მ ა ტ უ რ ი ჭ გ უ ფ ის ა კ ო კ ო რ „ ე ე ლ ი “ დ ა ს ხ ე .)

წინამდებარე სტატიაში საკითხის შემდგომი დაზუსტების მიზნით კვლავ ვუბრუნდებით თემას, რომელსაც განვიხილავდით ჩვენს საკანდიდატო დისერტაციასა¹ და ერთ-ერთ წინარე პუბლიკაციაში²; ამ უკანასკნელს თავის დროზე ყურადღება მიაქცია თანამედროვე ბასკოლოგიის ერთ-ერთმა დიდმა წარმომადგენელმა, აწ გარდაცვლილმა ლუის მიჩელენამ³.

სათანადო მასალის დამუშავებისას ჩვენ, როგორც ყოველთვის, ვეყრდნობით ბასკური ენის დიალექტების ასკუესეულ კლასიფიკაციას, სადაც შესაბამისი შემოკლებანი მიუთითებენ: ბისკ. — ბისკაიურ დიალექტზე, გიპ. — გიპუსკოურზე, ზნავ. — ზემონავარულზე, ლაბ. — ლაბურდულზე, სულ. — სულეტურზე, რონ. — რონკალურსა და ქნავ. — ქვემონავარულ დიალექტზე.

დიალექტთა მიხედვით ბასკურ ენაში ყელის აღმნიშვნელი შემდეგი სახელები იძებნება: **სინცურ** (გიპ. ზნავ., სულ., რონ.), **სინსურ** (ქნავ.), **ესტარრი** (ბისკ. რონ.), **კოკორ** (ლაბ. რონ.). ამდენად, ბასკური დიალექტებიდან ოთხში ფიქსირდება იზომორფული ლექსემები (**სინცურ**), მეხუთეში — მისი ფონეტიკური ვარიანტი (**სინსურ**), შეექვესეში (ბისკ.) — ალომორფი (**ესტარრი**), რომელიც თავს იჩენს მეორე (აღმოსავლურ) განაპირა დიალექტურ რეგიონშიც, მეშვიდე დიალექტში (ლაბ.) კი ჩნდება კიდევ ერთი ალომორფი (**კოკორ**). ეს უკანასკნელი, **ესტარრი**-ს მსგავსად, ასევე გვხვდება აღმოსავლურ განაპირა რეგიონში, კერძოდ, რონკალის ხეობაში. სწორედ რონკალურ დიალექტში იყრის თავს ამ ლექსიკური ერთეულის სამი ძირითადი ვარიანტი: **სინცურ**, **ესტარრი** და **კოკორ**. ასკუეს ლექსიკონში⁴ ცალკე ლექსიკოგრაფიული ერთეული სახით არის მოცემული **სუნცურ** „ხვანჩი, ჩიჩხავი“; ასე რომ, შეგვიძლია ელაპარაკით ყელის აღმნიშვნელ კიდევ ერთ სულეტურ ვარიანტზე — **სუნცურ**, რომელიც ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი უმლაუტირებული (უ)-თია წარმოდგენილი. რონკალურში ბისკ. **ესტარრი**-სა და ლაბ. **კოკორ**-ის არსებობა (ძირითად **სინცურ**-თან ერთად) მიუთითებს დიალექტური არეალის განაპირა მხარეთა არქაიზაციის იმ კანონზე, რომელიც ერთობ ცნობილია ლინგვისტურ გეოგრაფიაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბისკ. **ესტარრი** და ლაბ. **კოკორ** უფრო არქაულია საერთობასკურ **სინცურ**-თან შედარებით: შდრ., ერთი მხრივ, ბასკური ენის ბისკაიური დიალექტის (როგორც ყველაზე განაპირა დასავლურისა) საყოველთაოდ ცნობილი არქაულობა, მეორე მხრივ კი, ამ დიალექტის აღმოსავლური ანტიპოდის — რონკალური დიალექტის ასევე აღიარებული არქაულობა (თუმცა ბისკაიურთან შედარებით ნაკლები), რაც თანაბრად ვრცელდება სულეტურ (აღმოსავლურ)

¹ ზ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, დიალექტური ვარიანტების აღწერა და ბასკური ენის კორპორალური ლექსიკის ეტიმოლოგიზაციის საკითხები, თბ., 1986.

² ზ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ბასკ. **კოკორ** „ყელი“ და მცენარეთა რამდენიმე ტერმინი ბასკურსა და ქართულში (ესპ. ენაზე), ჟურნალში „ეუშკერა“ (ბილბაო), XXII, 1977.

³ შ. კინტანას პირადი წერილი ჩემდამი (15. XII—1977).

⁴ რ. მ. დ ე ა ს კ ე უ, ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ლექსიკონი, ტტ. I—II, ბილბაო, 1905—1906.



დიალექტზეც. ყოველივე ამას მოცემულ შემთხვევაში მხარს უმაგრებს იმავე ორი, ჩვენი აზრით, ძველი სახელწოდების (**ესტარი, კოკორ**) არსებობა რუხეკალურში, სადაც კუთვნილი ადგილის დაკავება უკვე მოასწრო ახალმა სახელწოდებამ **სინცურ-მატ**. შევნიშნავთ, რომ ბისკ. **ესტარი** გადალახავს ბისკაიურის საზღვრებს და გიბუსკოურსა და ზემონავარულშიც გადადის, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ბისკაიურის მასალასთან დაკავშირებით.

ზემოთ წარმოდგენილი ისტორიულ-ეტიმოლოგიური თუ დიალექტური ხასიათის სურათიდან პირადად ჩვენ სხვა დასკვნების გამოტანა ჯერჯერობით არ ძალგვიძს. თუმცა ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევისათვის სასებთი საკმარისი უნდა იყოს ის დასკვნა, რომელზეც ახლახანს მიაქციეთ მკითხველის ყურადღება.

ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფ. ი. ზიცარი ბასკ. **სინცურ-თან** დაკავშირებით გეთავაზობს მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას — „კაკალი“ (შდრ. ბასკ. **ინჩაურ, ინცაურ** „კაკალი“). მუსიკა თავის ლექსიკონში ბასკ. **სინცურ-სა** და **ინჩაურ-ს** წარმოდგენს მნიშვნელობით „(ადამიანი) დიდი ყელით“, შდრ. ესპ. **ლა ნუეს (დე ადან)** „ხვანჩი, ჩიჩახვი, ხორხის მალღობი“, სიტყვა-სიტყვით „(ადამის) კაკალი, თხილი“, რომელსაც უერთდება ფრანგ. **ლა პომ დ'ადამ** სიტყვასიტყვით „ადამისული ვაშლი“. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება სიტყვის სემანტიკური გადაწევა-გაფართოების ნიმუში ბასკურში: ბასკ. **ბეგი** „თვალი“ და ბასკ. **მუსხუზ, აპო** „პირი“ ამავე დროს ჩვეულებრივ გამოიყენება სახის აღსანიშნავად. ასევე შეიძლება დავეუშვათ ზემოთ წარმოდგენილი ხვანჩის, ჩიჩახვის აღმნიშვნელი ტერმინის გამოყენება ყელის აღსანიშნად. ე. ი. მამაკაცის ყელის შედარებით შესამჩნევი ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვას შემდგომში თავისუფლად შეეძლო მთლიანად ყელის მნიშვნელობაც მიეღო.

ზუსტად ასევე სულეტურში კომპოზიტი **სუნცურ-ორაპილლა** „ხვანჩი, ჩიჩახვი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყელის ხლართს, კვანძს, ყელის კაკლის ან თხილის გულს, გამსხვილებას“, რადგანაც **სუნცურ** არის „ყელი“, ხოლო (**გო-რაპილლა**, ასკუეს მიხედვით, აღნიშნავს „ხლართს, კვანძს“, რომელიც უნდა მომდინარეობდეს რეკონსტრუქტიდან ***გორ, გურ** „ბურთულა, წრე“ + **პილ, პილ** „ბურთულა, წრე“ (შდრ. ბასკ. **გურ-ბილ, ბირ-ბილ** „ბორბალი“ და ქართ. **ბორბალი**, ან თუნდაც ბასკ. **გურ-დი** „ოთხთვალა, საზიდავი“, სიტყვასიტყვით - ეტლ“) (ი. ზიცარი). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ წარმოდგენილ ეტიმოლოგიას **სინცურ-ისათვის** (წმინდა სემანტიკური ასპექტით), მეორე მხრივ კი, შემდეგ საკითხს წამოსწევს წინ: რამდენად შესაძლებელია თხილის ან კაკლის აღმნიშვნელმა სიტყვამ (**სინცურ**) იტვირთოს ყელის მნიშვნელობა და შემდგომ შეერთოს სიტყვას **ორაპილლა**, ასევე თხილისა და კაკლის აღმნიშვნელს, რათა ხვანჩის, ჩიჩახვის სახელდებისათვის კვლავ წარმოიშვას კომპოზიტი ტიპისა „ყელის კაკალი, თხილი“? ი. ზიცარი თავის მონოგრაფიაში „რეკონსტრუქციები ბასკური ენის სფეროში“ (თბ., 1988) ამგვარი კვლე-

5 ბასკ. **მუსხუ** ფონეტიკურად შეიცავს ე. წ. ალვეოლარულ-დენტალურ სპირანტს, მიხედვლად შიშინა სპირანტთან [შ], რომელიც ბასკურში ორთოგრაფიულად ლათინური **ეს**-ით გამოისახება, კბილისმიერი სპირანტი [ს] კი ლათინური **ჟეტ**-ით. ამიტომ ამთავან პირველის ქართული ტრანსკრიფციით წარმოდგენისას მივმართავთ ნიშანს — ს₂ (შდრ. **სინცურ** „ყელი“ და **მუსხუ** „პირი“). სწორედ ეს ალვეოლარულ-კბილისმიერი [ს₂] ედება საფუძვლად ე. წ. პრეალვეოლარულ-ალვეოლარულ აფრიკატ [ც]-ს (მიხედვლად ალვეოლარულ აფრიკატთან [ჩ]), რომელიც ბასკურში ორთოგრაფიულად გამოისახება ლათინური **ტი+მს**-ით — ქართული ტრანსკრიფციით — ც: შესაბამისად კბილისმიერი [ს] ეფუძნება პრეალვეოლარულ აფრიკატ [ც]-ს და ბასკურში იგი ორთოგრაფიულად გამოისახება ლათინური **ტი+ჟეტ**-ით — ქართული ტრანსკრიფციით — ც: შდრ. ბასკური **სინცურ** „ყელი“ და ბასკური კოკოც „ნიკაპი“. ამ უკანასკნელს ჩვენ ქვემოთ შევხვდებით.



წარმოქმნილი კომპოზიტური სტრუქტურის თვალსაზრისით ბასკური ენის მასალაზე დაყრდნობით უხვ მასალას წარმოადგენს და თვლის, რომ ეს მასალა სასწაულებოა ხანგრძლივობისა უნდა იყოს.

სინცურ-ისაგან განსხვავებით, ბისკ. **ესტარი**, რამდენადაც ეს ჩვენთვის არის ცნობილი, საერთოდ არ ექვემდებარება არანაირ ეტიმოლოგიზაციას, იგი აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა და მიუდგომელია ამ მხრივ. ეს გარემოება საესებით ეთანხმება ჩვენ მიერ ზემოთ მიღებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ ბისკ. **ესტარი** შედარებით უფრო ძველი ტერმინი უნდა იყოს, ვიდრე **სინცურ**.

ასევე მიუდგომელია ეტიმოლოგიურად ბასკ. **კოკორ** „ყელი“, რომელიც, ჩვენი აზრით (იხ. ზემოთ), აგრეთვე შედარებით ძველია, ვიდრე **სინცურ**. თუმცა ვფიქრობთ, რომ **სინცურ**-ის წარმოდგენილი ეტიმოლოგია გარკვეულწილად შესაძლებლობას იძლევა, გზა გავიკვლიოთ **კოკორ**-ის ეტიმოლოგიზაციისას. მართლაც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, **კოკორ**-ის ეტიმოლოგიური ძიება **სინცურ**-ის ეტიმოლოგიაზე გავლით იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ეს ტერმინი (**კოკორ**) მცენარეული სამყაროს კუთვნილებდა, საიდანაც ჩნდება ანალოგიური ვარაუდი ტერმინის წარმოშობაზე.

ახლა შევეხებით თავად ამ ტერმინს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბასკ. **კოკორ** „ყელი“ უპირველესად ქართ. კაკალს გვაგონებს, ისევე როგორც ბასკ. **ჩინაურ** „ყელი“ (დაკულტატური ვარიანტი) და ბასკ. **ინჩაურ** „კაკალი, თხილი“ (თავისი [ა] ხმოვნით) გვაგონებს ქართ. ხეანხს, ჩიჩახვს, ჩინჩაყვს. ამასთან დაკავშირებით საკუთრივ ბასკურში პირველ ყოვლისა საინტერესოდ გვესახება ბასკ. **კოკოც** (იხ. შენიშვნა 5), რომელიც უპირატესად გაგრცელებულია მნიშვნელობით „ნიკაპი“ (მას ასევე აქვს მნიშვნელობები: „სახის წინ წამოწეული ნაწილი“, „ქვედა ტუჩი“, „ცხვირ-პირი ნიკაპთან ერთად“, შდრ. ესპ. **ოსიკო** „ცხვირპირი, სიფათი“). **კოკოც**-ის რიგშია ბასკ. **ოკოც** „ნიკაპი“, ბასკ. **ოკოცილ** „წვერი“, სიტყვასიტყვით „ნიკაპის თმა“, ბასკ. **კოკონა** „თევზ მერლანის ნიკაპი“ და ა. შ. ამ მნიშვნელობათა გათვალისწინებით ბასკ. **კოკოც**-ისა და ბასკ. **კოკორ**-ის ურთიერთკავშირი აშკარაა; ფორმალურად კი [ც] და [კ] შეიძლება განვიხილოთ, როგორც გაქვავებული სუფიქსი, რომლის წინაც აპოვარდა ძირისეული [რ] — ეს უკანასკნელი შემოინახა უსუფიქსო ფორმამ **კოკორ** (ე. ი. **კოკოც** < ***კოკორ-ც**). კავშირი ამ ორ მნიშვნელობას შორის — „ყელი“ და „ნიკაპი“ — აღსანიშნ ობიექტთა მეზობლობის, მომიჯნავეობის შედეგად მიღებული სემანტიკური გადაწევის (მეტრონომის) პლანში ადვილად გაიპარება. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორივე მნიშვნელობის საფუძველში უფრო მეტაფორა ძევს, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელობასთან მიეყვართ — „პატარა მრგვალი საგანი, რაღაცის თავი“.

ორივე ხსენებულ საკუთარ მნიშვნელობათა გარდა, ბასკ. **კოკოც** სულეტურსა და რონკალურში კოკრისა და ყვავილის ჯამის აღმნიშვნელიცაა, ხოლო ბასკ. **კოკორ**, „ყელის“ გარდა, „მწვერვალსაც“ აღნიშნავს, მაგალითად, **მენდი კოკორრა** ასკუესთან განმარტებულია როგორც „მთის წვერი“. ისმის კითხვა: რის საფუძველზე შეიძლება და გაერთიანებულყო იმგვარი ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობანი, როგორიცაა „ყელი“ და „მწვერვალი“ ან „ნიკაპი“ და „კოკორი“? არადა, ისინი ერთიან ლექსემათა შემადგენლობაში აშკარად არიან გაერთიანებულნი, რაზეც თუნდაც შესაბამისი სიტყვა-სტატიები მიუთითებენ.

უფრო მეტიც, **კოკოც**-ის სემანტიკაში წარმოჩნდება სხვა მნიშვნელობებიც, — ერთი მხრივ, „კომპოსტოს თავი“ და „თავი“, მეორე მხრივ, „ბადის უჭრედი“ და „ხორბლის საფქვავე ქვის ზვიმირის ზერელი ან ყელი“. როგორ

შეიძლება აიხსნას ყველა ამ მნიშვნელობათა ერთიან კომპლექსში თავმოყრის ფაქტი? რომელია მათ შორის ამოსავალი?

ჩვენი აზრით, ისეთ მნიშვნელობათა გაერთიანებას, როგორცაა „ნიკიტინური კომპოსტის თავი“ — „თავი“, ან „თავი“ — „კოკორი“ — „კვირტი“, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოეძებნოს ახსნა, თუკი დავუშვებთ, რომ ამოსავალი, პირველადი მნიშვნელობა აქ იყო „პატარა მრგვალი საგანი, შვერილი, ხორკლი, ბორცვი, რაღაცის თავი“ (მაგალითად, მცენარისა).

ამ მნიშვნელობის საფუძველზე წარმოქმნილ რონკალურ და სულეტურ მნიშვნელობებს — „კოკორი“ და „ყვავილის ჯამი“ — თავის მხრივ შეეძლო მოეცა ისეთი მნიშვნელობებიც, როგორცაა „ბადის უჯრედი“ და „ხეიძარის ყელი ან ხერელი“; საქმე ისაა, რომ მნიშვნელობა „კოკორი“, განსაკუთრებით კი „ყვავილის ჯამი“, თავისთავად შეიცავს შესაძლებლობას, განვითარდეს არა მხოლოდ წამონახარდის, შვერილის მიმართებით (მღრ. „ხორკლი, ბორცვი, წვერი, შვერილი“ და ა. შ.), არამედ საპირისპიროდაც: „ორმო, ჩაღრმავება, ხვრელი, ნასვრეტი, ღრმული, ფოსო, უჯრედი“ (მნიშვნელობა „ყვავილის ჯამი“ სწორედ ყვავილის გარკვეული ნაწილის ფსკერსა და კედლებს გულისხმობს). ყოველივე ეს შეეხება საკუთრივ ბასკ. კოკოც-ს, რომლის სემანტიკური განვითარების გზა პირადად ჩვენ ამგვარად გვესახება.

კოკოც-ისა და მისი მრავალრიცხოვანი მნიშვნელობებისაგან განსხვავებით, ბასკ. კოკორ მხოლოდ ორი მნიშვნელობის მატარებელია — „ყელი“ და „მწვერვალი“. მაგრამ, თავისთავად, განსხვავება ამ ორ მნიშვნელობას შორის იმდენად დიდია, რომ მათი ერთი ლექსემის ფარგლებში სემანტიკური გაერთიანების სათანადო გააზრებისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ ერთდროულად ორ ურთიერთდაკავშირებულ დაშვებას: მნიშვნელობა „ყელი“, შუალედური მნიშვნელობის „ხვანჩი, ჩიჩახვი“, აუცილებელი გათვალისწინებით, ეტიმოლოგიურად უნდა მომდინარეობდეს მნიშვნელობიდან „კაკალი, ვაშლი“, ამ ორი უკანასკნელის (შუალედური „ხვანჩი, ჩიჩახვი“ და „კაკალი, ვაშლი“) მსგავსების საფუძველზე. თავის მხრივ, „კაკალი, ვაშლი“, ისევე როგორც „(მთის) მწვერვალი“, გაჩნდა მესამე მნიშვნელობის გავლენით — „პატარა მრგვალი საგანი, რაღაცის თავი“; ანუ ლაპარაკია სწორედ იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც, ჩვენი აზრით, ეფუძნება ბასკური კომპლექსი კოკორ (რაც შეეხება მნიშვნელობას „კაკალი“ ან „ვაშლი“, ამ უკანასკნელ რეკონსტრუქციაში საბოლოოდ თამაშობს იმავე შუალედურ როლს, როგორსაც „ყვავილის ჯამი“ წინარე შემოთავაზებულ ეტიმოლოგიაში კოკოც-ისათვის).

ამრიგად, თუკი ეს სემანტიკური რეკონსტრუქცია მისაღებია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ორ იმგვარ ბასკურ სიტყვაზე (კოკორ და კოკოც), რომელთაც ერთი ამოსავალი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აქვთ — ეს არის „რაღაცის თავი“, და რომელთაც დღევანდელი მნიშვნელობები შუალედური, ე. წ. ეტაპობრივი განვითარების გზით აქვთ მიღებული — ერთ შემთხვევაში შუალედური „კაკალი, თხილი“ ან „ვაშლი“ და მეორე შემთხვევაში კი „კოკორი“ (ეს უკანასკნელი ბასკ. კოკოც-ს დღემდე შემორჩა).

ბასკ. კოკოც „კოკორი“ ყოველგვარი წინასწარი სარეკონსტრუქციო სამუშაოების გარეშე შეიძლება შევადაროთ ქართ. კუკურს, კოკორს იმავე მნიშვნელობით — „გაუხსნელი კოკორი, კვირტი“. თუკი, როგორც ზემოთ დავუშვით ბასკ. კოკოც მომდინარეობს კოკორც ფორმიდან, მაშინ ბევრობრივი განსხვავება ამ ბასკურსა და ქართულ სიტყვებს შორის თითქმის ნოლამდე დაიყვანება. ბასკ. კოკორ თავისი შუალედური მნიშვნელობით „კაკალი, თხილი“ მსგავსებას იჩენს ქართ. კაკლთან, სადაც [ლ] და [რ]-ს მონაცვლეობა ჩვეულებრივია როგორც ბასკურისათვის, ასევე ქართულისათვისაც, ხოლო

ვოკალიზმი [ო]—[ო], ერთი მხრივ, და [ა]—[ა], მეორე მხრივ, აღრინდელი/ ასიმილაციის შედეგი უნდა იყოს.

ბასკური კომპლექსი **კოკოცე** ჩვენთვის საინტერესო ორ მნიშვნელობაშია: აერთიანებს — „კაკალი“ და „კვირტი, კოკორი“. სწორედ ამ მხრივ იქცევა ყურადღებას თვით ქართული კოკორი და კაკალიც, მათი სემანტიკური თუ ლინგვიკური მსგავსება.

დამოუკიდებლად ყოველივე ამისა, ჩვენ ასევე შეგვიძლია შევედაროთ ერთმანეთს ბასკ. **ჩინაურ** „ყელი“, „ხვანჩი, ჩინახვი“ და ქართ. ჩინახვი, ჩინჩაყვი, ხვანჩი (ქათმის, ადამიანის დიდი წამონახარდი ყელზე). ბასკ. **სინცურ**, როგორც ი. ზიცარი ვარაუდობს, მომდინარეობს მნიშვნელობიდან „კაკალი, თხილი“ (შდრ. ბასკ. **ინჩაურ** „კაკალი“, სადაც გვაქვს [ა], როგორც ქართ. ჩინჩაყვიში). ქართ. ჩინჩაყვის შემთხვევაში ამგვარი ფორმალური დაკავშირება (კაკალთან) არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ჯერ ერთი, ქართულში შეიძლება ჩინჩახვის, ჩინჩაყვისა და ჩიყვის სემანტიკური დაკავშირება კაკალთან, თხილთან; მეორეც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბასკ. **კოკორ**-ში ასევე ივარაუდება „ყელისა“ და „კაკლის, თხილის“ მნიშვნელობათა კავშირი, რასაც ქართულში არსებული „კაკალი“ თავის მხრივ უმაგრებს მხარს.

დაბოლოს, აქ განხილულ საკუთრივ ბასკურ დიალექტურ მასალასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ბასკ. **კოკორ** „ყელი“ და **სინცურ** „ყელი“, რომლებიც მნიშვნელობიდან „კაკალი“ უნდა მომდინარეობდნენ, უფრო აღრინდელი სახელწოდებებია, რასაც ჩვენ ვერ ვიტყვით ბასკ. **ესტარრი**-ზე „ყელი“. ამ მხრივ ბასკური ლინგვისტური გეოგრაფიის ზოგიერთი ფაქტის გათვალისწინებით საინტერესო სურათი იხატება: ვანაპირა არეალები, არეალური ლინგვისტიკის კანონების თანახმად, არქაული უნდა იყოს — და ხშირ შემთხვევაში ბისკაიური და რონკალური დიალექტები ბასკურში ასეთად წარმოდგებიან კიდევ; მაგრამ ეს დიალექტები სწორედ შედარებით ახალ **ესტარრი**-ს იცნობენ, მაშინ როდესაც ცენტრალურ დიალექტურ არეალში გვხვდება **სინცურ** (გია., ზნავ., ქნავ.) და **კოკორ** (გია. და სულ.)-თუმცაღა რონკალურში ეს ორი სახელწოდება **ესტარრი**-სთან ერთად არის გავრცელებული.

Г. И. ЧАНТЛАДЗЕ

ДИАЛЕКТНЫЕ ИЗОГЛОССЫ И ЭТИМОЛОГИЯ

(анализ баскской тематической группы *kokog* «горло» и т. п.)

Резюме

В работе проанализированы все изоморфные и алломорфные варианты баскских обозначений горла, дается исчерпывающая историко-этимологическая и диалектная картина тех же баскских терминов. При этимологической разработке данной баскской тематической группы также привлекается соответствующий материал грузинского языка.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეტიმოლოგია შ. შიშიგურმა

პუბლიკაცია

ბიოგრაფიული ახვლედიანის წერილები სოლომონ იორდანიშვილს

წინასიტყვაობა და შენიშვნები ლალი იორდანიშვილისა

სოლომონ იორდანიშვილის არქივში დაცულია პროფ. გიორგი ახვლედიანის წერილები. მათში წარმორჩენილია რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა-დამუშავებისას გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის თანამშრომლობა სამი წლის მანძილზე (1928 წლის მარტიდან — 1931 წ. ივნისამდე)².

ეს წერილები საინტერესო ინფორმაციის შემცველია. აქ გაშუქებულია არა მარტო ის პროფესიული საქმიანობა, რასაც ბატონი გიორგი და სოლომონი ეწეოდნენ აღნიშნული ლექსიკონის შედგენისას, არამედ მათი მოღვაწეობა საზოგადოებრივ სარბიელზედაც. წერილებით შესაძლებელი ხდება მათი ბიოგრაფიების ზოგი საინტერესო მომენტის აღდგენა, მაგალითად, ბატონი გიორგის მონაწილეობა ორიენტალისტთა მსოფლიო და სკავშირო კონგრესებში (ოქსფორდი 1928 წ., ხარკოვი 1929 წ.). წერილებშივე ასახულია იმდროინდელი უნივერსიტეტის ცხოვრება, მისი როგორც განხილვა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, ანდრია რაზმაძის გარდაცვალება, საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის შემადგენლობის ახალი წევრებით შევსება 1930-იან წლებში და მისთანები.

სოლომონ იორდანიშვილი ბ-ნი გიორგის მოწაფე გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით გაიარა საასპირანტო კურსი ენათმეცნიერების დარგში. მისი დახმარებით შეისწავლა ძველი ინდური (სანსკრიტი) ენა. გ. ახვლედიანი ასე მოიხსენიებს სოლომონს: „უღროდ გარდაცვალებული ჩემი ყოფილი მოწაფე სოლომონ იორდანიშვილი შესანიშნავი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ლექსიკოლოგი“ (გ. ლეონიძის „საიუბილეო კრებული“, 1970, გვ. 220).

1933 წ. პროფესორების გ. ახვლედიანისა და ეუკოლ ბერიძის წარდგენით სოლომონ იორდანიშვილს მიენიჭა დოცენტის წოდება, მათივე ოპონენტობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1945 წ.

თავდაპირველად რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის იდეა შემდეგი გარემოებით ყოფილა განპირობებული. 1928 წ. გამოცემლობა „ქართული წიგნს“ დაუგეგმავს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ გამოცემა პროფ. ა. შანიძის რედაქტორობით. სატერმინოლოგიო კომიტეტის ლიდი ხნის მესვეურებს³ გ. ახვლედიანს, აკ. შანიძეს, ს. ყაუხჩიშვილსა და პაველ ინგოროვს აზრად მოსვლიათ, შეედგინათ ამ ქართული სიტყვის სავანძლის რუსული საძიებელი, რომელიც ერთი-ორად გაზრდიდა მის პრაქტიკულ ლიტერატურებს, განსაკუთრებით სატერმინოლოგიო მუშაობისათვის. ამისათვის გადაუწყვეტიათ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვების ვადათარგმნა რუსულ ენაზე და დალაგება რუსულ ანბანზე. ამგვარად შედგენილი ლექსიკონი ცალკე წიგნად უნდა დართოდა საბას ლექსიკონს.

გამომცემლობა „ქართული წიგნის“ ხელმძღვანელობას ამ ლექსიკონის შედგენა გ. ახვლედიანისათვის მიუხდვია და ხელშეკრულებაც გაუფორმებია. ბ-ნი გიორგის თავის მხრივ თანამშრომლად ს. იორდანიშვილი შეურჩევია. ამის თაობაზე 1928 წლის 3 მარტით დათარიღებული წერილით გ. ახვლედიანი სოლომონს სოფ. ფშაველში (თელავის რაიონი) ატყობინებს.

როგორც ბ-ნი გიორგის წერილშია აღნიშნული, რუსულ-ქართული ლექსიკონის დამუშავების ვადა გამოცემლობას ექვსი თვით განუსაზღვრავს (ლექსიკონი უნდა ჩაბარდეს ივლისის დამლევს). დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ამ სამუშაოს შესრულება მეტად დაძაბულ შრომას მოითხოვდა. ამიტომ არის, რომ სოლომონთან გაგზავნილ წერილებში გ. ახვლედიანი შიშს გამოთქვამს ლექსიკონის გამოცემის მოსალოდნელი დაგვიანების გამო.

პროფესიული რჩევა-დარიგების გარდა, ლექსიკონს რომ შეეხება, წერილები აღსავსებია იმ გულისხმიერებითა და ზრუნვით, რაც ესოდენ ახასიათებდა ბ-ნი გიორგის თავის მოწაფეებთან და უმცროს კოლეგებთან ურთიერთობისას.

I

3.III.28

გამარჯობათ, ძვირფასო სოლომონ

გუშინ მოვაწერე ხელი პირობას, რომელიც ჩვენ გავაულებს ჩაებაროთ ლექსიკონი დასაბუქდად ივლისის დამლევს. ფორმაში გვაძლევს 55 მან. (ფორმა=40000 სსსტამბო ნიშნის) იჯანსად მოგვემენ ას-ას მანეთს თვეში ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენს მივიღებთ დაბეჭდვის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში. როგორ მოგწონთ ეს პირობა? პირველ

ავანსს მოგვემენ ამ თვეში (ალბათ დამლევს). ახლა გიგზავნით ჩემ ფულს, რადგან, როგორც ჩანს, გპირდებით. როგორ ხართ? დალი თუ იშოვეთ? ამ დღეებში შევუდგები თქვენი შვილის შეყვანის ვადახედვას. თუ რამ საკითხი წამოიჭრას, მომწერეთ. საერთოდ — მხოლოდ ფრთხილად საკითრო. მომწერეთ ხშირად.

თქვენი გ. ახვლედიანი.

II

14.III.1923

პირიქით, მე ძალიან მივირბა, რომ თქვენგან პასუხი არ მომდოდა, ბ-ნ სოლომონ ამ თვის 5 (თუ 6) გამოგიგზავნეთ წერილი და ფული (50 მან.) თქვენს მიერ დატყუებული (და შემდეგ მოწერილი) მისამართით. თუ დღემდე არ მოგსვლიათ, მოიკითხეთ თელავში. ეს თქვენი წერილი მივიღე ამ წამს და პასუხსაც გაძლევთ — ავანსი ჭერ ვერ ავიღე. ლექსიკონზე უნდა ვიმუშავოთ, მაგრამ უდალოდ არაფერი გამოვა. ფშაველში ხომ Дале არ იქნება? გავასწორო თქვენი ნათარგმნი, რაც მქონდა: უდალობა არ იქნება; ამას გარდა, იცოდეთ, რომ ჩვენ გვევალება საბას თარგმნა, არა ამა თუ იმ სიტყვის რეალური (= დღევანდლური) მნიშვნელობის თარგმნა, მაგ.: არღვევა თქვენ გაქვს отпорот, საბას კი აქვს „დაწული პირი ააგოიჯეს“, აღღვება возбуждать, საბას სხვა აქვს.

თქვენი გ. ახვლედიანი.

მე კი შეგონა, რომ თქვენ განახებრეთ საბა.

მომწერეთ. გ. ახვლედიანი.

III

2.IV.28 წ.

ბ. სოლომონ, როგორ ხართ ან როგორ მუშაობთ? რატომ არაფერს იწერებთ? ამ დღეებში დაიბეჭდება რვა ფორმა ერთად (ჭერ არც ერთი არ დაბეჭდილა) გამოგიგზავნით თუ არა? წინა წერილში გწერდით, რომ უნდა ითარგმნოს სიტყვები საბას გავებით და არა ჩვენი დროის გავებით. გამოდის რაიმე ზვირიანი თუ არა? სხვათა შორის, თქვენ გაქვს თუ არა Miller-ისა და Stackelberg-ის მიერ გამოცემული ხუთი ზღაპარი? ძალიან მჭირდება. იუაყით კარგად, მოიწერეთ. ახალი ამბავი: მე და აკაკი მივდივართ ორიენტალისტთა კონგრესზე ოქსფორდში, თუ ნება დაგვრთეს — აქედან.

თქვენი გ. ახვლედიანი.

IV

4.IV.28.

თქვენ უკანასკნელ წერილში, ბ. სოლომონ, იწერებოდით, რომ 20 აპრილს ტფილისში იქნებით. როგორაა საქმე? ხელთა მაქვს დაბეჭდილი ლექსიკონის ოთხი ფორმა. არ ვიცი, გამოგიგზავნით თუ არა.

თქვენ რომ შემოწმება გიწარმოებიათ, ის ჩვენ არ გვევალება. ძალიან ვეშინობ, რომ ჩვენ ვერ მოვასწრებთ ამ საქმის დროზე შესრულებას. მოიწერეთ, როგორ მოვიქცე. ინდური ლექსიკონი თან წამოიღეთ.

პატივისცემით გ. ახვლედიანი

V

23.V.28

ეს არის მივიღე თქვენი წერილი, ბ. სოლომონ, და მინდა გიპასუხოთ ახლავ: სამწუხაროდ, გამოცემლობა ვერ ასრულებს თავის დაპირებას ფულის თავის დროზე მოცემის მხრივ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სიმონ ყაუხჩიშვილს (გამგეობის წევრია) მოველაპარაკე. გადავწყვიტე — მივცე განცხადება გამოცემლობის გამგეობას, რომ შევწყვეტო მუშაობას, თუ ამას ადგილი ექნა. საჭიროა თქვენი დასტური, ხვალ კიდევ ენახე ვარაზაშვილს და სიტყვიერად დავემტკიცებო, წერილობითს კი თქვენი პასუხის შემდეგ. სამწუხაროდ, მეც არ მომხდარა ხელში ფული, რომ გამოგიგზავნოთ. თქვენ უფრო კატეგორიული წერილი მომწერეთ — საჩვენებლად გამომადდება. ლექსიკონი მივიღე.

თქვენი გ. ახვლედიანი.

VI

6.VI.28

მომივიდა თქვენი მუჭარის წერილი, ბ. სოლომონ, და მოვიქციე სათანადოდ. როგორც ჩანს, თქვენ გამოგიგზავინან. შესაძლოა ამ წერილთან (ან ადრეც) მიიღოთ, თუ არა, მომწერეთ. ახლა გთხოვთ შემდეგს: ერთი ლენინგრადელი პროფესორი (კაგაროვი) მთხოვს მოუწახოს მას ერთი (ან ორი) ოთახი თელავში საზაფხულოდ (ივლისი-აგვისტო) სადილითურთ.



თან ეყოლება ორი სტუდენტი, იკვლევენ ფოლკლორს. ძალიან გთხოვთ მომიგვაროთ ეს საქმე — სასწრაფოა. როდის ჩამოხვალთ? როგორ მიდის საქმე. დაიბეჭდა ერთი (თქვენი) ფორმა.

თქვენი გ. ახვლედიანი

VII

15.VI.28

ბნ სოლომონ! იქნებ არ მიგიღიათ ჩემი წერილი, რომ არაფერსა მწერთ? თქვენი „მუჰარის“ შემდეგ აღაღაფრე ვიცი თქვენს შესახებ. გამოვიგზავნეს ფული თუ არა გამომცემლობიდან, ეს მაინც მომწერთ. ერთ თხოვნასაც გწერდით ლენინგრადად პროფესორსა და მისი ორი სტუდენტის მოწყობის შესახებ საზაფხულოდ თელავში. იქნებ ნაცნობი ვინმე გყავს თელავში. და გთხოვდით მოგეწერათ. მე პასუხს მთხოვეს ლენინგრადიდან და ვერაფერი მიმიწერია. როგორ მუშაობთ? ესენი ძალიან სწრაფად ბეჭდავენ. სტუდენტსაგან მიიღეთ ალბათ, სხვათა შორის, გთხოვთ ანბანზე იყოს, რათა შედარება და შემოწმება გაადვილდეს. მომწერეთ თორემ მოვალ ფშაველაში.

თქვენი გ. ახვლედიანი

ანბანზე რომ არ გაქვთ, ამიტომ ხშირია განმეორება.

VIII

20.VI.28.

ბ-ნო სოლომონ! მივიღე თქვენი წერილი. გმადლობთ გარჯისათვის კავაროვის ბინის შესახებ. მალე პასუხს მივიღებ და გაცნობებთ დეპეშით. რაც შეეხება ლექსიკონს: როგორც ჩანს, ჩვენ ჩავიჭრებით ამ საქმეში, ისეთი სისწრაფით ბეჭდავენ ეს მამაცხონებლები. გადავხედე თქვენს ნაშრომს. ძალიან ძვირფასი ცნობები გაქვს ამოღებული წყაროებიდან, მაგრამ რეალური მნიშვნელობანი მაინც აკლია. ვაჟებს, რაც შემოძლია; დრო მაინც საგრძნობი მოაქვს, და ამიტომაც, რომ შემინია ჩაუბრისა. გამომცემლობა ღირსია, რომ დაუფუგვიანოთ, მაგრამ შეგვქაყენ საყვედურებით. ალბათ, როცა ჩამოხვალთ, აქ მოგისდებთ დარჩენა და მუშაობა. მოიწერეთ ხშირად.

თქვენი გ. ახვლედიანი.

IX

27.VI.28.

ეს არის მივიღე თქვენი წერილი, სოლომონ (27.VI), და გაძღვეთ პასუხს. გამომცემლობა ღირსია, რომ თვეზე მეტიც გადავადდინოთ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ — ასე არ მოვიტყუოთ (ჩემთვის ღღემდე არაფერი მოუციათ). მე უკვე ვაფაფრახნილე ისიდორე: როგორც თქვენ გეისრულობთ პირობას, ჩვენც ისე ავისრულებთ მეთქი... თქვენი ჩამოსვლა: ამ ნაშრომს, მე რომ მაქვს, ერთხელ კიდევ თქვენგან სჭირია გადახედვა და ერთხელ — ჩემგან: მე კარგა ხანია მასალა აღარ მაქვს: ვფიქრობდი დამოუკიდებლად დამეწყო რომელიმე ასო (ხელთა მაქვს უკვე დაბეჭდილი 288 გვერდამდე — „საზიანო“-მდე). ამიტომ იყო თქვენი აქ ყოფნა სჭირო, თუ მანდლადან შესძლებთ „ცოცხალი კონტაქტის“ დაჭერას, მანდ იყავით. საერთოდ: როდესაც საბას აშკარად განმარტებული აქვს სიტყვა, იმას აღარ უნდა შემოწმება წყაროებიდან. კავაროვი: თქვენი პასუხი დეპეშით ვაცნობე; დეპეშითვე მიპასუხა — „გმადლობთ, მივიღებთა ჯერ, არ გამოარკვეულა“. ახლა ველოდები პასუხს წერილით. უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვყენა. ყოველ შემთხვევაში კავაროვს ნუ დაუქავშირებთ თქვენს ჩამოსვლა-არ ჩამოსვლას.

თქვენი გ. ახვლედიანი.

X

7.VII.28.

ბ-ნო სოლომონ!

მოულოდნელად ჩემთვის მომიხდა გამგზავრება რუსეთში. დაებრუნდები მხოლოდ თვის ბოლოს. მოიქეცი, როგორც უკეთ დიანახოთ. ვეცდები, ხვალ ფული გადმოვგზავნიო თქვენთვის. ლექსიკონის ბეჭდვა თავდება.

გაცნობებთ ამასთანავე, რომ თქვენთვის გაღებულია ასი მანეთი საქანთმეცნიერო საზოგადოებიდან — კახეთში სალექსიკოლოგიო მასალის შესავარგებლად. ამ თვის დამლევს, როცა ალბათ შეგხვდებით აქ, მაშინ მოვილაპარაკოთ ამ საქმეზე.

თქვენი გ. ახვლედიანი.



9.VII.28.

მე მივდივარ რუსეთში დღეს, ბ. სოლომონ, და ჩამოვალ ამ თვის დამლევს. გწერთ. გწერთ აგრეთვე, რომ თქვენთვის გადადებულია 100 მან. სალექსიკოლოგიო მასალის საგრეებლად. თუ ისურვებთ, ახლავე მიიღოთ ეს ფული და აწარმოთ შეკრება მასალისა, მოითხოვეთ პროფ. შანიძისაგან — შეგიძლიათ ბარათით ან პირადად, თუ იქნებით ტფლისში. მე არ გამოვიგზავნებ, რადგან ვფიქრობდი — ვაი თუ გზაზე ასდეს-მეოტი. თქვენი გ. ახვლედიანი

XII

7.VIII.28.

ბ-ნო სოლომონ!

მე უკვე ტფლისში ვარ. როგორ მიდის საქმე? მთელი თვეა მე არაფერი ვიცი. მინდა, ორი კვირით წვიდე ოსეთში სამუშაოდ, თუ შეგიძლიათ და საჭიროდ სცნობთ, ჩამოდი და მოვილაპარაკოთ. გთხოვთ მაცნობოთ დეპუტით — ჩამოხვალთ თუ არა. სხვათა შორის ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავში აღმოჩენილა საბას რუსული თარგმანი. მინდა ვისარგებლო. იმიტომ. გოგი წერეთელი დამპირდა ვადმოწერას.

თქვენი გ. ახვლედიანი

დებუშას ველი თქვენგან 10 ან 11 აგვისტოს, თუ არ მოვიდა, წავალ ოსეთში.

XIII

25.X.28 წ.

ბ-ნო სოლომონ!

ეს არის ჩამოვდივარ ევროპიდან. ჯერ არც კი მინახავს ჩვენი გამოცემელი. ვნახე მხოლოდ არნოლდი მუდლიტოვი, რომელთაც მითხრეს თქვენს შესახებ ცოტაოდენი რამ — როგორ არის ჩვენი წიგნის საქმე? ევროპაში დამაინტერესოვს არათუ ჩვენი გეგმები, არამედ მთელი ამ საქმის არსებობაც კი. როცა ვნახავთ, ბევრს რასმე გიამბობთ. ჯერჯერობით კი თქვენ მაინც ბეთ რაიმე.

თქვენი გ. ახვლედიანი

XIV

25.X.II.28

სალამი ბ. სოლომონს! ამით გეუწყებათ, რომ ამიერიდან ტფლისში ვარ. რუსეთიდან მოუწერლობას თავისი მიზეზები აქვს. სამწუხაროდ, სასწრაფოდ უნდა მოვიღოთ ჩვენი საქმე.

თქვენი გ. ახვლედიანი

როგორც ზემოთ მოყვანილი წერილებიდანაც ჩანს, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონისათვის“ შედგენილი რუსული საძიებელი (რომელიც საბას ლექსიკონის სიტყვების რუსულ თარგმანს წარმოადგენდა და დალაგებული იყო რუსულ ანბანზე) დაუბრკოლებლად იბეჭდებოდა. გამოცემაზე ხელშეკრულება გაფორმდა 1928 წლის მარტში, ამავე წლის ივლისის დამლევსათვის მზად იყო ოცდაათფორმიანი ლექსიკონი, მაგრამ გამოცემლობამ გადაწყვიტა შეეცალა და საბას „ქართული ლექსიკონი“ (1928 წ.) გამოვიდა უსაძიებლად. საძიებლის შემდგენლებს კი წინადადება მიეცათ მომზადებული საძიებელი შეეცათ ბეჭდვითი სახით არსებულ სხვადასხვა სპეციალური ლექსიკონებიდან. მაგრამ მუშაობის პროცესში გაიკვამო, — აღნიშნავენ გ. ახვლედიანი და ს. იორდანიშვილი, — „რომ რუსულ-ქართული ლექსიკონის არსებულ მრავალგვარ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნებოდა დაბეჭდილი ლექსიკონებს გარდა გამოუქვეყნებელი მასალების (სატერმინოლოგიო კომიტეტის, სენათმეცნიერო საზოგადოების, პირადად ჩვენი მასალებისა და იოანე ბატონიშვილის ხელნაწერის) საქართველოს მუზეუმის № 2328H) გამოყენებაც“.

1929 წლის აპრილიდან გ. ახვლედიანი და ს. იორდანიშვილი შეუდგნენ ლექსიკონის დამუშავებას. ხელშეკრულების თანახმად ლექსიკონის პირველი ასოები მასისთვის ყოფილა გათვალისწინებული, რათა ივნისიდან ბეჭდვა დაწყებულიყო. შემდგენლებს გამოცემლობისათვის თანდათან უნდა მოეწოდებინათ დამუშავებული ასოები.

ამ ლექსიკონზე თანამშრომლობისას შეიქმნა შემდეგი ეპისტოლარული მასალა:

17.IX.29.

ბ-ნო სოლომონ

გაერთვე თქვენ მიერ დატოვებული მასალა და ჩავაბარე პავლეს. ძალიან ცივად და თავ-
შეკავებულად შემხედნენ. კუმბურძიეც ჩამოსულა... თქვენზე ლაპარაკი აღარ ჩამოვიკვდილა.
პირველი ნაწილი წამოვიღე ისეც შინ და კიდევ ბევრი ვიწვალე (დამარჩა კიდევ 40 გვ: ვადუ-
ტედავი). უნდა გენახათ, როგორის ხეყნით მოგემართადა პავლე (მინც კარგი კაცი). ახლა
სიტყვა თქვენზეა: რაც შეიძლება, მეტი მასალის მოწოდების უფლებას გაძლევთ — ნუ დამ-
ზოგავთ, ოღონდ მალე მოვიშორით ეს საქმე და ჩვენსას ვეწიოთ.

გისტრებთ ყოველივე კარგს.

როგორ ხართ და როგორ დაგხედნენ თქვენები?

მომიციოხეთ ყველანი.

თქვენი გ. ახვლედიანი

XVI

18.IX.29

სოლომონს წავიციოთხე ექვსიოდე სვეტი და აქა-იქ ვიპოვე მინც „ყოღებში“ (ძალიან
ცოტა). აუცილებლად არ ვთვლი საჭიროდ გადახედვას, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა. დღეს
შეტი ვერ მოვასწარი, ხვალ კი დილიდან კარსანში მივემგზავრები. საღამოს აქ ვიქნები. თუ
საჭიროდ დაინახოთ, გადამახედეთ, თუ არა და — მიეციოთ ლოცვა-კერძოხევა და გაუშვით.

გ. ახვლედიანი

XVII

3.X.29

დღეს რომ ხეთშაბათია, ბ-ნო სოლომონ, მივიღე თქვენი წერილი — საღამოს მ საბოთე.
დღესვე (4 საათზე) ოფიციალურად (მანქანაზე დაბეჭდილი ბარათით) მიმიწვია პავლემ „საკი-
თლის გასარკვევად“. მივედი — ჩვეულებრივი თხოვნა (ორიოდე ნოტიო მალალი) დაჩქარების
შესახებ; გაოცება და ახი-უხი თქვენი ოტების გამო და სხვა ასეთი. მეც ვაინწყე, რომ ფშა-
ვლის პავა ძლიერ უხდება სოლომონს და, ალბათ, ლექსიკონსაც. ამა რას ვიფიქრებდი,
რომ თქვენ 700—800-ოდე გვერდი მინც არ გექნებოდათ ჩაბულებულზელი? თქვენი წერილი
ბოლომდე არ მქონდა წაყითხული, ისე დაშეცა პავლე თავს. მადლობა უფალს, რომ სხვა საქ-
ნის გამო. მართალია, საუბრის ბოლო მინც ლექსიკონი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ვაიზიარა
ჩემი აზრი ფშავლის პავის შესახებ. მინც ვთხოვეთ, ბ. სოლომონ, რომ აეჩქარდეთ და მალე
მოვიშორით მაგ ლექსიკონი, თორემ შესაძლოა მე კიდევ შორს სადმე მომიხედეს წასვლა.

კიდევ ახალი ამბები: ს. ჯანაშიას ტიფი დაემართა; ჯერჯერობით ნორმალურად მიმდი-
ნარეობს ავადმყოფობა. ა. რაზმაძე გარდაიცვალა. მძიმე დანაკლისია...

მე ცხინვალში ორი ლექცია წავიციოთხე. არნოლიდი არ ჩამოსულა აფხაზეთიდან; მისი თა-
მარი აქაა. აკაცი ცოტა ავადაა. სხვა არაფერი ვიცი. იმ კარაბაღის ნუ გადასყვებათ, პავლემ.
მეც იმ აზრისა ვარ შემდეგი დამატებით: მეორე გამოცემისათვის ვიგეულოთ. მოციოთხე თქვენ-
ებს.

გ. ახვლედიანი

XVIII

16.X.29.

ამბ. სოლომონს

წუხელ მოხსენება მქონდა ჩვენს საზოგადოებაში. პ. ინგოროყვა დაგვესწრო. — მასალა
რამდენი გაქვთო, მკითხა. — არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე, — ვფიქრობ, რომ საკმაო უნდა
ქქონდეს დამსაღებულო-მეთქი. თუ ასეა საქმე, უთუოდ დეკეშა უნდა მივსცე — ჩამოვიდესო.
როგორც იქნა შევთანხმდით, რომ თქვენგან პასუხამდე საქმეს არ დაემართე (ე. ი. დეკეშას
არ მიიტანს ფოსტაში). ხომ ხედავთ როგორი ამბებია მოსალოდნელი, უყვეთ ბევრი მასალა
არ გამოგზავნეთ დაჩქარებით. ახალი სხვა არაფერია. ფულის საქმე ჯერ არაფერი ჩანს.

გისტრებთ კარგად ყოფნას.

თქვენი გ. ახვლედიანი

XIX

20.X.29.

მივიღე ბ. სოლომონ, თქვენს მიერ, გამოგზავნილი მასალა. ამ საღამოს ჩემთან მოვიდა
პ. ინგოროყვა, უარესად სასოწარკვეთილია. შემოაქვს წინადადება თანამშრომლების გარე-



ლუბის შესახებ; ერთს ასახელებს თ. სახოკიას¹⁰. არა უშავს, მაგრამ უთქვენოდ გადაწყვეტი არ შემოიპოვა. მეც მოხოვა ნაწილის დამოუკიდებლად (თქვენგან) დამუშავება. მოხდა კერძო შეხვედრა მოგნაზო ვინზე დამხმარე. კატასტროფულია მდგომარეობაო, მე დამოთხოვენი... თქვენს: ჩუმიყაქა შოსვლის ველით მოუთმენლად. მასალა წამოიღეთ ყოველგვარი. აღმოჩნდა რუსულ-ქართული ლექსიკონი კალმასობის ავტორისა — პავლემ მაცნობა. ხვალ ენახავ. იყავით კარგად.

თქვენი გ. ახვლედიანი

XX

16.IX.30.

გამარჯობათ, ძმო სოლომონ!

მე უკვე ტფილისში ვარ 13-დან, მაგრამ არაინ რამე მომაყოთა. არც კი ვიცი, ვის მივ-შართო ბეჭდვის მსვლელობის შესახებ. მოსწერეთ ესაც ჯერ არს.

სხვათა შორის: заподоски ნალარი (საბა), — НК ნდ(არის) ტვე — ასე შეიტანეთ მავ მასალაში, თუ უკვე შეტანილი არაა. მე ბს განვაგრძობ ჯერჯერობით.

გთხოვთ მომიყოთხთ პატივისცემით თქვენები. კიდევ, ვა — რომ ზოგჯერ ხანგრძლივ მტკმედების მნიშვნელობას აქლევს ხმნას, შეიძლება გამოდგეს „გადაუოლა“, замолотиться გადაყვები ლეწვას და სხვ., запостничаться გადაყვები მარზულობას და სხვ., зарыбачиться გადაყვები თევზაობას.

თქვენი გ. ახვლედიანი

XXI

22.IX.30.

ეს არის მივიღე თქვენი წერილი, ბ. სოლომონ, და გაძლევთ პასუხს, რომელსაც საყვე-დურით დაიწყებ: სადაა ის ვერმანული წიგნი, რაღაცეები რომ ეწერა ზოგჯერით ენათმეც-ნეერის შესახებ. ოსურის შესახებ იყო სტატია, რომელიც მართლა მჭირდება. ახლა საქმე: დღემდე არაფერი მომსვლია. დღეს ენახე შ. კუმბურძიე; კორექტურები თქვენთვის გამოუ-გზავნიათ. მე არაფრად მენჭარება, მაგრამ თვითონ იკითხონ. აკადემია: ყველაფერი არ მოი-წერება, ვაჟთში წაიკითხავდით შედგენილობას¹¹. აღას ეცაში უჩივლია — გ. ან-მა „ულ-ტრამატური“ წარმომადგენიო. ცოცხა აღა. ეცას დაუღვევია ჩემი ამოშლა... ჩემი გაუკვდავების საკითხი გადადებული... მეც ასეთი რამ (გადადება)... მინდოდა. იყავით კარგად. 3-ს ალბათ ოდესმე ვაგათავებ. ბევრი მუშაობა მაქვს რეორგანიზაციასთან¹², ინდუსტრიალიზაციის დღეს-თან დაკავშირებით და სხვა.

იყავით კარგად. თქვენი გ. ახვლედიანი.

აღნიშნული ლექსიკონის ბეჭდვის მსვლელობაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს სოლო-მონ იორდანიშვილის მიმოწერა ბეჭდულისთან — მართა ჯაჭვაძესთან. ამ წერილებში სოლო-მონი სტენოგრაფიული სიზუსტით ატყობინებს სოფელ ფშაველში მყოფ ბეჭდულს ყოველ წერილმანს, რაც თან სდევს ლექსიკონის ბეჭდვას.

1929 წლის 27 ივნისით დათარიღებულ წერილში ვკითხვობთ: „მართა, ლექსიკონი დასაბეჭდად გამზადებულია ნაწილი. დღე-დღეზე შეეკურებ, რომ იი ახლა დაიწყებენ ბეჭ-დვას, მაგრამ ჯერ ვერ ეღირსა. ქალაღის საქმეა გამწვანებული“.

იმავე წლის 26 ივლისი: „ლექსიკონი ჯერ არ ბეჭდვება. გამზადებული მასალა რვეულე-ბიდან კვლევ გადასაწერი გაიხიდა სასტამბოდ. რადგან მეტად წმინდად ეწერა და ასოთამ-წყობები ვერ არჩევენ, ამასთან ჯერ არც ქალაღი აქვთ“.

3.XI.29: „მართა ქალაე, ჩამოსვლის უშვალ გიორგისთან გეკანდი. შინ არ გახლავთ. ხაჭოყში ორიენტალისტებს ყრილობაა და საქართველოდან გაუგზავნიათ გიორგი, აკაკი შანიძე, არბოლი და ბ-ნი ჩიტია. ამ თვის 10-მდის გიორგის ვერ ენახავ. გუშინ შევუარე პ. ინგოროყვას, შეეთანხმდით, რომ ხვალღან (4.XI) რაც ვაქვს, გადავცეთ სტამბას და გან-ვაგზავო დანარჩენზე მუშაობა“.

ლექსიკონის გამოცემის დაჩქარების მიზნით პ. ინგოროყვას დაუსვამს საკითხი თანამშრო-მელთა გამრავლების შესახებ. ასეთ მუშაკად თედო სახოკია დაუსახელებია. ამაზე დაწერი-ლებით სოლომონის წერილიდან შევკტყობთ“.

11.XI.29. „მართა, ლექსიკონის ბეჭდვა დაიწყეთ, ერთი მეოთხედი უკვე გადავეით სტამბას. დანარჩენზე თედო სახოკია იქნებ დავიხმაროთ“.

ბ-ნ გიორგიმ თავისთან დამტოვა უნივერსიტეტში, მალე წარმადგენს გამგეობაში“.

4.XII.29: „მართა, წუხელ, „ქართულ წიგნში“ კრება გვექონდა პ. ინგოროყვას, გიორგის და შ. გიორგიმ დაივალა ნაწილის დამუშავება, ასე რომ მგონი ცოტაოდენი შეღავათი მო-



შეცემა და საქმეს უფრო ადრე მოვათავებთ. გიორგის დამუშავებული მე უნდა წავიკითხოთ და წავიკითხოთ — გიორგიმ, თელთ სახოკია კორექტურაზე იმუშავეს.

3.XI.29: „ლექსიკონზე მუშაობა გრძელდება. XI ასო გიორგის გადაეცემა და მასთან ერთად სახოკიას. ჯერჯერობით შედეგები არ ვიცი, მე ბეჭდვას ვაღყვეს თვალყურს და დანარჩენზე ვუბნობ. უნივერსიტეტში სამუშაო ორი საათი მაქვს კვირაში გიორგისთან“.

1929 წლის დეკემბრის მ-ისათვის ლექსიკონთან დაკავშირებით სოლომონი ასეთ ინფორმაციას აწვდის მუელეს: „ჩვენი ლექსიკონის საქმეს როგორც იქნა თავი ვამოვებით, მაგრამ როგორც და როდის დასრულდება ლმერთმა იცის!“

გიორგი ამუშავებს ლ — ასოს. გადაეცემა და მეორე-მესამე დღეს ავად გახდა. ლისი კი მტრად პატარა ასოა.

თელთ სახოკიას მ-ანი აქვს. ეს უფრო ძნელი დასამუშავებელია. არა მგონია მანის დამუშავების შემდეგ კიდევ მოვიდოს ხელი რომელიმე ასოს „ძალიან ბევრი დრო უნდაა“. ჯერ დამუშავებული მასალა ბევრი გვაქვს სასტამბოდ ვადაწერილი. სტამბა ახლა მანს აწყობს. ანი უკვე მთლად აწყობილია. სასტამბოდ გამზადებული კი ზანანდის მაქვს. ახლა ზანანდის დამუშავებს. ლისამდის იწი და კანი-და დამრჩა დასამუშავებელი. ლისი და მანი სომ დამუშავდება. ასე რომ ასე თანდათან მივყვებით ბეჭდვას; ალბათ ექვსი თვე მინც მოვუნდებით, თუ მეტი არა.

უნივერსიტეტში და სამსახურში რომ არ შეკარგებოდეს დრო (განსაკუთრებით სამსახურში), შეიძლება დანარჩენი მასალა მალე მომეყვანა წესრიგში. მაგრამ ახლა არა მგონია რომ ექვს თვეზე ადრე მოვათავებო ამ პირობებში. მართო ერთი გვაქვს სახევეთო, რომ მის გამოცემის შემდეგ ადვილად დავაამუშავებ უცხო ენების ლექსიკონებს, თუ მშვიდობაა და კარგად ვართ“.

1931 წლის იანვრის 9-ისათვის ლექსიკონის მე-17 ფორმას ვბეჭდავთ, — სწორს სოლომონი: „გადაწყვიტეს (როგორც ძველად მე ვფრჩხვდი) პირველი ნაწილის გამოშვება (A—3). ეს იქნება მთელი ლექსიკონის 1/4. გადაწყვეტილი გვაქვს ასე ჩავეთვათ გამოშვება“.

შაქრის ცარიელ ტიპებს ვატან, პირველი შესვენების შემდეგ ცოტა დღით მინდა დავაღვიწიოთ ასოთმარწყობებს, თუ მომავლად როგორმე“.

აღნიშნული ლექსიკონის პირველი ტომი, როგორც სოლომონ იორდანიშვილის წერტილებიდან ჩანს, 1931 წ. აპრილში გამოსულა, მეორე ტომი კი უფრო მოვიანებით — 1935 წელს.

როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ლექსიკონის დამუშავებას ის უფრო აძინებდა, რომ „ასეთი კულტურულად დიდი, შესასრულებლად საშური საქმე მითხოვდა წამოწყობის უკეთ ორგანიზაციას, რომელიც, მაგალითად, საშუალებას მოგვცემდა მუშაობაში ჩაგება თანამშრომელთა მეტი რიცხვი. უამისოდ კი სამეცნიერო-სასწავლო და მრავალგვარი საზოგადოებრივი მუშაობით დატვირთულ ორ პირს მოუხდა, ასეთი მძიმე ტვირთის ზოგადი დატვირთვის გამო ხშირად თვით ბეჭდვის პროცესში შეგვეკონდა მასალა, რის გამოც ჩვენზე გვაწებოდა კორექტურის ნაკლებ სასიამოვნო სიმძიმე“ (რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 1931, წინასიტყვაობა, გვ. 7).

რუსულ-ქართულ ლექსიკონზე ხანგრძლივი თანამშრომლობის შემდეგ აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი ასე შეაფასებს თავის მოწაფესა და უმცროს კოლეგას სოლომონ იორდანიშვილს: „მე ძლიერ მაკვირებდა სოლომონის შრომის გასაცარი უნარი და მისი ცოდნა ქართული ენის ლექსიკონის ქართული ლექსიკონის ასე ფართოდ მცოდნე მეორე არ შეგულებს სადმე; ძველი ქართული ლექსიკონის კარგა მცოდნე, კარგად იცოდა ქართული ლექსიკონის დიალექტობრივადაც, რაც ჩემში დიდ გაკვირებას იწვევდა. რუსულ-ქართული ლექსიკონის (ტ. I—A—3 (1931), ტ. II—H—H (1935)) ლექსიკონი სიმდიდრე მეტწილად სოლომონის დამსახურებაა“ (ს. იორდანიშვილის ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებელი, თბ., 1974, გვ. 41).

სოლომონ იორდანიშვილის არქივში დაცული პავლე ინგოროყვას, ისეიანის, შ. კენჭურაძის, სტ. ჩხენკელის, ე. ფერაძის წერილებიც ამ ლექსიკონის ბეჭდვის ისტორიის ფურცლებს შეაფასებს.

ქ. თელავი, სოფ. ფშაველი 24.VIII.1928.
სოლომონ იორდანიშვილს

პატრიკმულო ბ. სოლომონ!

თქვენი ღია ბარათი მივიღეთ 24.VIII რომ არის დაწერილი. წინანდელი თქვენი წერილი არ მივიღია და, მამასადამე, თქვენს საყვედურებსაც ვერ მივიღებთ. ლექსიკონს გიგზავნით. ფულს ვადმოგიგზავნით სექტემბრის პირველ რიცხვებში.

პატრიკმულო, ისეიანი.

29.XI.1929.

ძმოს სოლომონ!

გიგზავნით ასო „ანის“ კორექტურის მეორე ნახევარს. პირველი ნაწილი კორექტურისა უკვე გადაეცემა სტამბას და ერთი ამბავი დაგვაწიეს, ორმაგად ვიანგარაშებთო, ვვიხარეს. —

ანტიკმე დაგვიბრუნეს ასო ბ-ანიც და გვიბრუნეს, თუ ჩასამატებელი გაქვთ, ახლავე ჩაუმატეთ, რომ შემდეგ ასეთი ისტორია არ განვიორდესო.
ესლა გთხოვთ:



1. გადაიკითხეთ ასო ბ-ანი და უთუოდ ზუსტად გაასწოროთ. როგორც ტექსტი, ისე სასენნი ნიშნებიც (ვერძოლ სადაც წერტილშიმეხება). ეს ასო ბ-ანი უთუოდ უნდა დააბრუნოთ ორშაბათ დღის (იციოდ არ დააგვიანო, სტამბა პრეტენზიაში არის), — გადასცემთ შალვას, რომ თვით გადაუგზავნოს სტამბას.

2. აგრეთვე გთხოვთ გაასწოროთ ასო ანის კორექტურაც. ამ კორექტურისათვის აღარ შეგაწუხებდით, მაგრამ რადგან გადახედული არ გქონდათ, ამიტომ გიგზავნით. ძალიან კარგი იქნება, თუ ძალიან არ აწყალებთ და ბევრ ჩამატებებს არ შეიკანთ.

ამას გარდა გთხოვთ, თუ ასო „ე-ინი“ უკვე გადახედული გაქვთ, ისიც შემოიტანოთ. თქვენი პაველ ინგოროყვა

13.X.II.1929

ამხ. სოლომონ!

ამ ბარათის მომტანს ამხ. ბახტაძეს ჩვენ მივანდეთ ლექსიკონის კორექტურა, გადაეცით ყველაფერი, რაც კი საჭიროა: როგორც მასალა, ისე ახსნა-განმარტება ჩვენ მიერ აღებული გეზის შესახებ.

კარგი საღამო
თქვენი შ. ჭუმბურიძე

23.IX.30.

მამო სოლომონ!

წერილი მივიღე 20. IX-ში. მეორე დღესვე ენახე ფერაძე. გამოირკვა, რომ ორი ფორმა უკვე გამოგზავნილია. ალბათ უკვე მიღებული გექნება. გეგზავნება შემდეგი ფორმაც. შენ ცხადია, რომ არ დაგვიანებ და თავის დროზე დააბრუნებ უკან. გუშინ გიორგიც ენახე, ისიც კითხულობდა, თუ რა მდგომარეობაში არის ბეჭდვის, ან აწყობის საქმეო.

დავითიანიც დაიძრა მკედარი წერტილიდან. ბარამიძე ხელმძღვანელობს.

ჩვენ ყველანი კარგად ვართ. მოიწერე თუ როდის ჩამოხვალ. ყურანის ეშხით მუშაობა არ შეასუსტო ლექსიკონზე. ჩერჩხელებს ველით. ერბო იმდენი წამოიღე, რომ მთელ ტფილისს ეყოს.

კარგი სურვილებით შ. ჭუმბურიძე

2.IV.31

სოლომონს საღამო!

მევიღე თქვენი წერილი. წინასიტყვაობა და სხვა გამოვიდა 16 გე, ვერ არ დაბეჭდილა, მაგრამ ამ დღეებში დაბეჭდავენ. ჩემი კუთვნილი მიღებული მაქვს. ჩამონატრებს დღეს გავუგზავნი ელივას. თქვენმა წერილმა დაიგვიანა ჩემთან მოსვლა და ამიტომ ჩამონატრების გავზავნი დაგვიანდა. ნახეამდის.

6. ფერაძე

12.VII.28

ჩემო სულემან!

რას წერები, როგორ ხარ? ავირებ თუ არა ჩამოსვლას. 15, 16, 17, 18, 19, 20 ფორმები მიიღე თუ არა?... თუ ჩამოსვლას არ ავირებ, მომწერე და შემდეგ ფორმებსაც გამოგვიგზავნი. შენს პასუხამდე ალბათ ბოლომდე დაიბეჭდება (სულ 30 ფორმა გამოვიდა), 26-მდე უკვე დაბეჭდილია. მე ამ თვის (ივლისის) დამლევაზე აქ ვრჩები. შემდეგ კი ჩრდ. კავკასიაში მივდივარ. სენათმეცნიერო სასოვადოებამ მომცა 160. შენც მოგვცე 100 მან. კანეთში სა-მუშაოდ. მიიღე თუ არა. ბ-ნი გიორგი რუსეთში წავიდა ექსკურსიასთან, ბ. აკაკი ვერვრობით აქ არის; აუცილებლად მოიწერე წერილი.

სტეფანე ჩხენკელი

6.X.1928.

ჩემო სულემან,

უპირველესად გისტურებ ბედნიერ და ჯანმრთელ ცხოვრებას ოჯახითურთ. ამ წერილს ფშველიში გიგზავნი, მე მგონია ვერვრობით მაქ იქნები.

ამ წერილს სოფლიდან გწერ. უკვე მოვიარე ჩრდილო-კავკასიის ქართულები. ახლა ეს ორ კვირაზე მეტია, სოფელში ვარ.

კოწია სულაქველიც ენახე ჩრდილო-კავკასიიდან რომ დამუშონდი, და მითხრა თქვენი საქმე ოქტომბერში გაირჩევია. ასე გვიპირდებიან ორი წელიწადია. ენახოთ, წელს რა იქნება.



შანიძე და ახვლედიანი ჯერ არ ჩამოსულან ევროპიდან, მალე ჩამოვლენ, ასე მიტზრა
 ი. ახვლედიანს ქუთაისში ერთი კვირის წინ (იუსტიანე ახვლედიანს ქუთაისში შემოხვევით ვეჭვობდა
 თავის მამულში მიდიოდა — ბაღდადში. მეც შემოხვევით ვიყავი ქუთაისში). მომავალი
 შენი შევლულე და პატარა ქალი.
 მოველი პასუხს.

შენი სტეფანე

[უთარილო]

ჩემო სოლომონ!

ხომ კარგად ხარ ოჯახიანად, როგორ არის მინდობილობის საქმე? რას შერბა ეს სახელ-
 ვამი, ფული არ გინდათ? სოლომონ, თუ ფული აიღო, თუ ძმა ხარ, ამის მომტანს ალექსანდ-
 რე ბახტაძეს გადაეცი და ის გამომიგზავნის კაცის ხელით, თორემ ისე ფოსტით და დეპეშით
 ფულს ვერ მიიღებ ძალიან დიდხანს.

როგორ არის ლექსიკონის საქმე, რომელი ასოა უკანასკნელად რედაქტირებული? მე მალე
 დავამთავრებ ჩემ ხვედრ მ-ანს და ან ჩამოვიტან, ან გამოვგზავნი. თუ ძმა ხარ მიასუხე ერთი
 ღია ბარათით. მისამართი ხომ იცი. ხონი საწულუკიძე, სტეფანე ჩხენკელს.

შენი მისამართი ხომ ესაა: აღმასკომის 7, სახელგამი.

შენი სტეფანე

შენი შვენები

1. რუსულ-ქართული ლექსიკონი შეადგინეს პროფ. გ. ს. ახვლედიანმა და ს. გ. იორდ-
 ნიშვილმა პროფ. გ. ს. ახვლედიანის რედაქციით. ტ. I—A—3 (1931 წ.) და ტ. II—И—H
 (1935 წ.).

2. 1928—1931 წლებში უნივერსიტეტდამთავრებული სოლომონი ხშირად იმყოფებოდა
 მშობლიურ სოფელ ფშაველაში (თელავის რაიონი) ოჯახთან ერთად. ამან განაპირობა ის
 ეპისტოლარული შეშვენიერება, რომელიც ამ ლექსიკონის ირგვლივ შეიქმნა.

3. პავლე ინგოროყვამ 1928 წ. დააარსა გამოცემლობა „ქართული წიგნი“ (ქ.ს.ე. ტ. V).
 1931 წ. „ქართული წიგნი“ სახელგამს შეუერთდა. აღნიშნული რუსულ-ქართული ლექსიკო-
 ნის II ტომი სახელგამმა გამოსცა (იხ. მართა ჭაქვაძესთან მიწერილი წერილი 1931 წ., 9. V).

4. მეცნიერულ პრინციპზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში
 1921 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან ტერმინოლოგიური საკითხების შესწავლას ხელმძღვ-
 ნელობდა განსაკუთრებით არსებული „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“. 1925 წლიდან სა-
 ელმწიფო სამეცნიერო საბჭო განათლების სახალხო კომისარიატის საბჭოსთან არსებულ
 „ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომიტეტად“ გადაკეთდა.

ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომიტეტის მუშაობაში იმთავითვე ჩაება
 ქართველ მეცნიერთა დიდი კოლექტივი, როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები
 (ალ. ჯანელიძე, ნ. მუსხელიშვილი და სხვ.), ასევე ქართული ენათმეცნიერული სკოლისა
 და პედაგოგიური დარგების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები: გიორგი ახვლედიანი, აკაკი
 შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები (რ. ლამბაშიძე — „ქართული სამეცნიერო ტერმინო-
 ლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, 1988, გვ. 107—109).

5. 1928 წლის აგვისტოში ქართველმა მეცნიერებმა გიორგი ახვლედიანმა და აკაკი შანი-
 ძემ მონაწილეობა მიიღეს ოქსფორდში ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესის მუშა-
 ობაში, სადაც გ. ახვლედიანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქართული საეკლესიო წიგნების
 იალღუზიძისეულ ოსურ თარგმანზე“ (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1987, 18 ივნისი,
 გვ. 4).

6. ს. იორდანიშვილის არქივში დაცულ სტეფანე ჩხენკელის წერილიდან ირკვევა, რომ
 რუსული სიძიების შედგენაში მასაც მიუღია მონაწილეობა. მას ასო მანი დაუმუშავებია.
 ნაცე სოლომონისათვის გაუგზავნია კორექტურები ს. ფშაველაში 1928 წ. 20 ივნისს.

7. 1928 წელს სოლომონ იორდანიშვილი საენათმეცნიერო საზოგადოების დავალებით
 შიველინბელი ყოფილა კახეთში სალექსიკოლოგო მასალის შესაკრებად. სამუშაოდ სოფ.
 ართანა (თელავის რაიონი) აურჩევია. ადგილობრივ სანდო კორესპონდენტები (2 ქალი და
 4 კაცი) შეურჩევია და სალექსიკონო მასალის შეკრება ანექტის მიხედვით უწარმოებია. და-
 კისრებული საქმე კარგად დაუგვირგვინებია, შედეგით კმაყოფილი თავის მუშაობაზე ვრცლად
 მოუთხრობს მეუღლეს მიწერილ წერილში 1928 წ. 10. XII.

8. ევროპიდან ჩამოსვლა — ივლისხმება გ. ახვლედიანის დაბრუნება ოქსფორდის ორი-
 ენტალისტთა საერთაშორისო კონგრესიდან, რომელიც 1928 წ. ზაფხულში გაიმართა.

9. რაზმაძე ანდრია მიხეილის ძე (1889-1929) გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პარტიული მუშაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი მათემატიკის მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში. მისი დამსახურებაა საქართველოში მათემატიკის ტიკოსთა საერთაშორისო კავშირის წევრი გახდა, რაც ჩვენი მეცნიერების დამატებით განვითარება იყო. ამით ჩვენ მამინ ბევრ ქვეყანას გავუსწარი.

10. სახოკია თედო ტიმოთეს ძე (1868—1956) — ქართველი საბჭოთა მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოლოგი.

11. გ. ახვლედიანის ეს წერილი ერთბაშად კიდევ გავგახსენებს იმ გაუმართლებელ დევნას, რაც უნივერსიტეტის ძველი თაობის სამეცნიერო კადრებზე განიცადეს.

„1930/31 წლებში თბილისის უნივერსიტეტი გადაკეთდა პედინსტიტუტად. მისმა ახალმა რექტორმა ივ. ვაშაყმაძემ ორგანიზებულად დაიწყო ძველი თაობის სამეცნიერო კადრების დევნა. ყურ. „მნათობში“ 1931 წ. № 1—2-ში გამოქვეყნებულ წერილში: „ათი წელი საბჭოთა მეცნიერების საქართველოში“ იგი მსჯელობს ორი ლინგვისტური კათედრის — ზოგადი ენათმეცნიერების (პროფ. გ. ახვლედიანის) და ქართული ენის კათედრის (პროფ. ა. შანიძის) მუშაობის შესახებ. მათი მუშაობის ყველაზე დიდ ნაკლად მიჩნეულია ის, რომ მეცნიერები დანაშაულებრივად მეთოდოლოგიის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. ისინი მტრულად უყურებენ ნიკო მარის მუშაობის უდიდეს შედეგებს ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის დარგში. ავტორის აზრით, პროფ. გ. ახვლედიანი მარჯვნიდან აკრიტიკებს იაფეტილოლოგიის თეორიას. ივ. ვაშაყმაძის ეს სტატია თავისებურად აჯანყდა იმ გეგმას, რომელიც არსებითად პატრიოტულ-დემოკრატიული ინტელიგენციის წინააღმდეგ იყო მიმართული. რომელთაც არასდროს ხალხის სამსახურის გარდა არავითარი სხვა მიზანი არ ჰქონიათ. რექტორის ეს წერილი თითქმის მოუწოდებდა კონკრეტულ გადაწყვეტილებების მიღებასაც“ (ს. ჯორბენაძე — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“, თბ., 1988, გვ. 126—128).

ამ გადაწყვეტილებას ამჟამად გამოხატულებაა ის, რომ 1930 წლის 8 სექტემბრის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის წევრთა და პრეზიდენტის პირველი შემადგენლობის სექციის იმ წევრებს, რომლებიც გ. ახვლედიანი და ა. შანიძე (გახ. „კომუნისტი“, 1930, № 218, გვ. 3)

12. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. იგი შეეხო პოლიტექნიკურსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებსაც, რომლებიც თავის მხრივ დაიყვნენ სხვადასხვა ინსტიტუტებად.

უმაღლეს სკოლათა რეორგანიზაცია ისეთ ვითარებაში ხდებოდა, როდესაც ქვეყანის მწვავედ ესპორიგებოდა ტექნიკური ინტელიგენცია. ამან, სამწუხაროდ, ზოგიერთის თვალში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს სწავლების საუნევერსიტეტო ფორმა იმეამდ ზელს უშლიდა მეცნიერების კავშირს სახალხო მეურნეობასთან. „ტექნიკის საუკუნეში უნივერსიტეტს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა შორის“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ოთხი სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი. ენათმეცნიერების დარგი მოექცა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტის პროფილი საშუალებას არ იძლეოდა მეცნიერული კვლევისა და სწავლების გაშლისათვის იმ თეორიული სიღრმითა და სიღრმით, რაც დამახასიათებელი იყო უნივერსიტეტებისათვის. სწავლების სამწლიანი ვადაც ამ მხრივ ხელშემშლელი გარემოება იყო. ეს ყოველად გაუმართლებელი რეორგანიზაცია, უფრო საუნევერსიტეტო სწავლების ლიკვიდაციას უახლოვებოდა (ს. ჯორბენაძე — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“, თბ., 1988, გვ. 123—124).


მეცნიერის იუბილე



იოსებ ზიგალიძე — 80

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ ზიგალიძე, რომელიც შარშან 80 წლისა გახდა, ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც შეუწყლებელ მეცნიერულ-კვლევით, პედაგოგიურ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა.

ბატონი იოსები დაიბადა 1909 წლის 9 აპრილს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზიდისთავში, სახალხო მასწავლებელთა ოჯახში. აქაური რვაწლედისა და ფოთის ათწლედის დასრულების შემდეგ შედის და 1931 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის დარგებს. 1931—1935 წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის (ლენინგრადი) ასპირანტია, 1935—1939 წლებში — ამავე ინსტიტუტის უმცროსი და შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1939—1942 წლებში მუშაობს მაშინდელი ა. ს. პუშკინის სახელობისა და ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად, ხელმძღვანელობს ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენების კათედრას, შეთავსებით ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის დარგებში ლექციებს კითხულობს გორის, ცხინვალისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქართულ და რუსულ განყოფილებებზე. 1943—1947 წლებში მოსკოვის „ოსობოე სოვეშჩანიეს“ დადგენილებით, მოსე გოგიბერიძესთან, მიხეილ ზანდუკელსა და სხვებთან ერთად ე. წ. თავისუფალი გადასახლებით იმყოფება ყაზახეთში, სადაც მუშაობს ჩელოვოს რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად



და საშუალო სკოლის რუსული ენის, სსრ კავშირის ისტორიის, გეოგრაფიისა და კონსტიტუციის მასწავლებლად. 1947 წელს ბრუნდება თბილისში და დაგვიანებით დაგოგოგურ მოღვაწეობას აგრძელებს თბილისის, გორის, ცხინვალის, სპიჯისა და პედაგოგოგურ და რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტებში. 1959 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა ოსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1987 წლის ბოლოდან დღემდე პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით რჩება ინსტიტუტის უფროს კონსულტანტად, სამეცნიერო საბჭოსა და საკვალიფიკაციო საბჭოს წევრად.

იოსებ მეგრელიძე ადრიდანვე ჩაება პედაგოგოგურ და საკვლევადიებო საქმიანობაში. უნივერსიტეტში შესვლამდე, როცა 18 წლისაც არ იყო, ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლად მუშაობს საინჟინოლოში, სადაც მამამისმა, ბარტლომე გრიგოლის ძე მეგრელიძემ (1883—1943), ადრე აპარასა და ართვინში ქართული სკოლების დამაარსებელმა, აქ მრავალი ქართული სკოლა გახსნა. სტუდენტი იოსები არდადეგებზე დადის გურია-აპარის სოფლებში და დიალექტოლოგოგურ, ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებს. მალე, 1930 წელს, ჟურნალ „მნათობსა“ და გაზეთ „კომუნისტში“ ზედიზედ აქვეყნებს წერილებს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. აქედან მოყოლებული სისტემატურად ისტამბება მისი გამოკვლევები, წერილები, რეცენზიები, პუბლიკაციები, რომელთა საერთო რიცხვი 600-მდე აღწევს, მათგან სამ ათეულზე მეტი ცალკე წიგნებად არის გამოცემული.

ეს ნაშრომები, რომლებიც შესრულებულია ქართულ და რუსულ, ხოლო ზოგი თარგმნილია სომხურ, უკრაინულ, ფრანგულ, აფხაზურ, ადიღეურ, ოსურ და სხვა ენებზე, აშუქებენ ქართული, ქართველური და დაღესტნური ენების, ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის მნიშვნელოვან საკითხებს. ბატონი იოსები წარმატებით აგრძელებს იმ ქართველ მწავლულთა ტრადიციებს, რომლებიც ქართველოლოგიის დარგებს ერთმანეთთან და კავკასიოლოგიის შესაბამის დარგებთან კავშირში შეისწავლიან.

1938 წელს ლენინგრადში რუსულ ენაზე გამოსულ წიგნში „ლაზური და მეგრული ფენები გურულში“, რისთვისაც მას მეცნიერებათა კანდიდატის ხაოლისხი მიენიჭა, განხილული და წარმოჩენილია დასავლური ქართული კილოებისა და კილოკავების თავისებურებანი და ურთიერთმიმართება. დადგენილია, რომ „ქვემო იმერული კილო ძველი ენობრივი ფენებით უფრო მეგრულს უახლოვდება, ხოლო გურული და აპარული — ლაზურს“. ცალკე აღნიშვნის ღირსია აქ აღნუსხული ტოპონიმები და მათი ეტიმოლოგოგური ანალიზები.

ასევე, ენათმეცნიერული საკითხებია დამუშავებული მის გამოკვლევებში: „ქალთა გვარების დაბოლოება სამხრეთ კავკასიურ ენებსა და ფოლკლორში“, „მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში“, „ძე-ზე დაბოლოებული გვარების ნათესაობითი ბრუნვა დასავლურ ქართულში“, „უწყვეტლისა და მეორე კავშირებითის ადგილისათვის ქართული ზმნის დროთა სერებში“ და სხვა.

ქართული ენის გრამატიკის საკითხები ფართოდ არის წარმოდგენილი მის წიგნში „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“, რომლის მეორე, შვესებული გამოცემა 1988 წელს განხორციელდა. ამ ნაშრომში მონოგრაფიული სისრულით ნაჩვენებია ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლისა და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ახალი ქართული ენის ცხოვრებასა და სკოლაში დამკვიდრებაში, საერთოდ ჩვენი ერის წინაშე. სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ ი. მეგრელიძის გამოკვლევებს

დალესტურ ენათა ჯგუფის, დიდოურისა და მის მახლობელ ენათა შესახებ. იგი ამ დარგის ერთ-ერთ პიონერად ითვლება, რითაც თავისი წვლილი იხვეწა იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით შესწავლაში.

გორისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მუშაობისას მკვლევარმა აღწერა, შეისწავლა და ამით ბევრ შემთხვევაში მეცნიერებისათვის და-ღუპვას გადაარჩინა შიდა ქართლის ტერიტორიაზე და ლიხვისა და ქსნის ხეობებში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები. შეაგროვა და ჩაიწერა აქაური ხალხური თქმულებანი, ისტორიული გადმოცემები, ზნე-ჩვეულებანი, ცნობები საქართველოს ამ კუთხიდან გამოსული მწერლების შემოქმედებითი ზიოგრაფიებისა და ქართველთა და ოსთა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა შესახებ. ერთი ნაწილი ამ დიდი შრომისა „სიძველენი ლიხვის ხეობაში“ 1984 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. დანარჩენი გამოსაცემად მზად არის.

ბატონმა იოსებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში. იგი, როგორც შოთა რუსთველის პირველი საიუბილეო აკადემიური კომიტეტის სწავლული მდივანი, 1936—1937 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ერევანში, ბაქოსა და შუა-აზიის ქალაქებში ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებებში. გამოაქვეყნა გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და ლექსიკის საკითხებზე. აი, რამდენიმე ნიმუში:

პოემის ტექსტში „ჯაჭვი მეცვა საკურტაკე“ ძველად და ზოგი ახლაც „კურტაკს“ ჯაჭვის პერანგად მიიჩნევს. ი. მეგრელიძემ განმარტა, რომ ეგ არის „ქურთუკი“, „კურტაკ“ — ფარჩის სამოსელი, რომელსაც ჯაჭვის ჯაჭმის ქვეშ იცვამდნენ.

პოემის ადრინდელ გამოცემებში, ორიოდ გამოჩალისის გარდა, იკითხება: „სჯობს სიცოცხლე აკლებასა...“ ბატონმა იოსებმა 1962 წელს აღნიშნა, რომ ავტორი აფორიზმისა „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ არავითარ შემთხვევაში ამას ასე არ იტყოდაო და ხელნაწერებზე დაყრდნობით შემოგთავაზა ვარიანტი: „სჯობს სიკვდილი აკლებასა“, რაც შემდგომ გამოცემებში გაზიარებულია.

რუსთველოლოგიაში კარგა ხანს გრძელდებოდა კამათი, თუ რას უნდა ნიშნავდეს და როგორ ითარგმნოს „ვეფხისტყაოსნის“ „ვეფხი“, „ტიგრი“ იგი თუ „ბარსი“. ამასთან დაკავშირებით ბატონმა იოსებმა გურულ და იმერულ დიალექტებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ „ტიგრ“ სიტყვა ცნობილია ქართული-სათვის და იგი ჩვენს ენაში რუსთველზე ადრე ბერძნულიდან უნდა შემოსულიყო. მანვე დააზუსტა პოემაში „რვალის“, „კარაბაკი — ჩაქარაბაკება“, „ქოქმანი — საქოქმანები“, „ლაყფობა — ვილაყფეთანი“ და სხვა სიტყვების მნიშვნელობანი.

ი. მეგრელიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან და 1960 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა წიგნი „რუსთაველი და ფოლკლორი“ (სადოქტორო დისერტაცია). აქ, გარდა იმისა, რომ თავმოყრილი და გაანალიზებულია გადმოცემები რუსთველის შესახებ, უხვი მასალებით დასაბუთებულია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობა, ნაჩვენებია, რა სახით გადავიდა პოემა და მისი აფორიზმები ხალხურ შემოქმედებაში, ამავე დროს ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რა უნდა გამოეყენებინა პოეტს მსოფლიო კლასიკური მწერლობისა და ხალხური სიტყვიერებიდან.

მანვე 1970 წელს გამოსცა ვრცელი წიგნი „რუსთველოლოგიები“, რომელშიაც, დაწყებული ვახტანგ მეექვსიდან ჩვენი დროის 70-იან წლებამდე, დახასიათებულია ქართველ, საბჭოთა და უცხოელ მოღვაწეთა დამსახურება შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ბატონი იოსები კონსულტაციას უწევდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს: ნ. ზაბოლოცკის, ე. ტარლოვსკაიას, ბ. ბრიკს, აფხაზ დ. გულსაჩეჩენიძეს, მიტაფიდის, ოს გ. ბესთაუთს, იაპონელ ი. ფუკუროს, ებრაელ ბ. ვაზარნოვს, ბალყარელ ს. გურტუევს, ყაზბარდოელ ზ. თხაგაზიტოვს და სხვებს.

მანვე გამოსცა რჩეული რუსთველოლოგიური ლიტერატურის სამი კრებული და ამავე პრობლემის შემცველი რამდენიმე წიგნი სხვადასხვა ავტორისა.

ი. მეგრელიძის კლავის არეშია მოქცეული ძველი, ახალი და უახლესი ჰართული მწერლობის საკითხები — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპიტაფიები, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“... ჯერ კიდევ ჰაბუკობისას გამოაღვინა და გამოაქვეყნა საიათნოვას უცნობი ლექსები. მრავალი წლის რუდუნებითი შრომით ხალხში შეგროვილი და სიძველეთსაცავეებში მოპოვებული მასალების საფუძველზე ცალკე წიგნებად გამოსცა დიდად საყურადღებო ნარკვევები ჰოლა ლომთათიძის (1979), ეგნატე ნინოშვილის (1984) და მოღვაწე გურული გუგუნაეების (1987) შესახებ. რად ღირს, იუნდაც, ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელიდან ვგებულობთ, ცნობილი სიმღერის — „შავი შაში ჩიოდა“ — ტექსტისა და მელიქიის ავტორი ყოფილა დათა გუგუნავა; ვეცნობთ მის ბიოგრაფიას და იმ მძიმე ხვედრს, რამაც ნიჟიერ შემოქმედს აღნიშნული სიმღერა შთააგონა.

საინტერესო წერილები და მოგონებები აქვს გამოქვეყნებული ლევ ტოლსტოის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჭავჭავიძის, ვალაკტონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, შალვა ნუტუბიძის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა შესახებ.

ი. მეგრელიძე ავტორია ისეთი განსხვავებული დარგის ნაშრომებისა, როგორცაა „სახელმძღვანელო ავტორებისა და აღმოსავლური შრიფტების ასოთამწყობათათვის“ (იური მარის თანაავტორობით), რომელიც ოთხჯერ გამოიცა ლენინგრადში, მოსკოვსა და თბილისში და „მცირე თეატრალური ლექსიკონი“, „ლაზური (ქანური) სასიმღერო ლექსები“ და „აფხაზმცოდნეობის სათავეებთან“...

ბატონ იოსებს დიდი შრომა აქვს გაწეული ნიკო და იური მარების, იუსტინე აბულაძის, ვუკოლ ბერიძის, მოსე გოგიბერიძის, სოლომონ იორდანიშვილის, სარგის კაკაბაძის, ჯემალ ნოლაიდელის და სხვა მრავალთა ნაშრომების გამოქვეყნებაში (35 კრებული!). ამ მხრივ პირდაპირ სანიმუშოა ის თავდადება, რომელიც მან თავისი დიდებული მასწავლებლის — ნიკო მარის და უფროსი მეგობრების — მოსე გოგიბერიძისა და კიტა მეგრელიძის — მიმართ გამოიჩინა. უთუოდ გმირული თავგანწირვის ტოლფარდია მისი მოქმედება, რითაც მან გადაარჩინა კიტა მეგრელიძის წიგნის „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემების“ საკორექტურო ცალი. ამ ნაშრომმა კი, ცნობილია, შემდგომ სპეციალისტებში ფართო გამოხმაურება და უდიდესი აღიარება გამოიწვია. მანვე საყურადღებო ნარკვევები, წერილები და მოგონებები უძღვნა ამ მეცნიერებს და ბევრ სხვა მოღვაწესაც — ივანე ჭავჭავიძის, ლეონ მელიქსეთ-ბეგს, სანდრო ანუეტელს, ალიოშა სვანიძეს, ივანე მეშჩანინოვს, გრიგოლ ფერაძეს, ვიქტორ ნოზაძეს, კალისტრატე სალიას, იარომირ ივლიჩკას, რენე ლაფონს, ჰანს ფოგტს... ორჯერ გამოვიდა მისი მონოგრაფია იოსებ ორბელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (რუსულ ენაზე), ხოლო უფრო ვრცელი და მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფიული ნაშრომი ექვთიმე თაყაიშვილზე ახლახან მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. ბატონ იოსებს ფართო მეცნიერული კონტაქტები აქვს საბჭოთა და უცხოელ მოღვაწეებთან.

ბატონი იოსები სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელია. როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელმა და ხელდამსხმელმა, მან მრავალ ახალგაზრდას გაუშვა აქა და გზა მეცნიერებაში.



იოსებ მეგრელიძე მხნედ და ჭარმაგად, ახალ-ახალი შემოქმედებით მიზნებით შთაგონებული შეხვდა თავის საიუბილეო თარიღს. იმედია და ჩვენც ამას ვუსურვებთ ამგდარ მკვლევარს, კვლავაც დიდხანს და ასე წარმატებით გააგრძელოს ჩვენი ერის სამსახური.

ბორის ღარჩინა

1990 წლის 20 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაბადების 80 და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლისთავთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწვევეს ამავე ინსტიტუტის ამგდარ მუშაკს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ იოსებ მეგრელიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა სარგის ცაიშვილმა. იოსებ მეგრელიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბორის ღარჩინამ. სიტყვებით გაშვიდნენ და ბატონი იოსების დამსახურებაზე ილაპარაკეს: პროფესორებმა ალექსანდრე ლლონტმა, ალექსანდრე კალანდაძემ, რევაზ სირაძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა: ციალა კარბელაშვილმა, ფიქრია ზანდუკელმა, ლია ანდლუაძემ, თამარ ფხაკაძემ, გიზო ჭელიძემ, შოთა ვაშაყმაძემ...

სამადლობელო სიტყვაში იოსებ მეგრელიძემ მოიგონა ზოგიერთი ეპიზოდი ნიკო მარის, ივანე ჭავჭავიძელის, ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი შანიძის, მიხეილ ზანდუკელის და სხვათა მეცნიერული და მამულიშვილური მოღვაწეობიდან, რაც მისთვის მუდამ სამაგალითო, შთაბრძნავი და სტიმულის მომცემი იყო.

სხდომის მონაწილეებმა დააყენეს საკითხი იოსებ მეგრელიძის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოების თაობაზე.



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერთი კარგად გასაგები გაუმგებრობის გამო

1987 წ. ავ. შანიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა გ. ნებიერიძის სტატია („ასპექტი ქართულში“), რომელშიც არასწორად იყო შეფასებული ჩვენი ნაშრომი „ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3) და, რაც მოთავსია, მიჩნეპლული იყო ის ძირითადი დებულებები, რომლებიც არცთუ იაკ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ გ. ნებიერიძისეული ე. წ. ტენარული მოდელის ჩამოყალიბებისას. სწორედ ამას ევახილეთ გ. ნებიერიძე ჩვენს მომდევნო სტატიაში („ასპექტის შესწავლის ისტორიიდან ქართულში“, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, 1988), რომლის სახასუხოდაც გ. ნებიერიძემ „მაცნეში“ (ტს, 1989 წ., № 3) გამოაქვეყნა ერთგვერდიანი კრტიკული შენიშვნა („ერთი გაუგებრობის გამო“), სადაც შეეცადა, როგორმე თავი ენართლებინა და ყველაფერი გაუგებრობისათვის გადაებარალებინა.

ჩვენ არ ვპარებდით გ. ნებიერიძის ამ შენიშვნაზე პასუხის გაცემას, მაგრამ ეს ერთგვერდიანი წერილი იმდენად ალოგურიკო და მასში ისე კარგად იკვეთება გ. ნებიერიძისეული კვლევისა და კამათის სტილი, რომ გადაეწყვიტეთ, ორიოდ საკიოხს მიიწე შევებოდით.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ გ. ნებიერიძემ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ერთგვარად გაიღო მორყალეობა, ნუცბათევიად გაგვიჩჩია ნაშრომი და მენტორული ტონით შეგვენიშნა: „თუ ჩვენ „წერს“ ზმნას უსრულ მოქმედების გამოხატველ ფორმად მივიჩნევთ, მაშინ იგივე „წერს“ აღარ შეიძლება იყოს სრული ასპექტისა. ასევე, თუ „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავენ, მაშინ ამავე ფორმებმა აღარ შეიძლება გამოხატონ შეწყვეტილი ასპექტი“. ჭერ ერთი, მაღლობა გ. ნებიერიძეს იმ ანბანური ჭეშმარიტების შეგონებისათვის, რომ „წერს“ არ შეიძლება სრული ასპექტისა იყოს. ახლა რაც შეეხება ციტატის მეორე ნაწილს. ეტყობა, ოპონენტმა გადაწყვიტა, საბოლოოდ დავემოძღვრეთ და კატეგორიულად განაცხადო: „თ. მეტრეველის მიხედვით, ქართულში უსრულადაც ასპექტია და წყვეტილობა. ამიტომ „წერა“, „ხატა“ და სხვა ამ ტიპის ფორმები ორჭერ გამოდის დახასიათებელი ასპექტის მიხედვით, რაც პრინციპულად შეუძლებელია როგორც საერთოდ, ისე ქართულშიც“. ამიტომ, — ავითარებს თავის დებულებას გ. ნებიერიძე, — „წერა“, „ხატა“ ტიპის ფორმები თუ შეწყვეტილი ასპექტს გამოხატავენ, მაშინ იგივე ფორმები შეუძლებელია უსრული ასპექტის გამოხატველ ფორმებად მივიჩნიოთ. ამ საკითხის დამტკიცებას ეძღვნება სწორედ ჩვენი ხსენებული ნაშრომი და ეს თვალსაზრისი სრულიად ახალია“. ესაა მისი კრველი. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რა უყყოთ მის ძირითად ნაშრომში ჩამოყალიბებულ დებულებას, რომლის თანახმადაც: „წერა“ და „დაწერა“ ტიპის ფორმები ქართულში ერთ კლასში ექცევა... მხოლოდ იმით, რომ ორივე მათგანი წყვეტილ მოქმედებას გამოხატავს. „დაწერა“ ტიპის ფორმები წყვეტილ ასპექტისაა იმიტომ, რომ მოქმედების დასრულება ამავე დროს მოქმედების შეწყვეტაცაა, ხოლო „წერა“ ტიპის ფორმები წყვეტილ ასპექტს გამოხატავენ იმიტომ, რომ დაუსრულებელ მოქმედებას შეწყვეტილად წარმოადგენენ“ (გვ. 137; ხაზგასმაც და ხაზგასმული დებულებაც ჩვენი). წინააღმდეგობა ძირითად და შენიშვნას შორის იჩენს თავს, არამედ თვით ამ ერთგვერდიან შენიშვნაშიც, მეორე აბზაცის დასასრულს გ. ნებიერიძე აღნიშნავს, რომ „თ. მეტრეველმა გარკვეულად შეასწორა ავ. შანიძის მოდელი ასპექტისა“; ხოლო მესამე აბზაცის დასასრულს კი წერს: „თ. მეტრეველს რაიმე ცვლილება ავ. შანიძის მოდელში არ მოუხდენია და ამიტომ მისი ნაშრომის დამოწმება ჩვენთვის უზებრზულიც კი იყო“. რომელ გამონათქვამს ვენდობ? როდისაა გ. ნებიერიძე მართალი? ასევე წინააღმდეგობრივია შენიშვნის დასასრული: „წყვეტილობა რომ ასპექტია, ამას თ. მეტრეველამდევ აღნიშნავდნენ, მაგრამ ეს თვალსაზრისი ჩვენამდე არავის დაუმტკიცებია. ამიტომაც ჩვენ არ დავიმოწმეთ და არც უნდა დაგვემოწმებინა თ. მეტრეველის ხსენებული ნაშრომი“, — კატეგორიულად აცხადებს იგი. რა გამოდის აქედან? ის, რომ წყვეტილობა ჩვენთვისაც ასპექტია და თუნდაც ამიტომ უნდა დავიმოწმებინა ჩვენი ნაშრომი.

მაგრამ საქმე დამოწმებაში როდია. გ. ნებიერიძე შემთხვევით არ იმეორებს ასე ჭიუტად,

რომ მას ჩვენი ნაშრომი არ დაუმოწმებია. ამით მას სურს, რომ მკითხველი შეცდომაში შე-
ყვანოს და დაარწმუნოს, რომ საქმე თითქოს მხოლოდ ჩვენი ნაშრომის დამოწმება-არდაბო-
მეზას ეხება და სხვა სადავო მის სტატიაში არა არის რა. მაგრამ გ. ნებეირიძე აქაც ეწევიდა
დევეზს თავის თავს. როგორც ამას წერილის დასაწყისში აღვნიშნავთ, მან დაიმოწმა ჩვენი
ნაშრომი, წამდვილად დაიმოწმა (იხ. მისი სტატია, გვ. 134). მაგრამ ვაი ამ დამოწმებას! ეუ-
ფრთი, მიუთითა მხოლოდ ის გვერდები, სადაც ძირითადად ენობრივი მასალის ანალიზია მო-
ცემული და, მეორეც, არასწორი და გაუქულმართებული ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს სა-
ერთოდ ნაშრომის შესახებ. და ყველაფერი ეს იმისათვის გააკეთა, რომ ბოლოს ამაყად
განეცხადებინა: „ასპექტის ამ ახალ კლასს ჩვენ ვუწოდებთ წყვეტილ ასპექტს“ (გვ. 135).

როგორც ვხედავთ, არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, გ. ნებეირი-
ძე კიდევ ერთხელ შეეცადა, მკითხველი შეცდომაში შეეყვანა და მეტი არაფერი.

ახლა რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ გ. ნებეირიძეს ბრალს ვდებთ პლაგიატში (როგორც
ამას თვითონ აღნიშნავს კრიტიკულ შენიშვნაში): გ. ნებეირიძისაგან განსხვავებით, ჩვენ პლა-
გიატორად მიგვაჩნია არა მარტო ის, ვინც სიტყვასიტყვით იწერს ვისიმე ნაშრომს, არამედ ისიც,
ვინც წყაროს მიუთითებლად სხვის ამოსავალ დებულებებს იყენებს საკუთარი, თუნდაც
სრულიად განსხვავებული (არ ეგონოს გ. ნებეირიძეს, რომ ჩვენ მის ტერმინარულ მოდელზე
გაცხადებდეთ პრეტენზიას) სისტემის ჩამოყალიბებისას.

თეიმურაზ მებრძვილი

პრონოკა და ინფორმაცია

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუბათისო ნაშრომის
ბამოსავლინებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადო-
ებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა საუბათისო ნამუშევრების გამოსავლი-
ნებლად 1990 წლისათვის აცხადებს კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი მედალი და ფულადი პრემია, თითო-
ეული 200 მანეთის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად დეკემბერში ანიჭებს საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემია ახალგაზრდა მეცნიერებს საუბათისო მეცნიერული ნამუშევრებ-
სათვის.

მედლები და პრემიები მიენიჭებათ ცალკეულ მეცნიერებს საუბათისო მეცნიერული ნამუ-
შევრებისათვის (მეცნიერულ ნაშრომთა სერიისათვის ერთიანი თემატიკის მიხედვით), აღმოჩე-
ნებისათვის, გამოგონებებისათვის.

მედლებისა და პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სა-
მეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგა-
ნიზაციების მეცნიერი და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლები, მასწავლებლები, სტაჟიორ-
მკვლევარები, ასპირანტები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 33 წელს.

კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ:

- ა) სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს;
- ბ) სამინისტროებს, უწყებებს;
- გ) სამრეწველო საწარმოთა და საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკურ საბჭოებს.

ორგანიზაციები, რომელნიც წამოაყენებენ კანდიდატებს, ვალდებული არიან არაუგვიანეს
ოქტომბრისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილებაში წარწე-
რათ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედლის პრემიითურთ მოსაპოვებლად“
წარმოადგინონ:

- ა) მოტივირებული წარდგენა, რომელიც შეიცავს ნამუშევრის მეცნიერულ დახასიათებას;
- ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნამუშევრის (ნაშრომთა სერიის), აღმოჩენის ან გამოგო-
ნების მასალები 3 ეგზემპლარად;
- გ) ცნობები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, აღმოჩენების, გამოგო-
ნებების სია, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, დაბადების წელი, ბინის მისამართი).

ცნობები ტელეფონით: 93-29-86, 93-88-89.

განი 1 მან. 26 კაპ.

ინდექსი

76198



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა